• **ინოვაცია პროცესის სრულყოფისათვის**, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე

• **კონცეპტუალური ინოვაცია,** რომელიც მიზნად ისახავს მართვის ახალი ფორმების დანერგვას (მაგალითად: ინტერაქტიული პოლიტიკის შემუშავება, მმართველობით პროცესებში მოსახლეობის ჩართულობა, ჰორიზონტალურ/ქსელური მმართველობა)

ამგვარად, **ინოვაციური სახელმწიფო მმართველობა არის სოციალურ მართვის საქმიანობა, რომლის მთავარი სუბიექტი სახელმწიფოა. მისი საქმიანობა მიმართულია ინოვაციური საქმიანობის ინიცირების, მხარდაჭერისა და ინოვაციური პროცესების რეგულირებისაკენ, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველს**

სახელმწიფო მართვის ამოცანაა, ინოვაციისაკენ არათანასწორად ტრანსფორმირებადი სოციალური გარემოს პირობებში უზრუნველყოს დინამიური სტაბილურობის შენარჩუნება. მოცემული ამოცანის ეფექტიანად შესრულების პირობას, წარმოადგენს ინოვაციური ადაპტირება და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ინოვაციურობა.

საქართველოში მიღებულ ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას თითქოსდა ფრაგმენტული ხასიათი აქვს და აუცილებელია ცნების "ინოვაცია"-ის სამართლებრივი გამყარება. საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მი-

ღებულ იქნა "ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც სამართლებრივ დონეზე მოხდა ისეთი ცნებების განმარტება, როგორიცაა **"ინოვაცია", "ინოვაციური პროექტი", "ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა", "ინოვაციური საქმიანობა"** და სხვა. კანონის მიხედვით **"ინოვაცია"** არის ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის [13].

**ინოვაციური პროექტი –** ეს არის პროექტი, რომლის მიზანია ინოვაციური საქმიანობის განხორციელება.

**ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა** – გარემო, რომელიც მიმართულია, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების დაკავშირებისა და თანამშრომლობისაკენ და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისაკენ.

**ინოვაციური საქმიანობა** – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების შესაქმნელად

## დასკვნა

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს, რომელიც ნერგავს ინოვაციურ იდეებს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის პროცესებსა და სისტემებში, შეუძლია ეფექტიანად უპასუხოს სხვადასხვა გამოწვევებს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. **ინოვაციის დანერგვა თანამედროვე სახელმწიფოს მართვის პოლიტიკაში არ არის თვითმიზანი, არამედ ის, ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და განვითარების მიზნით, სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესების საშუალებაა.** საკმარისი არაა უკვე აპრობირებული და გამოცდილი ინოვაციური მოდელების გადმოტანა, საჭიროა სიცოცხლისუნარიანი და მუშა მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ინოვაციები აძლიერებს მმართველობით საქმიანობას, აძლევს რა საშუალებას გააკეთოს ოპტიმალური არჩევანი უწყვეტობასა და სტაბილურობას შორის, განვითარების ახალი დონის მიღწევის აუცილებლობას შორის, სიახლეების დანერგვისა და ცვლილებებთან დაკავშირებულ რისკებს შორის

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ე. მექვაბიშვილი., ”თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი)”, თბ., 2016 წ. გვ.116-122

2. ლ.ქოქიაური., ”ინოვაციები” თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2015, გვ. 2-7 ISBN 978-9941-9425-6-3

3. პ. დრუკერი, ”ინოვაცია და მეწარმეობა” მოს., 2007 წ.

4. ლ. ქოქიაური, ბ. გეჩბაია, ”სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში”, სტატია, თბ., ჟურნალი ”ინოვაციური ეკონომიკა”

5. ბრაიან ტვისი “ტექნოლოგიური ინოვაციების მართვა” 352გვ. ISBN: 9780273037958

6. ბ. სანტო, “ინოვაცია, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება” თარგმნა ბ.საზანოვი, მოს. Gგამომცემლობა “პროგრესი” 1990

7. ი. შუმპეტერი, ”ეკონომიკური განვითარების თეორია” მოს. ეონომიკა, 1982

8. ეგთო/ევროსტატი/ევროკავშირი ”ოსლოს სახელმძღვანელო 2018: ინოვაციების მონაცემების მოპოვების გაიდლაინები, ანგარიშებისა და გამოყენებისათვის”, პარიზი, ლუქსემბურგი, გამოცემა ”სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოცემა აქტივობების გაზომვა” 2019.

9. მ. პორტერი, ”კონკურენტული სტრატეგია: დარგებისა და კონკურენტების ანალიზის მეთოდოლოგია”, მოს., 2006

10. ა. აგარკოვი, ე.კუზნეცოვა, ”ინოვაციური მენეჯმენტი და სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკა”, გამომცემლობა ”საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია” 2011.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური საბჭო, მე-5 სესია, მე-4 პუნქტი, კომიტეტის ექსპე-

რთა ანგარიში სახელმწიფომ მართველობის საკითხებში, 27-31 მარტი 2006 წ. https://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan023031.pdf (მოძიებულია 17.02.2022).

12. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური საბჭო №E2021/99 რეზოლუცია, გაეროს გენერალური ანსამბლეა. ნიუ-ორკი, 2021 https://undocs.org/pdf?symbol=ru/E/2021/99 (მოძიებულია 18.02.2022)

13. "ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, №5501-IIს, 2016 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0 (მოძიებულია 19.02.2022)

**REFERENCES:**

1. E. Mekvabishvili., "Modern Economic Theories (Lecture Course)", Tbilisi, 2016. Sheet.116-122

2. L. Qoqiauri, N. Qoqiauri, "Innovation" , Tbilisi, 2015, Technical University of Georgia, Sheet 2-7, ISBN 978-9941-9425-6-3

3. P.F. Druker [Business and Innovation]. M., 2007

4. L. Kokiauri, B. Gechbaia, "Priorities of State Innovation Policy in Georgia", Article, Tbilisi, Journal "Innovation Economy"

5. Brian Twiss "Managing Technological Innovation" sheet 352, ISBN: 9780273037958

6. Santo B. "Innovation as a Means of Economic Development". Transl. B. Sazonov. Moscow, 1990."

7. I. Shumpeter "Theory of Economic Development". M., Economics, 1982.

8. OECD/Eurostat, Oslo Manual 2018: Guidelines for Collecting, Reporting and Using Data on Innovation, 4th Edition, The Measurement of Scientific, Technological and Innovation Activities, OECD Publishing, Paris/Eurostat, Luxembourg. 2019

9. M. Porter, "Competitive strategy: Methodology of Analyzing Industries and Competitors", M., 2006

10. Agarkov S. A., Kuznetsova E." Innovation Management And State Innovation Policy"; Publisher "Academy natural sciences"2011

11. The Organization of the United Nations. Economic and Social Council. Session 5, paragraph 4, Report of the Committee of Experts on State Governance New York, 27–31 March, 2006. https://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan023031.pdf (accessed 17.02.2022).

12. Economic and Social Council of the United Nations, E2021/99 resolution. General Assembly, New York, 2021, https://undocs.org/pdf?symbol=ru/E/2021/99 . (accessed 18.02.2022).

13. Law of Georgia "on Innovations" Law of Georgia, Parliament of Georgia, Kutaisi, # 5501-IIs, 2016. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0 (accessed 19.02.2022).

## THEORETICAL ASPECTS OF INNOVATION POLICY IN PUBLIC ADMINISTRATION

**Iashvili Genadi**
Doctor of Technical Sciences. Professor of GTU,
Faculty of Business Technologies.
Head of the Department Public Administration and E_Business.
g.iashvili@gtu.ge;
**Tsverava Zaza**
Academic Doctor of Public Administration.
Assistant Professor of GTU,
ztsverava@gmail.com.
**Tsverava Lasha**
Doctoral Candidate of GTU,
ltsverava96@gmail.com

### RESUME

The way of a systematic approach to solving the problems related to the management of the modern state, must go through defining and identifying the bases for the emergence of these problems. To-

day, the definition of such basics makes the innovation factor relevant, which, on the one hand, is always considered as a catalyst for progress and, on the other hand, is reflected in its socio-economic contradictions.

The article discusses the theoretical aspects of innovative processes in modern public administration, issues related to the urgency of introducing innovative methods for the development and refinement of modern public administration. The paper considers innovation not only as a result of fundamental, applied research, new inventions or experimental papers in the technical field, but it is also considered in the field of management as a mean of increasing its effectiveness. In article, the views and conclusions of various scientists related to the innovation process and innovation activities are analyzed.

**Keywords:** Innovation, Innovation Policy, Pseudo-Innovation, Public Administration.

# საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში - ადგილობრივი თვითმმართველობა

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-38**

**ალექსანდრე კოპალიანი**
სტუ მაგისტრანტი
leqsokopaliani@gmail.com

**რეზიუმე**

საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების გაზრდის უზრუნველსაყოფად ძალზედ მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის რეფორმა. რეფორმის ფარგლებში აუცილებელია რესურსების სწორი გადანაწილება, მონაწილეობრივი მუნიციპალური პოლიტიკის დანერგვა, ახალგაზრდების და დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით.საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმის (2019 – 2020) თანახმად, თითოეულმა კომპეტენციამ გარკვეული ცვლილება განიცადა, ამასთან საკმაოდ ბევრი ამოცანა შესრულდა, მაგრამ რეალურად საჯარო მმართველობის რეფორმა სისტემურად არ განხორციელებულა. ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ანტიკორუფციული ქსელის შექმნისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ასევე საჯარო მოხელის პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ელექტრონულ სერვისებზე წვდომის და ინფორმაციის ღიაობის მიმართულება საჭიროებს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, განსაკუთრებული ყურადღება არის გასამახვილებელი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის აუცილებლობაზე. მოცემულ სტატიაში განხილულია საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის და ადგილობრივ თვითმმართველობის აქტუალური საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო მმართველობა, რეფორმა, რესურსები, ახალგაზრდების ჩართულობა.

## შესავალი

„შევცვალოთ, რათა შევინარჩუნოთ“, ედმუნდ ბერკის ეს სიტყვები, სამყაროს ცვლილებასთან ერთად გვახსენებს მოდიფიკაციის (შეცვლის) აუცილებლობის მნიშვნელობას, რომ სამყაროში არაფერია მარადიული და ყველაფერი გარკვეული დროის შემდეგ ცვლილებას მოითხოვს.

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელება ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელმაც ევროპულ ოჯახში ჩვენი კუთვნილი ადგილი უნდა დაგვიბრუნოს. დღეს არსებული სისტემა, მოძველებულია და აუცილებელია შენარჩუნების მიზნით სისტემურად შეიცვალოს.2015 წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი, ასევე განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმები: პოლიტიკის დაგეგმვის, საჯარო სამსახურის და ადამიანური რესურსების მართვის, ანგარიშვალდებულების, სახელმწიფო სერვისების მიწოდების, საჯარო ფინანსების მართვის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების კუთხით.

## ძირითადი ტექსტი

მმართველობის დეცენტრალიზაცია, სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას უკავშირდება. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, სადაც განისაზღვრა მერის არჩევის, საკრებულოს უფლებამოსილების და თვითმმართველი ქალაქის კომპეტენციები. მერის და საკრებულოს წევრების პირდაპირი წესით არჩევა ნამდვილად საჭირო და ამავდროულად დიდი მნიშვნელობისაა, რადგან დეცენტრალიზაციის რეფორმის მისაღწევად აუცილებელია ხელმძღვანელ პირს ჰქონდეს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ლეგიტიმაცია. ასევე კანონში არსებული ჩანაწერი საკრებულოს უფლებამოსილების შესახებ უფრო ნათელს ხდის, მუნიციპა-

ლური მაკონტროლებელი ორგანოს მნიშვნელობას.

**ევროპული ქარტია** ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ყურადღებას ამახვილებს დეცენტრალიზაციის რეფორმის მნიშვნელობაზე, სახელმწიფოს უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან, სწორედ ის ანაწილებს სხვა ორგანოსათვის გადასაცემ მოვალეობებს.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია (2020–2025) SWOT ანალიზში ხაზგასმულია თვითმმართველობის როლის გაზრდის მნიშვნელობა და გამოყოფილია სუსტი და ძლიერი მხარეები (იხ. ცხრილი1 ). მასში ძირითადად მიმოხილულია ის საკითხები,

**ცხრილი 1**

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| • ახალი კონსტიტუცია აღიარებს უფლებამოსილებათა სუბსიდიარობის პრინციპს<br>• ორგანული კანონი „თვითმმართველობის კოდექსი“ მკაფიოდ მიჯნავს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებათა პრეროგატივას საჯარო საქმეებთან მიმართებაში.<br>• საზოგადოებაში მეტ ნაკლებად ფორმირებულია აზრი,რომ ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლება ძლიერი სახელმწიფოს ატრიბუტია.<br>• დეცენტრალიზაცია და რეგიონული განვითარება საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია. | • არ არის უზრუნველყოფილი დარგობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“<br>• სუსტია სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე.<br>• დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაცია მათთვის დაკისრებულ უფლებამოსილებათა წარმატებით შესრულებისთვის.<br>• არ ხდება ზუსტი ფინანსური გაანგარიშება, თუ რა ჯდება გადაცემულ უფლებამოსილებათა აღსრულება ადგილებზე<br>• მწირია გადაცემულ უფლებამოსილებათა დაფინანსება.<br>• მკაფიოდ არის გასამიჯნი მუნიციპალიტეტებისა და დარგობრივი სამინისტროების კომპეტენციები ცალკეულ სფეროებში |

რომელიც რეფორმის განხორციელების გზაზე დიდ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია გამოვყოთ ის მიგნებები, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას საგრძნობლად აფერხებს და რომელზეც დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში საუბარი არ არის.

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მინიჭებული უფლებამოსილება ექსკლუზიურია და არ შეიძლება შეიზღუდოს ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. რწმუნებული არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა. მისი ძირითადი ფუნქცია ცენტრსა და თვითმმართველობებს შორის მაკოორდინირებელი საქმიანობაა, დებულების შესაბამისად, რწმუნებულის ინსტიტუტი მხოლოდ საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებული ინსტიტუტია, რომელსაც არ აქვს უფლება ჩაერიოს მუნიციპალიტეტების შიდა საქმეებში, მაგრამ არსებული რეალობა გვიჩვენებს, რომ „სახელმწიფო რწმუნებულების გავლენა მუნიციპალიტეტში მაღალია, ხშირად ერევიან პირდაპირი წესით არჩეული მერებისა და საკრებულოების საქმიანობაში, ჩართული არიან როგორც ადამიანური რესურსების მართვაში (საკადრო პოლიტიკა), ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

დეცენტრალიზაციის განხორციელების გზაზე - „სახელმწიფო რწმუნებულის" ინსტიტუტი მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ფაქტორია, ამიტომ მნიშვნელოვანია მკვეთრად გაიმიჯნოს მისი და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები, მუნიციპალიტეტმა დამოუკიდებლად უნდა იპოვოს ღია ინსტიტუციური მოწყობისთვის საჭირო რესურსები.

**„„შეზღუდული რესურსები"**. ცენტრისა და თვითმმართველობების ფუნქციების არევა გამოწვეულია შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, რომელიც ზემოთ აღნიშნული ევროპული ქარტიის მიხედვით „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს" ეხმიანება.კანონით გათვალისწინებული შემ-

თხვევები ეხება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებულ საკითხებს, აქ შეიძლება შემოვიტანოთ შეზღუდული რესურსების ცნება, რომელშიც იგულისხმება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ფინანსური გამოწვევები. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უმეტესობას არ გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავლები, რის გამოც ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის გამგებლობა და ფინანსები მიკუთვნებული აქვს ცენტრალურ ხელისუფლებას. ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები როგორებიცაა: წყლის სისტემების მართვა, ადგილზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები - ხშირ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს. შესაძლებელია, ცენტრალური მთავრობა შეზღუდული რესურსის ცნებიდან გამომდინარე ეხმარებოდეს ადგილობრივ ხელისუფლებას იმ მოწყვლად სფეროებში, რომელიც მათ სჭირდებათ, ვინაიდან დელეგირებული უფლებამოსილება ისედაც რესურსების გადანაწილებას გულისხმობს, მაგრამ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ადგილობრივი მთავრობის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება.

მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს ის საკითხები, რომელშიც არცერთ ინსტიტუციას არ ექნება მუნიციპალიტეტის შიდა პოლიტიკაში ინტერვენციის უფლება. ისეთი საკითხები როგორებიცაა: ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვა, ადამიანური რესურსების მართვა, საჯარო მოსამსახურეების წახალისება და საკრებულოში სამართლებრივი აქტების მიღება, ადგილობრივი მთავრობა უნდა განსაზღვრავდეს.[4].

**მონაწილეობრივი მუნიციპალური პოლიტიკის დანერგვა ახალგაზრდების და დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით.** არსებობს მონაწილეობრივი პოლიტიკის სირთულეები, მაგრამ აუცილებელია მოიძებნოს გზები აღნიშნული პრობლემის დასაძლევად. მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, მართვის ხარიხს, რადგან პროგრამები და გადაწყვეტილებები შესაბამისობაში იქნება მოქალაქეთა საჭიროებებთან და მოთხოვნებთან.

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებთა პაკეტი, რომელიც მონაწილეობრივი პოლიტიკის მნიშვნელოვან ფორმებად განისაზღვრა, ესენია: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუნიციპალიტეტის სხდომებში მონაწილეობა და მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა.

პაკეტის მიღების შემდეგ „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსმა“ ჩაატარა თემატური კვლევები მიღებული ფორმების პროდუქტიულობის საჩვენებლად, იმის გასაგებად ადგილობრივ დონეზე რამდენად კარგად მუშაობს თითოეული კომპეტენცია.შედეგები ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში საგრძნობლად არის გაზრდილი დასახლების საერთო კრებისა და პეტიციის მიმართ მიმართვიანობა, მაგ: ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 30 საერთო კრება, ხოლო 8- ჯერ პეტიციით მიმართეს. დასახლების საერთო კრებისა და პეტიციის მიმართ მაღალი აქტიურობა ვერ გვაფიქრებინებს, რომ წარმატება ძალიან ახლოსაა, რადგან დიდი გამოწვევებია დანარჩენ სამ ფორმასთან მიმართებაში, ამავევე კვლევის (2019) მიხედვით 11 მუნიციპალიტეტში დღემდე არ შექმნილა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და მხოლოდ 26 მერმა ჩააბარა მოსახლეობას საკუთარი საქმიანობის ანგარიში **(ცხრილი 2)**

**ცხრილი 2**

**მონაწილეობის მაჩვენებელი**

| **მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება** |
|---|
| 11 მუნიციპალიტეტში დღემდე არ შექმნილა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო |
| მხოლოდ 26 მერმა ჩაატარა თავისი საქმიანობის ანგარიშის მოსმენა |
| მხოლოდ 15 საკრებულოს წევრმა გამართა საკუთარი საქმიანობის ანგარიშის მოსმენა. |

მონაწილეობრივი ფორმების განხილვისას, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ, დეცენტრალიზაციის მიმართულების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფზე- ახალგაზრდებზე. ახალგაზრდების ინტეგრაცია და მათი მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად დასაგეგმად. [6]

**ცხრილი 3**

**რაში გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა (დათვლილია ასაკობრივი მახასიათებლით)**

| | 14-17 წელი | 18-25 წელი | 26-29 წელი |
|---|---|---|---|
| მივიღე მონაწილეობა ბიუჯეტის განხილვაში | 4 | 7 | 10 |
| ხელი მოვაწერე პეტიციას | 5 | 19 | 20 |
| მივიღე მონაწილეობა საკრებულოს სხდომაში | 5 | 7 | 10 |
| მივიღე მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში | 9 | 15 | 23 |
| მივიღე მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში | 9 | 17 | 13 |
| გამოვხატე აზრი მედიის საშუალებით | 12 | 18 | 16 |
| მოვისმინე მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ | 16 | 23 | 30 |
| ვარ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი | 22 | 13 | 12 |
| ვიღებ მონაწილეობას სოც ქსელებში | 32 | 40 | 42 |
| ვარ პოლიტიკური პარტიის წევრი | 4 | 6 | 8 |
| სხვა. | 16 | 6 | 5 |

2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ (2014-2020) რომელშიც განისაზღვრა ახალგაზრდების მონაწილეობრივი

პოლიტიკის ამოცანები, შესაძლებლობები და განხორციელების გზები. ამ წლების მანძილზე მრავალი ნაბიჯი გადაიდგა, ახალგაზრდული პრობლემების და გამოწვევების მოგვარებისკენ, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური გარდაქმნა, ეროვნულ დონეზე არ მომხდარა. მეტიც ახალგაზრდების უმეტესობა საერთოდ მოწყვეტილია მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო პოლიტიკას და იშვიათად არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამწუხაროდ, ახალგაზრდული პოლიტიკა დღესაც იმ გამოწვევების წინაშეა, რაც რამდენიმე წლის წინ იყო, რადგან დღესაც გაუმიჯნავია თვიმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები, დღემდე არ შექმნილა ქმედითი მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, (გარდა რამდენიმე მუნიციპალიტეტისა) რომელიც ადგილობრივ დონეზე მოაწესრიგებდა ახალგაზრდების მონაწილეობის სამართლებრივ მხარეს.

ძალიან დაბალია ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმავე კვლევაში განხილულია ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების დასაქმების საკითხი 14 დან 29 წლის ადამიანებში. ახალგაზრდების 36 % სახელწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 45% - კერძო ორგანიზაციაში ( **იხ: ცხრილი 4** ).

**ცხრილი 4**

**ხართ თუ არა დასაქმებული**

| | **დიახ** | **არა, თუმცა ვეძებ სამუშაოს** | **არა, არ ვეძებ სამსახურს** |
|---|---|---|---|
| 14-17 წელი | 4 | 21 | 76 |
| 18-25 წელი | 28 | 50 | 22 |
| 26-29 წელი | 65 | 31 | 4 |

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად ერთ-ერთი მიზანი მუნიციპალური ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაძ-

ლიერების ნაცვლად, საგრძობლად არის შემცირებული არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების რიცხვი.

სამოქალაქო საზოგადოების პორტალზე (CSO) ვხვდებით ორგანიზაციებს მთელი საქართველოდან, სადაც სტატისტიკა ასეთია: „დიდ ქალაქებში მინიმუმ ერთი ორგანიზაცია მაინც არსებობს, რომელიც თავისი მუნიციპალიტეტის ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებს, ხოლო იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც მთის სტატუსით სარგებლობენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თითქმის არ ფუნქციონირებენ და საზოგადოებრივი აქტივობაც ნაკლებია“ 9].

## დასკვნა

ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის რეფორმის წარმატებით განსახორციელებად აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გააჩნია ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს. საქართველოს მთავრობამ მკვეთრად უნდა განსაზღვროს სახელმწიფო რწმუნებულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები, სახელმწიფო რწმუნებულის დებულების შესაბამისად მისი ინსტიტუციური კავშირი ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მჭიდროა, მაგრამ არა სავალდებულო, ამიტომ თვითმმართველი მუნიციპალიტეტი ადგილობრივ პოლიტიკას დამოუკიდებლად უნდა ახორციელებდეს. დამოუკიდებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეების ჩართვისთვის საკრებულოს რეგლამენტში უნდა შეიტანოს ცვლილება, რომელიც მოქალაქეთა დასწრებასა და აზრის გამოთქმის საშუალებას უზრუნველყოფს. ასევე მნიშვნელოვანია დარგობრივი ჰარმონიზაციის მიღწევა საქართველოს ორგანულ კანონთან, რათა თვითმმართველობის კოდექსი კიდევ უფრო მოქნილი და სრულყოფილი გახდეს და მუნიციპალიტეტმა გამიჯნოს უფლებამოსილებები.გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად უნდა იქცეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც გამჭირვალე და წარმომადგენლობითი კონკურსის გზით დაკომპლექტდეს, ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოს დაკომ-

პლექტებას საკრებულოს მხრიდან უნდა მოსდევდეს ახალგაზრდული მუნიციპალური პოლიტიკის დამტკიცება, ამის შემდეგ უფრო პროდუქტიული იქნება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და ადგილობრივ ახალგაზრდულ ორგანიზაციების ერთმანეთთან კომუნიკაცია. სამოქალქო მრჩეველთა საბჭო და ახალგაზრდული ორგანიზაციები ძლიერი მუნიციპალური სამოქალაქო საზოგადოებას შექმნის საწინდარი იქნებიან.

საბოლოოდ, საჯარო მმართველობის რეფორმის, დეცენტრალიზაციის მისაღწევად, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება მოსახლეობის ჩართულობას და მთავრობის პოლიტიკურ ნებას, ერთმანეთისგან გამიჯნოს უფლებამოსილებები, აწარმოოს პოლიტიკა და განახორციელოს რეფორმა „შეცვლა, შენარჩუნების მიზნით“.

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES

1. Iashvili G. Ebralidze G. - Proceedings of the International Scientific Conference of the GTU Faculty of Business Technology, “Transformation of the State Institute, Civil Society and their Interaction Functions in the Conditions of Globalization”, May 19-20, 2017. Tbilisi. Pp.249–253

2. Burroughs, G. Abashidze, Z. et al. Democracy and Citizenship (ed. Matsaberidze M.), International Foundation for Electoral Systems, 2017, 239-244.

3. O’Reilly, Tim. – Government As a Platform in Daniel Lathrop and Laurel Ruma (eds.,) Open Government: Collaboration, Transparency, and Participation in Practice.O’Reilly Media, 2010, 29-35 p.

4. Public Administration Reform Action Plan (2019-2020) https://www.partracker.ge/ Last checked 18.02.2022

5. Local Self-Government Code –https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=57 Last checked 18.02.2022

6. Public Administration Reform Action Plan (2019-2020)

https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/General/georgia_par_action_plan_2019_2020.pdf Last checked 18.02.2022

7. Charter on Local Self-Government https://smr.gov.ge/up-

loads/prev/evropuli_q_354b65fe.pdf Last checked 18.02.2022

8. Regulation of the State Representative . https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2097940?publication=0 Last checked 18.02.2022

9. LEPL Youth Agency, Youth Needs, Challenges, Interests and Resources Survey (2020) https://youthagency.gov.ge/ - Last checked 18.02.2022

## PUBLIC ADMINISTRATION REFORM IN GEORGIA - LOCAL SELF-GOVERMENT

**Alexander Kopaliani,**
GTU, Master Student
leqsokopaliani@gmail.com

### RESUME

Decentralization reform is important to increase local government authority in Georgia as part of public administration reform. The Reform requires the right allocation of resources (limited resources are often today), the introduction of participatory municipal policies, and the improvement of participatory policy forms to engage young people and stakeholders. According to the Electronic Public Administration Reform Monitoring Platform (2019-2020), each competence has undergone some changes, with quite a number of tasks performed, but in reality the public administration reform has not been systematically implemented. Planning and implementation of anti-corruption network and prevention measures, as well as ensuring political independence of public servants, access to e-services and openness of information, need to improve the legal framework, special emphasis on the need for local self-government reform. In this article is discussed the main issues of public administration reform and local self-government in Georgia.

**Keywords:** Local Self-Government, Public Administration, Reform, Resources, Youth Involvement.

# ოპტიმალური ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა პანდემიის ვითარებაში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-49**

**ლელა ბოჭოიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
lela.bochoidze7@gmail.com

**მაია ჩინჩალაძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი

**ნინო დარსაველიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი

**ანა კურტანიძე**
სსუ სრული პროფესორი

## რეზიუმე

რისკ ფაქტორებს, რომლებიც დასახელებულია, საქართველოს ბიუჯეტის კანონის ცვლილებების პროექტის სცენარების 2021 წლის დოკუმენტში, მიეკუთვნება:[1] პანდემიის გამწვავების რისკი; ტურიზმის სექტორის შემოსავლების მკვეთრი შემცირება; სავაჭრო ბრუნვის ზრდის მიუხედავად, მიწოდების ხარჯების ზრდა, რომელიც აიხსნება, მსოფლიოში მიმდინარე ინფლაციური პროცესებით; ასევე დასახელებულია, გაზრდილი გლობალური ვალი და გლობალური მომხმარებლის ქცევის ცვლილება. დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში, განსაკუთრებით დიდი სირთულეს წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირება - პანდემიის პირობებში. სტატია ეხება გლობალურ პრობლემებს და მათ გადაჭრის გზებს. შესაძლებლობისდაგვარად, სწრაფად უნდა მოხდეს ეკონომიკის აღდგენა.

კერძო სექტორის წახალისების მიზნით, მთავრობის ქმედე-

1 მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi.pdf

ბებით იქმნება, ეკონომიკური სტიმული. ტერმინი - ეკონომიკური სტიმული - ეყრდნობა ბიოლოგიური სტიმულის და მასზე რეაგირების პროცესების ანალოგიას.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, რეცესია, სტიმულირება, ინვესტირება, ეკონომიკური სტიმულირების გეგმები, რიკარდის ექვივალენტობა.

## შესავალი

რეცესიის მიმდინარეობის პროცესის დასაძლევად, ჩვეულებრივ, მთავრობა მიმართავს ეკონომიკური სტიმულირების სისტემას და ახორციელებს ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ არამარტო პანდემიით გამოწვეული შოკის შედეგად, გაიზარდა უმუშევრობა. როგორც შუმპეტერი აღნიშნავდა,[1] ტექნოლოგიური ინოვაცია ამცირებს მოთხოვნას მუშახელზე, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი გონებრივი შრომის მნიშვნელოვან წილს ანაცვლებს. ინვესტირება კი მიმართულია სწორედ მაღალტექნოლოგიური სექტორებისაკენ, რაც შრომაზე მოთხოვნას კიდევ უფრო ამცირებს. შედეგად კი თუ კაპიტალის წილი იზრდება, სხვა მაკროეკონომიკური ცვლადები შემცირდება. ეს უარყოფითად აისახება დასაქმების და მოხმარების მაჩვენებლებზე. ამ ვითარების გათვალისწინებით, სტიმულირების პოლიტიკამ უნდა შეძლოს დასაქმების უზრუნველყოფა და არ დაუშვას აუცილებელი შრომის ჩანაცვლება ჭარბი ტექნოლოგიური პროცესებით. მხოლოდ ამ ვითარებაში მიიღებს ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა - ოპტიმალურ სახეს.

კოვიდ - 19 პანდემიის კრიზისის საპასუხოდ და ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, მთავრობის მიერ, მართლაც უპრეცენდენტო ზომებია მიღებული, როგორც ჯანდაცვის სისტემის მართვის, ასევე, ბიზნესის სწრაფი ადაპტაციის და მართვის კუთხითაც. დღის წესრიგში დგას ინვესტიციების მიმართვა იმ სექტორებისკენ, რომლებიც გადამწყვეტ როლს ითამაშებენ პანდემიის შეჩერების საკითხში. ეს სექტორებია - ჯანდაცვა,

**1 ანდრე გერბერი / მარკუს შრაიერი „ვიწრო პერსპექტივა“ იანვარი 2018**

სასწავლო დაწესებულებები, ტრანსპორტი, ციფრული ინფრასტრუქტურა. მით უფრო რომ, მთელს მსოფლიოში, საპროცენტო განაკვეთების დაბალი დონე, ინვესტირებისათვის შესაფერის გარემოს ქმნის. ფაქტია, რომ მკვეთრად შემცირდა კერძო ინვესტირება, ვინაიდან პანდემიის დროს ეკონომიკის პერსპექტივებთან დაკავშირებით, პროგნოზირება დიდ რისკებს მოიცავს. ერთადერთი გამოსავალი - პრიორიტეტულ პროექტებში, საჯარო ფინანსების ინვესტირებაა.

## ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა არის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის თანხვედრი, რადგანაც ემსახურება კერძო სექტორის გაჯანსაღებას, სადაც მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს ოპერაციული დანახარჯები, გაუმჯობესდეს საჯარო ინვესტიციების მართვის პროცესები. უნდა მოხდეს არა ინვესტიციების შემცირება, არამედ-მათი რელოკაცია და მართვის პროცესის დახვეწა.

ეკონომიკური სტიმულირების კონცეფციის ავტორები ჯ. კეინსი და რ. კანი თვლიდნენ რომ რეცესიის დასაძლევად მთავრობამ უნდა მიმართოს ექსპანსიონურ ფისკალურ პოლიტიკას ან მონეტარულ პოლიტიკას.[1] უნდა აღინიშნოს რომ ეკონომიკური სტიმული მეტად მიზანმიმართულია და ხელს უწყობს კერძო სექტორში ინვესტციების განხორციელებას. კერძო სექტორმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი მისია რეცესიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, რის შედეგადაც გადალახული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი რისკები, როგორიცაა ჰიპერინფლაცია. ხოლო დეფიციტის სტიმულირების გაზრდილი დანახარჯები დაბალანსდება, ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღწეული, გაზრდილი საშემოსავლო გადასახადებით.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კეინსის მოწინააღმდეგე კონცეფციებს, ერთ-ერთი მათგანია - „რიკარდიანის ექვივალენტობა“ -ამ ეკონომიკური თეორიის თანახმად კერძო სექტორის აღდგენას, ხელს შეუშლის ეკონომიკური სტიმული, ვინაიდან იქმნება რე-

1 https://ka.thelittlecollection.com/economic-stimulus-12391

ცესიის რეალური საფრთხე. თუ გაიზრდება მოთხოვნა შრომაზე და მუშახელზე, შესაბამისად უნდა გაიზარდოს მათი ხელფასებიც, რაც შეამცირებს კერძო ბიზნესის მოგებას. ამასთანავე, სესხით ეკონომიკური სტიმულირების შემთხვევაში, ინვესტორებიც და მომხმარებლებიც მზად უნდა იყვნენ სესხის მომავალი გაზრდილი გადასახადებით დაფარვისათვის, რაც არასასურველია მათთვის. ამ მოსაზრებებს არ ეთანხმებოდნენ კეინსიანელები. მაგრამ, ევროკავშირის ქვეყნების 2008 წლის ფინანსური კრიზისის ანალიზმა აჩვენა, რომ რიკარდიანის ეკვივალენტობა მოქმედია. სწორედ იმ ქვეყნებმა აჩვენეს კრიზისის დაძლევის მაღალი მაჩვენებლები, რომელთაც სახელმწიფო ვალების მაღალი დონე ქონდათ.

სხვადასხვა ეკონომიკური თეორიების თანახმად, ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა, რეცესიას, სხვადასხვაგვარად აღიქვამს. რიგ შემთხვევაში რეცესია არის ბაზრის გაჯანსაღება და კორექტირება - ნეგატიური ეკონომიკისაგან, ხოლო სხვა შემთხვევაში - არასწორი ინვესტირების შედეგების გამოსწორების პროცესი. სხვაგვარად, ეს არის შემოქმედებითი განადგურების პროცესი, რომელიც აღწერა შუმპეტერმა მისი თვალთახედვით, ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, ინოვაციური ტექნოლოგიით და მასში ინვესტირებით აძლიერებს სექტორებს, რითაც ასტიმულირებს მძლავრ რეცესიას და შედეგად, ეკონომიკური სტიმული, ეკონომიკას რეცესიაში ჩაითრევს.

ინვესტიციური პროექტები, დღევადელ რეალობაში, ქმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს, აძლიერებენ ქვეყნის ინფრასტრუქტურას, აჩქარებენ მიმდინარე პროექტებს. კერძო ინვესტიციების სტიმულირების როლის ზრდა უმნიშვნელოვანესია, პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევის პროცესში. ციფრული კომუნიკაციების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სექტორების ხელშეწყობა, უმოკლეს დროში შეასუსტებს, პანდემიის ზეგავლენას ეკონომიკაზე.

## დასკვნა

COVID-19-მა ვერ მოახდინა გლობალიზაციის დისკრედიტაცია. უახლესი ტექნოლოგიები და მრავალმხრივი ინსტიტუტები

ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ვირუსების გავრცელებას, არამედ, პანდემიით შექმნილ ეკონომიკურ კრიზისსაც. ხოლო, არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტები და ინსტიტუციური მოწყობა, ხელს უწყობს, ოპტიმალური ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკის გატარებას და ქმნის სტაბილურობის მოლოდინებს.

ამგვარად, სახელმწიფო ინვესტიციები, ძლიერი იარაღია სტიმულირების ღონისძიებების გატარების სფეროში, ეკონომიკაზე პანდემიის ზემოქმედების შესასუსტებლად, ქმნის რა ხელშემწყობ ნიადაგს, მდგრადი ეკონომიკური წინსვლისა და რეცესიის დაძლევის პროცესში.

პანდემიამ პასუხი გასცა კითხვებს თუ რატომ არის აუცილებელი სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა, რა პოტენციური გავლენა ექნება ინვესტიციების გაზრდას პრიორიტეტულ დარგებში, რამდენად აისახება ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა დასაქმების მაჩვენებელზე, რამდენად აუცილებელია ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკის აქტიური გატარება, ეკონომიკის აღსადგენად, პოსტკოვიდურ პერიოდში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi.pdf

2. ანდრე გერბერი / მარკუს შრაიერი „ვიწრო პერსპექტივა" იანვარი 2018

3. https://ka.thelittlecollection.com/economic-stimulus-12391

4. https://www.iep.ru/files/text/Gaidar_IEP_monographs/Ec_virus-text.pdf

## REFERENCES:

1. Analysis of macroeconomic scenarios

https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi. pdf

2. Andre Gerber / Marcus Schreier "Narrow Perspective" January 2018

3. https://ka.thelittlecollection.com/economic-stimulus 12391
4. https://www.iep.ru/files/text/Gaidar_IEP_monographs/Ec_virus-text. pdf

## OPTIMAL ECONOMIC STIMULUS POLICY IN THE PANDEMIC SITUATION

**Lela Bochoidze**,
GTU Associate Professor;
lela.bochoidze7@gmail.com,
**Maia Chinchaladze** ,
GTU Associate Professor;
**Nino Darsavelidze**,
GTU Associate Professor;
**Ana Kurtanidze** ,
GAU Full professor.

### RESUME

The risk factors named in the 2021 Draft Scenario for Amendments to the Budget Law of Georgia include: risk of pandemic exacerbation; a sharp decline in revenues of the tourism sector; despite the increase in trade turnover, the increase in supply costs, which is explained by the world's ongoing inflationary processes; increased global debt and changes in global consumer behavior are also mentioned. In a pandemic, it is especially difficult to stimulate the economy in low- and middle-income countries. The article discusses global issues and potential solutions. The economy must be recovered as quickly as possible.

Government actions create an economic incentive to encourage the private sector. Economic stimulus is based on the analogy of biological stimulus and response processes.

**Keywords:** Economic stimulus, recession, stimulus, investment, economic stimulus plans, Rickard equivalence.

# THE ROLE OF COMPETITIVE HUMAN CAPITAL IN IMPROVING INVESTMENT ATTRACTIVENESS AND BUSINESS ENVIRONMENT

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-55

**Revaz Shengelia,**
PhD, Georgian Technical University, Professor
economica_2008@yahoo.com

**Zhuzhuna Tsiklauri,**
PhD, GTU, Professor,
tsiklauri-shengeliajujuna05@gtu.ge

**Natia Shengelia,**
PhD, GTU, Associate Professor, Oxford Brookes University
Graduate, Business Faculty;
Lublin University of Technology, Invited Professor
natia.shengelia@oxfordbrookes.net

**Agnieszka Rzepka,**
PhD, Lublin University of Technology, Professor

## RESUME

Human capital is a major asset of modern society. Today, the successful economic development can only be achieved through competitive human capital and its share in national wealth, especially in developed countries, reaches 70-90%. It determines the competitiveness of the economic systems, becomes the main resource for economic growth and development, based on that, the economy of a country becomes more high-technology-, updated information-, innovations-oriented. Therefore, it is necessary to invest equally in all

components of human capital, if we want to get a lasting effect. Otherwise, an interesting, relevant business environment for investors can not be created. The corono-economic crisis has shown us the new opportunities, that the solution to the global problems caused by the pandemic, the recovery and development of a stagnant economy can only be achieved by creatively-minded, creative people, or **competitive human capital.**

**Keywords:** Human capital, investment, competitiveness, innovation.

## MAIN TEXT

During globalization, the market requirements are changing rapidly. In the modern rapidly competitive world, people are the main driving factor of the socio-economic development of the country. The level of human education, or raising the quality of human capital development, creativity is the factor, the driving force, and the only or not, one of the prerequisites, without which it is impossible to move forward and win in fiercely competitive conditions.

Improving the quality of human capital, transformation requires a non-standard, complex, systemic investment approach to it. This is reflected in the need to prioritize investments not in any single component of human capital (education, health, etc.), but in all components (Education, Healthcare..) as done , for example, in **Finland**, South Korea and elsewhere. Resolving this issue is primarily the responsibility of the state. In developing investment policy, the state can prioritize (especially in the context of the COVID-19 pandemic, the coronary economic crisis) such a component of human capital as healthcare, but investing only in this area cannot have long-term effects if not have cared also on the improvement of food safety and a healthy lifestyle, to develop science, etc. Without such an approach, investors will not be interested and the business environment will not be improved, the country will not be developed. With the occurance of a new opportunity, the corono-economic crisis has shown us that the solution to the global problems caused by the pandemic,

the recovery and development of a stagnant economy can only be achieved by creatively-minded **competitive human capital**.

The question is: is the human capital of our country so competitive that it meets the needs of investors? If not, then what is needed to raise it ?. It should be noted that the level of human capital development in Georgia does not yet meet international standards in order to be competitive in the global employment market and meet the needs of potential investors. Such discrepancies, as it is known, can become a serious reason for the reduction of investment and complete cessation. The situation can be corrected if there was a developed system of continuing education, training and retraining. But if such a system is underdeveloped, even if it lags behind (for example, the moral obsolescence of scientific and technical knowledge, the declining interest in education, etc.), this system itself may become an obstacle to the development of fields that need and are based on new, modern, digital technologies. All this, in turn, will hinder the attraction of foreign investment.

Thus, in the conditions of rapid competition, the continuous improvement and development of human capital requires investments not in individual but in all components of human capital, mainly in continuing education. The increase in such costs is directly related to the development of human capital. Such a special care for human capital is due to the fact that, unlike some traditional factors (land, raw materials, working capital), which have a framework, a limitation for development, only human capital, its knowledge and spirituality are **boundless**. In rapidly changing competitive conditions, it is impossible to succeed in any field of economic activity without activating the unlimited resources of human creative potential, which would contribute to raising the level of human creativity, knowledge, experience, qualification. But, in order to achieve the desired results, we need changes, non-standard thinking, striving for something new.

Generally, the specificity of capital is that it is a self-growing value. Without this feature, capital is unimaginable. Similarly, the man (human capital as one of the forms of intellectual capital) provides

a total capital net marginal increase and has such completely unique properties (1.p.43) and no inflation and crisis refers this value. On the contrary, in a force majeure, crisis situation, the potential of a creative person increases, whether it is a manager or an assistant, the main thing is to do his job. Human nature is arranged in such a way that she/he has always a desire for self-realization, personal perfection. Therefore, human value (unlike other types of capital) is characterized by infinite growth more than the capital invested in it can.

Based on the above circumstances, we can conclude:

a) Investments must be made in all components of human capital equally if we want to achieve a long lasting effect. Otherwise, an interesting, relevant business environment for investors will not be created;

b) The unlimited resources of human creative potential should be used as much as possible to increase human capital as the "self-growing, self-realizing" value (capital). There really exist reserves here, because a person uses probably only 10-15 % from his/her potential throughout his life;

c) Every organization - be it a firm, a field, a scientific institution, etc. - in the face of intensified competition, must constantly seek the ways to improve its activities, performance, especially must take care of key resources and wealth – human resources with their knowledge, experience and innovative ideas;

d) In any institution, it is necessary to create immediately a creative environment for continuous education, continuous training of staff and renewal of knowledge in order to raise the overall level of education, so that to be always prepared to face stiff competition, and other challenges.

**REFERENCES:**

1. Journal "Economics", #7-8, 2016 y. (in Georgian Language).

2. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015.(in Georgian Language).

3. Journal "Economics", #3-5, 2021y. (in Georgian Language).

4. Journal “Economics”, #3-4, 2014y. (in Georgian Language).
5. Journal “Economics”, #5-6, 2014y. (in Georgian Language).
6. U. Samadashvili, R.Shengelia, J. Tsiklauri-Modern Economics. Tb. 2021.(in Georgian Language).

# კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალის როლი საინვესტიციო მიმზიდველობისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაში

**რევაზ შენგელია**
ემდ, სტუ პროფესორი, economica_2008@yahoo.com

**ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია**
ემდ, სტუ პროფესორი;
tsiklauri-shengeliajujuna05@gtu.ge

**ნათია შენგელია**
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი,
ოქსფორდ ბრუქს უნივერსიტეტის,
ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული; ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
natia.shengelia@oxfordbrookes.net

**აგნეჟკა რზეპკა**
ლუბლინის ტექნოლოგიური
უნივერსიტეტის პროფესორი

## რეზიუმე

ადამიანისეული კაპიტალის ყველა კომპონენტში თანაბრად უნდა მოხდეს ინვესტირება, თუ გვინდა მივილოთ ხანგრძლივი ეფექტი.წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეიქმნება ინვესტორებისათვის საინტერესო , შესაბამისი ბიზნეს- გარემო ;

ადამიანისეული კაპიტალის, როგორც თვითმზარდი ღირე-

ბულების (კაპიტალის) გასადიდებლად მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსები. აქ ნამდვილად არის რეზერვები, რადგან ამ პოტენციალს ალბათ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ 10-15 პროცენტს თუ იყენებს;

ყოველი ორგანიზაცია-იქნება ეს ფირმა, დარგი, სამეცნიერო დაწესწებულება და ა.შ. გამძაფრებულ კონკურენციის პირობებში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს, განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეს უმთავრეს რესურსს და სიმდიდრეს-ადამიანს, თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და ინოვაციური- კრეატიული იდეებით;

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანისეული კაპიტალი, ინვესტიცია, კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია.

# კორონა-პანდემიის გავლენა მცირე ბიზნესზე საქართველოში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-23**

**უშანგი სამადაშვილი**
ემდ, თსუ ასოცირებული პროფესორი,
u.samadashvili@mail.ru

## რეზიუმე

ნაშრომში ახსნილია მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა ეკონომიკაში; არგუმენტირებულია, თუ მსოფლიომ და საქართველომ რატომ გააკეთა არჩევანი ვირუსის გავრცელების შეზღუდვებზე, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე და არა ეკონომიკურ ვარდნაზე; გაანალიზებულია და შეფასებულია მცირე ბიზნესის მდგომარეობა კორონა-პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების პირობებში; ნაჩვენებია, რომ კორონა-პანდემიამ და მის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულმა შეზღუდვებმა პირველი და დიდი დარტყმა მიაყენა მცირე ბიზნესს მსხვილი ბიზნესთან შედარებით. განსაკუთრებით დაზარალდნენ იმ დარგის მცირე საწარმოები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ მომხმარებლებთან (კლიენტებთან); დახასიათებულია ქართული ბიზნესის სხვადასხვა სახეობამ როგორ მოახერხა პანდემიით შეცვლილი გარემოსადმი ადაპტირება, როგორ გარდაიქმნა, გადაერთო საქმიანობის სრულიად ახალ სფეროში, გადაირჩინა საკუთარი თავი და გახდა მომგებიანი; პროგნოზირებულია მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდ-პანდემიის შემზღუდავი ზომების დასრულების შემდეგ საქართველოში; შემოთავაზებულია, საქართველოს მცირე ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის საფუძვლზე განსახორციელებელი გარდაქმნების ძირითადი მიმართულებები, ასევე, ბიზნესის აღდგენის დაჩქარების მიზნით დასაცავი ძირითადი იმპერატივები.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი, კორონა-პანდემია, შეზღუდვები, ადაპტირება, გადარჩენა, განვითარება, პერსპექტივები.

## შესავალი

კორონა-პანდემიითა და მისი გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ზომებით მცირე ბიზნესი მეტად დაზარალდა, ვიდრე მსხვილი საწარმოები. მცირე ბიზნესის უმეტესობისთვის ერთობ გაუარესდა ეკონომიკური შესაძლებლობები, რამაც გამოხატულბა ჰპოვა მოთხოვნის, მიწოდების, შემოსავლის, ლიკვიდობის შემცირებაში, თანამშრომელთა დათხოვნაში, უხელფასო შვებულებაში, არასრული სამუშაო დღეზე გადაყვანაში, დაბალებეფექტიან მუშაობაში და ანაზღაურებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **შემოთავაზებული თემა, კორონა-პანდემიის გავლენა მცირე ბინესზე საქართველოში, ერთობ აქტუალურია.**

**წიმადებარე კვლევის მიზანია** გამოვლინდეს და გაანალიზდეს თუ რა უარყოფითი და დადებითი ზეგავლენა მოახდინა კორონა-პანდემიამ მცირე ბიზნესზე საქართველოში და პროგნოზირდეს მისი განვითარების პერსპექტივები პოსტპანდემიურ პერიოდში.

**დასახული მიზნის მიღწევისკენ მიმავალ გზაზე საჭიროა:** აიხსნას მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში; **გაანალიზდეს და შეფასდეს** საქართველოში მცირე ბიზნესის მდგომარეობა კორონა-პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების პირობებში; **გაირკვეს,** თუ რა ტრანსფორმაცია განიცადეს მცირე საწარმოებმა პანდემიით შეცვლილი გარემოსადმი ადაპტირებისა და გადარჩენისათვის ბრძოლაში; **პროგნოზირდეს** მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები კოვიდ-პანდემიის შემზღუდავი ზომების შერბილება-დასრულების შემდეგ საქართველოში.

**ჩამოთლილი ამოცანების გადაწყვეტისას გამოყენებულია ისეთი მეთოდები,** როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეწარმეო გარემოს განვითარების ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციების, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტების, ბიზნეს ასოციაციების კვლევების, საქსტატის მონაცემებისა და ექსპერტთა შე-

ხედულებების სისტემური ანალიზი, სინთეზი, შედარება, დაკვირვება, აბსტრაქცია, ინდუქცია, დედუქცია და სხვა. **კვლევის ობიექტია** მცირე ბიზნესი. **კვლევის საგანია** მცირე ბიზნესის მდგომარეობა პანდემიის გავრცელების შემზღუდავი ზომების პირობებში და მისი პერსპექტივა შეზღუდვების შერბილება-მოხსნის შემდეგ.

## ძირითადი ტექსტი

დასაწყისში, ლოგიკურია, შევჩერდეთ მცირე ბიზნესის არსზე და მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკაში. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, მცირე ბიზნესის ქვეშ მოიაზრება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრეტულ ქვეყანაში ბიზნესის სუბიექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს (დასაქმებულთა რაოდენობა, წლიური ბრუნვა და სხვა). ამასთან, კრიტერიუმების ზღვრები დაფუძნებულია მოცემულ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკისა და კომპანიების განვითარების მაჩვენებლებზე და შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან.

ხაზგასასმელია, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მცირე ბიზნესი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, იმიტომ, რომ საწარმოების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 90% არის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო. ისინი უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 70%-ს და მათი წილი მსოფლიო მშპ-ში შეადგენს 50%-ს. ამრიგად, არიან ძირითადი მოთამაშეები ეკონომიკური აღდგენის საქმეში **[1].**

უფრო კონკრეტულად, მცირე ბიზნესი ხელს უწყობს მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტის გამო მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის საქონლითა და მომსახურებით ბაზრის გაჯერებას, ანუ ეკონომიკის საზოგადოების მოთხოვნებისკენ შემოტრიალებას; მცირე ბიზნესი აჩქარებს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს; ქალთა ჩაბმა მცირე ბიზნესში, ანუ ემანსიპაციისა გამო ბიზნესმენთა მომრავლება ხელს უწყობს ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას; მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (სტუდენტები,

მოსწავლეეები, დიასახლისები, შრომისუნარშეზღუდულები, პენსიონერები და სხვა) სრული და არასრული სამუშაო დღით შრომით საქმიანობაში ჩართვას და ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ასევე, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა საზოგადოებასთან რეინტეგრაციას, რესოციალიზაციის და დეკრიმინალიზაციას; მცირე ბიზნესი, მსხვილ კომპანიებთან შედარებით ნაკლები კაპიტალითა და რესურსებით, უზრუნველყოფს საქმის წამოწყებასა და განვითარებას; მცირე ბიზნესი კარგი საშუალებაა საქმის წამოწყების და იოლად პროფილის შეცვლის, ადგილობრივი წარმოებით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლების, ექსპორტის წახალისებისა და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის; მცირე ბიზნესი ემსახურება ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობისა და შემოსავლებრივი უთანაბრობის შერბილებას; მცირე ბიზნესი ხელს უწყობს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ხარჯების შემცირებას. ეს იმიტომ, რომ შემოსავლების მხრივ ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით აისახება. ხარჯვით ნაწილში კი მცირე ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამის სოციალურ ტრანსფერების გამოყოფის შესაძლებლობას. და ბოლოს, მცირე ბიზნესი არის საშუალო კლასის ფორმირების საფუძველი, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტად გვევლინება. პროგნოზირებადი სტაბილურობა კი ხელს უწყობს გრძელვადიან ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობას, რაც თითოეულ მოქალაქეში ბადებს კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტული დამოკიდებულების გრძნობას **[2. გვ. 167-168]**

ალნიშნულის გამოა, რომ ნებისმიერი საღად მოაზროვნე სახელმწიფო დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას საგადასახადო, საკრედიტო შეღავათებით, სუბსიდიებით და სხვა მის ხელთ არსებული ეკონომიკური ინსტრუმენტებითა, თუ პროგრამებით.

ამ ფონზე უნდა ითქვას, რომ 2019 წლისა და 2020 წლის შესაყარზე ჩინეთის მილიონიან ქალაქ ვუჰანში იფეთქა კაცობრიობის ისტორიაში რიგით 61-ე პანდემიამ. მალე პანდემიის ცენტრმა ჩინეთიდან ევროპაში, აშშ-ი და აქედან მთელ მსოფლიოში გადაინაცვლა და გავრცელდა 191 ქვეყანაში. მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი ქვეყნებითურთ (ანტარქტიდის გარდა) და ჩაითრია კრიზისში, რაც, უდაოდ, გლობალიზაციის დეფექტია. იმედია, მიმდინარე პანდემია, არ იქნება ისეთივე ცუდი, როგორც 1918 წლის ესპანური გრიპი იყო, რომელმაც მსოფლიო მოსახლეობის 2-3 პროცენტი, ანუ 50 მლნ ადამიანი შეიწირა **[3].** ასეთი დიდი ადამიანური ზარალი, რაც თითქმის პირველ და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ადამინთა რაოდენობის ტოლია, განაპირობა იმან, რომ იმდროინდელმა ნაკლებ გლობალიზებულმა მსოფლიომ ეკონომიკის გადარჩენა არჩია ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვას.

ამჟამინდელმა კორონა პანდემიამ კი, წინათ მიღებული გაკვეთილების გათვალიწინებით, მთელი მსოფლიო ალტერნატივის წინაშე დააყენა: „ზრუნვა ეკონომიკურ ვარდნაზე, თუ კორონა პანდემიის შეჩერებაზე“. როგორც ცნობილია, COVID-19-ის წარმოშობა-გავრცელებისას არ არსებობდა არც ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედი ვაქცინა და არც ვირუსით დაინფეცირებულის განკურნების სამკურნალო პრეპარატი. სწორედ ამიტომ, როგორც მსოფლიომ, ისე საქართველომ, რომელიც გლობალური სამყაროს ორგანული შემადგენელი ნაწილია, არჩევანი გააკეთა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ შეზღუდვების დაწესებაზე, ადამიანებს შორის ურთიერთობაში გარკვეული ბარიერის შემოღებაზე და ამით ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე. ასეთი გადაწყვეტილება მსოფლიო პრაქტიკისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური იყო, რადგან „თავად ეკონომიკა ხორციელდება ადამიანების მიერ ადამიანებისათვის“!!!

სწორედ ამიტომ, ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამაც, შემოიღო საერთაშორისო ორგანიზაციების

პროტოკოლით გათვალისწინებული კარანტინისა და შეზღუდვების სხვადასხვა ფორმა: საზღვრების ჩაკეტვა, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის შეზღუდვა, მასობრივი ღონისძიებების აკრძალვა, ხალხის დიდი მასის თავშეყრის ადგილების (სკოლები, უნივერსიტეტები, საბავშვო ბაღები, კინოთეატრები, კაფეები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული დარბაზები სავაჭრო ცენტრების) დახურვა, ადამიანებს შორის ურთიერთობების შეზღუდვა, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და სხვა. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, მათ გადარჩენას, რათა თავიდან აეცილებინა ფინანსური კოლაფსი. ამ მიზნით შემუშავდა და განხორციელდა ბიზნესის მხარდაჭერის პაკეტი 515 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოში Covid-19 კრიზისით გამოწვეული სირთულეების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა აქტიურ ბიზნესების რაოდენობა. საქსტატის მონაცემებით საქართველოში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტთა რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 167.8 ათასს, ხოლო 2020 წელს, კორონა პანდემიის დროს – 165.6 ათასს. **ე. ი. საქართველოში კორონა პანდემიისა და მისი გავრცელების შეზღუდვების გამო მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა შემცირდა 1512-ით. Covid-19 კრიზისით გამოწვეული სირთულეების გამო საქმიანობის შეჩერებამ გამოიწვია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება.** საქსტატის მონაცემების მიხედვით მცირე და საშუალო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის მეორე კვარტალში შემცირდა დაახლოებით 15%-ით იგივე პერიოდთან შედარებით 2019 წელს. უნდა აღინიშნოს, 2020 წლის სექტემბრისთვის **დათხოვილი ან უვადო შვებულებაში გაშვებული თანამშრომლების რაოდენობა 2,4 -ჯერ აღემატება აპრილში დათხოვილს.** საქსტატის მონაცემებით დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს ასეთია: მსხვილი საწარმოს წილი - 35.5%; საშუალო საწარმოს - 20.2%; მცირე საწარმოს - 44.8%; მცირე და საშუალო საწარმოსი სულ: 65%. დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2020 წელს ანუ კორონა პანდემიის დროს: მსხვილი

საწარმოს წილი - 37.2%; საშუალო საწარმოს - 21.7%; მცირე საწარმოს - 41.2%; მცირე და საშუალო საწარმოსი სულ: 62.9%. **ე. ი. საქართველოში კორონა პანდემიისა და მისი გავრცელების შეზღუდვების გამო მცირე და საშუალო საწარმოში დასაქმებულთა წილი შემცირდა (65 – 62.9)=2.1%-ით; კრიზისის პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა მცირე და საშუალო საწარმოს ბრუნვის წილი.** საქსტატის მონაცემებით ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს ასე გამოიყურება: მსხვილი საწარმოს ბრუნვის წილი - 55.5%; საშუალო საწარმოს - 19.3%; მცირე საწარმოს - 25.2%; მცირე და საშუალო საწარმოსი სულ: 44.5%. ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2020 წელს, ანუ კორონა პანდემიის დროს: მსხვილი საწარმოს - ბრუნვის წილი - 58.3%; საშუალო საწარმოს – 17.9%; მცირე საწარმოს - 23.8%; მცირეში და საშუალო საწარმოსი სულ: 41.7%. **ე. ი. საქართველოში კორონა პანდემიისა და მისი გავრცელების შეზღუდვების გამო მცირე და საშუალო საწარმოს ბრუნვის წილი შემცირდა; (44.5 - 41.7)=2.8%-ით.[საქსტატი. ბიზნესრეგისტრი].**

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დროს საქართველოში მცირე ბიზნესის ერთი ნაწილი დაიხურა, ან გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე. მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამავდროულად აუცილებელი გახდა თანამშრომლებისთვის ხელფასებისა და დაქირავებული ფართის მეპატრონეთათვის საიჯარო გადასახადის გადახდა. ბევრი მეწარმე დაბნეული იყო და ელოდებოდა კარანტინის სწრაფად დამთავრებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ამიტომ მალე ბიზნესმენებს სერიოზული ზომების მიღება მოუწიათ თავიანთი ბიზნესების გადასარჩენად, რადგან პანდემიამ შეავიწროვა შესაძლებლობების დერეფანი მცირე ბიზნესის უმეტესობისთვის.

**პანდემიით მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე მსხვილი ბიზნესი, რაც, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას შემდეგი მიზეზებით:**

**პირველი.** მცირე და საშუალო საწარმოებს ჰყავთ გაცილებით ნაკლები დასაქმებული, ვიდრე მსხვილ კომპანიებს, რაც იმ-

ას ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილზე მათი გამოუცხადებლობის დანაკარგი გაცილებით თვალსაჩინო და ხელშესახებია;

**მეორე.** მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესი ნაწილი ფუნქციონირებს ისეთ დარგებში, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, საზკვება, რესტორანი, სასტუმრო მომსახურება და ა.შ. აქედან იმ დარგის საწარმოები, რომელთაც უშუალო, ოფლაინ კავშირი აქვთ მომხმარებლებთან (კლიენტებთან), შემოსავლების მიხედვით დაზარალდნენ 60%-ით, ხოლო ის მცირე საწარმოები, რომლებიც ემსახურებიან მსხვილ კომპანიებსა და სახელმწიფოს, დაზარალდნენ ნაკლებად 53 -54%-ით. **[4]**. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად საბითუმო ვაჭრობამაც იგრძნო პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა, მისი დანაკარგები შედარებით ნაკლებია, ვიდრე საცალო ვაჭრობისა. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ საბითუმო მოვაჭრეებს ჰყავთ მრავალფეროვანი მომხმარებელი ბიზნეს-სუბიექტები, საცალო მოვაჭრეებს კი-მხოლოდ მოსახლეობა.

**მესამე.** მცირე მეწარმეთაგან ბევრი ე. წ. „იძულებითი მეწარმეა".ანუ ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებამ უბიძგა ჩართულიყვნენ ბიზნესში, რადგანაც სხვა საარსებო წყარო მათ არ გააჩნდათ. ეკონომიკისა და ბიზნესის დაპაუზების პირობებში კი მათ არ აღმოაჩნდათ არც საკმარისი ცოდნა-გამოცდილება ახალი გარემოსადმი ადაპტირებისათვის და არც ფინანსები. სწორედ ამიტომ 2021 წლის მაის-დეკემბერის პერიოდში სახელმწიფომ დაიწყო მცირე ბიზნესისთვის სასწრაფო დახმარების გაწევა. **[5]**

**მეოთხე**. პანდემიის დროს ყველაზე მეტად ის მცირე საწარმოები დაზარალდნენ, რომელთაც მართავენ ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები და მიგრანტები. **საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მიერ** COVID-19-ის ბიზნესზე გავლენის შესახებ კვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა 136 ქვეყანაში, კრიზისის დროს მძიმედ დაზარალდა მცირე ბიზნესის დაახლოებით 62%, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობდნენ**.** მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 50%-ია იმ საწარმოებისა, რომელთაც კაცები ხელმძღვანელობენ. ასევე, ქალების მფლობელობაში მყოფი ბიზნესების 27%-ით მეტი ვერ გადაურჩა პანდემიას, იმ

ბიზნესებთან შედარებით, რომელთაც მამაკაცები ხელმძღვანელობენ **[6].**

**მეხუთე.** ყველაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბიზნესები, რომელთა მფლობელებს მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ და საკუთარ თავს ახასიათებენ, როგორც დაბალი მატერიალური კეთილდღეობის დონის მქონე პირებს. ამასთან გაირკვა, რომ ბიზნესები განსხვავებულად და ძალიან გონივრულად მოქმედებდნენ ისეთ „ინტელექტუალურ" დარგებში, როგორიცაა განათლება, კულტურა, მეცნიერება. ამ დარგების ბიზნესებზე პანდემიას თითქმის არანაირი უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია. იმიტომ, რომ ამ დარგების ბიზნესების მფლობელები მეტად მოქნილნი, ადაპტირებადი და კრეატიულობი არიან, რაც პანდემიამ მხლოდ დაადასტურა.

**მეექვსე.** ბევრ მცირე საწარმოში პანდემიის დროს სერიოზულ პრობლემად წარმოჩინდა პერსონალის ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით მწვავე გამოწვევა აღმოჩნდა მშენებლობაში. ამ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესიდან არაკვალიფიციური მიგრანტების მასიური გადინება, როგორც ჩანს, ვერ დაკომპენსირდა ადგილობრივი მოსახლეობის მუშების მოზიდვით, რომელიც ხშირად არ არის მზად მძიმე და ამავე დროს დაბალ-ლანაზღაურებადი სამუშაოების შესრულებისათვის.

ვსაუბრობთ რა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პრობლემებზე და მცირე ბიზნესზე მიყენებულ ზარალზე, უნდა გავიხსენოთ ოპტიმისტური ფრაზა, რომ „კრიზისი არა მხოლოდ პროლემებია, არამედ ახალი შესაძლებლობებიც". მართლაც, ძირეული ცვლილებები გარდაქმნის ბიზნესის იერსახეს, ხსნის ახალ ნიშებს მეწარმეობისთვის და ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ინოვაციებს. მიმდინარე კრიზისმა, როგორც უკვე ითქვა, შეანელა ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის განვითარება, მაგრამ ამავდროულად ერთობ დააჩქარა სხვათა განვითარება. ქვემოთ შევეცდებით სისტემატიზაცია მოვახდინოთ იმ ყველაზე პერსპექტიული სფეროებისა, რომლებიც ხელსაყრელია ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის დღეს და უახლოეს მომავალში.

პანდემიამ ბიზნესმენები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ბიზნესმენების მხრიდან საჭირო გახდა ახალ რეალობასთან სწრაფად მორგება და ადაპტაცია. შემცირებული მოთხოვნისა და დასაქმებულთა ნაწილის დისტანციურ სამუშაოზე გადაყვანის პირობებში, მეწარმეებს უწევდათ საკუთარი ბიზნესის განვითარების ინოვაციური გზების ძიება. სწორედ ამიტომ, **საკარანტინო შეზღუდვების პირობებში, საქართველოში შესამჩნევად იმატა ონლაინ ვაჭრობისა და უნაღდო ანგარიშსწორების წილმა.** შესაბამისად, ონლაინ განათლების ბაზარმა კიდევ უფრო სწრაფად დაიწყო განვითარება და მომავალშიც, ალბათ, არ გახდება ნაკლებად მოთხოვნადი, რადგან, ჯერ ერთი, მატერიალური თვალსაზრისით უფრო ხელმისაწვდომია და მეორეც, მოსახერხებელია, რადგან ნებისმიერს შეუძლია სწავლა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილზე.

შევნიშნავთ, რომ საქართველოში ონლაინ-ბიზნესი, ელექტრონული კომერცია კოვიდამდეც ვითარდებოდა, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით. კოვიდმა აჩვენა არა მხოლოდ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ელკომერცია ბიზნესის განვითარებისათვის, არამედ ისიც, რომ ელ-კომერციის გარეშე ბიზნესი უბრალოდ ვერ გადარჩება, ვერ იარსებებს, იმიტომ, რომ კარანტინის დროს ელკომერცია საკმაოდ დინამიური და შეცვლილი გარემოსადმი ბიზნესის ადაპტირების საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. თვითიზოლაციის დროს ონლაინ-ბიზნესმა უფრო და უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა. მცირე ბიზნესის პრაქტიკულად ყველა დარგმა თავისი საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით გადაიყვანა ონლაინ-რეჟიმში. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარებული კვლევებით მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში ონლაინ-ბიზნესის და ინტერნეტ კომერციის ზრდამ შეიძლება შეადგინოს საკმაოდ დიდი წილი **[7].**

**პანდემიის დროს მოსახლეობის სახლებში ჩაკეტვის გამო ძალიან პოპულარული გახდა მიწოდების ბაზარი.** ადამიანებმა დაიწყეს მზა საკვების შეკვეთა რესტორნებში და სასურსათო მაღაზიებში მიტანის სერვისის საშუალებით, რათა ნაკლები

კონტაქტი ჰქონოდათ გარე სამყაროსთან. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლით ყველაზე დიდი სარგებელი მიწოდების სერვისმა მიიღო. იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადავიდა, მიწოდების სერვისებზე მოთხოვნა გაიზარდა, რამაც გამოიწვია მიწოდების სერვისების პერსონალის რაოდენობის გაზრდა. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მიერ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა 22% დისტანციურად მუშაობდა **[8].**

**საკარანტინო ღონისძიებების დროს ადამიანებს არც თავიანთ გარეგნობაზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეუწყვეტიათ.** პანდემიის დროს კლინიკაში რიგში დგომის და დროის დაკარგვის მაგიერ, ბევრისთვის სამედიცინო კონსულტაცია, მაგალითად, ქრონიკული დაავადებების შესახებ, წვდომადი გახდა დისტანციურად.

**სპორტული საქონელი და ონლაინ სპორტი, ასევე, საკმაოდ პოპულარული გახდა COVID-19-ის დროს.** ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ ფიზიკურ ფორმასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, სახლისთვის სპორტული აღჭურვილობის ყიდვა დაიწყეს და სახლში განაგრძეს ვარჯიში. ზოგიერთმა სპორტულმა დარბაზმა კარანტინის გამო ვარჯიშები ონლაინ-რეჟიმში გადაიყვანა. ზოგი საკუთარი ჯანმრთელობის ზრუნვისათვის კარანტინის დროს ოთხ კედელშუა გამოემწყვდია.

**სილამაზის ბიზნეს-ინდუსტრია ყოველთვის პოპულარული იყო, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ამიტომ სილამაზის სალონების დახურვამ კი არ გააუქმა სხეულისა და სახის მოვლის პროცედურები, არამედ გადაიტანა ისინი სახლში.** ასევე, პირბადის ტარების აუცილებელი რეჟიმის გამო, პომადაზე მოთხოვნა დაეცა, მაგრამ ბიზნესებმა დაიწყეს სახის სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებების პოპულარიზაცია, რომელიც უფერულდება ნიღბის გამუდმებული ტარებისას. და თავად პირბადეები გახდა არა მხოლოდ ვირუსისაგან თავდაცვის ატრიბუტი, არამედ მოდური აქსესუარიც.

კორონავირუსმა აიძულა მცირე საწარმოების მეპატრონე-

ები ახლებურად შეეხედათ თავიანთი ბიზნესისათვის, გადაემისამართებინათ საკუთარი საწარმო აქტუალურ სფეროში, ან გაეხსნათ საქმიანობის სრულიად ახალი და მოულოდნელი სფერო. ამ მიმართებით, ზოგმა სამკერვალო საწარმომ დაიწყო პირბადეების, ხელთათმანების წარმოება, ზოგმა სასურსათო საწარმომ კი მინისთხილის კარაქის მაგიერ ხელი მოჰკიდა ანსტისეპტიკების (ვირუსის საწინააღმდეგო, სადეზინფექციო საშუალებების) წარმოება-გაყიდვას და ა.შ.. [9]

**ონლაინ ქსელის საშუალებით დაიწყო იურიდიული მომსახურების გაწევაც.** ადამიანებს უწევდათ ბიზნესის დახურვასთან, საბანკო მომსახურებით სარგებლობასთან, სამსახურის დაკარგვასთან და იურისპრუდენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტაც.

აღნიშნულის გამო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 2021 წელს. საქართველოში 2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით რეგისტრირებულია 847436 ბიზნეს სუბიექტი. აქედან მოქმედია **202493** ბიზნეს სუბიექტი. მოქმედი საწარმოებიდან მსხვილია 589, საშუალო -2865, მცირე -187 798 საწარმო, 11 241-ის ზომა უცნობია. მსხვილ საწარმოთა წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში შეადგენს 0.3 %-ს; საშუალო საწარმოთა წილი -1.41 %-ს; მცირე საწარმოთა წილი -93%-ს; საწარმოთა წილი, რომელთა ზომა უცნობია 5.5%-ს **[საქსტატი. ბიზნესრეგისტრი].**

**მოხმობილი სტატისტიკური მონაცემების დინამიკა ცხადყოფს, რომ** საქართველოში მცირე ბიზნესი არსებითად გადარჩა. 2022 წელს კი, ვაქცინირებულთა რაოდენიბისა და წილის ზრდის კვალობაზე, კიდევ უფრო გამოჯანმრთელდება, როგორც დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის, ისე ბრუნვის თვალსაზრისით. მაგრამ მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტები მიზნად ისახავს მცირე ბიზნეს-სექტორის არა მხოლოდ აღდგენას, არამედ აქტიურ ზრდას, რაც დამოკიდებულია მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებით ვაქცინირებულთა რაოდენობის ზრდაზე და ამით პანდემიის რეცესიაზე, ქვეყანაში არსებულ ზოგად ეკონომიკურ დინამიკაზე, მაკროეკონომიკური პოლი-

ტიკისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებების ადეკვატურობაზე.

მოკლედ, კორონა-პანდემიური კრიზისის პერიოდი რთული აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის, რომელიც ცდილობდა, პირველ რიგში, შეენარჩუნებინა ეროვნული ეკონომიკა: რესტორნები, სასტუმროები, ტრანსპორტი, დასვენებისა და გართობის სექტორი, იმპორტიორები, ტურისტული კომპანიები, ბიზნეს-ღონისძიებების ორგანიზატორები, მშენებლები, სპორტული სავარჯიშო ცენტრები, სასურსათო საცალო ვაჭრობა-აი დარგების ის არასრული ნუსხა, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა კორონავირუსით.

ამ ეპიდემიას, როგორც ითქვა, ყველა კომპანია ვერ გადაურჩა, მაგრამ მცირე ბიზნესის დიდმა ნაწილმა სახელმწიფოს მხარდაჭერითა და რაციონალური ქცევების წყალობით, შეძლო გადარჩენა კარანტინის პირობებში.

კორონა-პანდემიამ ბიძგი მისცა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მცირე ბიზნესშიც, ციფრული პლატფორმის განვითარებას. თუმცა, კომპანიების უმეტესობაში ციფრული სისტემა გახდა არსებულ პირობებში გადარჩენის და არა განვითარების სტრატეგია. საწარმოები წყვეტდნენ და აგვარებდნენ მომენტალურ პრობლემებს და ამით შიდა პროცესები შესაბამისობაში მოჰყავდათ მიმდინარე პირობებთან. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ონლაინ-განათლებამ მომავალში დაკარგოს თავისი პოპულარობა. ეს სფერო მოსახერხებელია როგორც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც ემზადებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, ისე უმაღლეს სკოლებში სწავლებისთვის და იმ ასაკოვანთათვისაც, რომლებიც მზად არიან ეზიარონ ინოვაციურს, რაიმე ახალს. ამასთან, აღნიშნული ფორმატით სწავლება შესაძლებელია ნებისმიერ დროსა და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რადგან ინტერნეტ-ქსელში არსებობს თითქმის ყველა გაკვეთილის, ლექციისა, თუ ტრენინგის ვიდეოჩანაწერი.

სახლში ფიზიკური ვარჯიშებისათვის განკუთვნილი სპორტული ინვერტარისადმი, იარაღებისადმი და ონლაინ-ვარჯი-

შებისადმი ინტერესი, თუ შემცირდება, შემცირდება ოდნავ. ეს იმიტომ, რომ სახლში სპორტით დაკავება ბევრად უფრო მოსახერხებელი და მომგებიანია, მაგრამ სავარჯიშო ცენტრები პოპულარობას არ დაკარგავენ.

კარანტინის პერიოდში, ასევე, ერთობ პოპულარული გახდა ონლაინ მაღაზიები. ონლაინ შეკვეთა დაიწყეს მათაც კი, ვინც ამას ადრე არ აკეთებდა. დიდი ალბათობით, საკარანტინო ღონისძიებების დასრულების შემდეგ ეს სფერო პოპულარობას არ დაკარგავს.

ასევე, ნაკლებად სავარაუდოა რომ იურიდიულ მომსახურებაზე გაქრეს მოთხოვნა პანდემიის შემაკავებელი ზომების დასრულების შემდეგ. საქმე ის არის, რომ ადამიანებს ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ პრობლემები. მაგრამ საქმე მხოლოდ აღმოცენებული პრობლემები არ არის. პანდემის პირობებში კანონები იცვლებიან ძალიან სწრაფად, რომელში ჯეროვანი გარკვევაც სამართლებრივი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების გარეშე შეუძლებელია.

სილამაზის ბიზნეს-ინდუსტრია, რა თქმა უნდა, არ შეწყვეტს პოპულარობას, მაგრამ ბინაზე განსახორციელებელ ბიზნეს-პროცედურებზე აშკარად შემცირდება მოთხოვნა. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, უფრო ძვირი ჯდება, რადგან, ვთქვათ, პარიკმახერს ბინაზე მისვლისათვის მეტი დროის და სახსრების გაღება უხდება, რაც მოითხოვს დამატებით ანაზღაურებას და მეორეც, თითქმის ყველა სახლთან ახლოსაა სალონები. ამიტომ, პარიკმახერის ბინაზე გამოძახება აღარ იქნება აუცილებელი.

და, რა თქმა უნდა, სამედიცინო კაბინეტები, კერძო კლინიკები არ დაკარგავენ პოპულარობას, რადგან ყველა ადამიანი ყოველთვის იზრუნებს თავის ჯანმრთელობაზე და ეს ტენდენცია არასოდეს გაქრება. ასეთი გამოძახებების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით პანდემიის დროს 2,6%-ით გაიზარდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ დაწესებულებებში მიღებების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 1%-ით გაიზრდება.

მაგრამ აი, კვების პროდუქტების მიწოდების სერვისები ნაკლებად მოთხოვნადი გახდება. ყველა შეზღუდვის მოხსნის შემ-

დეგ ბევრისთვის საკურიერო მომსახურება აღარ იქნება აუცილებელი. თუმცა, საკურიერო სერვისები სრულად არ გაქრება ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ მათზე მოთხოვნა უდაოდ შემცირდება. თუ რა დოზით - ამას დრო გვიჩვენებს.

კარანტინის დასრულების შემდეგ კაფეები და რესტორნები, სავარაუდოდ, დაზარალდებიან. ჯერ ერთი, მათ უსაფრთხო მუშაობაზე დაწესდება ყველაზე მკაცრი მოთხოვნები, ე.წ. გაიდლაინები, რაც გაზრდის მომსაურების ხარჯებს, ტარიფებს და მეორე, რადგან მოქალაქეებს მცირე დანაზოგი ექნებათ, ამ დაწესებულებებში სტუმრობა მოიკლებს. კაფეებთან და რესტორნებთან ერთად ამავე მიზეზით დაზარალდება გასართობი ბიზნესიც.

ის ბიზნესები, რომლებმაც კარანტინის დროს თავიანთ საწარმოებს პროფილი შეუცვალეს, ვთქვათ, პირადი დამცავი საშუალებების (ნიღბები, ხელთათმანები, ანტისეპტიკები) შესაქმნელად და გასაყიდად, სავარაუდოდ თავიანთ საქონელსა და მომსახურებაზე დაკარგავენ მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, მათ კვლავ მოუწევთ ახალი გადაწყვეტილების ძიება, რათა საკუთარი ბიზნესი გამოიყვანონ წამგებიანი მდგომარეობიდან. არის ასეთი ფრაზა - „პანდემიის შემდეგ ბიზნესი იგივე აღარ იქნება“, რომელსაც იმეორებს კორონავირუსის შედეგებით შოკირებული მრავალი მეწარმე. საკარანტინო ღონისძიებების დროს ონლაინ ბიზნესი საკმაოდ პოპულარული გახდა და, რა თქმა უნდა, იარსებებს პანდემიის დასრულების შემდეგაც, თუმცა, ოფლაინ მცირე ბიზნესიც არ გაქრება, რაც გულისხმობს პირდაპირ თუ ირიბ კონტაქტს მომხმარებლებთან **[10]**

## დასკვნები და რეკომენდაციები

და ბოლოს, კორონა-პანდემიის დროს ბიზნესის მოქნილობა და სახელმწიფოს მხრიდან ანტიკრიზისული და სისტემური მხარდაჭერის ღონისძიებები ბიზნესს დაეხმარა გადარჩენაში და ბიზნესის ახალი სფეროების გახსნაში. მცირე და საშუალო ბიზნესმა საქართველოში გარკვეულწილად შეძლო ადაპტირება მოეხდნა კორონა პანდემიით გამოწვეულ მიმდინარე კრიზისულ პირობებთან, მაგრამ სრულ გამოჯანმრთელებაზე სა-

უბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მიუხედავად მნიშვნელოვანი ზარალისა, მცირე ბიზნესს აქვს შანსი აღადგინოს პანდემიამდელი ბიზნეს მოცულობა 2022 წელს აცრილი მოქალაქეების რაოდენობის ზრდითა და შემზღუდველი ზომების შემსუბუქებით, რის შედეგადაც მცირე ბიზნესის ზრდის ტემპიც უფრო დინამიური გახდება. ბიზნესის აღდგენის დაჩქარების მიზნით დაცული უნდა იქნას რამდენიმე ძირითადი იმპერატივი. ესაა: ტექნოლოგიური განვითარება; ძლიერი გუნდი; მონაცემთა ერთიანი ეკოსისტემა და მდგრადი განვითარების ვალდებულება. ასევე, მიზანშეწონილია მცირე ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის საფუძვლზე გარდაქმნები გახორციელდეს ოთხი ძირითადი მიმართულებით: **პროდუქტის ტრანსფორმაცია.** ამ შემთხვევაში ტრადიციული პროდუქტები იხვეწება ან იცვლება, რათა ისინი უფრო ციფრული გახდნენ. კონკრეტულად, ციფრული ტექნოლოგიები „უნდა დაინერგოს" პროდუქტში, რათა მომხმარებელს უფრო მეტად სარგებლიანი ფასეულობა მიეწოდოს; **კლიენტთა მართვის ტრანსფორმაცია.** ციფრულმა ტექნოლოგიამ, ასევე, უნდა შეცვალოს მცირე ბიზნესის ურთიერთქმედება მომხმარებლებთან. ციფრული ტექნოლოგია კლიენტს საშუალებას აძლევს, ახლებურად მიიღოს ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, განათავსოს შეკვეთები, განახორციელოს შესყიდვები, გადახდები და წარადგინოს საჩივრებიც კი; **ბიზნეს მოდელის ტრანსფორმაცია.** მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ცვლილება იმის შესახებ, თუ კომპანიები როგორ იღებენ და ხარჯავენ საკუთარ ფულს. ციფრული ტექნოლოგია ნამდვილად აძლევს მცირე ბიზნესის მოთამაშეებს საშუალებას გამოიმუშაონ დამატებითი შემოსავალი. მათ შეუძლიათ ციფრული ტექნოლოგის წყალობით გარდაქმნან საკუთარი ბიზნესი (უარი თქვან ძველ ბიზნესზე უფრო ახალი და უფრო მომგებიანის სასარგებლოდ); **სტრუქტურული ტრანსფორმაცია.** ზოგჯერ ციფრული ტექნოლოგიის დანერგვას ასევე უნდა მოჰყვეს კომპანიის შიგნით მუშაობის სქემების ცვლილებები, ახალი ფუნქციების ფორმირება ან ახალი როლების შექმნა. ეს არის ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1.Ключ к инклюзивному и устойчивому восстановлению. https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day.

2. უ. სამადაშვილი. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და როლი თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში. ეკონომიკა და ბიზნესი. №46 2019 წ.გვ. 167-168.

3. ნილ ფერგიუსონი. პანდემიაზე, დამანგრეველი ის ეკონომიკური ზომებია, რომელიც მივიღეთ. 2020-06-11. წყარო: https://commersant.ge/ge/post/pandemiaze-damangreveli-is-ekonomikuri-zomebia-romelic-miviget-amerikeli-profesori

4. Малый и средний бизнес Китая в условиях пандемии: комментарий эксперта.

5.Чепуренко:Как малый бизнес перенес нашествие коронавируса. https://rg.ru/2021/10/19/kak-perenes-malyj-biznes-nashestvie-koronavirusa.htmlАлександр

6. Ключ к инклюзивному и устойчивому восстановлени https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day].

7. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა. http://pmag.ge/ka/home/54--chamber-of-commerce-industry-geo.html

8. С. П. ЗЕМЦОВ А. А. МИХАЙЛОВ. ТЕНДЕНЦИИ И ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В РЕГИОНАХ РОССИИ В ПЕРИОД КОРОНАКРИЗИСА. May 20, 2021

9. lВирус перемен: как малый бизнес России поменялся в пандемию и выиграл. 2020;

10. Алексей Тиматков. Самые перспективные направления для бизнеса во время и после пандемии-https://rb.ru/story/biznes-posle-pandemii/. Алексей Тиматков.

11. **COVID-19** ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2021/covid-gender.html;

12. მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარება უმთავრესი პრიორიტეტი. https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day

13. COVID 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონ-

ომიკაზე რეგიონულ ჭრილში (თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, შიდა ქართლი). 2020. https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/01/Policy-Paper_Covid-19.

14. განმეორებითი კვლევა: ქართული კომპანიები covid -19-ის პანდემიის წინაშე. კვლევა ჩატარდა ინვესტორთა საბჭოს და EBRD-ის მხარდაჭერით. 2020 წელი

15.С. П. ЗЕМЦОВ А. А. МИХАЙЛОВ. ТЕНДЕНЦИИ И ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В РЕГИОНАХ РОССИИ В ПЕРИОД КОРОНАКРИЗИСА. May 20, 2021

16. Разрушительные последствия пандемии для российской экономики.14 апреля 2021.

**REFERENCES:**

1.The key to inclusive and constructive recovery. https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day.

2. U. Samadashvili. The essence and role of small and medium business in the economy of modern Georgia. Economics and Business. №46 2019 y. p. 167-168.

3. Neil Ferguson. On the pandemic, the economic measures we have taken are devastating. 2020-06-11. Source: https://commersant.ge/ge/post/pandemiaze-damangreveli-is-ekonomikuri-zomebia-romelic-miviget-amerikeli-profesori; 4. Small and medium business of China in conditions of the pandemics: expert comment.

5. Chepurenko: How a small business transmits coronavirus. https://rg.ru/2021/10/19/kak-perenes-malyj-biznes-nashestvie-koronavirusa.htmlАлександр

6. The Key to Inclusive and Constructive Establishment https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day].

7. Georgian Chamber of Commerce and Industry. http://pmag.ge/ka/home/54--chamber-of-commerce-industry-geo.html

8. S. P. ZEMTSOV A. A. MIHAJLOV. Development Trends and factors of small and medium-sized business in the regions of Russia in the period of Corona-crisis. May 20, 2021;

9. lVirus change: how small business in Russia changed into the pandemic and won. 2020;

10. Alexei Timatkov. The most prospective ddirections for business during and after the pandemics_ https://rb.ru/story/biznes-posle-pandemii/. Alexei Timatkov.

11. COVID-19 Economic Consequences for the World and Georgia. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/press-center/pressreleases/2021/covid-gender.html;

12. Small and Medium Business Development is a top priority. https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day

13. The Impact of the COVID-19 pandemic on the Georgian economy in the regional context (Tbilisi, Adjara, Imereti, Kakheti, Shida Kartli). 2020. https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/01/Policy-Paper_Covid-19.

14. Repeated research: Georgian companies in the face of the covid-19 pandemic. The study was supported by the Board of Investors and the EBRD. 2020;

15. S. P. ZEMTSOV A. A. MIHAJLOV. Development Trends and factors of small and medium-sized business in the regions of Russia in the period of Corona-crisis. May 20, 2021;

16. The destructive consequences of the pandemic for the Russian economy.14 April 2021.

# THE IMPACT OF THE CORONA-PANDEMIC ON SMALL BUSINESS IN GEORGIA

**Ushangi Samadashvili**,
Associat Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
e-mail: u.samadashvili@mail.ru

## RESUME

The present paper substantiates the relevance of the topic and defines the purpose and methods of the research.The essence and importance of small business in the Georgian economy is explained; Justifiably why the world and Georgia went to limit the spread of the virus, to maintain human health and life, and not to lead to economic recession. The paper analyzes and assesses the situation of small businesses in the context of restrictions imposed against the spread of the corona-pandemic; there is shown that the corona-pandemic and restrictions on its spread dealt the first and biggest blow to small businesses compared to large businesses. Particularly mostly the small enterprises are affected in the sphere, which have a direct connection with buyers (clients). The various types of Georgian business are characterized by how they slow down to adapt and to change in the midst of pandemic, how they transform, change into a completely new sphere of activity, save and become. The small business development prospects and main directions are predicted after the completion of the Covid-Pandemic restrictive measures in Georgia. The main directions of transformations based on the introduction of digital technologies in small businesses in Georgia are proposed. Moreover, the key imperatives must be protected to accelerate business recovery.

**Keywords:** small business, the corona-pandemic, constraints, adaptation, survival, development, prospects.

# ციფრული კულტურის ფენომენი თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-81**

**გურამ ჯოლია**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

**ნინო ჯოლია**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**რეზიუმე**

XXI საუკუნიდან სამყარო ტექნოლოგიურ განზომილება-ში გადადის, რადგან ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში ციფრული მოდელი აქტიურად ინერგება.

არსებითი ცვლილებები ხდება კულტურაშიც - ყალიბდება ახალი, ტრადიციული-საგან განსხვავებული ციფრული კულ-ტურა, რომელიც სამყაროს აღქმას დუალურად წარმართავს: ერთი მხრივ, როგორც „ცოცხალი" (რეალური), მეორე კი, - ტექ-ნოლოგიური.

იცვლება ადამიანთა ცნობიერება - ინერგება სელფიზმი, ვირ-ტუალური იდენტობა, ნარცისიზმი, გლობალური ურთიერთობა, დროისა და სივრცის ახლებური აღქმა, ავტორიტეტების უგულ-ველყოფა და აშკარავდება თაობათაშორისი განხეთქილება.

ორ განზომილებაში (გლობალურსა და ლოკალურში) არსე-ბული ციფრული კულტურა ქმნის სამყაროს ახალ, გეოგრაფი-ული არეალით შეუზღუდავ გლოკალურ ტექნოლოგიურ ლან-დშაფტს, რომელიც ქსელური ეფექტებით ადამიანებზე ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით ზემოქმედებას.

ფორმირდება ახალგაზრდების რამდენიმე თაობა, რომლე-ბიც წინა თაობებისაგან განსხვავებით, სხვა ღირებულებებითა და ფასეულობებით აზროვნებენ და ცხოვრობენ.

კულტურული სივრცის ტექნოლოგიურ პლატფორმაში ად-

ამიანები სხვადასხვა ფორმებითა და ვიდეომასალებით ერთმანეთს აქტიურად უცვლიან მრავალფეროვან ინფორმაციას (აგზავნიან შეტყობინებებს, აკეთებენ კომენტარებს...) და, პრაქტიკულად, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობენ, რითაც ციფრულ კულტურას ქმნიან.

„კულტურული სივრცის" ცნება წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, იგი ებრძვის ტრადიციულს, დამკვიდრებულს, თუმცა, ადამიანი ფიზიკურად ამ გარემოში არსებობს და კვლავაც იარსებებს; მეორე მხრივ კი, ცნობიერად ვირტუალურს ამკვიდრებს, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებს უპირისპირდება.

ციფრულ კულტურულ სივრცეს სამი საბაზო კრიტერიუმი აქვს: დრო და სივრცე, ციფრული იდენტობა და კომუნიკაციის ფორმა. თითოეული მათგანი ციფრულ გარემოში ახალ ნიშანთვისებებს იძენს.

თანამედროვე საზოგადოებაში ერთდროულად არსებობს პოსტფიგურატიული, კო(ნ)ფიგურატიული და პრეფიგურატიული კულტურები, აქედან პირველი ორიენტირე-ბულია წარსულზე, მეორე - აწმყოზე, მესამე კი, - მომავალზე.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურა, ციფრული, ვირტუალური, ინფორმაცია, კონტენტი, ფენომენი, იდენტობა, კომუნიკაცია, გლობალური, ლოკალური, გლოკალური, ტრანსფორმაცია, პოსტფიგურატიული, კო(ნ)ფიგურატიული, პრეფიგურატიული.

## შესავალი

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გავლენით ფორმირდება ადამიანთა კულტურული ურთიერთობის სრულიად ახალი სახეობა - „ციფრული კულტურა" (Digital culture) ანუ კულტურა ვირტუალურ სივრცეში, რომელიც ტრადიციულისაგან განსხვავებით, ელექტრონულია და კომუნიკაციური პროცესების ძლიერ დამაჩქარებელი. იგი გვთავაზობს სამყაროს შეცნობის ახალ ფორმას, თანაც, გაუპიროვნებელს, ანონიმურად შექმნილ ციფრულ კონტენტს, ობიექტების (მოვლენების, პროცესების) მანიპულირების დიდი შესაძლებლობებით.

ციფრული კულტურა სამყაროს აღქმას დუალურად წარმარ-

თავს: ერთი მხრივ, როგორც „ცოცხალი“ (რეალური), მეორე კი, - ტექნოლოგიური.

იგი სწრაფად ვრცელდება, მარტივად ხელმისაწვდომია და შეუძლია ინფორმაციის ანონიმურად შექმნა. ყოველივე გავლენას ახდენს ადამიანზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებზე. შედეგად მკვიდრდება სელფიზმი, ვირტუალური იდენტობა, ნარცისიზმი, დროისა და სივრცის ახლებური აღქმა, „ციფრულ იმიგრანტებსა“ და „ციფრულ აბორიგენებს“ შორის ანუ თაობათაშორისი განხეთქილება.

ასეთი კულტურის გავლენა დამოუკიდებელია ინდივიდის ადგილსამყოფელზე და ქსელური ეფექტებით მასზე როგორც დადებითად, ისე უარყოფითად ზემოქმედებს.

ციფრული კულტურული სივრცე ერთდროულად არსებობს ორ განზომილებაში: გლობალურსა და ლოკალურში ანუ გლოკალურში.

ციფრული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სამყაროს გლოკალურ ლანდშაფტს, სადაც ლოკალურად წარმოსახული „მე“, კრებსითად განიხილება როგორც „ჩვენ“.

ციფრული კულტურის პირობებში ფორმირდება ახალგაზრდების რამდენიმე თაობა, რომლებიც წინა თაობებისგან განსხვავებით, სხვა ღირებულებებითა და ფასეულობებით აზროვნებს და მოქმედებს.

## ძირითადი ნაწილი

### „სივრცისა“ და „დროის“ ფენომენი

ზოგადად, „სივრცე“ როგორ განსაკუთრებული სასიცოცხლო კატეგორია, ადამიანს უხსოვარი დროიდან აინტერესებდა და მის მრავალფეროვნებას ყურადღებით იკვლევდა.

სივრცის შესახებ მრავალმა დიდმა მოაზროვნემ გამოთქვა კომპეტენტური აზრი. მაგ., **პლატონს** იგი ღმერთის მიერ შექმნილ გეომეტრიული ფორმის რაღაცად მიაჩნდა, **არისტოტელეს** - ადგილის ანალოგად, **დემოკრიტეს** - ფიზიკური მიმზიდველობის სიცარიელედ, **ლევი-სტროსს** - ადამიანთა მოღვაწეობის კულტურულ არეალად და ა.შ.

კულტუროლოგები „კულტურული სივრცის" ცნებაში ადამიანის ეროვნულ იდენტობას (საკუთარი იგივეობის განცდას), იმ კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს გულისხმობენ, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა. მათი აზრით, ასეთი სივრცე ინდივიდის ეთნიკური კუთვნილების ინდიკატორია თავისი გვარისადმი, წინაპრებისადმი. თუმცა, XXI საუკუნე გვთავაზობს პოსტმოდერნისტულ მიდგომას, - „სამყარო ქაოსია" და, შესაბამისად, არსებითია კულტურის გადაფასებაც.

- რამ გამოიწვია ყოველივე და როგორი იქნება მისი გავლენის შედეგები?

- საქმიანობის ყველა სფეროში ციფრული ტექნოლოგიების მასობრივად გავრცელებამ. ამასთან, ყოველივე ციფრული ასოცირდება ვირტუალურთან (ლათ. „შესაძლებელი") და განიხილება როგორც პოტენციურად შესაძლებელი მყოფობა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების პირობებში ვლინდება. მას ახასიათებს ქაოსურობა, ყოვლისმომცველობა, განუსაზღვრელობა...

ნიდერლანდელი იდეალისტ-ფილოსოფოსი **ი. ჰაიზინგა** (J. Huizinga) კულტურულ სივრცეს თამაშის შესაძლებელ გარემოდ იხილავს და მიიჩნევს, რომ იგი ადამიანთა ისეთი სასიცოცხლო არეალია, სადაც ცხოვრებისეული სამოქმედო სცენარი უზენაესის მიერ იმართება, ინდივიდი კი, მსახიობის როლს ასრულებს.[1]

ამერიკელი კულტუროლოგი გ. მეში (G. Mesh) კულტურულ სივრცეს მიზეზ-შედე-გობრივი ნიშნით აფასებს, სადაც საკვანძო როლს ინტერნეტი ასრულებს და თვლის, რომ ესაა კულტურაში ციფრული ტექნოლოგიების სრულიად ახალი სამყარო, ვირტუალური „მოგზაურობისთვის" უკიდეგანო შესაძლებლობებით, მაგ., სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიო ღირსშესანიშნაობების სხვადასხვა რაკურსით ხილვა.[2]

რუსი მეცნიერი, ნ. ბისტროვა (Н. Быстрова), თვლის, რომ

---

**1 Huizinga, J. (2017). Homo ludens. SPb: Ivan limbach Publishing House. 416 p.**

**2 Mesh G. (2009). Internet and Youth Culture//The Hedgehog Review. №1 (11). P. 51.**

კულტურული სივრცე არის ტერიტორიულად განპირობებული, ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიური ნიშნების ერთობლიობა ნივთების, იდეების, ღირებულებების, ემოციების, ტრადიციებ-ისა და სხვათა შესახებ, რომლებიც მოცემულ არეალსა და დრო-ში ვლინდება.[1]

კულტურული სივრცე, უპირველესად, ერისათვის დამახასი-ათებელი სივრცეა, რომელსაც მკაფიო საზღვარი აქვს. თუმცა, ციფრული ცივილიზაციის გავლენით, ეს ბარიერი თანდათან იშ-ლება და ადამიანთა ცნობიერება ტრანსფორმირდება (მაგ., მათი მახსოვრობა მცირდება, ყველაფერი მარტივდება, გრძელვადი-ანი მიზნები მყისიერი დაკმაყოფილებით იცვლება, ურთიერთო-ბის შინაარსს სტილი ენაცვლება, კომერციალიზაციის ფენომე-ნი აქტიურდება და ა. შ.). ერთი სიტყვით, „სივრცე" შეფარდებით ცნებად და გლობალურ მედიასივრცედ ფორმირდება.

გეოგრაფიულ-ტერიტორიული ნიშნით, კულტურული სივ-რცე ერთდროულად ხდება ფიზიკურად შეკუმშული/შევიწრო-ებული, ინფორმაციულად კი, - გლობალური.

ამიტომ თანამედროვე ადამიანის (განსაკუთრებით, ახალ-გაზრდის) კულტურულ სივრცეში მისი ქცევის ახალი სტრატე-გიები, ღირებულებები და აზრები ყალიბდება.

გლობალურ ციფრულ ეპოქაში, კულტურული სივრცე გვევ-ლინება როგორც ტექნოლოგიური პლატფორმა, სადაც მისი მონაწილეები სხვადასხვა ფორმებითა და ვიდეომასალებით ერ-თმანეთს უცვლიან ინფორმაციას და საკუთარ ციფრულ კულ-ტურას ქმნიან: გაღვიძებისთანავე უმალვე ამოწმებენ ელექ-ტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელებს, სატელეფონო ზარებს, შეტყობინებებსა და ვიდეორგოლებს. დღის განმავლობაში აკ-ეთებენ მრავალრიცხოვან კომენტარებს, აგზავნიან წერილებს, გამუდმებით ეცნობიან სიახლეებს და სხვ. ერთი სიტყვით, მეტ-წილად, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობენ.

იმავდროულად, კულტურულ სივრცეშია მოქცეული ადამი-ანის ყოველდღიური, ტრადიციული რეალობა და შემოქმედები-

1 **Быстрова Н. (2004). Культурное пространство как предмет философской рефлексии//Философские науки. №12. С. 24-40.**

თი ვირტუალობა, რაც მის გაორებას იწვევს: ყოფით საქმიანობაში სჭარბობს უფერულობა, ტრაფარეტულობა, ვირტუალურში კი, - იმპროვიზაცია და კრეატიულობა.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ძირეულად შეცვალა ტრადიციული კულტურა, - გახადა ხელოვნური. თანაც, ყოველივე აღიქმება როგორც ტექნიკის პროგრესი და საზოგადოების სასიცოცხლო ღირებულებათა ტრანსფორმაციის უტყუარი შედეგი.

ამასთან, ცნება „კულტურული სივრცე" წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, ებრძვის ტრადიციულს, თუმცა ადამიანი ფიზიკურად ამ გარემოში არსებობს და მომავალშიც იარსებებს; მეორე მხრივ კი, ცნობიერად (გონებრივად) ამკვიდრებს ვირტუალურს, რომელიც უპირისპირდება საუკუნეთა განმავლობაში ღრმად დამკვიდრებულს. თანაც, ეს უკანასკნელი სულ უფრო ძლიერდება და ყოვლისმომცველი ხდება.

კულტურული სივრცის პრობლემატიკა უკავშირდება თვით კულტურას, ციფრულ ტექნოლოგიებს, მედიასა და იმ თაობებს, რომლებიც ახალ რეალობაში გაიზარდნენ.

მიმდინარეობს კულტურისა და ტექნოლოგიების კონვერგენცია (შერწყმა), რაც მედიასივრცეში ახალ პროცესებს წარმოშობს.

**ციფრულ კულტურულ სივრცეს სამი საბაზო კრიტერიუმი აქვს:**

**1. დრო და სივრცე**

"დროისა" და "სივრცის", როგორც ბუნებრივად მოცემული მარადიული იმპერატივების (ი. კანტი) აღქმა არსებითად შეიცვალა, მაგრამ შეიცვალა მხოლოდ უფროსი თაობებისთვის, რადგან ისინი სწრაფი ცვლილებებისა და ტერიტორიულად შეუზღუდავ სივრცეში ცხოვრობენ.

ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში დრო ძალიან "დაჩქარდა", სივრცის ცნების მნიშვნელობა კი, უსაზღვროდ გაიზარდა, ყველაფერი ელექტრონულ ველში გაერთიანდა და სამყარო ადამიანებისა და ტექნიკის მყისიერი ციფრული კომუნიკაციის შეუზღუდავი არეალი გახდა, გეოგრაფიული საზღვრითი ბარიერები წაიშალა, სხვა ადამიანებთან და ბუნებრივ რესურსებთან

სიახლოვის კონკურენტული უპირატესობა გაქრა.

ფორმირდება ახალი კომუნიკაციური მედიაგარემო, თავისი ნორმებითა და წესებით, რაც ინდივიდების (მეტწილად, ახალგაზრდების) სოციალიზაციაზე ზემოქმედებს. მათში ღვივდება იდენტობის დაკარგვის შიში და ეროვნულობის გარკვევის რეაქცია. საკითხი იმის შესახებ, თუ „ვინ ვართ", უკავშირდება შეკითხვებს - „სად ვართ" („სად ვცხოვრობთ)", სად არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი კანონიერი ტერიტორია, ჩვენი ისტორიული ფესვები?

- რა განსაზღვრავს ადამიანთა კულტურულ სივრცეს?

- მათი ცნობიერება, განსწავლულობა, ინტერესები, საქმიანობა და ქცევა.

სივრცით თავისუფლებას განსაკუთრებით კარგად იყენებენ ახალგაზრდა თაობები. ინფორმაციის მიღებისა და გაგზავნისას მათ არ იციან ტერიტორიული და დროითი შეზღუდვები: ნებისმიერ დროს ერთმანეთთან აქვთ თავისუფალი კომუნიკაცია (აზრთა გაზიარება, ურთიერთობის პერსპექტივების განხილვა...).

მოცემული კრიტერიუმის შესაფასებლად გაჩნდა ახალი ტერმინი - ნეიტრალური **„მესამე ადგილი"** (ავტ. ამერიკელი მეცნიერი რ. ოლდენბურგი (R. Oldenburg))[1] როგორც არაფორმალური დანიშნულების თავისუფალი და კომფორტული არეალი ვირტუალურ-რეალურ სივრცეში პირადი კონტაქტების გასაფართოებლად. იგი არ უკავშირდება არც საცხოვრისს და არც სამუშაოს და ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან დემოკრატიულ ატმოსფეროს ქმნის და სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებს. ესაა კლუბები, სავაჭრო-გასართობი ცენტრები და სხვ. ამით ციფრული კულტურა გლობალური მედიური კულტურა ხდება, სადაც მის მონაწილეებს ვირტუალური სივრცის მთელი სამყარო სამოქმედოდ თვალწინ ეშლებათ. შედეგად ციფრული სივრცე ტერიტორიულ-დროითი საზღვრების გარეშე არსებულ ქსელურ სივრცედ ფორმირდება.

**1 Oldenburg R. (1999). The Great good place. New-York, 337 p.**

სივრცისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივ-ყოფით გარემოში დრო საოცრად „ჩქარდება", მისი ფასი კი, ძალიან იზრდება, საქმიანობის ყველა სფეროში დინამიური ცვლილებები ყოველდღიურ ნორმად ყალიბდება. პირად ელექტრონულ „მეტყველებაში" (მიმოწერაში) სულსწრაფობა დომინირდება, რის გამოც, ხშირად, გამოიყენება შეწყვეტილი სიტყვები, ინგლისურენოვანი ფრაზები და აბრევიატურები, მინიშნებები, სიმბოლოები, სიცილაკები (სმაილები, smiley), ემოჯები (Emoji) (სიტყვების გარეშე სურათებით ემოციების გადაცემა) და მესინჯერები, გიფები (გამოსახულების გაცვლის ფორმატი). მართალია, ამით დრო იზოგება, მაგრამ მისი დაკარგვის შიში მძაფრდება, რადგან გამოტოვებული ინფორმაციის დაკარგვის ემოციური განცდა ძლიერდება (დ. სტილმანის (D. Stillman) „გაშვებული სარგებლიანობის სინდრომი"[1])). შედეგად ადამიანი ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე მუდმივად მიჯაჭვული, მისი ტუსაღი თავისივე ნებით ხდება.

**2. ციფრული იდენტობა (ვირტუალურ-რეალური იდენტობა, self-იდენტობა)**

სოციალურ ქსელებში ახალგაზრდების ინტენსიურად ჩართვამ მთლიანად შეცვალა მათი ცხოვრებისა და აზროვნების სტილი, დაარღვია პირადი და საჯარო სფეროების ადრინდელი ბალანსი და წარმოაჩინა ინდივიდუალობის ისეთი ნიშნები, რომლებიც დამოუკიდებელია მათ სოციალურ მდგომარეობაზე, ასაკზე, რასაზე და ფიზიკურად ყოფნის ადგილზე. მათთვის კულტურული სივრცე გლობალური მედიური თანამშრომლობის ხელსაყრელ მოედნად იქცა, რადგან ყოველგვარი ინფორმაციის ნებისმიერ დროს თავისუფლად გავრცელების საშუალება მიეცათ. ამით ვირტუალური კომუნიკაციური სივრცე ციფრული ეპოქის ახალი კულტურული არეალი გახდა.

ინტერნეტ-სივრცეში სოციალურ სტატუსთან და ასაკთან დაკავშირებული ავტორიტეტის ძალა თითქმის გაქრა და მისაბაძ ეტალონად ისინი წარმოჩნდა, რომლებმაც რაიმე ღირებუ-

**1 Стиллман Д., Стиллман И. (2018). Поколение Z на работе. Как его понять и найти с ним общий язык. М.: Манн, Иванов и Фербер, 272 с.**



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

ლი და სასარგებლო გააკეთეს, თვითრეალიზება სრულად შეძლეს, ფართო აღიარება მოიპოვეს და ფინასური კაპიტალიც გაიზარდეს.

სოციუმში მიმდინარე ღრმა ტრანსფორმაცია ადამიანის ციფრული იდენტობის ამსახველი გახდა. აღნიშნული განსაკუთრებით თანამედროვე თაობებში გამოვლინდა, რადგან ისინი, მეტწილად, მათთვის ბუნებრივ ვირტუალურ-ტექნოლოგიურ გარემოში „ცოცხლობენ“, სადაც თავს ძალიან ლაღად გრძნობენ: ერთობიან, ეცნობიან სამყაროს, აკეთებენ კომენტარებს, ყიდიან და ყიდულობენ ნივთებს, აგზავნიან შეტყობინებებს... მათთვის რეალური და ვირტუალური სივრცე ერთდროულად არსებობს. თუმცა, პირველი, ლოკალური ნორმა-ტრადიციებით მკაცრად შეზღუდული და განსაზღვრულია, მეორე კი, - უკიდეგანი და აბსოლუტურად თავისუფალი, უხილავი, გაუპიროვნებელი და ანონიმური. ამიტომ რეალურ სივრცეს გაურბიან, მოუხელთებლად მარტოვდებიან და ვირტუალურში მთელი არსებით ერთვებიან. ამით ინდივიდის ციფრული იდენტობა კონსტრუირდება, რითაც მისი შინაგანი „მე“ თვითრეალიზდება.

ამასთან, ციფრულ რეალობაში მთელი არსით ჩაფლობა აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დარად მიიჩნევა. შედეგად ინდივიდი სოციუმს გონებრივად სცილდება და ეულად ყალიბდება. ამიტომაც მარტოსულობა, როგორც ნებაყოფლობითი სოციალური თვითიზოლიაცია, XXI საუკუნის ახალ ფენომენად, კულტუროლოგიურ-ფსიქოლოგიურ პრობლემად განიხილება.[1]

არადა, ადამიანის არსებობას მხოლოდ სხვა ადამიანებთან რეალურ (ფიზიკურ) ურთიერთობაში აქვს ეგზისტენციალური აზრი, რადგან მხოლოდ მათ ეტოლება, მათ ედარება, მათ უპირისპირდება და ამით სააქაო სამყაროში გამუდმებით ეძებს და პოულობს დაუცხრომელ კმაყოფილებასა და სულიერ ბედნიერებას. იმავდროულად, თანამედროვე თაობებში ნარცისიზმის (თვითშეყვარების) განცდაც ძლიერდება, რაც სხვადასხვა სი-

**1 Turkle S. (2005). The second self: computers and the human spirit.- England, Twentieth Anniversary Edition, 372 p.**

ტუაციაში ავტოპორტრეტული ფოტოსურათის წარმოჩინებით ვლინდება ანუ სელფური (ინგლ. Self საკუთარი თავი) კულტურა მკვიდრდება.

მაშასადამე, ახალგაზრდების ციფრული იდენტობა სოციალ-ურ ქსელებში აქტიური მონაწილეობით ფორმირდება, რითაც მათი კულტურული პარადიგმა კონსტრუირდება, თანამდევი თავისი იმიჯით, წარმოდგენებითა და ღირებულებებით.

ციფრულ იდენტობას საფრთხეებიც აქვს, მაგ., ადამიანის წარმოდგენათა მანიპულაცია საკუთარ თავზე, საზოგადოებ-აზე, მოვლენებზე, მეგობრებზე...

**3. კომუნიკაციის ფორმა**

ციფრულმა ტექნოლოგიებმა მრავალფეროვანი ინფორმა-ციული კონტენტი (ტექსტური, აუდიო-ვიდეო) მეტად ღირებუ-ლი საქონელი (რესურსი) გახადა. მისით შეიძლება არა მარტო ადამიანების, არამედ იურიდიული პირებისა და თვით სახელ-მწიფოების ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესების მართვა.

გაციფრება და ინტერაქტიურობა თანამედროვე კომუნი-კაციური პროცესების აღზევების განმსაზღვრელ ნიშნებად ყალიბდება. ეს პროცესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფე-როში აქტიურად მკვიდრდება და ვითარდება, ეკონომიკის დარგები/სექტორები ერთმანეთს ერწყმება და კლასტერულ ფორმას იძენს, ტექნოლოგიური კონვერგენცია ძლიერდება, მაგ., სმარტფონში კომპიუტერის, ტელეფონისა და ფოტოაპარ-ატის ფუნქციები ერთიანდება, დიალოგიურობით კი სოციალ-ური ქსელები „ცოცხალ" და საინტერესო თავისუფალ სივრცედ ფორმირდება, სადაც ვირტუალური აქტორები ერთდროულად ხდებიან ინფორმაციის როგორც ბენეფიციარები (მიმღებები), ისე ანტრეპრეტერები (მწარმოებლები).

საყურადღებოა ისიც, რომ ციფრულ სივრცეში აქტიურობა და ნოვატორობა მყისვე წახალისდება, რასაც ადასტურებს YouTube-ზე ბლოგერთა ვიდეორგოლების ხელმომწერებისა და მოწონებების (ე.წ. დალაიქების) კომერციალიზაცია.

იმავდროულად, ყოფით გარემოში თანამედროვე თაობების თანაცხოვრება წინააღმდეგობრივია:

- ერთი მხრივ, ვირტუალურ სოციალურ ქსელებში მათ ჰყავთ ასობით და ათასობით „მეგობარი", ხშირად, ფიზიკურად უხილავებიც, რომლებთანაც 24/7/365 რეჟიმში აქტიურ კონტაქტში არიან. მეორე მხრივ კი, რეალურ ცხოვრებაში მარტონი რჩებიან საკუთარ შეხედულებებთან, წარმოდგენებთან, სურვილებთან და შიშებთან, იმედებთან და განცდებთან. და მათთვის რთულია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნონ, სად არის ნამდვილი რეალობა. თუმცა, უდაოდ სურთ საზოგადოებრივი აღიარება, ღირსეული დასაქმება და გონებრივი პოტენციალის სრულად რეალიზება;

- ერთი მხრივ, ვირტუალურ გარემოში თანაცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ნებაყოფლობითი, მეორე მხრივ კი, - საკმაოდ სუსტი, მოწყვლადი და გამჭვირვალე, რადგან აღნიშნული „მეგობრებიდან" მრავალი ნაკლებად სანდოა, მათგან მოწოდებული ინფორმაცია კი, ხშირად, - ფეიკური (ყალბი).

ციფრულ კომუნიკაციას უარყოფითი მხარეებიც მრავლად აქვს: ხელმისაწვდომი ინფორმაციის დიდ მასივში მნიშვნელოვანის, არსებითის მიგნების სირთულე, მოპოვებული მზა კონტენტის კრიტიკულად შეუფასებლობა და ზერელე მოხმარება, ანონიმურობის პირობებში ურთიერთობის ეთიკური ნორმების დარღვევა და დევიაცია,[1] არავერბალური კომუნიკაციის არარსებობა, დასმულ შეკითხვებზე პასუხის გადადების შესაძლებლობა და სხვ.

ზოგადად, ციფრულ ურთიერთობას ახასიათებს: ანონიმურობა, მოსაუბრესთან ფიზიკური კონტაქტის არარსებობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ელექტრონულ „მეტყველებაში" ემოციური განწყობების სიმბოლოებითა და სურათებით გამოხატვა.

ინტერნეტ-გარემოში ციფრული კულტურის დონის დასადგენად გამოიყენება ციფრული კულტურის ინდექსი, რომელსაც Microsoft ქვეყნების მიხედვით მოზარდების გამოკითხვის მეთოდით იკვლევს. ინდექსით გაიანგარიშება, თუ რამდენად განიცდიდნენ ისინი შესაბამის რისკებს (მოტყუება, ტროლინგი

1 საზოგადოებაში აღიარებული ნორმების საწინააღმდეგო ქცევა.

და სხვ). ინდექსის უფრო დაბალი დონე შეესაბამება რისკების მცირე მიდრეკილებას და ციფრული კულტურის მაღალ დონეს.

**საზოგადოების კულტურათა ნაირსახეობები**

ცნობილი ამერიკელი კულტუროანთროპოლოგის, მ. მიდის (M. Mead), მოდელით[1], საზოგადოების კულტურათა სამი სახეობა არსებობს:

**1. პოსტფიგურატიული საზოგადოება** (ინდუსტრიულამდელი, ტრადიციული, არქაული) - უფროსი თაობის ქცევითი სტანდარტები სავალდებულო და მისაბაძია ახალგაზრდებისათვის, წინაპართა ტრადიციები შეუცვლელად გადაეცემა მომდევნო თაობებს. მართალია იგი ნელა და შეუმჩნევლად იცვლება, მაგრამ თაობათაშორისო კონფლიქტები არ წარმოიშობა. უმეტესად არსებობს მომთაბარე ხალხში, უცხოეთის დიასპორებსა და ინდურ კასტებში.

**2. კო(ნ)ფიგურატიული საზოგადოება** (ინდუსტრიული, მოდერნიზებული) - რიგითი ადამიანებისათვის მისაბაძია მათი თანამედროვეები; არსებობს იქ, სადაც ცვლილებები ხდება; სხვადასხვა თაობების ქცევითი ფორმები არაიდენტურია, რაც მათ შორის კონფლიქტს იწვევს. მართალია ამ საზოგადოებაში უფროსი თაობა წამყვან როლს კვლავ ინარჩუნებს, მაგრამ უმცროსი თაობისათვის იგი არ არის იდეალური და მისაბაძი; ახასიათებს ნუკლიანური ოჯახი (მშობლები და ბავშვები); სირთულე ჩნდება მაშინ, როცა პოსტფიგურატიული სისტემის კრიზისი იწყება. ასეთი შეიძლება იყოს უცხოეთში მუდმივად ემიგრაცია, სადაც უფროს თაობას მრავალი გარემოების გამო (სხვა რელიგია, სხვა ნორმები და იდეალები, სხვა საკომუნიკაციო ენა, ტექნიკის ცუდად ფლობა) უჭირს ახალ გარემოში სრულად ადაპტაცია. ამ მხრივ, თანამედროვე თაობები არსებითად განსხვავდებიან მათი წინამორბედებისაგან, რადგან გაცილებით სწრაფად ითვისებენ ახალ ციფრულ კულტურას.

**3. პრეფიგურატიული (პოსტინდუსტრიული) საზოგადოება,**

---

**1 Mead M. (1970). Culture and commitment: a study of the generation gap. New York: The American Museum of Natural History/Doubleday, 91 p.**

რომელსაც ახასიათებს უფრო სწრაფი და ინტენსიური ტრანსფორმაცია. ამ ტემპების დაწევა დღევანდელ უფროს თაობას არ შეუძლია. ამიტომ წინა პლანზე გამოდის თანამედროვე თაობები. არა მარტო უმცროსები სწავლობენ უფროსებისა და თანატოლებისაგან, არამედ უფროსებიც - უმცროსებისაგან. დღევანდელი საზოგადოება კო(ნ)ფიგურატიულ და პრეფიგურატიულ კულტურათა შორის იმყოფება, უფრო განვითარებულ ქვეყნებში, რადგან, ხშირად, წარსულის გამოცდილება არასაკმარისია, ზოგჯერ კი, - საზიანოც.

ვისგან სწავლობს უმცროსი თაობა, რასაც შემდეგ უფროს თაობას ასწავლის?

- ყოველგვარ ტექნოლოგიურ სიახლეს, მათ შორის ციფრულ ტექნოლოგიებს, უმცროსი თაობა თვითგანვითარებით და/ან თანატოლების დახმარებით გაცილებით სწრაფად ითვისებს და უფრო ინფორმირებულ-დახელოვნებულია.

საბოლოო ჯამში, **პოსტფიგურატიული კულტურა ორიენტირებულია წარსულზე, კო(ნ)ფიგურატიული - აწმყოზე, პრეფიგურატიული კი, - მომავალზე.**

**თანამედროვე ციფრული თაობები**

დღევანდელ მსოფლიოში, ერთდროულად, რამდენიმე თაობა (ასაკის გრადაციის მიხედვით, ყოველ 20-25 წელიწადში ახალი თაობა ჩნდება) თანაარსებობს. ასეთ პირობებში, ხშირად, ის პრობლემები ვლინდება, რომლებიც თაობათა თანაცხოვრებას ართულებს, ზოგჯერ კი, მათ შორის, მწვავე კონფლიქტებსაც წარმოშობს.

ზოგადად, ყოველი თაობა მისთვის დამახასიათებელი ფასეულობებით ანუ სასიცოცხლო ორიენტირებით (ღირებულებებით) ცოცხლობს და შრომობს.

ყოველი ახალი თაობა ყოველთვის ილაშქრებს ცხოვრების დამკვიდრებული სტილისა და სტანდარტების წინააღმდეგ, რადგან წინამორბედ თაობებზე გონით აღმატებულად გრძნობს თავს: აქვს სხვა ხედვები, პრიორიტეტები და მიზნები. ხედავს ადრე შექმნილის ხარვეზებს, ნაკლოვანებებსა და მათ სრულყო-

ფას ცდილობს. ვფიქრობთ, სწორედ ამაშია ჩადებული საზოგადოებრივი პროგრესის არსიც, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა საყოველთაო სტაგნაცია. არადა, შედეგად სახეზეა საზოგადოებრივი პროგრესი ყველა მიმართულებით. თუმცა, ყოველი წინამორბედი თაობა უკმაყოფილოა მომდევნო თაობის და მიიჩნევს, რომ ახალი თაობა დროის უმობელ მოთხოვნებს სათანადოდ ვერ უმკლავდება.

ასე იყო ოდითგან, ასეა დღესაც და ასე იქნება მომავალშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სირღმისეული ფასეულობები ქვეცნობიერია, რომელთა უმრავლესობა, თავდაპირველად, ლატენტურია (არაცხადია, ფარულია), მოგვიანებით, ყოველი თაობა მათი ზემოქმედებით აზროვნებს, ცხოვრობს და მოქმედებს კიდეც. ახალი ფასეულობები ახლებურად განსაზღვრავენ ჩვენ ქცევით ორიენტირებს. მაგ., როგორი კომუნიკაცია გვაქვს ერთმანეთთან, როგორ ვაგვარებთ კონფლიქტებს, როგორ ვცდილობთ თვითგანვითარებას, რა არის ჩვენი პრიორიტეტები, რას ვყიდულობთ, როგორია ჩვენი მიზნები და ა.შ. და ა.შ.

სხვადასხვა კულტურულ ეთნოსში თაობათა ფასეულობები განსხვავებულია, რაც მათთან და მათ შორის ურთიერთობას ართულებს.

სოციოლოგები თვლიან, რომ უფროსი თაობა თანამედროვე თაობებს შორიდან შესცქერის და აფასებს. მათ შესაცნობად კი აუცილებელია მათივე მიკროსამყაროდან ვითარების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

თაობათა ურთიერთობის საკითხებს მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა (მაგ., დ. ტეპსკოტი, შ. ტერკლი, დ. სტილმანი, კ. მანჰაიმი, გ. სპენსერი, მ. კასტელსი და სხვ.) მიაქცია ყურადღება, თუმცა, საბაზოდ ჰოუვ-შტრაუსის კონცეფცია მიგვაჩნია.[1]

თანამედროვე თაობებში მოიაზრება: **„Y თაობა“** (1980-2000 წწ. დაბადებულები), **„Z თაობა“** (2001-2010 წწ. დაბადებულები) და **„α თაობა“** (2011 წლიდან დაბადებულები). ამ თაობებს გან-

1 **უფრო ვრცლად იხილეთ: ჯოლია, გ. (2017). თაობათა ურთიერთობის სირთულეები ჰოუვ-შტრაუსის თაობათა თეორიის მიხედვით. თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1-2. გვ. გვ. 24-30.**

სხვავებული სასიცოცხლო ორიენტირები აქვთ.

ზოგადად, ყოველი თაობისათვის ფასეულია ის, რაც დეფიციტურია: მაგ., უფროსი თაობებისთვის (ბეიბი-ბუმერები, „X“-ები) წიგნები, როგორც ინფორმაციის/ცოდნის მიღების ძირითადი წყარო, იშვიათი იყო, დღესაც მათთვის უაღრესად ვალიდური და ფასეულია. „Y“ და „Z თაობებს“, რომლებიც ელექტრონული მოწყობილობების პროფიციტის პირობებში ცხოვრობენ, როგორც წესი, ცოცხალი ურთიერთობები აკლიათ. ისინი არიან ერთად და, იმავდროულად, ცალ-ცალკე (თანამედროვე ესკაპიზმი), რადგან პირად განცდებს ერთმანეთს სოციალური ქსელებით აწვდიან. მათთვის ინფორმაციის/ცოდნის მიღების ძირითადი წყარო სმარტფონია.

უფროსი თაობებისგან განსხვავებით, თანამედროვე თაობებმა გაწყვიტეს „დროსთან მტკიცე კავშირი“. ეს სპეციფიკურობა ნათელს ხდის უფროს თაობათა ჩივილს იმის შესახებ, რომ მათ შვილებს სრულიად სხვა მოთხოვნები და სურვილები აქვთ. ისინი, ინფორმაციის ინტენსიური და მასობრივი ძიებისა და გამოყენების შედეგად, „ელექტრონულ მოქალაქეებად“ ყალიბდებიან, რადგან ინფორმაციას იღებენ ძალიან სწრაფად. მათ გონებას შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან ერთდროულად მიიღოს და ოპერატიულად გადაამუშაოს დიდი მოცულობის ინფორმაცია. ამიტომ, ტექსტის ნაცვლად, უპირატესობას აძლევენ ინფორმაციის გრაფიკულ და ვიდეოკონტენტთან მუშაობას. ელექტრონული ფორმით მყისიერად ურთიერთობენ ერთმანეთთან (ახასიათებთ „ნეიროპლასტიკურობა“). მათთან (განსაკუთრებით, ალფელებთან) მულტისენსორული შეღწევადობა ძალიან მაღალია, რაც ინფორმაციის გადაცემის პროცესს აჩქარებს, დამახსოვრებასა და გამოყენებას აძლიერებს. ისინი გონების პლასტიკურ-ელასტიურობას ყოველდღიურად ამჟღავნებენ და სხვადასხვა წყაროებიდან (Facebook, YouTube...) ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს ბუნებრივად და ვირტუოზულად ითვისებენ. უფროსი თაობებისაგან განსხვავებით, ისინი მართლაც სხვაგვარად ფიქრობენ. მაგ., რატომ დავიმახსოვრო, ვთქვათ, როდის დამარ-

ცხდა ნაპოლეონ I ვატერლოოს ბრძოლაში, როცა შეიძლება ეს ინფორმაცია სწრაფად მოვიძიო Google-ის დახმარებით?

ყოველ თაობას განსხვავებული ურთიერთობა აქვს გარე სამყაროსთან, წინა თაობებთან და ერთმანეთთან. მზად ვართ კი ჩვენ, უფროსი თაობა, მათი ქცევის ძირითადი მოდელები მივიღოთ? ვინ უნდა შეიცვალოს, - ჩვენ თუ ისინი? რა თქმა უნდა, ჩვენ, რადგან ურთიერთობის გარემო ჩვენთვის შეიცვალა!

**თაობათა შორის არსებობს ფასეულობების და არა პიროვნული კონფლიქტები.**

საკუთარი ფასეულობების სხვისთვის გადაცემა ურთულესია, ზოგჯერ კი, შეუძლებელი. თანამედროვე თაობები თავიანთ ბუნებრივ გარემოში არიან. ჰარმონიული თანაარსებობისთვის თუ გვსურს მათთან უმტკივნეულო კომუნიკაცია და სოლიდარული (ერთსულოვანი) საზოგადოების შექმნა, რაც დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, უნდა მოიძებნოს თაობათაშორისი ფასეულობების თანხვედრის შესაძლებლობები, რისთვისაც საჭიროა დიალოგის განვითარება. სხვა მხრივ, კონფლიქტი გარდაუვალია.

მიუხედავად იმის, რომ თანამედროვე თაობების ფასეული ორიენტირები ჯერ კიდევ სრულად არ ჩამოყალიბებულა, მაინც შეიძლება რიგი ტრენდების გამოყოფა:

**1. ახალი ციფრული კულტურის ფორმირება.** თანამედროვე თაობები ქმნიან ახალ ციფრულ კულტურას, რომელმაც ურთიერთობებში არ იცის არანაირი შეზღუდვები და ბარიერები, მათ შორის არც ეროვნული და არც ასაკობრივი საზღვრები.

**2. სამყაროს მათისებური აღქმა.** ვირტუალურმა კომუნიკაციამ IT სპეციალისტების ძალაუფლება გაზარდა და თავისუფლებისა და ღიაობის ახალი კულტურა წარმოშვა. ყველას შეუძლია რაიმე ნოვაციის როგორც შექმნა, ისე მოხმარება. ქსელური პლატფორმებით (Facebook, Instagram, WhatsApp, Telegram, YouTube...) „ციფრული საზოგადოება" იქმნება და ახალ თაობებში ერთდროულად ორი მოცემულობა ჩნდება - ვირტუალური და რეალური ანუ ჰიბრიდული, რომლის კომპონენტები ერთმანეთ-

ზე ზემოქმედებენ თავისუფლების, ღიაობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებით.

**3. შემეცნებითი (კოგნიტური) სფეროს სხვაგვარად განვითარება.** ცოდნაშემცველი ინფორმაციის თავისუფლად ხელმისაწვდომობა თანამედროვე თაობებში შემეცნებით პროცესებს ასუსტებს და მათ ძალისხმევას ინფორმაციის ტექნიკურ მოწყობილობებში ჩატვირთვისკენ წარმართავს, რითაც გაჯეტების „მახსოვრობა" იზრდება, ადამიანის კი, - მცირდება, რაც, საბოლოო ჯამში, ინდივიდის შემოქმედებით-კრიტიკულ აზროვნებაზე უარყოფითად ვლინდება. ფსიქოლოგები მკაფიოდ მიანიშნებენ ახალ ფსიქოლოგიურ ფენომენზე - ინტერნეტ-დამოკიდებულებაზე, მახსოვრობასთან მიმართებაში კი, - ციფრულ ამნეზიაზე. ძლიერდება ქსელური, „კლიპური" აზროვნება, ნომოფობია (გაჯეტის გარეშე დარჩენის შიში), „გაშვებული სარგებლის სინდრომი", „ყურადღების დეფიციტის სინდრომი", „დროის აღქმის შეუმჩნევლობის სინდრომი" და სხვ.

ამასთან, თანამედროვე თაობების აღნიშნულ კულტურულ ტრენდებს პარადოქსული ხასიათი აქვს: ერთი მხრივ, ციფრულ კულტურულ სივრცეში ისინი ლაღად ორიენტირდებიან, მეორე მხრივ კი, რეალურ ცხოვრებაში კომუნიკაციური უნარები ფორმირებული ჯერ არ აქვთ. ისინი პრეფიგურატიულ კულტურულ სივრცეში არიან, რაც თაობათაშორის ურთიერთობაში საკმაოდ წინააღმდეგობრივია.

**ადამიანის ცნობიერება ციფრულ სამყაროში**

თითქმის 5 საუკუნეა რაც ფილოსოფოსების (ჰობსი, ლოკი, რუსო...) ყურადღება მიიქცია ადამიანის დამოკიდებულებამ გარემოსთან მიმართებაში. მათი აზრით, ყოველ ინდივიდს აქვს შეცდომისაგან დაუზღვეველი გონი და თანდაყოლილი თავმოყვარეობა, რასაც ემატება პირადი უნარ-ჩვევები, ინტერესები და ქცევითი მოტივები. მათი ერთობლიობით ყალიბდება განსხვავებული თვისებების მქონე ადამიანები, რომელთა ქმედება დროსა და გარემოში ფართო დიაპაზონში მერყეობს.

ავსტრიელი სოციოლოგის, კ. მანჰაიმის (K. Mannheim) აზ-

რით, ერთი ეპოქის თაობათა განსხვავებული შეხედულებები დიდ გავლენას ახდენს მათი აზროვნების ფორმირებაზე.[1]

თანამედროვე ახალგაზრდის ცნობიერებაზე დიდი მოცულობის მრავალფეროვანი ინფორმაციის მძლავრი არსენალი მუდმივად ზემოქმედებს. მრავალი კვლევით დასტურდება, რომ ფხიზლად ყოფნის ნახევარზე მეტ დროს ადამიანი ეკრანთან ატარებს და დროის ეს მონაკვეთი სულ უფრო იზრდება.

ჩნდება შეკითხვა: როგორ აისახება აღნიშნული სოციოკულტურული გარდატეხა მის მრავალფეროვან ქცევაზე?

ამ შეკითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა რთულია, თუმცა, ერთი რამ ცხადია - გავლენა მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

საყოველთაო ინტერნეტის ეპოქაში ადამიანისათვის აქტუალური უფრო ღირებული ხდება, ვიდრე მოსალოდნელი, უფრო მყისიერი, ვიდრე პერსპექტიული, უფრო ფაქტობრივი, ვიდრე კონცეპტუალური, უფრო კონსენსუსი, ვიდრე თვითანალიზი...

ტრანსფორმაციას განიცდის ადამიანის სულიერი სფეროს ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა ინფორმაცია, ცოდნა და სიბრძნე. ინტერნეტი ძალისხმევას უფრო მეტად ინფორმაციული სამყაროს ფორმირებაზე აძლიერებს. კონსტრუირდება ინფორმაციის მიწოდების ფუნქციებიც, განსაკუთრებით გლობალურ საძიებო სისტემებში შეკითხვებზე მზა პასუხების მყისიერად მიწოდებისას, არჩევანის დიდი შესაძლებლობებით. თუმცა, ზეჭარბი ინფორმაცია ჭეშმარიტი და ვალიდური ცოდნის მიღებას აფერხებს და სიბრძნისაგან კიდევ უფრო გვაშორებს. შედეგად, ინფორმაციის, ცოდნასა და სიბრძნეს შორის განსხვავება ნელ-ნელა იკარგება.

მართალია ინტერნეტით რაიმე მოვლენის შესახებ ფაქტობრივი ინფორმაცია სწრაფად მოგვეწოდება, მაგრამ მას იშვიათად აქვს თვითახსნის უნარი - ანალიზი და ინტერპრეტაცია. არადა, ყოველი მომხდარი ფაქტი კავშირშია წარმოშობის მიზეზებზე, გარემოებებზე, თანამდევ მოვლენებზე, გავლენის

**1 Маннгейм К. (2000). Очерки социологии знания: Проблема поколений – состязательность – экономические амбиции. М.: ИНИОН РАН, 162 с.**

სფეროებზე, განზრახულობაზე და ა.შ. ამიტომ მოწოდებული ინფორმაცია განხილული უნდა იქნას წარსულის ფართო კონტექსტში, რათა ნამდვილ ცოდნად გადაიქცეს, რის საშუალებას ინტერნეტი ნაკლებად იძლევა.

ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაცია წიგნის წაკითხვით შეძენილ ცოდნას ვერ შეცვლის. მართალია წიგნის კითხვა უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ, სანაცვლოდ, ადამიანის კონცეპტუალურ აზროვნებას ანვითარებს.

ადრე, ცოდნის შეძენისა და გამოცდილების გაზიარების კიდევ ერთი ტრადიციული საშუალება იყო პირადი საუბრები, რითაც ხდებოდა საინტერესო აზრების გაცვლა და მათზე მსჯელობა. დღეს მოკლე ტექსტური შეტყობინებების კულტურა ფართოდ მკვიდრდება, რასაც, ხშირად, სიმბოლოებით მიმოწერა ენაცვლება. ანუ, ფაქტობრივად, ადამიანთა შორის პირდაპირი აზრობრივი კომუნიკაცია სულ უფრო ქრება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

კომპიუტერი, რომელსაც ცალკეული კითხვების კონტექსტის გარეშე მარტივად და სწრაფად დამუშავება შეუძლია, გვაძლევს წარმოუდგენელ შესაძლებლობებს, თუმცა, იმავდროულად, მიღებული ინფორმაციის ადამიანის გონებაში დამახსოვრების სურვილი და უნარი ქვეითდება, მიღებული შედეგები კნინდება და ინფორმაციის მნიშვნელობას წონა ეკარგება. ითრგუნება ადამიანის უნარი საკუთარ თავში ეძებოს და შექმნილი სიტუაციიდან როგორმე იპოვოს რაციონალური გამოსავალი, რადგან მეტად ენდობა ტექნოლოგიით მოწოდებულ მზა ინფორმაციას. ყოველივე ადუნებს დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ გონების სწრაფვას, რაც საბოლოო ჯამში, ნელ-ნელა ცვლის ინდივიდის ხასიათსაც, კერძოდ, ადამიანურობასთან მიმართებაში.

თუ, სულ მცირე, ორი ადამიანი ინტერნეტის საძიებო სისტემაში ერთი და იგივე შეკითხვას შეიყვანს, მაინცდამაინც ერთნაირ პასუხს ვერ მიიღებს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს დახარისხებული და პერსონალიზებული ინფორმაცია მიეწოდება ანუ ისეთი, როგორიც მას ყველაზე უფრო შეესაბამება. ამით აშკარავდება ისიც, რომ ინფორმა-

ცია კარგავს უნივერსალურობის ნიშანს და მიზნობრივი ხდება. მართალია სასურველი ინფორმაცია უფასოდ მოგვეწოდება, მაგრამ, მის სანაცვლოდ, საფასურს ვიხდით საკუთარი მონაცემების გამჟღავნებით, რითაც ჩვენი პიროვნული პროფილი თანდათან იქმნება, რაც შესაძლოა უფრო ზუსტია, ვიდრე ჩვენ თვითონ პირუთვნელად დავიხასიათებდით საკუთარ თავს.

## დასკვნა

• ციფრულმა ტექნოლოგიებმა შექმნა ახალი ციფრული კულტურა, რომელსაც ახასიათებს სამყაროს დუალური აღქმა: ერთი მხრივ, როგორც „ცოცხალი“ (რეალური), მეორე კი, - ტექნოლოგიური.

• ციფრული კულტურა გლობალურ და ლოკალურ განზომილებებში ქმნის სამყაროს ჰიბრიდულ გლოკალურ ტექნოლოგიურ ლანდშაფტს, რომელიც ქსელური ეფექტებით ადამიანებზე ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით ზემოქმედებას.

• „კულტურული სივრცის“ ცნება წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, იგი ებრძვის ტრადიციულს, ადრე დამკვიდრებულს, თუმცა, ადამიანი ფიზიკურად ამ გარემოში არსებობს და კვლავაც იარსებებს; მეორე მხრივ კი, ცნობიერად ამკვიდრებს ვირტუალურს, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებს უპირისპირდება.

• ციფრულ კულტურულ სივრცეს სამი საბაზო კრიტერიუმი აქვს: დრო და სივრცე, ციფრული იდენტობა და კომუნიკაციის ფორმა. თითოეული მათგანი ციფრულ გარემოში ახალ ნიშანთვისებებს იძენს.

• იცვლება ადამიანთა ცნობიერება, ფორმირდება ვირტუალური იდენტობა, დროისა და სივრცის ახლებური აღქმა.

• Aგლობალურ ასპარეზზე გამოდის ახალგაზრდების რამდენიმე თაობა, რომლებიც სხვა ღირებულებებითა და ფასეულობებით აზროვნებენ და ცხოვრობენ.

• თანამედროვე საზოგადოებაში ერთდროულად არსებობს პოსტფიგურატიული, კო(ნ)ფიგურატიული და პრეფიგურატიული კულტურები, აქედან, პირველი ორიენტირე-ბულია წარსულზე, მეორე - აწმყოზე, მესამე კი, - მომავალზე.

## გამოყენებული ლიტერატურა / REFERENCES:

1. ჯოლია, გ. (2017). თაობათა ურთიერთობის სირთულეები ჰოუვ-შტრაუსის თაობათა თეორიის მიხედვით. თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი". #1-2, გვ. 24-30 / / Jolia, G. (2017). Challenges in Receiving Education In light of the Strauss-Howe Generational Theory. Journal „Business-Engineering".Tb., #1-2. P. 24-30.

2. Challenges in Receiving Education In light of the Strauss-Howe Generational Theory. Journal „Business-Engineering".Tb., #1-2. P. 24-30.

3. Oldenburg, R. (1999). The Great good place.New-York, 337 p.

4. Mead, M. (1970). Culture and commitment: a study of the generation gap. New York: The American Museum of Natural History/ Doubleday.

5. Mesh, G. (2009). Internet and Youth Culture//The Hedgehog Review. №1 (11).

6. Turkle, S. (2005). The second self: computers and the human spirit.-England, Twentieth Anniversary Edition, 372 p.

7. Huizinga, J. (2017). Homo ludens. SPb: Ivan limbach Publishing House. 416 p.

8. Быстрова, Н. (2004). Культурное пространство как предмет философской рефлексии //Философские науки. №12 / Bistrova, N. (2004). Cultural Space as the Subject for Philosophical Reflection.

9. Маннгейм, К. (2000). Очерки социологии знания: Проблема поколений – состязательность – экономические амбиции. М. ИНИОНРАН, 162 с. / Mannheim, K. (2000). Essays on Sociology of Knowledge: Problem of a Generation – Competitiveness – Economic Ambitions. M. INIONRAN, 162 p.

10. Стиллман, Д., Стиллман, И. (2018). Поколение Z на работе. Как его понять и найти с ним общий язык. М.: Манн, Иванов и Фербер, 272 с. / Stillman, D., Stillman, J. (2018). Gen Z @ Work. How to Find Common Ground with Them. Mann, Ivanov, and Ferber, 272 p. http:fmsh.nis.edu.kz/wp-content/uploads/2018/09/SHymkent-NISH-FMN-metod_copilka-366.pdf.

# THE PHENOMENON OF DIGITAL CULTURE IN THE MODERN TECHNOLOGICAL WORLD

**Guram Jolia**
PhD, Professor at GTU
g.jolia@gtu.ge

**Nino Jolia**
PhD in Economics

## RESUME

XXI century has witnessed a transition into a technological dimension, and in every human activity, there is now a digital model being implemented.

The substantial change can be observed in culture as well – a new digital culture, completely different from the traditional one, has emerged and views the world from a dual perspective: "live" (real) on the one hand, and technological on the other.

Human consciousness is also changing, bringing selfism, virtual identity, narcissism, global relationships, a novel perception of time and space, defiance of authority, all of which make the generational rift increasingly obvious.

The digital culture that exists in two dimensions (global and local) is creating a new global technological landscape that is no longer bound by geography and through its networks, influences people in both positive and negative ways.

Several new generations have been and are being formed, which differ markedly from the earlier ones and uphold different principles and lead their lives in accordance with different values.

In the cultural cyberspace, on platforms brought about by ever-improving technology, people find a variety of ways to actively exchange information (private messages, public comments) and basically live in the virtual world, thereby creating digital culture.

The notion of “cultural space” is controversial: on the one hand, it goes against the traditional, defying convention, though the human still physically exists in this environment and will continue to do so for the foreseeable future; on the other hand, the human is trying to create and augment virtual realities that go against what is traditionally accepted.

The digital cultural space has three basic criteria: time and space, digital identity, and theform of communication. All three acquires new features in a digital environment.

In the modern society, post figurative, co(n)-figurative, and prefigurative cultures exist simultaneously, with the first being focused on the past, the second – on the present, and the last – on the future.

**Keywords:** culture, digital, virtual, information, content, phenomenon, identity, communication, global, local, glocal, transformation, postfigurative, co(n)figurative, prefigurative.

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების დონეები

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-81**

**გრიგოლ აბრალავა**
სტუ დოქტორანტი

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია საზოგადოებრივ განვითარებაში ბიზნესის მონაწილეობის დონეები. მოცემულია მოდელი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიდგომას პრობლემებისადმი მიძღვნილ თანამედროვე კვლევებში. აღნიშნული მოდელის თანახმად, კორპორაციული მრავალდონიანი სოციალური პასუხისმგებლობა შეგვიძლია წარმოვადგინოთ პირამიდის სახით. განხილული პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეები წარმოადგენს ბიზნესისადმი მოთხოვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მოლოდინებისა და ბიზნესისათვის სოციალური აქტივობის სარგებლიანობის/უსარგებლობის კომბინაციას. გაანალიზებულია ა. კეროლის სოციალური პასუხისმგებლობის დონეების მატრიცა.

დახასიათებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის(კსპ) განვითარების ლიბერალური, ტრადიციული, პარტნიორული, ინტეგრაციული, ინოვაციური დონეები.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დონეები; სოციალური პასუხისმგებლობის პირამიდა; სოციალური პასუხისმგებლობის დონეების მატრიცა.

## შესავალი

ბიზნესს, როგორც ეკონომიკურ საქმიანობას, თავისი სოციალური ფუნქციები გააჩნია. ბიზნესის მთავარი სოციალური ფუნქციაა გადასახადების სრული და დროული გადახდა, ბიუჯეტის შევსება, ასევე საკუთარი თანამშრომლების ღირსეული შრომის ანაზღაურებით უზრუნველყოფა. იმავდროულად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე

მოდელები ბიზნესს მიმართავენ სამ სფეროში - ეკონომიკაში, დასაქმებასა და გარემოს დაცვაში ინიციატივის გამოვლენისკენ. ბუნებრივია, წმინდა სახით ფირმები თავად არ არიან დაკავებული მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრით, არამედ მის რეალიზებას ახდენენ სამოქალაქო გაერთიანებებთან, არაკომერციულ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთქმედებით. სოციალური ფუნქციების რეალიზებისას, პასუხისმგებელი კომპანია აუცილებლად იღებს მოგებას და იცავს კანონებს, ეთიკის ნორმებს, არის სამოქალაქო საზოგადოების კეთილსინდისიერი კორპორაციული წევრი, რომელიც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობას, სოციალურ კეთილდღეობას და ეკოლოგიურ სტაბილურობას.

## საზოგადოებრივ განვითარებაში ბიზნესის მონაწილეობის დონეები

საზოგადოების სოციალურ განვითარებაში ბიზნესის მონაწილეობის ხარისხის ევოლუციისადმი სხვადასხვა მიდგომები არსებობს. გამოვყოფთ მიდგომას, რომელიც არ აკონკრეტებს კსპ კონკრეტული ტიპის უპირატესი გამოყენების პერიოდებს, არამედ გამოყოფს საზოგადოებრივ განვითარებაში ბიზნესის მონაწილეობის დონეებს.

**ცხრილი 1.**

| საზოგადოებრივ განვითარებაში ბიზნესის მონაწილეობის დონეები | | | |
|---|---|---|---|
| | ტრადიციული ქველმოქმედება | სტრატეგიული ქველმოქმედება | სოციალური ინვესტირება |
| მოტივაცია | უანგარობა და დახმარების სურვილი | კომპანიის სტრატეგიული ინტერესი, რომელიც ზომიერადაა დაკავშირებული მისი განვითარების მიზნებთან | კომპანიის გრძელვადიანი ინტერესი, რომელიც ახდენს კომპანიის ინტერესებისა და ადგილობრივი თემის მოთხოვნილებების ინტეგრირებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **საშუალებების მიმღებთა შერჩევის კრიტერიუმები** | ხელმძღვანელობის სურვილები | სიკეთეების მიმღებთა ინტერესების გათვალისწინება, სოციალური ეფექტიანობა | სოციალური ეფექტიანობა, ადგილობრივი თემის მოთხოვნილება და ბიზნეს-სარგებელი (ხშირად, პერსპექტივაში) |
| **ძირითად საქმიანობასთან კავშირი** | არ არის დაკავშირებული | დამოკიდებულია გაშუალებულად | შიდაკორპორაციული პროგრამები - პირდაპირ, ხოლო გარეშე სოციალური პროგრამები - ირიბად ან შემდგომი ეფექტის მოლოდინში. |
| **დაფინანსების მექანიზმები** | საქველმოქმედო შემოწირულობები | საქველმოქმედო შემოწირულობები, სპონსორობა, საგრანტო პროგრამები, რომლებიც არ არის დაკავშირებული კომპანიის ბიზნეს-ინტერესებთან | სექტორთაშორისი სოციალური პარტნიორობა |
| **სოციალური ეფექტი** | დაბალი, ხშირად არაგაზომვადი | ნაწილობრივ გაზომვადი | დროში გაწერილი, გაზომვადი |

1979 წელს ამერიკელმა მეცნიერმა **ა. კეროლმა** შემოგვთავაზა კსპ-ს განმარტება, რომელიც გულისხმობდა „ორგანიზაციისათვის საზოგადოების მიერ წაყენებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ, ეთიკურ და დისკრეციულ მოლოდინებთან შესაბამისობას მოცემულ მომენტში". მოცემული მიდგომა, რომლის საფუძველზეც მოგვიანებით შემუშავდა შესაბამისი მოდელი, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიდგომას კსპ პრობლემებისადმი მიძღვნილ თანამედროვე კვლევებში. აღნიშნული მოდელის თანახმად, კორპორაციული მრავალდონიანი სოციალური პირამიდის საფუძველს წარმნოადგენს ეკონომიკური პასუხისმგებლობა, რომელიც უშუალოდ განისაზღვრება კომპანიის, როგორც საქონლისა და მომსახურებების მწარმოებლის საბაზო ფუნქციით, რომლის მეშვეობითაც იგი აკმაყო-

**ნახ.1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პირამიდა**




ფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და, შესაბამისად, იღებს მოგებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი ბიზნეს-სტრუქტურა, რომელიც ახდენს საზოგადოების წინაშე თავისი ეკონომიკური პასუხისმგებლობის რეალიზებას, სოციალურად პასუხისმგებლიანია. სამართლებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს ბიზნესის კანონმორჩილებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მისი საქმიანობის შესაბამისობას საზოგადოების მოლოდინებთან, რომლებიც ასახულია სამართლებრივ ნორმებში. ეთიკური პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, ბიზნეს-თანამეგობრობისგან მოითხოვს საზოგადოების მოლოდინებთან სინქრონიზაციას სამართლებრივი ნორმებისგან დამოუკიდებლად, არსებული მორალის ნორმების შესაბამისად. ფილანტროპული (დისკრეციული) პასუხისმგებლობა უბიძგებს ბიზნესს საზოგადოების კეთილდღეობის შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ მიმართული მოქმედებებისკენ სოციალური პროგრამების რეალიზაციაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის გზით. რასაკვირველია, კსპ-ს როგორც „პირამიდის“ განმარტება არ ხსნის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას,

თუმცა, გარკვეულწილად იძლევა მათი სისტემატიზების შესაძლებლობას. ჩვენი აზრით, განხილული დონეები ყველაზე მეტად ასახავს კსპ-ს ფუნქციებს.

კსპ-ს კონცეფციების შემუშავებისას მოცემული პრობლემის მკვლევარები ძალზე ხშირად იყენებენ სოციალური პასუხისმგებლობის დონეებისა და მათი პირამიდისებრი აგებულების ცნებას. ჩვეულებრივ, პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეები წარმოადგენს ბიზნესისადმი მოთხოვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მოლოდინებისა და ბიზნესისათვის სოციალური აქტივობის სარგებლიანობის/უსარგებლობის კომბინაციას. რაც უფრო მაღალია ბიზნეს-სტრუქტურის სოციალური პასუხისმგებლობის დონე, მით უფრო მეტ ვალდებულებას იღებენ ისინი საკუთარ თავზე ნებაყოფლობით. ამის შესაბამისად, ს. ბრატიუშენკო და ვ.სელივერსტოვი **წარმოადგენენ სოციალურ პასუხისმგებლობას სამდონიანი პირამიდის სახით(სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის დონის მიხედვით)**(ნახ. 2.).

**ნახ. 2. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დონეები**





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

**პირველი დონე, საბაზისო,** წარმოადგენს სოციალური პასუხისმგებლობის სავალდებულო მდგენელს - ეს არის კანონების (საგადასახადო კანონმდებლობა, შრომისა და სამოქალაქო კოდექსები) დაცვა. თუ კანონს არ იცავენ, არ შეიძლება საუბარი არანაირ სოციალურ პასუხისმგებლობაზე: მეწარმე არღვევს მისი საქმიანობისათვის დაწესებულ ვალდებულებებს. **მეორე და მესამე დონეები მიეკუთვნება სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით მდგენელებს.** ეს ორი საფეხური განსხვავდება სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის რეალიზაციის მოტივებით. მეორე დონე წარმოადგენს ეკონომიკური სარგებლის მისაღებად სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის რეალიზაციას. ეკონომიკურ სარგებელში შეიძლება მოიაზრებოდეს ორგანიზაციის იმიჯის გაუმჯობესება მისი პროდუქციის მომხმარებლებისა და მომუშავეებისთვის, საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება, კომპანიის არსებობისა და განვითარებისთვის ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა. მესამე დონე მოიცავს სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის იმ სახეობებს, რომლებიც არ ისახავენ მიზნად ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ეს გახლავთ საზოგადოებაში ორგანიზაციის ადგილისა და როლის გაცნობიერების უფრო მაღალი დონე. მსგავსი მოქმედებები შეიძლება იყოს კიდეც ეკონომიკური მოგების მომტანი, თუმცა ეს მათ მიზანს არ წარმოადგენს. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სამი დონე თვალნათლივ წარმოაჩენს კონკრეტული საწარმოს სიმწიფის სტადიებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არამართლზომიერია კსპ-ს განხილვა როგორც მთლიანად საზოგადოებასთან, ასევე ბიზნეს-თანამეგობრობასთან მიმართებით. ჩვენი აზრით, ნებისმიერმა ბიზნეს-კომპანიამ, რომელიც ობიექტურად აფასებს თავის როლსა და დანიშნულებას, თავისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში უნდა გაიაროს განსაზღვრული გზა კსპ საფეხურებისა და დონეების მიხედვით - დაბალი (საბაზისო) დონიდან მაქსიმალურად მაღალ დონემდე. რომელ საფეხურზე კონცენტრირდება იგი - დამოკიდებულია როგორც თავად ბიზნეს-

სტრუქტურის, ასევე დაინტერესებული მხარეების სისტემის სპეციფიკაზე. ეს უკანასკნელი მოიცავს მომხმარებლებს, მესაკუთრეებს, თანამშრომლებს, მომწოდებლებს, კონკურენტებს, სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივ თანამეგობრობებსა (თემს) და მთლიანად საზოგადოებას.

ყოველი დაინტერესებული მხარე, თავის მხრივ, უყენებს ბიზნესს ეკონომიკურ, სამართლებრივ, ეთიკურ და ფილანტროპულ მოლოდინებს, რომლებიც შეესაბამება კსპ „პირამიდას". ა. კეროლმა შემოგვთავაზა კსპ-ს გაანალიზება მატრიცის მეშვეობით, რომელიც ასახავს კომპანიის „პასუხისმგებლობების" სისტემას დაინტერესებული მხარეების შესაბამის მოლოდინებთან მიმართებით, რითაც თავიანთ მოდელს აძლევენ დასრულებულ ფორმას (ცხრ.2.). შესაბამისად, ყოველ კომპანიას უწევს რეაგირება წინააღმდეგობრივი მოლოდინების ურთულეს სისტემაზე და შესაბამისი რაციონალური გამოხმაურების გამომუშავება. ამასთან, კომპანიის მენეჯმენტი იძულებულია გადაჭრას პრობლემათა ერთობლიობა, როგორიცაა დაინტერესებული მხარეების რანჟირება, ყოველი დაინტერესებული მხარის შემხვედრი მოლოდინების კონფიგურაციების დაბალანსება, დაინ-

**ცხრილი 2.**

| დაინტერესებული მხარეებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დონეების მატრიცა | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დონეები | | | |
| | ეკონომიკური | სამართლებრივი | ეთიკური | ფილანტროპული |
| მესაკუთრეები # | # | # | # | # |
| მომხმარებლები# | # | # | # | # |
| თანამშრომლები# | # | # | # | # |
| ადგილობრივი თემი# | # | # | # | # |
| კონკურენტები# | # | # | # | # |
| მომწოდებლები# | # | # | # | # |
| აქტივისტთა ჯგუფები# | # | # | # | # |
| მთლიანად საზოგადოება# | # | # | # | # |
| სხვა# | # | # | # | # |

ტერესებულ მხარეთა მთელ სისტემაში მოლოდინებისა და გამოხმაურებების წინააღმდეგობების, სინერგიის პრობლემის და ა.შ. დაბალანსება.

განსაკუთრებული გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს **კსპ განვითარების ხუთი დონის გამოყოფას** დაინტერესებული მხარეებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩასატარებლად ახლად შექმნილი სამეწარმეო სტრუქტურების მოზიდვის თვალსაზრისით და თავიანთი ბიზნეს-საქმიანობის პროცესში სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის გამოსამუშავებლად, რაც შემოგვთავაზა ს.ა. სტრიჟოვმა (ცხრ. 3.).

**პირველი დონე (ლიბერალური)** დაკავშირებულია პერიოდთან, როცა კომპანია პირველად აღმოჩნდება პირისპირ წარმოქმნილი ამოცანების წინაშე. ამ სიტუაციაში ხშირად მუშაობს პრინციპი, რომელიც თავის დროზე ჩამოაყალიბა მ. ფრიდმენმა. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბიზნესი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი აქციონერების შემოსავლის გადიდებაზე. ამ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესების აღიარება საკმაოდ შეზღუდულ და ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნას, მაგალითად, ქველმოქმედების გზით. ხელისუფლებასთან ურთიერთობები უმთავრესად განიხილება კანონმდებლობის დაცვისა და გადასახადების გადახდის პოზიციიდან.

**მეორე (ტრადიციულ) დონეზე** კსპ-სა და შემოქმედებითი განვითარების ამოცანები ლეგიტიმურად არის მიჩნეული და მოითხოვს კონსტრუქციულ რეაქციას. დაიწყო საუბრები კსპ-ს სტანდარტიზაციასა და მის გაზომვაზე. კსპ-ს მასშტაბი ფართოვდება, თუმცა ძირითადად მას პიარად აღიქვამენ. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედების შესამჩნევი გააქტიურებისას მას ხშირად ცალმხრივი ხასიათი აქვს. აღნიშნული დონე ხასიათდება იძულებითი ქველმოქმედებით, როცა ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ბიზნეს-სტრუქტურებისგან მიღებული სახსრები მიემართება არა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, არამედ უმეტესად არაეფექტიანი სოციალური ინფრასტრუქტურის შესანახად.

*ცხრილი 3.*

| კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების დონეები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მაჩვენებლები / კსპ დონეები** | **ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპი** | **პერსონალის საქმიანი მოტივაცია** | **კსპ პროცესის კოორდინაცია კომპანიაში** | **დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედება** | **ხელისუფლებასთან ურთიერთდამოკი-დებულება** |
| **ლიბერალური** *(ნებაყოფლობითი ქველმოქმედება)* | ბიზნესი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი აქციონერების შემოსავლების გადიდებაზე | ნორმატიული მოთხოვნების ფარგლებში | საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებები | ფილანტროპია | კანონმდებლობის დაცვა და გადასახადების გადახდა |
| **ტრადიციული** *(იძულებითი ქველმოქმედება)* | ბიზნესი ახორციელებს საწარმოს მუშახელის სოციალურ მხარდაჭერას | რისკების შემცირება და ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედება | დირექტორთა საბჭოებთან არსებული სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტები | ურთიერთქმედებების ცალმხრივი ხასიათი | საქველმოქმედო შემოწირულობები ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროექტებისათვის |
| **პარტნიორული** *(თანაბარუფლებიანი ურთიერთქმედება)* | ბიზნესი ახორციელებს სოციალურ ინვესტირებას, მონაწილეობს ეროვნული პროექტების რეალიზაციაში | რისკების წინსწრებით მართვა, საქმიანი რეპუტაციის შექმნა და გადაწყვეტილებათა ერთობლივი შემუშავება | არასაფინანსო რისკების მართვის კომიტეტები ან კომისიები | ორმხრივი დიალოგი | ხელისუფლების ორგანოებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება |
| **ინტეგრაციული** *(კორპორაციული მოქალაქეობა)* | კომპანიის სოციალური პროგრამების ჩაშენება მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებში | გრძელვადიანი კორპორაციული მიზნებისა და საზოგადოების პრობლემების ურთიერთდაკავშირება | კორპორაციულ ურთიერთობათა დეპარტამენტები | კორპორაციული მოქალაქეობა | ხელისუფლების, ბიზნესისა და საზოგადოების ინტერესების კონგრუენტული სისტემა |
| **ინოვაციური** *(პროგრესული ალიანსები)* | ბიზნესის მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის რეალიზაციაში | კსპ ყურადღების გადანაცვლება სისტემური ცვლილებების, მომავალი ბაზრების, ბიზნეს-სტრუქტურებისა და მოდელებისკენ | კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მონაწილეობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში | საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაზე ორიენტირებული პროგრესული ალიანსები. | ხელისუფლების სტრუქტურებთან ურთიერთქმედება პროგრესულ ალიანსებში. |

**მესამე დონე (პარტნიორული)** გულისხმობს თანაბარუფლებიან ურთიერთქმედებას და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედება გადაიქცევა ორმხრივ დიალოგად საზოგადოების უფრო ფართო მასებთან; ყალიბდება უფრო მჭიდრო შრომითი ურთიერთობები ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან; კომპანიები თავიანთ საქმიანობაში იწყებენ სოციალური ანგარიშგების გამოყენებას; საქმიანი მოტივაცია კონცენტრირებულია რისკების წინსწრებით მართვაზე, საქმიანი რეპუტაციის შექმნასა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

**მეოთხე დონისთვის** დამახასიათებელია ინტეგრაციული პროცესები. აღნიშნულ პერიოდში კსპ პრობლემები აღიქმება როგორც მეტად სტრატეგიული, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ პასუხს კომპანიების და ფასეულობის შექმნის მთელი ჯაჭვის მხრიდან. აღნიშნული დონისთვის ასევე დამახასიათებელია კომპანიათა უმაღლესი ხელძღვანელობის მონაწილეობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში; კომპანიები ურთიერთქმედებენ სამოქალაქო საზოგადოებასთან და სახელისუფლებო სტრუქტურებთან პროგრესულ ალიანსებში, რომლებიც მიმართულია საერთო მიზნების მისაღწევად; ძირითადი ყურადღება ეთმობა კსპ მიზნების ინტეგრირებას ბიზნეს-პროცესებში, ნაწარმის შემუშავებით ან მომსახურების ჩამოყალიბებით დაწყებული; საქმიანი მოტივაცია სულ უფრო სტრატეგიულ ხასიათს იძენს იმის კვალდაკვალ, თუ როგორ იწყებენ კომპანიები გრძელვადიანი კორპორაციული მიზნებისა და საზოგადოების პრობლემების დაკავშირებას.

**მეხუთე (ინოვაციური) დონე** განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ქვეყანა, ამჟამინდელ კრიზისულ პირობებში, დგას ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის არჩევისა და რეალიზაციის, სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების ძალისხმევის კონცენტრაციის აუცილებლობის წინაშე, რათა მოხდეს პრინციპულად ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების ათვისება, მოძველებული წარმოებრივი აპარატის ინოვაციური განახლება, სტრა-

ტეგიის არჩევასა და რეალიზაციაში სახელმწიფოს როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება. ამგვარ სიტუაციაში კსპ-ს წინაშე პრინციპულად ახალი ამოცანები დგება. საუბარია ყურადღების გადატანაზე სისტემურ ცვლილებებზე, მომავალ ბაზრებზე, ბიზნეს-სტრუქტურებსა და მოდელებზე. ამასთან, პროგრესული ალიანსების ფასეულობათა სისტემა იცვლება, აქცენტი კეთდება საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ბაზრების რეგულირებაზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზემოთ განხილული დონეები და მისი გამოვლენის ხარისხი ადასტურებს მოსაზრებას, რომ ნებისმიერი კომპანიის ნაბიჯი კსპ-ს მიმართულებით იმსახურებს მოწონებას და მხარდაჭერას. ამასთან, მკაფიოდ უნდა გავაცნობიეროთ, რამდენად რთული და ხანგრძლივი ძალისხმევა დასჭირდება როგორც ბიზნეს-სტრუქტურების შიგნით, ასევე მის გარეთ როგორც შინაგანი სკეპტიციზმის, ასევე გარეშე უნდობლობის, ინერციის სხვა ფორმების დაძლევას სასურველი შედეგის მისაღწევად.

## დასკვნა

კსპ-ს, როგორც მდგრადი განვითარების მართვის სისტემას, კომპანიებისთვის მოაქვს ეფექტიანი შედეგი მინიმუმ შემდეგი ფორმებით: იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის, კაპიტალიზაციის ზრდის; შრომითი კოლექტივის ერთსულოვნების განმტკიცების; საზოგადოებისათვის კომპანიის გამჭვირვალობის განვითარების; საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების; მდგრად ეროვნულ განვითარებაში სოციალური წვლილის შეტანის გზით.

სოციალური საკითხების გადაჭრაში ბიზნესის მონაწილეობის ძირითადი მიზეზებია: სახელისუფლებო სტრუქტურების ზეწოლა; ბაზრის ზეწოლა, ბიზნესის დაკარგვის შიში; ვალდებულებები საზოგადოების წინაშე; დადებითი რეპუტაციის მიღება; კომპანიის წინმსწრები განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროკავშირის 2011-2014 წლების სტრატეგია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ https://goo.gl/D4Hsig

2. Благов, Ю.Е. Концепция корпоративной социальной ответственности и стратегическое управление / Ю.Е. Благов // Российский журнал менеджмента. - 2004.- №3. - С. 17-34.

3. Братющенко, С.В. Социальная ответственность предпринимательства: обзор концепций // Актуальные проблемы социально-экономического развития: взгляд молодых ученых. - Новосибирск: Изд-во ИЭОПП СО РАН, 2005. - С. 166-178.

4. Стрижов, С.А. Формирование и развитие системы корпоративной социальной ответственности в современной экономике России / Автореферат дисс. доктора эконом.наук. - М., 2007. - 47с.

5. БРАТЮЩЕНКО С. В. СЕЛИВЕРСТОВ В. Е. КОРПОРАТИВНАЯ СОЦИАЛЬНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ БИЗНЕСА КАК ИНСТИТУТ ГОСУДАРСТВЕННО-ЧАСТНОГО ПАРТНЕРСТВА И ЭФФЕКТИВНОЙ РЕГИОНАЛЬНОЙ И СОЦИАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ. ИЭОПП СО РАН, Новосибирск статья в журнале .Номер: 4. 2007Г. Стр: 189-206.

6. Carroll, A. The pyramid of corporate social responsibility: Toward the moral management of organizational stakeholders / A. Carroll // Business Horizons, 1991. - P. 39-4

7. Maignan, Isabelle. Corporate Social Responsibility in Europe and the U.S.: Insights from Businesses' Self-Presentations / I. Maignan, D.A. Ralston // Sage library in business and management (London); ed.: D.A. Crane, D. Matten. - London: SAGE Publication, 2008. - Vol.3. - P. 127-142.

**REFERENCES:**

1. EU Strategy for Corporate Social Responsibility 2011-2014 https://goo.gl/D4Hsig

2. Blagov, Yu.E. The concept of corporate social responsibility and strategic management / Yu.E. Blagov // Russian Journal of Management.- 2004-No. 3.- S. 17-34.

3. Bratyushchenko S.V. Social responsibility of entrepreneurship: a review of concepts // Actual problems of socio-economic development: the view of young scientists. - Novosibirsk: IEOPP SB RAS, 2005. - S. 166-178.

4. Strizhov, S.A. Formation and development of the system of corporate social responsibility in the modern economy of Russia / Abstract of diss. Doctor of Economic Sciences.- M., 2007. - 47p.

5. Bratiushchenko S.V., Seliverstov V.E. Corporate Social responsibility of Business as an Institute Of Public-private Partnership and effective Regional and Social Policy. IEOPP, Novosibirsk, journal article. Number: 4. 2007. Pages: 189-206.

6. Carroll, A. The pyramid of corporate social responsibility: Toward the moral management of organizational stakeholders / A. Carroll // Business Horizons, 1991. - P. 39-4

7. Maignan, Isabelle. Corporate Social Responsibility in Europe and the U.S.: Insights from Businesses' Self-Presentations / I. Maignan, D.A. Ralston // Sage library in business and management (London); ed.: D.A. Crane, D. Matten. - London: SAGE Publication, 2008. - Vol.3. - P. 127-142.

# LEVELS OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY DEVELOPMENT

**Grigol abralava**
GTU PhD student

## RESUME

The paper discusses the levels of business participation in public development. The model is given, which represents one of the main approaches in modern studies devoted to problems. According to this model, we can represent corporate multi-level social responsibility in the form of a pyramid. The different levels of responsibility discussed represent a combination of requirements for business, expectations from the society and the state and the usefulness or uselessness of social activity for business. A. Carroll's social responsibility levels matrix is analyzed. The liberal, traditional, collaborative, integrative, innovative levels of Corporate Social Responsibility development are characterized.

**Keywords:** Levels of business social responsibility; The pyramid of social responsibility; Matrix of levels of social responsibility.

# ადგილობრივი შრომის ბაზარი და დასაქმება პროფესიული განათლებით

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-118

**გიორგი მამულაშვილი,**
სტუ დოქტორანტი
mamulashvili.gio@gtu.ge

**თინათინ იაშვილი,**
მეცნიერ-ხელმძღვანელი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ პროფესორი
iashvili.tina@gmail.com

**რეზიუმე**

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას აქვს. კერძო სექტორის სტიმულირების პარალელურად, აუცილებელია დასაქმების ბაზრის მაღალკვალიფიციური კადრით გაჯერება და ამისათვის რიგი ღონისძიებების გატარება. ბიზნესზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შედეგად, ბოლო წლებში საქართველომ მიაღწია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას და ბოლო წლებში რეგიონში ეკონომიკური შოკებიც შეინიშნება, უნდა ითქვას, რომ საქართველომ შეინარჩუნა ეკონომიკური სტაბილურობა. თუ არ ჩავთვლით კორონა ვირუსით განპირობებულ მსოფლიო კრიზისს და აღნიშნულით გამოწვეულ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს ქვეყანაში. აღნიშნულის მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2019-2023 წლებში საშუალო ვადიანი პერსპექტივისთვის მშპ-ის რეალური ზრდა 4.9% უნდა იყოს. თუმცა, პანდემიიდ-

ან გამომდინარე, შესაძლებელია საერთო სურათი დრამატულად შეცვლილი და შემცირებული იყოს.

**საკვანძო სიტყვები:** დასაქმების ბაზარი, ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური რეფორმები, კვალიფიციური სამუშაო ძალა.

## ძირითადი ტექსტი

სიახლე არ იქნება თუ ვიტყვით, რომ 2009 წლიდან საქართველოში უმუშევრობის დონე სტაბილურად შემცირებისკენ სვლით შეინიშნება, თუმცა მუდმივად არის პრობლემები, რომელიც ქალებისა და დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების დასაქმებას უკავშირდება. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს თვითდასაქმებული ადამიანების რიცხვი, რომელთა საქმიანობა ეხება საკუთარ მეურნეობებში მუშაობას და მათი, როგორც თვითდასაქმებულების ერთიანი ფორმალიზებული ბაზა არ გაგვაჩნია.

დასაქმების პრობლემებით დაინტერესებული ადამიანების აზრით, აუცილებელია დასაქმების ბაზარზე საჭიროებების დადგენა და იმის გაანალიზება, თუ რომელი პროფესიის ადამიანებით არის გაჯერებული ესა თუ ის დარგი და რომელი მიმართულებით გვჭირდება უფრო მეტი პროფესიონალი. დამსაქმებლების აზრით, საკმაოდ ეფექტიანია კადრების გადამზადების პრაქტიკა ადგილზე, ორგანიზაციასა თუ საწარმოში. ასევე, კიდევ ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც დამსაქმებელთა განწყობების შესასწავლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით უკვე რამდენიმეჯერმე განხორციელდა, ძირითად პრობლემად დამსაქმებლის მოთხოვნებსა და პროფესიული განათლების მქონე პირების კვალიფიკაციას შორის შეუსაბამობა დადგინდა. შესაბამისად საქართველოში დამსაქმებლისათვის ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია გარკვეული პროფესიების ადამიანების მოძიება, რაც ამცირებს დასაქმებული ადამიანების რაოდენობას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე საგრძნობლად მაღალია – 20,6% , რაც თავისთავად ცხადია არასახარბიელო რიცხვია.

საქართველოს ხელისუფლებას მიზნად აქვს დასახული გაატაროს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მოიძიოს რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი სამუშაოს მაძიებელთათვის. ამ კუთხით სახელმწიფოს მთავარი ინსტრუმენტია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველის სფეროში მოქმედი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებელთა ინდივიდუალურ მიღებას, მათი საჭიროებების გათვალისწინებით კონკრეტული ვაკანსიების შეთავაზებას, სამუშაოს მაძიებელთათვის კარიერის დაგეგმვის ინდივიდუალური სერვისების განხორციელებას. სააგენტო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის იყენებს მის მიერვე ადმინისტრირებულ შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემას www.worknet.gov.ge, რომელიც შესაძლებელს ხდის თავი მოუყაროს ყველა სამუშაოს მაძიებელს, ვისაც სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება. საქართველოში დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები წლების განმავლობაში მიბმული იყო მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამებს, რაც ძალიან დიდ სირთულეებს უქმნიდა დასაქმების ჯანსაღ პროცესს. კერძოდ, მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ სოციალურ საკითხში სჭირდებოდა მხარდაჭერა, სისტემაში არსებული წესის გამო ხვდებოდა სამუშაოს მაძიებელთა ერთიან სისტემაში, რაც შეუძლებელს ხდიდა რეალურად დასაქმების მსურველი მოქალაქეების ბაზის ეფექტურად მუშაობას. მაგალითად, მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანი შვილებისთვის სოციალური დახმარება სჭირდებოდა და ამ მიზნით სოციალური შემწეობის მიმღებად რეგისტრირდებოდა, მისთვის სავალდებულო იყო სამუშაოს მაძიებლადაც დარეგისტრირებულიყო. ერთის მხრივ ეს შეიძლება მისთვის თეორიული შანსი იყო დაეწყო სამსახური და მიელო შემოსავალი, თუმცა ინდივიდუალური კონსულტირების სერვისის არარსებობის გამო

მათი სისტემაში პირობითი რეგისტრაცია ყოველგვარ რეალურ საფუძველს სცდებოდა. ახალი მიდგომის მიხედვით, სოციალ-ურად დაუცველი სამუშაოს მაძიებელი სახელმწიფოს მხადრა-ჭერით უნდა გადავიდეს სოციალურად დაუცველის მდგომა-რეობიდან დასაქმებულის სტატუსის მქონე მდგომარეობაში. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე გენდე-რული თანასწორობის საკითხი და ქალების გააქტიურება ის-ეთი პროფესიების მიმართულებით, რომელიც საზოგადოებაში სტერეოტიპულად მხოლოდ მამაკაცის საქმეა. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, მოხდება ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესე-ბა და სოციალური გარანტიების შექმნა.

**REFERENCES:**


1. Unemployment rate 2021 National Statistics Office of Georgia (last verified on 23.02.2022) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
2. Report of the State Employment Promotion Agency https://moh.gov.ge/uploads/files/2021/Dasaqmebis-xelshewyobis-saagentos-angarishi--2020-2021.pdf
3. Labor Market Management Information System http://worknet.gov.ge/

# LOCAL LABOR MARKET AND EMPLOYMENT WITH VOCATIONAL EDUCATION

**Giorgi Mamulashvili**
PhD Student of GTU
mamulashvili.gio@gtu.ge

**Tinatin Iashvili**
Scientific Supervisor, GTU Professor
The Faculty of Business Technologies
iashvili.tina@gmail.com

## RESUME

One of the crucial factors for accelerating the economic growth of any country is the efficient functioning of the labor market. In parallel with stimulating the private sector, it is necessary to saturate the employment market with highly qualified staff and take a number of measures to do so. As a result of business-oriented economic reforms and macroeconomic stability, Georgia has achieved significant economic growth in recent years. Despite the fact that the country is facing constant challenges and economic shocks have been observed in the region in recent years, it must be said that Georgia has maintained economic stability. If we do not take into account the global crisis caused by the Corona virus and the number of economic problems caused by it in the country. Despite this, the International Monetary Fund forecasts that real GDP growth for the medium-term outlook for 2019-2023 should be 4.9%. However, due to the pandemic, the overall picture can be dramatically altered and reduced.

**Keywords:** Employment market, economic growth, economic reforms, qualified labor force.

# გლობალური პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-123**

**ქეთევან შენგელია**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
ketevanshengelia@yahoo.com

**რეზიუმე**

პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა მთელი მსოფლიოს ქვეყნებისთვის. ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებზე აისახა. სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ გაუარესდა ადამიანთა ცხოვრების დონე პანდემიის შედეგად. განხილულია უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებლების ზრდა, რაც აღრმავებს სიღარიბეს, ქონებრივ დიფერენციაციას.

საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელია მეტი დივერსიფიკაცია. მხოლოდ ტურიზმის იმედად ვერ ვიქნებით. უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე, წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვით სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, უფრო მეტად დააფასებენ საკუთარი ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებულ მუშა-

კებს მისცემენ კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას. შედეგად ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ქვეყნის ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და ცხოვრების დონე.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ეკონომიკა, მიწოდების უარყოფითი შოკი, პანდემია, ცხოვრების დონე.

## შესავალი

მსოფლიო რადიკალურად შეცვალა 2020 წლის პანდემიამ და სავარაუდოდ არასოდეს გახდება ისეთი, როგორიც იყო. შეიცვალა ურთიერთობები, ბიზნესი და ეკონომიკა სრულიად ციფრული გახდა და ამით საინფორმაციო ტექნოლოგიებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მნიშვნელობა - გლობალური კაპიტალისტური სამყაროს მართვა ერთი პატარა კლავიატურის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. ახალმა კორონავირუსმა მსოფლიოს წამყვანი აქტორები ერთ ოთახში გამოკეტა და დაუმტკიცა, რომ მთავარი ფული კი არა, ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა.

2020 წლის 12 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ის გავრცელებას პანდემიის სტატუსი მიანიჭა და მას შემდეგ უკვე ორი წელია შეზღუდვები ხან მკაცრდება, ხან ოდნავ მსუბუქდება. საქართველოში 2022 წლის თებერვლის მონაცემებით კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე ვირუსით ინფიცირებული 1 304 603 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა. აქედან 15 212 ადამიანი გარდაიცვალა[1]. აშშ-ში გარდაცვლილთა რაოდენობა ერთ მილიონზე არის 2771; რუსეთში-2297; თურქეთში -1032; ისრაელში-980; ჩინეთში-3[2]. საქართველოში ყველაზე რთული სიტუაციაა!!.

არც ერთი თეორია არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა ტიპის

1 https://stopcov.ge/
2 https://www.trt.net.tr/georgian/covid19

საზოგადოებაში ვცხოვრობთ ამჟამად და რა გველოდება მომავალში. საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია. თუმცა როგორც ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორიიდან არის ცნობილი, ეკონომიკური კონიუქტურის დინამიკას რიტმულობა ახასიათებს, დაქვეითებას მოყვება აღმასვლა და სწორედ ასეთი აღმასვლის მოლოდინში ვართ დღეისთვის. ნელ-ნელა მსოფლიო გამოდის ამ კრიზისიდან, თუმცა დარჩა მრავალი პრობლემა, რომელიც მოითხოვს დასკვნების გაკეთებას. გაურკვეველია როგორი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდება მსოფლიოში. პრიორიტეტები ჩამოყალიბების ეტაპზეა.

## ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევების მიხედვით, მსოფლიო პანდემიის შედეგად მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, სადაც გლობალიზაციის და მომსახურების წილია მაღალი, უფრო მეტი ეკონომიკური კლება გამოიწვია, ვიდრე განვითარებადმა ქვეყნებმა. 2020 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკა **შემცირდა**[1] 4,4%-ით, აშშ-ს ეკონომიკა შემცირდა 4,3%-ით, ევროპის-8,3%-ით, ლათინური ამერიკის 8,3%-ით, აფრიკის 3,0%-ით, განვითარებადი აზიის 1,7%-ით, შუა აღმოსავლეთის 4,1%-ით, საქართველოში კი შემცირდა 6,8%-ით[2].

საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა დოლარიზაციის მაღალი დონით, ამიტომ დიდად არის დამოკიდებული მისი ეკონომიკა საგარეო ფაქტორებზე. **პანდემიის შოკმა** მნიშვნელოვნად

1 მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა, ოქტომბერი, 2021წ. https://nbg.gov.ge

2 https://www.geostat.ge/ka




გააუარესა ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტად დაზარალდა ისეთი სფეროები, როგორიცაა გართობა, დასვენება, სასტუმროები, ტურიზმი. აშშ-ში ამ სექტორებში უმუშევრობის მაჩვენებელმა 14,7 % შეადგინა, შესაბამისად 20 მილიონი სამუშაო ადგილი დაიკარგა. იაპონიაში იმავე პერიოდის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელმა 2,5 % შეადგინა, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 5,8%-ს აღწევს და შესაბამისად 373 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. კანადაში უმუშევრობამ 13%-ს გადააჭარბა, რაც 7 მილიონამდე უმუშევარს ნიშნავს[1]. საქართველოს უმუშევრობამ 2021 წლის მეორე კვარტლისთვის პიკს მიაღწია და 22,1% გაუტოლდა, რაც 344,6 ათას კაცს შეადგენს. სამუშაო ძალა აღნიშნული პერიოდისთვის არის 1მლნ 559ათასი კაცი.[2]

პანდემიის ტვირთი ორმაგად უარყოფითად აისახება ბიუჯეტის მდგომარეობაზე. ერთი მხრივ მცირდება საგადასახადო შემოსავლები, მეორე მხრივ-პანდემიის დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებები კიდევ უფრო მეტად აღრმავებენ სახელმწიფო დანახარჯების წილს. ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობის ხარჯების გარდა აუცილებელი გახდა ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვის და ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით. შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა. მოხდა ახალი ფისკალური ჩარჩოს შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღო-

1 https://forbes.ge/blogs/covid-19-e1-83-98-e1-83

2 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

ნისძიებების დასაფინანსებლად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი განისაზღვრა 8,5 %.

საჭირო გახდა ეკონომიკის მეტი დივერსიფიკაცია. მარტო ტურიზმის იმედად ვერ დავრჩებით. უნდა განვითარდეს სხვა დარგებიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. პოლიტიკოსებმა უნდა ირწმუნონ ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთად ვართ ძლიერები, მხოლოდ ერთად გადავრჩებით და დავძლევთ მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

ამ გლობალურ საფრთხეს სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვანაირად უპასუხა. საქართველომ 3,5 მილიარდი ლარი გამოყო პირველადი ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით. დონორი ქვეყნებიდან შემოვიდა 3,8 მილიარდი დოლარი, თუმცა მისი განაწილება გამჭვირვალე არ ყოფილა. საქართველოში თვითდასაქმებულების მესამედმა მიიღო 300 ლარიანი დახმარება. საერთო ჯამში 2020 წლის ნოემბრისთვის 249 ათას ადამიანს 74,5 მილიონი ლარი ჩაერიცხა. ხოლო პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილებისთვის გამოყოფილ იქნა 450 მლნ ლარი, თუმცა მისი მესამედიც არ იქნა ათვისებული. დახმარება 162 220-მა ბენეფიციარმა მიიღო, რაზეც ჯამში 129 მილიონი ლარი დაიხარჯა. პროგრმა 2021 წელსაც გაგრძელდა. კომუნალური დახმარების პროგრამაზე 173 მილიონი ლარი დაიხარჯა, რომელიც ზამთრის პერიოდში გრძელდებოდა. 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე დახმარება 225 000 ბავშვზე გაიცა და აღნიშნულ პროგრამაზე 185 მილიონი ლარი დაიხარჯა. დახმარება იყო 200 ლარი თითოეულ ბავშვზე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სამშენებლო სექტორმა და ტურიზმის სექტორმა ყველაზე მსხვილი მოცულობის დახმარბის პაკეტი მიიღეს. სამშენებლო სექტორს 434 მილიონი ლარი გამოეყო, ტურიზმის სექტორს კი 200 მილიონი ლარი. 2021 წლისთვის მთავრობამ გააგრძელა ეკ-

ონომიკის სუბსიდირება განახლებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში. 1,1 მილიარდი ლარი განაწილდა მოსახლეობაზე და ბიზნესზე თითქმის თანაბარი მოცულობით, 545 მილიონი და 515 მილიონი შესაბამისად. [1]

ანტიკრიზისულმა გეგმამ მართალია შეამსუბუქა მოსახლეობის პრობლემები პანდემიის პერიოდში, მაგრამ საკმაოდ მცირე მოცულობის იყო. სამუშაოს გარეშე დარჩენილთა 200 ლარიანი დახმარება არასაკმარისი იყო, მით უფრო რომ გამოყოფილი ბიუჯეტის მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა. ფაქტიურად მათ მიიღეს საარსებო მინიმუმის ტოლი თანხა.

ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ასევე საკრედიტო ვალდებულებების გადავადება და საშემოსავლო გადასახადის გაუქმება პირველ 750 ლარზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის.

მიუხედავად მთავრობის მრავალმხრივი მცდელობისა მოსახლეობა უკმაყოფილოა სამომხმარებლო საქონელზე მაღალი ფასების გამო. ფასების ზრდა განსაკუთრებით სურსათზე, მედიკამენტებზე და კომუნალურ გადასახადებზე აისახა. მაღალი ინფლაცია განპირობებულია საერთაშორისო ბაზრებზე არსებული პროცესებით. ძვირდება იმპორტირებული პროდუქცია. ასევე შარშანდელმა სუბსიდიამ მნიშვნელოვნად გააძვირა სამომხმარებლო საქონელი. ფასების ზრდის პროცენტულმა ცვლილებამ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 14%-ს მიაღწია.[2] სწორედ მაღალი ინფლაციის გამო ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი და კვლავ 10,5% დატოვა, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ლარი ყველაზე ძვირი ღირს ბოლო 15 წლის განმავლობაში.

ინფლაციაზე არაერთი წნეხი, რისკი არსებობს. დაძაბულია გეოპოლიტიკური ვითარება. რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა ომის ზღვარზეა. პანდემიურმა მდგომარეობამ მსოფლიოში

**1 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა, idfi.ge/ge/overview_of_the anticrisis_plan**

**2 https://www.geostat.ge/media/42968/ინფლაცია-საქართველოში/იანვარი-2022.pdf**

მრავალ გაურკვევლობას დაუდო სათავე, რამაც ყველა ქვეყნის ეკონომიკა გამოწვევების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ინფლაცია, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის დამანგრეველად მოქმედებს. ამცირებს რეალურ შემოსავლებს და ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა არა მხოლოდ ღარიბი, არამედ საშუალო ფენისთვისაც.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ფისკალურ კონსოლიდაციასთან ერთად სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე ჩამოსვლას გაზაფხულის პერიოდისთვის და ინფლაციური მოლოდინები უმჯობესდება. თუმცა აღსანიშნავია ნავთობზე ფასების ზრდა 90$-დან 100$-მდე. შესაბამისად მიწოდების უარყოფითი შოკები კვლავ საფრთხეს უქმნის ისედაც მაღალ ფასებს. თუ მთავრობამ ნავთობზე აქციზის გადასახადი არ შეამცირა, ყოველი მეხუთე ადამიანი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდება, რადგანაც ბენზინის გაძვირება ავტომატურად ყველა საქონლის ფასს გააძვირებს. ერთი ლიტრი ბენზინიდან სააქციზო გადასახადი ერთ ლარს შეადგენს, რაც მიდის ბიუჯეტში და სამწუხაროდ არამიზნობრივად იხარჯება. ყველას მოუწევს ქამრების შემოჭერა: ბიზნესსაც, საზოგადოებას და მთავრობასაც.

რაც შეეხება ლარის გაცვლითი კურსის გაუმჯობესებას, ეროვნული ბანკი ამას გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას, რეფინანსირების მაღალ განაკვეთს უკავშირებს. ამასთან ერთად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გაიზარდა გზავნილები უცხოურ ვალუტაში, დაიძრა ტურისტული სექტორიც, დონორმა ქვეყნებმა 3,8 მილიარდი დოლარი გადმოგვირიცხეს. აღნიშნული სუბსიდია ეროვნულმა ბანკმა დააკონვერტირა და მოუწია ლარის ემისია. ამანაც წვლილი შეიტანა ინფლაციაში. ეს ყველაფერი ცხადია აისახა ლარის გაცვლით კურსზე.

მეორეს მხრივ, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. ამ ეტაპზე გვჭირდება ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპი, ინვესტიციების ზრდა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შევძლებთ

გლობალური პროექტების განხორციელებას. განვითარებადი ქვეყნების პრობლემა, მათ შორის საქართველოსი, არის საკუთარი სახსრების სიმცირე. მიზეზი მრავალია: შრომის ანზღაურების დაბალი დონე, დაბალი შემოსავლები, დანაზოგები ძალიან მცირეა ან საერთოდ არ აქვს მოსახლეობას. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეარბილებს კაპიტალის მობილიზების პრობლემას. გაიზრდება დასაქმება, მოვიზიდავთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ამაღლდება გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ამით შევამცირებთ იმპორტის მოცულობას და ექსპორტსაც შევუწყობთ ხელს, გაიზრდება ხარისხიანი უსაფრთხო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

ცნობილია უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი ეფექტები. დადებითია ის, რომ სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებული მუშაკები აიმაღლებენ კვალიფიკაციას, ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი.

უარყოფითი ეფექტებიდან ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ შესაძლებელია კიდევ უფრო გაღრმავდეს ქონებრივი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მაგალითად, ირლანდიური კომპანიის მიერ „აჭარაბეთის“ შესყიდვას ღარიბი ფენების მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. ამიტომ უარყოფითი ეფექტები დაძლეულ უნდა იქნეს კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკით, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის შემცირებით, საინვესტიციო პროექტების შემუშავებით, პოტენციური ინვესტორებისთვის რეალური ვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებით. მხოლოდ ასე შევძლებთ ამ სიტუაციაში ეკონომიკის გაჯანსაღებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის

დამოკიდებული ინვესტიციებზე და წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე. ამიტომ მან უნდა გააფართოოს ბაზარი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ჩინეთი და ინდოეთი. ასევე მნიშვნელოვანია მონეტარული და ფისკალური მდგრადობა.

### გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Barton A.H., Communities in Disaster: A sociological Analysis of Collective stress Situations-New York: Doubleday, 2020.

2. Kondratieff N.D. The World Economy and IIIt's Conjectures During and after the War. 2004Y.

3. http://www.mfa.gov.ge/print.php.gg=10sec-id=768info

4. http://www.apn.ru/publications/print23547.htm

5. http://www.economy.ge

## THE IMPACT OF THE GLOBAL PANDEMIC ON THE GEORGIAN ECONOMY

**Ketevan Shengelia,**
Associate Professor of GTU,
ketevanshengelia@yahoo.com

### RESUME

The shock of the pandemic has considerably impacted the outlook for economic growth in countries all around the world. This is particularly true in developing countries. The article analyzes how the living standards have deteriorated as a result of the pandemic. The rise in unemployment and inflation rates, which exacerbated poverty and property differentiation, is examined.

The values and norms of the social system have changed radically, posing major threats to fundamental structures and necessitating critical decisions. Uncertainty and surprise are the two negative shocks that have befallen mankind as a whole. The world was hit by

a global economic crisis, which resulted in a capital shortage.

The paper substantiates the need for more diversification for the recovery of the Georgian economy.Tourism cannot be our sole source of income. Agriculture, industry, and service sectors should all be developed. Georgia's economic growth is heavily reliant on investment, manufacturing, and free trade.

Domestic entrepreneurs will gain contemporary management skills, value their own human capital more, acquire high-tech equipment, and engage qualified people to upgrade their skills as a result of attracting foreign investment. As a consequence, product quality will improve, labor productivity will increase, product costs will drop, and prices will stabilize. Eventually the economy of the whole country will gain strength, the volume of GDP and the standard of living will increase.

**Keywords:** Georgian economy, negative supply shock, pandemic, standard of living.

# სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ცხოვრების დონე საქართველოში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-133**

**ნუნუ აჩუაშვილი,**
სტუ ასისტენტ-პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
nununa@mail.ru

**ია გოდერძიშვილი,**
სტუ ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**რეზიუმე**

ცხოვრების დონის ამაღლება შემოსავლების ზრდას, სიღარიბის შემცირებას, განათლების, ჯანდაცვის და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს. ცხოვრების ხარისხის ამაღლება მდგრადი ეკონომიკური განვითარებით მიიღწევა, რასაც შედეგად მოსდევს აგრეთვე: მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, ინფლაციის შემცირება, ადამიანთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება და განსაკუთრებულ სიტუაციებში: ომები, ეპიდემიები სტიქიური უბედურებები, რომლებიც უმუშევრობას და სიღარიბეს იწვევს, ადამიანთა მაქსიმალური დაცულობა. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მწვავე ეკონომიკური და სოციალური ფონი გვაიძულებს ღრმა ანალიზის საშუალებით დავსახოთ ცხოვრების დონის ამაღლების დასაბუთებული ღონისძიებები, რაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს კარგად შემუშავებული სოციალურ- ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით, დასაქმების ხელშეწყობით და სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით.

**საკვანძო სიტყვები:** ცხოვრების დონე; ინფლაცია; ეკონომიკის ეფექტიანობა; ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკური ზრდა.

## შესავალი

ბოლო პერიოდში უმუშევრობა და სიღატაკე ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. შექმნილ სიტუაციიდან გამოსავალს მხოლოდ ეკონომიკური ზრდა გვთავაზობს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც შიგა ისე გარე ფაქტორები და აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის სწორი ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების არ ცოდნა. ყველა ამ ზემოთ ხსენებულ გამოწვევებს დაემატა 2020 წლის დასაწყისიდან მთელ მსოფლიოში მოვლენილი კორონა ვირუსი, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიაყენა როგორც მსოფლიო ეკონომიკაში ჩართულ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებს, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც რეფორმების წყალობით საბაზრო ეკონომიკის რელსებზე დგებოდა. აღნიშნულმა გარემოებამ ბიზნესი რთულ სიტუაციაში ჩააგდო. ზოგმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით მოახერხეს დისტანციურად მუშაობის განხორციელების საშუალებით თავის გადარჩენა, ნაწილმა კი უარყოფითი შედეგებით დატოვა ბაზარი.

ვირუსთან ბრძოლის დისტანციურმა მეთოდმა და ჩაკეტილობამ ეკონომიკა მთლიანად მოშალა. სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლამ ეკონომიკის გაჩერება გამოიწვია. გაჩერდა წარმოების და მომსახურების საწარმოები და დასაქმების და უმუშევრობის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. დღეისათვის ვირუსის მეექვსე ტალღას ვებრძვით, ვეგუებით ვირუსთან ერთად ცხოვრებას თუმცა ეკონომიკური აქტივობის განვითარების გზები ბუნდოვანია. დღეისათვის პანდემიას თან ერთვის პოლიტიკური პრობლემები, რაც კიდევ უფრო უშლის ხელს ეკონომიკურ განვითარებას.

## ძირითადი ტექსტი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი ბიზნესია. მისი მნიშვნელობა და როლი დიდია ეკონომიკის ასიმეტრიულობის დაძლევაში როგორც რეგიონულ, ასევე დარგობრივ ჭრილში. ბიზნესი ქმნის მატერიალურ დოვლათს და სამუშაო ადგილებს, აკმაყოფილებს ადამიანების მოთხოვნილებებს და ამცირებს უმუშევრობის დონეს. ეკონომიკის განვითარებაში

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი. დღეისათვის სოციალური ორიენტაციის ქვეყნების მიზანს წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. აქ იგულისხმება: სიღარიბის და კრიმინალის შეჩერება; შრომის უსაფრთხოება; ეკოლოგიური პროცესების გაჯანსაღება და სხვა.

ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის ჩვენს ქვეყანაში რამოდენიმე რეფორმა გატარდა, საყურადღებოა ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივება და მთლიანად ელექტრონულ რეჟიმზე გადასვლა, რამაც ამ სფეროში საქმიანობის მსურველები მოიზიდა მაგრამ შესაბამისი უნარ-ჩვევების არ ქონამ და გამოცდილების არ არსებობამ მათ საწარმოების დახურვისაკენ უბიძგა.

წარმოება, როგორც ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველი მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური ეფექტიანობისკენ, სწორედ ეს წარმოადგენს ცხოვრების დონის ამაღლების აუცილებელ პირობას. კეთილდღეობის ზრდას მატერიალური დოვლათის მოცულობასთან ერთად ახასიათებს ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა: შემოსავალი ერთ სულზე, მოხმარება, ინფლაცია, უმუშევრობა, მსყიდველობითი უნარიანობა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მიერ ცხოვრების კომფორტულ მოწყობაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა იგი მაინც საგრძნობლად დაბალია. მისი მიზეზია ის, რომ წარმოება ძალიან ნელი ტემპით იზრდება ბაზარი დამოკიდებულია უცხოურ საქონელზე, ფასების ზრდას ხელს უწყობს კატასტროფულად გაუფასურებული ლარი დოლართან და ევროსთან მიმართებაში. საყურადღებოა ფასების ზრდა საწვავზე.

გაეროს განვითარების პროგრამის(UNDP) მიერ 2020 წლის ადამიანის განვითარების ანგარიშში ( NDR) საქართველო 189 ქვეყნიდან 61-ე ადგილს იკავებს, რაც ნიშნავს რომ ჩვენი ქვეყანა ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება. ადამიანის კეთილდღეობა კომპლექსურ ფაქტორებზეა დამოკიდებული და ისინი ფულის გარდა სხვა მაჩვენებლებსაც აერთიანებენ. უთანასწორობა ადამიანის განვითარების ანგარიშში გამჭოლი თემაა. სიღარიბის, შიმში-

ლის და ავადობის წინააღმდეგ მიღწეული პროგრესის მიუხედავად ქვეყნები სათანადოდ არ ფუნქციონირებენ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

მონაცემები, რომელიც ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ რეალობას მოცემულია ცხრილში.

**ცხრილი №1**

| | 2016წ. | 2017წ. | 2018წ. | 2019წ. | 2020წ |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის რიცხოვნობა (1000კაცი) | 3728,9 | 3726,4 | 3729,6 | 3723,5 | 3716,9 |
| ეკონომიკურად აქტ. მოსახლეობა(1000კ.) | 1653,8 | 1641,4 | 1605,2 | 1572,8 | 1523,7 |
| დასაქმებული(1000კ) | 1294,5 | 1286,9 | 1296,2 | 1295,9 | 1241,8 |
| უმუშევრობის დონე % | 21,7 | 21,6 | 19,2 | 17,6 | 18,5 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილ.აშშ დოლარი) | 1654,0 | 1980,1 | 1317,1 | 1335,8 | 572,0 |
| მშპ მიმდინარე ფასებში (მილიარდი ლ.) | 33,9 | 40,8 | 44,6 | 49,3 | 49,3 |
| სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი % | 21,6 | 22,0 | 21,9 | 20,1 | 19,5 |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი ინფლაცია | 102,1 | 106,0 | 102,6 | 104,9 | 105,2 |
| მიგრაციისს სალდო (ათასი კაცი) | -2,2 | -0,6 | -2,9 | -2,2 | 4,2 |
| საგარეო ვაჭრობის სალდო | -5224,7 | -5311,4 | -5982,1 | -5720,8 | -4709,4 |

როგორც ცხრილში მოცემული მონაცემებიდან ჩანს ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრის-მოსახლეობის რიცხოვნობა 2020 წელს-2016 წელთან შედარებით შემცირდა 0,32% - ით, შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა აგრეთვე 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 0,18 %-ით. ამავე დროს შემცირების მიმართულებით ხასიათდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაც და 2020 წელს 2016 წელთან შედარებით იგი შემცირებულია -8 %-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით შემცირებულია 3% -ით. კლებადიტენდენციით ხასიათდება დასაქმებულების რიცხვიც და 2020 წელს-2016 წელთან შედარებით შემცირებულია -11,8%-ით და 2019 წელთან შედარებით - 4,17%-ით.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის დონე ყოველთვის მაღალი იყო დასაშვებ ნორმაზე(მიჩნეულია 5-7%). მიუხედავად 2016 -20 წლებში მისი 3,2 პუნქტით შენცირებისა ის დასაშვებზე გაცილებით მაღალია. ხოლო 2019 წელთან შედარებით 2020 წელს გაზრდილია 0,9 პუნქტით.

კრიტიკას ვერ უძლებს ცხრილში წარმოდგენილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებლები 2016-2020 წლის განმავლობაში, იგი შემცირებულია 65,42%-ით.საგარეო ვაჭრობის უარყოფითი მაჩვენებელიც ჩვენთან არსებული წარმოების დაბალი დონის გამოხატულებაა.

ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემებიდან უმნიშვნელოვანესია სიღარიბე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობას. ეკონომიკის არასათანადო განვითარება ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და ადამიანები იძულებულნი ხდებიან სამუშაო ქვეყნის გარეთ ეძებონ.

სოციალური პრობლემები, რომლებიც საზოგადოებაზე და მის ცალკეულ ჯგუფებზე ზემოქმედებს არის: სიღარიბე, გადამდები დაავადებები, გარემოს დაბინძურება და სხვა. საზოგადოებაში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს ეხმაურება 2022 წლის 27 იანვარს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)-ის მიერ გამოქვეყნებული საზოგადოების განწყობის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც მოსახლეობა მხარს უჭერს პარტიათაშორის თანამშრომლობას.

ეკონომიკური სიდუხჭირე მოქალაქეებისათვის მთავარი გამოწვევაა და მათი სურვილია ხელისუფლების და პარტიების ძალისხმევა ამ პრობლემის მოგვარებისკენ იყოს მიმართული. კვლევის მიხედვით მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება მნიშვნელოვანია.

## დასკვნა

ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მწვავე კრიზისული სიტუაციის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს გრძელვადიანი ინვესტიციები ადამიანის პროდუქტიულობასა და სოციალურ დაცვაში, საერთაშორისო დაბეგვრასა და სახელმწიფო დანახარჯებთან დაკავშირებული რეფორმები, სისტემური ზომები გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, პოლიტიკური ზომები, რომელთა გატარება აუცილებელია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად.

ცხოვრების დონის რეგულირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს კარგად შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით(შრომის ანაზღაურების სისტემით, სოციალური განვითარების პროცესების მართვა კარგად შემუშავებული სოციალური სტანდართებით). სტიმულირება გულისხმობს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასის დონის შემცირებას, დასაქმების ხელშეწყობას და სამუშაო ადგილების შექმნას.

ცხოვრების დონის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტებია საგადასახადო სისტემა, ინფლაციური ღონისძიებები, ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ფეთქებადი ხასიათი მოითხოვს სწორად დაისვას ამოცანა და რეალურად განხორციელდეს სიღარიბის დაძლევის კომპლექსური გეგმის შემუშავება-განხორციელება.

## REFERENCES:

1. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I) ნოდარ ჭითანავა; ლარისა თაკალანძე თბილისი 2008წ./ Social Economy: Formation and Development (Part I) Nodar Chitanava; Larisa Takalandze Tbilisi 2008.

2.www.parlament.ge
3.ge.undp.org/content/Georgia/ka
4.www.geostat.ge
5.www.nbg.gov.ge
6.https://ka.wikipedia.org/wiki/
7.https://newposts.ge/news/

## SOCIO-ECONOMIC PROBLEMS AND LIVING STANDARDS IN GEORGIA

**Nunu Achuashvili**
GTU Assistant-Professor,
PhD in Business Administration
nununa@mail.ru

**Ia Goderdzishvili**
GTU Associate Professor
PhD in Business Administration

**RESUME**

Raising living standards means increasing incomes, reducing poverty, improving education, health and the environment. Improving the quality of life is achieved through sustainable economic development, which also results in: Maintaining macroeconomic balance, Reducing inflation, Maximizing satisfaction of human needs and in special situations: wars, epidemics, natural disasters that lead to unemployment and poverty, maximizing protection of people. The current acute economic and social background in our country forces us through in-depth analysis to set out the justified measures for raising the standard of living, which should be done through the well-designed socio-economic policies of the state, promotion of employment and implementation of correct demographic policies.

**Keywords:** standard of living; inflation; economic efficiency; economic policy; economic growth.

# სოციალური პასუხისმგებლობის როლი კროს-კულტურულ კონტექსტში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-140**

**ნიკოლოზ გოგოლაძე**
საქ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
n.gogoladze92@gmail.com

**ნინო ომანაძე**
სტუ ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

## რეზიუმე

განხილულია სოციალური პასუხისმგებლობის როლი კროს-კულტურულ და საერთაშორისო კონტექსტში, ეთიკის და სოციალური პასუხისმგებლობის არსი, ეთიკის როლი საერთაშორისო კროს-კულტურულ კონტექსტში, სოციალური პასუხისმგებლობის როლი საერთაშორისო ბიზნესში. აღნიშნულია, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ემყარება საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე რეაგირების ნებაყოფლობით პრინციპს და იგი არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით, ან მარეგულირებელი ღონიძიებებით. გაკეთებულია დასკვნა, რომ ორგანიზაციებმა (ფირმებმა) თავიანთი რესურსებისა და ძალისხმევის ნაწილი უნდა წარმართონ ადგილობრივ საზოგადოებათა სასარგებლოდ, რომლებშიც ფუნქციონირებენ ისინი და მათი ქვედანაყოფები.

**საკვანძო სიტყვები:** კროს-კულტურა, სოციალური პასუხისმგებლობის არსი, ორგანიზაციაზე მოქმედი ფაქტორები, ეთიკური პრობლემები საერთაშორისო ბიზნესში.

## შესავალი

სოციალური პასუხისმგებლობა ემყარება საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე რეაგირების ნებაყოფლობით პრინ-

ციპს და იგი არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით, ან მარეგულირებელი ღონიძიებებით. გამოკვლევების თანახმად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოციალური პასუხისმგებლობა. გამოკითხული მენეჯერები მიიჩნევენ, რომ ზეგავლენა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიმართულებით რეალურია, მას აქვს დიდი მნიშვნელობა და ეს ზეგავლენა გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ არის წინააღმდეგობებიც რიგითი მუშაკების მხრივ სოციალურ პროგრამებში ფირმის მონაწილეობასთან დაკავშირებით მოგებისა და შემოსავლების უფრო მეტად გადიდების მოთხოვნების გამო.

### ძირითადი ტექსტი

საზოგადოების ცხოვრებაში ორგანიზაციებისა და ბიზნესმენების მონაწილეობის სხვა სფეროებს განეკუთვნება ქალაქების განახლება, ინვალიდებისათვის დახმარების აღმოჩენა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მომზადება და სამუშაოზე მიღება (დაქირავება), ხელოვნების მხარდაჭერა და სხვა. მნიშვნელოვან ქველმოქმედებას ეწეოდნენ ჯერ კიდევ ადრე და დღესაც ეწევიან ქართველი ბიზნესმენები განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სფეროებში.

მაშასადამე, ორგანიზაციებმა (ფირმებმა) თავიანთი რესურსებისა და ძალისხმევის ნაწილი უნდა წარმართონ ადგილობრივ საზოგადოებათა სასარგებლოდ, რომლებშიც ფუნქციონირებენ ფირმა და მისი ქვედანაყოფები. ორგანიზაციები ვერ შეძლებენ ხანგრძლივად მუშაობას თავიანთ გარემოცვასთან კონფლიქტის პირობებში. ეფექტიანი მენეჯმენტისათვის ორგანიზაციამ უნდა შეძლოს შეგუება სოციალურ გარემოსთან, რათა ეს გარემო გახდეს ორგანიზაციისათვის უფრო კეთილსასურველი. დანახარჯები სოციალურ პასუხისმგებლობაზე გამართლებულია საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის სრულყოფით, აგრეთვე ფირმისადმი საზოგადოებრიობის ურთიერთობის გაუმჯობესებით. ყოველივე ეს იწვევს მომხმარებელთა (მყიდველთა) ლოიალობას პროდუქციის მწარმოებლებისადმი, ბიზნესში სახელმწიფოს მარეგულირებელი ჩარევის დონის შემცირებას და

საზოგადოების მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას.

ალსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ მსხვილ ორგანიზაციებს როდი ძალუძთ იკისრონ სოციალური პასუხისმგებლობა. ნაგვის შემგროვებელი ორგანიზაცია ან პიცით მოვაჭრე საწარმო, რომელიც გახდა ბეისბოლის გუნდის სპონსორი, აგრეთვე წვრილი გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც მოსწავლეებს აძლევს ექსკურსიის მოწყობის შესაძლებლობას მისი მუშაობის გასაცნობად - ყველა ისინი სოციალურად პასუხისმგებელი ორგანიზაციებია. ასეთია საავადმყოფოც, რომელიც აგზავნის თავის მუშაკს უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებთან ჯანდაცვაში კარიერის შესაძლებლობათა განსახილველად.

შესამჩნევია ისიც, რომ მოგება ფრიად მნიშვნელოვანია ფირმების (ორგანიზაციების) გადასარჩენად, ნებისმიერი ორგანიზაციისთვის პირველ ადგილზეა გადარჩენა და მხოლოდ შემდეგ - საზოგადოების პრობლემები. თუ ორგანიზაცია თავის საქმეს (ბიზნესს) ვერ წარმართავს მოგებით, საკითხი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ უპირატესად იძენს აკადემიურ ხასიათს. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ორგანიზაციებმა თავიანთი საქმეები უნდა წარმართონ საზოგადოებრივი მოლოდინის შესაბამისად. სხვანაირად რომ ითქვას, სოციალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციისათვის ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ფილანტროპული საქმიანობა. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს მენეჯმენტი, რომ უმაღლესი პრიორიტეტები მიანიჭოს მოგებასა და განვითარებას. მაგრამ მას ასევე უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო ხედვა, რათა თავისი ფირმის ინტერესებისათვის გაცნობიერებული იყოს ფირმის მიერ ნებისმიერი გონივრული მოლოდინის შესრულების მნიშვნელობა, რომელიც ყალიბდება მის მიმართ ადგილობრივი საზოგადოების შიგნით და საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ფენების მხრივ. პრიორიტეტების ღია აღიარება და სოციალურად საპასუხისმგებლო ქცევა უზრუნველყოფს ფირმისათვის მნიშვნელოვანი მეორადი მიზნების მიღწევას. რენტაბელობა (მოგებით მუშაობა) და განვითარება ერთობლივად განაპირობებს პატიოსან დამოკიდებულებას მუშაკებისადმი,

ყველა დონის მომხმარებლებისა და ადგილობრივი საზოგადოებისადმი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility - CSR) შედარებით ახალ ტენდენციას წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, იგი უპრეცედენტო ყურადღების საგანია სამთავრობო და კერძო სექტორების, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მხრიდან. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კონცეფციას, რომლის თანახმადაც კომპანია ნებაყოფლობით ითვალისწინებს საკუთარი მომხმარებლების, მომწოდებლების, თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს ბიზნეს ოპერაციების განხორციელებისას. ეს, არსებითად არის ბიზნესის კეთილი ნება, საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონით ეკისრება, შეგნებულად გაცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. დღესდღეობითაც, განვითარებად ქვეყნებში ხშირად სოციალური პასუხისმგებლობა კვლავ ძირითადად ქველმოქმედებად არის გააზრებული, თუმცა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ის გაცილებით ფართო კონცეფციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ქველმოქმედება სოციალური პასუხისმგებლობის მოძველებული ფორმაა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ გაიაზრება,როგორც ძირითადი ბიზნესის “დამატებით” საქმიანობა, ერთჯერადი აქტი, ან კომპანიის მიერ დროდადრო განხორციელებული ინიციატივები (რომლებიც კომპანიის მარკეტინგულ ან PR საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს).

არსებითად ეს არის ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდი, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვას, როგორც ბიზნეს სტრატეგიაში, ისე კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროსა და კომპონენტში. ეს ნიშნავს,

რომ ნებისმიერი ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას ან ბიზნეს ოპერაციის განხორციელებისას, პასუხისმგებელი კომპანია ითვალისწინებს მოცემული გადაწყვეტილებისა, თუ საქმიანობის შესაძლო ზეგავლენას ბუნებრივ გარემოზე, ადგილობრივ საზოგადოებასა და სოციო-ეკონომიკურ სისტემებზე, ცდილობს შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა და გააძლიეროს დადებითი შედეგები. დღევანდელი გაგებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: კორპორაციული მართვა და ეთიკა; ადამიანის უფლებათა და შრომითი საქმიანობის ძირითადი უფლებების დაცვა თანამშრომლებთან, მომწოდებლებსა და მომხმარებლებთან ურთიერთობისას; გარემოს დაცვა და გარემოზე მოხდენილი უარყოფითი ზეგავლენის შემცირება; საზოგადოების თემის საჭიროებებზე ზრუნვა; მექრთამეობასთან ბრძოლა და კორუფციის დაუშვებლობა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობა; მომწოდებლებთან ურთიერთობა ადგილობრივ და საერთაშორისო მოწოდების ქსელებში; გამჭვირვალობა და ანგარიშგება. ამრიგად, ეს ძალიან ფართო და მრავლის მომცველი კონცეფციაა. უკანასკნელი წლების კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულების შესრულება, ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნეს საქმიანობაზეც, რადგანაც ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, მოიზიდოს ინვესტორები, ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებთან და ა.შ.

ორგანიზაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მასშტაბურ ეკონომიკურ საკითხებს თავიანთ ძირითად ბიზნეს საქმიანობასთან კავშირში, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. ამის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს, თუმცა სოციალური

პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე. ის განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში CSR შეიძლება გახდეს მძლავრი იარაღი, რომელიც წვლილს შეიტანს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში. სოციალური პასუხისმგებლობას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო მასშტაბით. დღეისათვის ხელმოწერილია მრავალი მთავრობათაშორისი ხელშეკრულება, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება სხვადასხვა მთავრობის თანამშრომლობითი პროექტები, შემუშავებული და დანერგილია საერთაშორისოდ შეთანხმებული სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა მთავარ, ან ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს CSR-ის, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტის განვითარება წარმოადგენს. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში და ცალკეულ სექტორებში (ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სექტორებში) არსებული პრობლემების მოგვარებაშიც. მთავრობათა შესაძლებლობები, ჩამოაყალიბონ თანამედროვე ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლებრივი მიდგომები და ეფექტურად განახორციელონ ისინი, ხშირად შემოფარგლულია საბიუჯეტო და სხვა სახის შეზღუდვებით. სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი მიდგომების გამოყენება შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებული სამართლებრივი ინსტრუმენტების შემავსებელი დანამატი, რომელიც ეფუძნება ბაზრისა და საზოგადოებრივ სტიმულებს. განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია გამოიყენონ CSR ქვეყანაში სიღარიბის შემცირებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

შრომითი საქმიანობის მრავალი საერთაშორისო სტანდარტი უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს. ეს სტანდარტები შეეხება შრომითი საქმიანობის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა სამუშაო პირობები, ღირსეული ანაზღაურება, თანამშრომლებთან ურთიერთობა და მათი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო სამუშაო, ოჯახთან თავსებადი სამუშაო პირობები და ა.შ. ამ სტანდარტების ნებაყოფლობითი დანერგვით (რაც პასუხისმგებელი ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილია), კომპანიებს აგრეთვე წვლილი შეაქვთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მრავალი პარამეტრის გაუმჯობესებაში. ცალკე თემას წარმოადგენს სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი მინიმალური საკანონმდებლო სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფაში. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო არ ფლობს საკმარის ბერკეტებს, რათა უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესრულება. ეს კი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ზიანი ადგება,როგორც საზოგადოებას ასევე, ბუნებრივ გარემოს, ფერხდება ქვეყნის განვითარება და ა.შ.დღევანდელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება ისეთი საინვესტიციო ფონდების რაოდენობა, რომლებიც ფინანსური მიზნების გარდა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ მიზნებს ისახავენ. ეს მიდგომა ცნობილია "სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების" სახელით. ეთიკურ მიზეზებთან ერთად, მას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ კომპანია, რომელიც ეფექტურად ახორციელებს CSR მიდგომებს, უკეთ იმართება, უფრო ეფექტურად ახერხებს რისკების პრევენციას და, შესაბამისად, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვს. შესაბამისად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ თავიანთი შეფასების სისტემებში სოციალურ პასუხისმგებლობას.

## დასკვნა

დღევანდელი მსოფლიოს საქმიან სამყაროში ბიზნესის ეთიკის საკითხები და სოციალური პასუხისმგებლობა განსაკუთრებული კვლევის ობიექტია. იმართება სამეცნიერო დისკუსიები და ფორუმები, ისწავლება ბევრ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებაში. ბიზნესის ეთიკის თემაზე შექმნილ თითქმის ყველა სპეციალურ ლიტერატურაში, ამა თუ იმ ფორმით, გამოხატულია თუ როგორი მორალი და ადამიანური ფასეულობები უნდა იყოს საბაზრო მეურნეობის საფუძველი, თუმცა, ბოლო ხანებში მკვეთრად გაიზარდა ასეთი კურსის კრიტიკაც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქირთბაია მ. - „ბიზნესის ეთიკა“ თბილისი 2008, გვ.32-60

https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/biznesii/ra-aris-biznes-etika).

2. https://cutt.ly/ZFdFBxY

3. https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=2&cat=pers1&leng=ge&adgi

## REFERENCES:

1. Kirtbaia M. - "Business Ethics" Tbilisi 2008

https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/biznesii/ra-aris-biznes-etika).

2. https://cutt.ly/ZFdFBxY

3. https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=2&cat=pers1&leng=ge&adgi

# THE SOCIAL RESPONSIBILITY IN A CROSS-CULTURAL CONTEXT

**Nikoloz Gogoladze**
Associate Professor of the Georgian State
Teaching University of Physical Education
and Sports, Doctor of Business Administration,
n.gogoladze92@gmail.com

**Nino Omanadze**
Georgian Technical University,
Doctor of Business Administration

## RESUME

The article discusses the role of social responsibility in a cross-cultural and international context. The paper discusses the essence of ethics and social responsibility, the role of ethics in the international cross-cultural context, the role of social responsibility in international business. It is stated that social responsibility is based on the principle of voluntary response to the social problems of the society and it is not defined by the current legislation or regulatory measures. The paper states that organizations (firms) should direct part of their resources and efforts to the benefit of the local communities in which they operate and their affiliates.

**Keywords:** cross-culture, the essence of social responsibility, factors affecting the organization, ethical problems in international business.

# COVID-19 პანდემია და საქართველოს საჯარო ფინანსები

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-149

**დავით შოშიტაშვილი**
ასისტენტ-პროფესორი, თბილისის თავისუფალი აკადემია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
d.shoshitashvili@yahoo.com

**ლილი უშვერიძე**
ასისტენტ-პროფესორი, თბილისის თავისუფალი აცადემია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
lushveridze@gmail.com

**თამარ დევიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
t.devidze@gtu.ge

**რეზიუმე**

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას და როგორც მსოფილოს სხვა ქვეყნებმა, საქართველომაც განიცადა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული მძიმე ნეგატიური შედეგები. ვინაიდან პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე, 2020 წელს დასაწყისში აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად. საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19-ის პან-

დემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგების საპასუხოდ შემუშავებული ანტიკრიზისული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო გახდა დაახლოებით 3.6 მილიარდი ლარის რესურსის მოზიდვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. გასულ წლებში გატარებული გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის, ფისკალური და საგარეო რეზერვების ზრდის, კაპიტალით კარგად უზრუნველყოფილ საფინანსო სისტემისა და დონორების მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების წყალობით საქართველომ შეძლო ეპასუხა COVID-19 პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19-ის პანდემია, საჯარო ფინანსები, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები, დონორების დახმარება.

## შესავალი

2020 წლის დაწასყისში გავრცელებულმა COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. „ლოქდაუნებმა“ და სხვა შეზღუდვებმა, რომლებიც გამოიყენეს მთავრობებმა ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად, საგრძნობლად შეაფერხა ეკონომიკური აქტივობა. ამ კუთხით, COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართულ ეკონომიკაზეც.

საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა და მას შემდეგ ვირუსი თანდათან გავრცელდა.

პანდემიამ ხარჯები მთავრობას თებერვლიდანვე გაუზარდა, ივნისში კი ბიუჯეტში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გახდა საჭირო, რომლის მიხედვითაც 2020 წლის პირველ გეგმასთან შედარებით ბიუჯეტის ხარჯები 1.5 მილიარდი ლარით გაიზარდა.

## ძირითადი ნაწილი

ვირუსის გავრცელებამ შეაფერხა იმ პოზიტიური ტენდენციების გაგრძელება, რომელიც წინა წელს დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით. კერძოდ, 2019

წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა - 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა შეადგინა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა - 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%). აღნიშნულის შედეგად, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ს 5.1% შეადგინა. მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდისა და საგარეო სექტორის მონაცემების გაუმჯობესებამ განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილზე მეტად ზრდა, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა კაპიტალურმა ინვესტიციებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს და მშპ-ის 8% შეადგინა. შენარჩუნდა საგარეო ვალის მდგრადობა, უზრუნველყოფილი იყო საკრედიტო პორტფელის ზრდა და ვადაგადაცილებული სესხების შემცირებული მაჩვენებლები.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე და უკვე 2020 წლის აპრილის თვეში, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ მუშაობა დაასრულა, ცნობილი გახდა რომ COVID-19 პანდემიის გამო საქართველოს ეკონომიკური პროგნოზები მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2020 წელს რეალური მშპ-ის 4%-იანი კლება დაფიქსირდა, რაც მოსალოდნელი იყო. პროგნოზებთან დაკავშირებული არსებული გაურკვევლობა უფრო მტკივნეული იყო არსებული არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით. ასევე აღინიშნა ვაჭრობის შემცირება, ტურიზმის შეჩერება და გზავნილების/გადმორიცხვების კლება. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ-ის 11⅓ %-მდე გაზრდიდა 2020 წელს. COVID-19 პანდემიამ წარმოშვა საგადამხდელო ბალანსის დაფინანსების საჭიროება დაახლოებით 1.6 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით 2020-2021 წლებში. აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე სოციალური დახმარებებისთვის, ასევე ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის.

2020 წელს, პანდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმდა მაკრო-ფისკალური ჩარჩო, რომელიც 2020 წლისთვის ეკონომიკური ზრდის შემცირების ფონზე ითვალისწინებდა შემოსავლების დანაკლისს 1,7 მლრდ ლარზე მეტით. არსებულ ბიუჯეტში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირებას 600 მლნ ლარამდე ოდენობით და საქართველოს მთავრობის ანტრიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსის მოძიებას 3,4 მლრდ ლარამდე.

2020 წელს COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე ფაქტიურად მიმართული იქნა 3.6 მილიარდი ლარის რესურსი.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებების დაფინანსება COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით გადანაწილდა შემდეგნაირად:




**COVID-19 პანდემიისთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებების დაფინანსება**

საჭირო გახდა ამ ფინანსური რესურსის მოზიდვა პარტნიორი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან COVID-19-

## დეტალური ინფორმაცია 2020 წელს მიღებული კრედიტების შესახებ. ათას ლარებში

| დასახელება | 2020 წელი (ფაქტი) |
|---|---|
| **ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები** | **3,845,587.0** |
| მსოფლიო ბანკი (WB) | 374,405.1 |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) | 644,089.0 |
| ევროკავშირი (EU) | 387,081.4 |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) | 267,278.1 |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 318,506.5 |
| საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) | 651,113.0 |
| გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) | 1,203,114.0 |
| **საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები** | **1,418,759.9** |
| მსოფლიო ბანკი (WB) | 242,716.2 |
| ჩრდილოეთის გარემოს დაცვითი საფინანსო კორპორაცია (NEFCO) | 2,824.9 |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 9,035.1 |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 366,672.6 |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 223,230.4 |
| ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) | 903.8 |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) | 37,527.1 |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 456,292.2 |
| კუვეიტი | 5,211.5 |
| საფრანგეთი | 24,374.8 |
| იაპონია | 3,927.5 |
| გერმანია | 46,043.8 |
| **სულ კრედიტები** | **5,264,346.9** |

ის პანდემიასთან ბრძოლისა და ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი რეაბილიტაციისთვის.

2020 წელს საქართველომ სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებიდან და განვითარებადი ბანკებიდან 1.83 მლრდ ევროზე (2.2 მლრდ აშშ დოლარი) მეტი რესურსის მოზიდვის თაობაზე მიაღწია შეთანხმებას. 2020 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დოკუმენტის თანახმად, საქართველომ მოიზიდა 3 845 587 000 ლარის ოდენობის ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები (იხ.ცხრილი).

განვითარებადმა ბანკებმა COVID-19 პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ დამატებითი ფინანსური რესურსები გამოყვეს წევრი ქვეყნებისთვის.ასე მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მრავალმხრივმა პარტნიორმა, აზიის განვითარების ბანკმა, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ 2020 წლის აპრილში გამოყო 20 მილიარდი აშშ დოლარი, რამაც ბანკის წევრ ქვეყნებს საშუალება მისცა ფინანსური რესურსი გამოეყენებინათ როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალური მხარდაჭერისა და კერძო სექტორის სტიმულირებისათვის.

პირველი დახმარება, რომელიც საქართველომ მიიღო აზიის განვითარების ბანკიდან 2020 წელს, იყო სწორედ 20 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების პაკეტის ფარგლებში. 2020 წლის მაისის თვეში აზიის განვითარების ბანკმა 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა საქართველოს მთავრობის დასახმარებლად COVID-19 პანდემიის გავრცელების შეჩერების, ბიზნესზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის ქალებისა და ბავშვებისთვის საარსებო საშუალებების შესანარჩუნებლად. აღნიშნული დახმარება წარმოადგენს შეღავათიან სესხს, რომლითაც და გაუწია საბიუჯეტო დახმარება მთავრობას და დააფინანსა მთავრობის კომპლექსური ანტიკრიზისული გეგმა. დაფინანსება მოიცავს 4000-ზე მეტი მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესისთვის გადასახადების გადავადებასა და მინიმუმ 2000 მცირე და საშუალო სასტუმროსთვის კრედიტის სუბსიდირებას. მთავრობის სოციალური დახმარების მექა-

ნიზმების დაფინანსებით სესხი მოწყვლადი ჯგუფების დაცვასაც მოხმარდა, რაც მოიცავს პანდემიის გამო სამსახურის დაკარგვის რისკის ქვეშ მყოფი 350,000 დასაქმებულის დროებით ფულად ხელშეწყობას; ერთჯერად ფულად დახმარებას 250,000 არაფორმალურად ან თვითდასაქმებული ადამიანისთვის, 1.2 მილიონი ოჯახისთვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას და ფასების ექვსთვიან დაფიქსირებას ცხრა ძირითად პროდუქტზე.

## დასკვნა

ხელისუფლებამ დროული ნაბიჯები გადადგა COVID-19 პანდემიის გავრცელების კონტროლისა და მისი უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შესამცირებლად. გასულ წლებში გატარებული გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის, ფისკალური და საგარეო რეზერვების ზრდის, კაპიტალით კარგად უზრუნველყოფილ საფინანსო სისტემისა და დონორების მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების წყალობით საქართველო მომზადებული დახვდა ამ გამოწვევებს.

პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ წყაროს საზღვარგარეთიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები, სესხები და გრანტები წარმოადგენდა. აღნიშნული ასევე დასტურდება შემდეგი შეფასებით: საქართველოს ხელისუფლების დროულმა ღონისძიებებმა შეაკავა პანდემიის ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური გავლენები - ასე შეაფასა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით მხარდაჭერილი პროგრამის მეშვიდე მიმოხილვის დასრულებასთან დაკავშირებულ პრესრელიზში საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ნაბიჯები პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში-http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf;

2. 2020 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი - https://www.mof.ge/5259;

3. 2021 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი - https://www.mof.ge/5355;

4. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში - https://www.mof.ge/5411;

5. 2021 წლის (3, 6, 9 თვის) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში - https://www.mof.ge/5429;

6. Georgia : Eighth Review Under the Extended Fund Facility Arrangement-Press Release; and Staff Report, International Monetary Fund. Middle East and Central Asia Dept., 16 აპრილი 2020. https://www.imf.org/-/media/Files/Publications/CR/2021/English/1GEOEA2021001.ashx

7. Loan Agreement (Ordinary Operations) for Loan 4118-GEO: COVID-19 Vaccine Support under the Asia Pacific Vaccine Access Facility - https://www.adb.org/projects/documents/geo-55195-001-lna-0;

8. Asian Development Bank Annual Report 2020 - https://dx.doi.org/10.22617/FLS210109;

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - www.mof.ge

**REFERENCES:**

1. Report on Measures Implemented by the Government of Georgia Against COVID-19 - http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf;

2. 2020 State Budget - https://www.mof.ge/5259;

3. 2021 State Budget -https://www.mof.ge/5355;

4. 2020 State Budget Performance Report - https://www.mof.ge/5411

5. 2021 State Budget Performance Report ( Quarter I, II & III) -

https://www.mof.ge/5429;

6. Georgia : Eighth Review Under the Extended Fund Facility Arrangement-Press Release; and Staff Report, International Monetary Fund. Middle East and Central Asia Dept., 16 April 2020. https://www.imf.org/-/media/Files/Publications/CR/2021/English/1GEOEA2021001.ashx

7. Loan Agreement (Ordinary Operations) for Loan 4118-GEO: COVID-19 Vaccine Support under the Asia Pacific Vaccine Access Facility - https://www.adb.org/projects/documents/geo-55195-001-lna-0;

8. Asian Development Bank Annual Report 2020 - https://dx.doi.org/10.22617/FLS210109;

9. Ministry of Finance of Georgia – www.mof.ge

# THE COVID-19 PANDEMIC AND PUBLIC FINANCE OF GEORGIA

**David Shoshitashvili,**
Assistant Professor of Tbilisi Free Academy,
Doctor of Business Administration
d.shoshitashvili@yahoo.com;
**Lily Ushveridze**
Assistant Professor of Tbilisi Free Academy,
Doctor of Business Administration
lushveridze@gmail.com;
**Tamar Devidze**
Associate Professor of GTU,
Academic Doctor of Economics
t.devidze@gtu.ge

**RESUME**

The COVID-19 pandemic has severely affected the global economy and similarly to other countries, COVID-19 has hit Georgia hard. COVID-19 pandemic has had a significant negative impact on both the private sector and health and lives of the people, in the beginning of 2020 it became necessary to find additional financial resources for both business and direct assistance to the population, as well as to cover the costs of preventing the epidemic and provided citizens with social support. In order to finance the Emergency Response Plan measures developed by the Government of Georgia in response to the negative consequences of the COVID-19 pandemic, it was necessary to attract approximately GEL 3.6 billion international financial institutions. Georgia has been able to respond to the socio-economic challenges posed by the OVID-19 pandemic thanks to its recent years prudent macroeconomic policies, fiscal and external reserves growth, well-capitalized financial system and significant donor financial assistance.

**Key words:** COVID-19 pandemic, Public Finance, Budget support credits, donor support.

# COVID-19-ის ჰოსპიტალური სერვისების დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი (ავსტრიისა და გერმანიის მაგალითზე)

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-159**

**ალექსანდრე შარაშენიძე**
სტუ ასისტენტ პროფესორი,
sharashenidzealexandre11@gtu.ge

COVID-19-ის პანდემიის პირობებში, ჯანდაცვის სისტემებს მთელ მსოფლიოში სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება უწ-ევს. ვინაიდან COVID-19 პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავ-დაპირველად ჰოსპიტალიზაციას საჭიროებდა, მრავალ ქვეყანა-ში ჰოსპიტალური სექტორი პანდემიის წინა პლანზე აღმოჩნდა.

COVID-19 პანდემიამ გავლენა იქონია ჰოსპიტალური სექტო-რის დაფინანსებაზე. ეს, **პირველ რიგში,** განპირობებულია იმით, რომ COVID-19 პაციენტებთან დაკავშირებული შესაძლო მნიშ-ვნელოვანი ზრუნვის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული ჰოს-პიტალური სექტორის ბიუჯეტის განსაზღვრის დროს. **მეორეც,** შემცირდა შემოსავლები, რადგან გეგმური სამედიცინო პროცე-დურები გაუქმდა.

სხვადასხვა ქვეყანაში შემოსავლების შემცირებაზე რეაგირ-ება განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვნად განსხვავებუ-ლი მიდგომების საშუალებით, COVID-19 პანდემიამდე არსებუ-ლი დაფინანსების სისტემის გათვალისწინებით.

**ავსტრიაში** მოქმედებს ორსაფეხურიანი ჯანდაცვის სისტემა. პრაქტიკულად ყველა ადამიანი სახელმწიფოს მიერ დაფინანსე-ბულ დახმარებას იღებს, მაგრამ მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ დამატებითი კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა. კერ-ძო დაზღვევის პროგრამები (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც „კომფორტის კლასი“) შეიძლება მოიცავდეს უფრო მოქნილ ვი-ზიტების საათებს, კერძო პალატებსა და ექიმებს[1].

---

**1 The Austrian Health Care System, Third fully revised edition, 2019**

2021 წლის განმავლობაში **ავსტრიის** COVID-19-ის ხარჯებმა საბოლოო ჯამში 1,03 მილიარდი ევრო შეადგინა (თანხები გადაირიცხა ავსტრიის ფედერაციის მიწებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სურსათის უვნებლობის სააგენტოში). თუ დავუმატებთ 2020 წლის ხარჯებს, საბოლოო თანხამ 1,13 მილიარდი ევრო შეადგინა. დაფინანსება გაწეულ იქნა შემდეგი მიმართულებით: შემოსავლის დაკარგვის კომპენსაცია (454,37 მილიონი ევრო), გამოკვლევები (283 მილიონი ევრო) და სკრინინგის პროგრამები (198 მილიონი ევრო)[1].

2020 წლის 12 მარტს, ავსტრიის მთავრობამ გამოსცა ბრძანებები საავადმყოფოს განყოფილების პერსონალის გადამისამართებაზე, უკეთ აღჭურვილი საავადმყოფოს განყოფილებები გარდაიქმნენ COVID-19 მკურნალობის ცენტრებად. დაახლოებით 10000 მოქალაქე, რომლებიც **სავალდებულო სამოქალაქო სამსახურს** (სამხედრო სამსახურის ალტერნატივა) გადიოდნენ, ასევე გადაიყვანეს ჯანდაცვის დამხმარე სექტორში, როგორც **სოციალური მუშაკები**[2].

**გერმანიაში** ფედერაციული მიწების კონტროლით მუნიციპალური თვითმმართველობა პასუხისმგებელია საავადმყოფოების მუშაობის დაგეგმვასა და მათში ინვესტიციების განხორციელებაზე, ასევე სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია COVID-19 პანდემიის დროს. ამასთან, ფედერალურ მთავრობას COVID-19-ზე კოორდინირებული რეაგირების გასააქტიურებლად დროებითი უფლებამოსილებები მიენიჭა[3].

2020 წლის მარტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო კანონი საავადმყოფოებისთვის ფინანსური

---

**1 Jahresbericht 2021 über Corona-Ausgaben des Gesundheitsministeriums**

**2 A. Oliver, The responses to the coronavirus pandemic: the rationale and some observations Cambridge University Press, 2020**

**3 OECD/European Observatory on Health Systems and Policies (2021), Germany: Country Health Profile 2021, State of Health in the EU, OECD Publishing, Paris/European Observatory on Health Systems and Policies, Brussels**

მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად[1]. კანონის მიხედვით ხდება შემოსავლების დეფიციტის კომპენსირება, ასევე COVID-19 პაციენტების მკურნალობის სტიმულირებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა. საავადმყოფოები იღებდნენ სადღეღამისო ანაზღაურებას თავისუფალი საწოლებისთვის (თავისუფალი საწოლების რაოდენობა, განისაზღვრებოდა წინა წელს საავადმყოფოში არსებული და მიმდინარე წელს არსებული ავადმყოფების სხვაობით). საავადმყოფოები ფინანსდებიან ინტენსიური თერაპიის განყოფილების (ICU) შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და საექთნო მოვლისა და პირადი დამცავი საშუალებების დამატებითი ხარჯების კომპენსაციის მიზნით. აღნიშნულ კანონში შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი ძირითადი პუნქტი: (1) შემოსავლების ნაკლებობის კომპენსირება დატვირთვის შემცირების პირობებში; (2) სამკურნალო შესაძლებლობების დაფინანსების გაზრდა; (3) COVID-19-თან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაფარვა; და (4) საავადმყოფოებისათვის ფინანსური თავისუფლების მინიჭება.

საავადმყოფოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება- გეგმური (არაურგენტული) ქირურგიული და თერაპიული მკურნალობასთან დაკავშირებული შემოსავლების დეფიციტის კომპენსაციაა. 2020 წლის სექტემბრამდე, საავადმყოფოები ყოველ ცარიელ საწოლზე სადღეღამისო ანაზღაურების სახით 560 ევროს ოდენობით იღებდნენ, (ცვლილების თანახმად იღებენ ამა წლის 19 მარტამდე). პრაქტიკაში, საავადმყოფოები იღებენ დღიურ ანაზღაურებას, რომელიც ამჟამად დღეში ნამკურნალები პაციენტების რაოდენობასა და წინა წელიწადში ნამკურნალები პაციენტების საშუალო რაოდენობას შორის სხვაობის მიხედვით გამოითვლება, ერთიანად. 2020 წლის 1 ივლისს კანონის ახალი რედაქციის მიხედვით შემოღებულია დღიური ანაზღაურების მრავალსაფეხურიანი სისტემა (360 ევროდან 760 ევრომდე), სადაც ანაზღაურება და-

**1 Gesetz zum Ausgleich COVID-19 bedingter finanzieller Belastungen der Krankenhäuser und weiterer Gesundheitseinrichtungen (COVID-19-Krankenhausentlastungsgesetz)**

მოკიდებულია შემთხვევის ინდექსზე, 2019 წელს პაციენტის ჰოსპიტალში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობაზე და ICU დატვირთვაზე. გაზრდილი სამკურნალო შესაძლებლობების დასაფინანსებლად საავადმყოფოები იღებენ 50000 ევროს ერთჯერადი დაფინანსებით ყოველი დამატებითი ICU საწოლისთვის. გარდა ამისა, ფედერალური მიწების მთავრობები ხშირად ავსებენ ამ დაფინანსებას ახალი ICU საწოლების შექმნით და სრული ხარჯების დაფარვის მიზნით. COVID-19 საავადმყოფოებთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯებისათვის დაშვებულია დამატებით დაფინანსება 50 ევროს ოდენობით, რაც თითოეული პაციენტისთვის პირადი დამცავი საშუალებების გაზრდილ ხარჯს ფარავს. 2020 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე ეს თანხა 100 ევრომდე გაიზარდა. ჯანდაცვის დაზღვევის სისტემა უნდა შესთავაზონ ექიმებს დამატებითი ანაზღაურება COVID-19-თან დაკავშირებული სერვისებისა და ღონისძიებების ხარჯებისათვის. აღნიშნული ცვლილებების თავდაპირველად განსაზღვრული ვადა ამოიწურა, თუმცა რთული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე COVID-ჰოსპიტალური სერვისების დაფინანსება გრძელდება. საავადმყოფოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემდგომ ღონისძიებებს მარეგულირებელი განკარგულების მეორე შემცვლელი განკარგულების მიხედვითკანონის მოქმედების ვადამ 2022 წლის 19 მარტამდე გადაიწია[1]. უნდა აღინიშნოს რომ ვადის გადაწევა ეტაპობრივად მოხდა.

გამხილული მაგალითები მოწმობს, რომ ზემოაღნიშნულმა ქვეყნებმა სწრაფად იპოვეს პრაგმატული გადაწყვეტილება არსებული გამოწვევების პირობებში. თუმცა, მიდგომები და პრობლემების გადაწყვეტის გზები მნიშვნელოვნად განსხვავდება. სხვადასხვა ქვეყნებმა ჯანდაცვის სისტემის თავისებურებებისა და COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის ცვალებადობის მიხედვით შეიმუშავეს ჰოსპიტალური სერვისების დაფინანსების მექანიზმების საკუთარი ფინანსური სქემა.

**1 Zweite Verordnung zur Änderung der Verordnung zur Regelung weiterer Maßnahmen zur wirtschaftlichen Sicherung der Krankenhäuser**


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. The Austrian Health Care System, Third fully revised edition, 2019, https://broschuerenservice.sozialministerium.at/Home/Download?publicationId=642;

Jahresbericht 2021 über Corona-Ausgaben des Gesundheitsministeriums, https://www.parlament.gv.at/PAKT/PR/JAHR_2022/PK0131/index.shtml#;

2. A. Oliver The responses to the coronavirus pandemic: the rationale and some observations Cambridge University Press (2020), https://www.cambridge.org/core/journals/health-economics-policy-and-law/hepl-blog-series-covid19-pandemic;

3. Germany: Country Health Profile 2021, https://www.oecd-ilibrary.org/social-issues-migration-health/germany-country-health-profile-2021_e4c56532-en;

4. Gesetz zum Ausgleich COVID-19 bedingter finanzieller Belastungen der Krankenhäuser und weiterer Gesundheitseinrichtungen (COVID-19-Krankenhausentlastungsgesetz),https://www.bgbl.de/xaver/bgbl/start.xav?startbk=Bundesanzeiger_BGBl&start=%2F%2F%2A%5B%40attr_id=%27bgbl120s0580.pdf%27%5D;

5. Zweite Verordnung zur Änderung der Verordnung zur Regelung weiterer Maßnahmen zur wirtschaftlichen Sicherung der Krankenhäuser, https://www.buzer.de/gesetz/15189/index.htm.

# ANALYSIS OF HOSPITAL FINANCING PRACTICES IN CONNECTION WITH THE COVID-19 (ON THE EXAMPLE OF AUSTRIA AND GERMANY)

**Alexander Sharashenidze,**
Assistant Professor of GTU,
sharashenidzealexandre11@gtu.ge

## RESUME

The article summarizes the peculiarities of Health financing under the COVID-19 pandemic using the example of Austria and Germany. The focus is on the causes of the financing deficit and its compensation mechanisms.

**Keywords:** Health care system, hospital services financing, the COVID-19.

# აგროდაზღვევის განვითარების SWOT-ანალიზი საქართველოში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-165**

**ავთანდილ ლაფაჩი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
avtolapachi@gmail.com

**აკაკი ნიკოლაიშვილი,**
სტუ დოქტორანტი
nikolaishviliakaki8@gmail.com

**რეზიუმე**

სტატიაში მდიდარ ლიტერატურულ წყაროებსა და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით განხილულია აგროდაზღვევის საკითხები საქართველოში მთავრობის მხარდამჭერი პროგრამის პირობებში, შესწავლილია ფერმერთა ჩართულობის პრობლემები და შემოთავაზებულია მათი დაძლევის ღონისძიებები. შესწავლილია აგროდაზღვევის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი შესაძლებლობები და საფრთხეები ანუ გაკეთებულია SWOT-ანალიზი. რომლის მიხედვითაც, აგროდაზღვევის მთავარი ნაკლი არის მისი განუვითარებლობა და არასრულყოფილება, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მზღვეველთა ერთობლივი აქტიური მონაწილეობით, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა ფერმერთა ცნობადობის ამაღლებაში, რადგანაც სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარება და გაუმჯობესება გარდაუვალია, ვინაიდან აგრობიზნესი მოთხოვნადი და მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულებაა.

**საკვანძო სიტყვები:** აგროდაზღვევა, ფერმერი, მზღვეველი, სადაზღვევო კომპანია, სადაზღვევო რისკი, სახელმწიფო პროგრამა, სახელმწიფო სუბსიდირება, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

## შესავალი

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების მხრივ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა, რაც სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.

აგროდაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის უაღრესად სპეციალიზირებულ და კომპლექსურ ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურისა და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ ფერმერების აქტივობები შეუწყვეტლად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით, იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. სოფლის მეურნეობაში მისაღები მოსავლის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამდენად აგროდაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის ძალზედ აქტუალურია და ისინი აუცილებლად კარგად უნდა ერკვეოდნენ აგროდაზღვევის პროდუქტებში.

## ძირითადი ტექსტი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს №1462 განკარგულებით მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევას შემდეგი რისკებისაგან: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. პროგრამის მიზანია:ა) აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; გ)სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

პროგრამის განმახორციელებელია - სოფლის მეურნეობის

პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

აგროდაზღვევის პროექტში, 2021 წლიდან, თანამონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან ყველა კულტურაზე 70%, ხოლო ვაზზე 50% იქნება. აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე ნებისმიერ ბენეფიციარს, რომელიც ფლობს, მაგალითად, 30 ჰექტარს ან 100 ჰექტარს შეუძლიათ 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება. გასული წლისგან განსხვავებით წელს შემცირდა მოცდის პერიოდი და სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4 კალენდარული დღის ვადით განისაზღვრა.

დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შეძენა შეეძლებათ საქართველოში მოქმედ 8 სადაზღვევო კომპანიაში:ალდაგი, სადაზღვევო კომპანია პრაიმი, სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია, არდი, ალფა, თიბისი დაზღვევა, ნიუ ვიჟენ დაზღვევა, საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი.

ქვემოთ წარმოდგენილ პირველ ცხრილში მოცემულია ამ კომპანიების მიერ დაზღვეული პოლისების რაოდენობები, სადაზღვევო პრემიები და დაზღვეული ფართობების სიდიდეები წლების მიხედვით (2014-2020 წ.წ.), (იხ. ცხრილი 1) .

წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 2020 წელს ისე როგორც სხვა უკანასკნელ წლებში საკმაოდ მცირდება დაზღვეული ფართობები, კერძოდ კი 18178 ჰა-მდე, მაშინ როცა 2017 წელს 20718 ჰა იყო საკმაოდ. მცირდება ასევე პოლისების რაოდენობაც 17881 პოლისამდე, მაშინ როცა 2014 და 2017 წლებში 21 ათასს სცილდებოდა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლე-

**ცხრილი 1**

**პროგრამა „აგროდაზღვევა" - პოლისების რაოდენობები, სადაზღვევო პრემიები და დაზღვეული ფართობების სიდიდეები წლების მიხედვით (2014-2020 წ.წ.)**

| წელი | პოლისების რაოდენობა | ჯამური სადაზღვევო პრემია (ლარი) | დაზღვეული ფართობი, ჰა |
|---|---|---|---|
| 2014 | 21,056 | 12,586,739 | 18,723 |
| 2015 | 7,634 | 3,444,300 | 4,944 |
| 2016 | 18,795 | 11,981,874 | 15,472 |
| 2017 | 21,394 | 11,649,283 | 20,718 |
| 2018 | 12,574 | 7,135,833 | 11,557 |
| 2019 | 16,473 | 9,583,048 | 13,852 |
| 2020 | 17,881 | 13,432,374 | 18,178 |
| სულ | 115,807 | 69,813,452 | 103,442 |

*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში*

ვებით გამოიკვეთა პრობლემები, რაც იწვევს აღნიშნული პარამეტრების შემცირებას. ეს პრობლემები შემდეგია:

1. თაღლითობა, ეგრეთ წოდებული „სქემური დაზღვევა", ანუ ფიქტიური სადაზღვევო ხელშეკრულებების დადება, რომლის მიზანია სახელმწიფო სუბსიდიების მოპოვება. სამწუხაროდ მასში მონაწილეობენ მზღვეველიც და დაზღვეულიც. ამ ტიპის დანაშაულებისგან დაცვის საკანონმდებლო ბაზა არ არის შემუშავებული. უფრო მეტიც, ამჟამინდელ სისტემას აქვს ამისადმი მიდრეკილება. არაა შემუშავებული სადაზღვევო პროდუქტების მკაფიო დასაბუთებული კლასიფიკაცია, არ არსებობს ერთიანი ნორმები და სტანდარტები.

2. რისკის შეფასების კრიტერიუმებისა და პრინციპების მო-

ნაცემთა ბაზის შემუშავების არასრულყოფილება. გონივრული სადაზღვევო განაკვეთების არასაკმარისი რაოდენობა, რომელიც არ შეესაბამება რისკების დონეს და არ არის დადგენილი რისკების რეალური ფასი;

3. სოფლის მეურნეობის დაზღვევაში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული სპეციფიკის გათვალისწინების სისტემა. აუცილებელია „ზონალური ტარიფები" და მათი ტარიფები მზღვეველების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

4. სოფლის მეურნეობის დაზღვევის სფეროში საკანონმდებლო ბაზის არასაკმარისი შემუშავება, ზარალის ანაზღაურების რთული პროცედურა. არაა გამჭვირვალე და ნათელი სუბსიდირების პროცესი და საჭიროებს გაუმჯობესებას.

5. სოფლის მეურნეობის მზღვეველების გადახდისუნარიანობის ხშირ შემთხვევაში დაბალი დონე და მათი მუდმივი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე, უპირველეს ყოვლისა, თესვის ოპერაციების დასაფინანსებლად. ამის შედეგია სადაზღვევო პრემიის გადახდის გაჭიანურება იმ მომენტამდე, როცა ზიანის მიყენების ალბათობა მაქსიმალური გახდება.

6. სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ინტერესების შეუთავსებლობა. სახელმწიფოსთვის უპირველესი ამოცანაა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, სოციალური პრობლემების შემცირება, ეკონომიკაში კრიზისის შერბილება. და სადაზღვევო ორგანიზაციებს, როგორც კომერციულს, აქვთ მოგების მიღების მიზანი. ეს აისახება სადაზღვევო განაკვეთის გაანგარიშებაში და სადაზღვევო რისკების ჩამონათვალში.

7. ფერმერების მხრიდან სადაზღვევო ბაზრის მიმართ არასაკმარისი ნდობა.

პრობლემების სპექტრის გაანალიზებისა და სისუსტეების გამოვლენის შემდეგ შესაძლებელია მათი გადაჭრის გზების შემუშავება, ასევე სოფლის მეურნეობის დაზღვევის შემდგომი განვითარების გეგმის, მისი პერსპექტივების შედგენა. ამისათვის შემუშავებულ იქნა აგროდაზღვევის განვითარების SWOT–ანალიზი.(იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

SWOT – ანალიზი

| Strengths (ძლიერი მხარეები) | Weaknesses (სუსტი მხარეები) |
|---|---|
| 1. მუდმივად მზარდი ინტერესი სოფლის მეურნეობის რისკების მიმართ.<br>2. კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე.<br>3. პერსპექტიული, როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი სფერო.<br>4. სოფლის მეურნეობის დაზღვევის მაღალი წილი, მსოფლიო ბაზრის 31,4%.<br>5. სოფლის მეურნეობის დაზღვევის ბაზარის სეგმენტის დინამიურობა. | 1. არ არის დაზღვევის პროდუქტის მკაფიო კლასიფიკაცია შემუშავებული.<br>2. ხარვეზები მონაცემთა ბაზის შემუშავებაში რისკის შეფასების კრიტერიუმებსა და პრინციპებში.<br>3. არ არსებობს ტერიტორიული სპეციფიკის აღრიცხვის სისტემა.<br>4. საკანონმდებლო ბაზის არასაკმარისი შემუშავება.<br>5. ნდობის ნაკლებობა სადაზღვევო ბაზრის მიმართ. |
| **Opportunities (შესაძლებლობა)** | **Threats (საფრთხეები)** |
| 1. მზარდი ინტერესი სადაზღვევო ინდუსტრიის მიმართ საზღვარგარეთიდან, კერძოდ კი აგრარული პოლიტიკის სახელ-მწიფოებრივი მხარდაჭერა უცხოეთიდან.<br>2. კომერციული დაზღვევის მიმართ ინტერესის გაზრდა (სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე).<br>3. რეფორმა სადაზღვევო საქმიანობის სფეროში.<br>4. ინდივიდის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა მზღვეველები. | 1. ზარალის მაღალი კოეფიციენტი რისკების სიხშირის გამო.<br>2. არასტაბილურობა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე.<br>3. თაღლითობა.<br>4. გადახდისუნარიანობის დაბალი დონე სოფლის მეურნეობის მზღვეველებისა.<br>5. სადაზღვევო კომპანიების ინტერესების შეუთავსებლობა ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინტერესებთან. |

## დასკვნები და წინადადებები

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების იდენტიფიცირება და დასკვნის გაკეთება:

1. აგროდაზღვევამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სტაბილური განვითარება. ეს შეიძლება გაკეთდეს საკანონმდებლო დონეზე, ანუ სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტი

უნდა გააკეთოს და ხელი უნდა შეუწყოს ამ დარგის დაზღვევის განვითარებას. სახელმწიფოს აქვს ამისთვის ყველა საჭირო ინსტრუმენტი;

2. სასოფლო-სამეურნეო რისკების დაზღვევაზე ფერმერების მოზიდვის პირობების ჩამოყალიბება, ამისთვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის მწარმოებლების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. რასაც ხელი უნდა შეუწყოს ტარიფებმაც, სადაზღვევო მომსახურების ღირებულების შემცირებით;

3. სადაზღვევო სერვისებისა და პროდუქტების ხარისხობრივი ზრდა, რაც გამოიხატება სადაზღვევო მომსახურების სარგებლობის ხელმისაწვდომობისა და მოხერხებულობის უზრუნველყოფაში, ხელშეკრულებების გაფორმების პირობების გამჭვირვალობა;

4. სადაზღვევო პროდუქტების ფორმირებისას შეამციროს ან მთლიანად აღმოფხვრას განსხვავებები თუ უთანხმოება სახელმწიფო და კერძო დაზღვევას შორის;

როგორც SWOT-ანალიზიდანაც ჩანს, აგროდაზღვევის მთავარი ნაკლი არის მისი განუვითარებლობა და არასრულყოფილება, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მზღვეველთა ერთობლივი აქტიური მონაწილეობით, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა ფერმერთა ცნობადობის ამაღლებაში, რადგანაც სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარება და გაუმჯობესება გარდაუვალია, ვინაიდან აგრობიზნესი მოთხოვნადი და მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულებაა.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის. – ( ENPARD –GEORGIA), 2013 წ.

2. ლაფაჩი ა. – აგროდაზღვევის საფუძვლები, თბილისი 2020წ.

3. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. – თბილისი 2013წ.

4. შატბერაშვილი ე. ალასანია ბ. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა და კრედიტები. – ბიომეურნე, 2011წ.

5. ჩარკვიანი ვ, ჭინჭარაული თ, შატბერაშვილი ე. სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და დაზღვევის კვლევის შედეგები. – თბილისი, 2010წ.

**REFERENCES**

1. European Neighborhood Program for Agriculture and Rural Development. - (ENPARD –GEORGIA), 2013.

2. Lapachi A. - Fundamentals of Agricultural Insurance, Tbilisi, 2020.

3. Erkomaishvili G. Georgia's economic development priorities. - Tbilisi, 2013.

4. Shatberashvili E., Alasania B. Agricultural Insurance and Credits. - Organic farmer, 2011.

5. Charkviani V, Chincharauli T, Shatberashvili E. Results of the Agricultural Credit and Insurance Survey. - Tbilisi, 2010.

# SWOT ANALYSIS OF AGRICULTURAL INSURANCE DEVELOPMENT IN GEORGIA

**Avtandil Lapachi,**
PH Doctor of Economics, Professor,
avtolapachi@gmail.com
**Akaki Nikolaishvili,**
GTU PhD Student
nikolaishviliakaki8@gmail.com

## Resume

Based on rich literary sources and statistical materials, the article discusses the issues of agro-insurance in the framework of the government support program in Georgia, studies the problems of farmers' involvement and proposes measures to overcome them. The strengths and weaknesses of agro-insurance, its opportunities and dangers are studied, ie the analysis is done. According to which,

the main drawback of agricultural insurance is its underdevelopment and imperfection, which means that it is necessary with the joint active participation of the state and agricultural insurers, even more activity in raising the awareness of farmers, because the development and improvement of agricultural insurance is inevitable. Is the direction.

**Keywords**: Agricultural Insurance, Farmer, Insurer, Insurance Company, Insurance Risk, State Program, State Subsidy, Strengths and Weaknesses, Opportunities and Threats.

# მარკეტინგის როლი საბანკო სისტემაში

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-174

**მარინა ბაღათურია**
m_bagaturia@gtu.ge
სტუ ასისტენტ-პროფესორი

**მანანა ბერუაშვილი**
სტუ ასისტენტ-პროფესორი

## რეზიუმე

ბანკები დიდ როლს თამაშობენ ეკონომიკურ წინსვლაში და საქართველოს საფინანსო სექტორის წამყვან სფეროს წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ბანკებს დიდი გადასახადი შეაქვთ ბიუჯეტში, ასევე ისინი უქმნიან გარკვეულ წარმოდგენას ინვესტორებს და ქვეყნის სახელსა და რეპუტაციაზე ზრუნვაში თავისი წვლილი შეაქვთ.

კონკურენციიდან გამომდინარე ბანკები მუდმივ მცდელობაში არიან გააუმჯობესონ და განავითარონ მომსახურება და პირობები და მაქსიმალურად მისაღები და მორგებული იყოს მომხმარებლებზე, მაგრამ ამის განხორციელებას ის ფაქტი აფერხებს რომ, სწორედ აღნიშნული კონკურენციიდან გამომდინარე, მათ უწევთ მიბაძონ ერთმანეთს და მსგავსი პროდუქტები შესთავაზონ ხალხს. ეს კი თავის მხრივ გაურკვევლობას იწვევს კლიენტებში და ჯანსაღი, სწორი გადაწყვეტილების მიღება რთულდება .

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო სტრატეგიები**,** საბანკო პროდუქტები**,** მარკეტინგული სტრატეგია; პოტენციური კლიენტი.

## შესავალი

ქვეყნის ეკონომიკაში, საბანკო და საკრედიტო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული სფეროა. საბაზრო ურთიერთობების წარმატება კი პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული საბანკო სფეროს გამართულ მუშაობასთან.

იქედან გამომდინარე, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერად ითვლება , თავის დამკვიდრება კიდევ უფრო რთულია, განსაკუთრებით ისეთ სფეროში სადაც დიდი ფული ტრიალებს. ერთ-ერთი ასეთი, რა თქმა უნდა საბანკო-საფინანსო სფეროა, მწვავე კონკურენციის ფონზე კი მათ გაჩერების უფლება არ აქვთ და მუდმივი განვითარებისაკენ უნდა ჰქონდეთ გეზი აღებული. საბანკო სისტემის გამართული და წარმატებული მუშაობა დიდ როლს ასრულებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში (განსაკუთრებით საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნებში), ისე მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობაზე.

## ძირითადი ტექსტი

მარკეტინგი მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის წარმატებისთვის, ასევე საბანკო სფეროშიც. ბანკების საქმიანობის წარმატებისათვის საჭიროა ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება კლიენტებთან. სწორედ ამისთვისაა საჭირო მარკეტინგის დეპარტმანეტი. აღნიშნული დეპარტმანეტი გარკვეულ პრინციპებს ემყარებიან. ისინი ეხმარებიან ბანკებს ბარიერებისა და სირთულეების დაძლევაში, ბაზარზე მარტივად გასვლაში და დამკვიდრებაში. როგორც ვიცით საბანკო სექტორი საკმაოდ კონკურენტუნარიანი და სწორედ ამიტომ დიდი როლი აკისრია მარკეტინგის დეპარტმანეტს. ისინი უზრუნველყოფენ: მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებას, ინფორმაციის მოძიებას, ახალი პროდუქტების და მომსახურების შექმნას, სწორად შეფუთვას და მომხმარებლამდე მიწოდებას.

საბანკო საქმისადმი მარკეტინგული მიდგომა გულისხმობს, უზრუნველყოფილი იყოს ისეთი სახის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების და პროდუქტის შექმნასთან და მომხმარებლამდე მიტანასთან. როცა ხდება ორივე სუბიექტის მომხმარებლების და ბანკის ინტერესების გათვალისწინება და დაცვა, იქმნება ჯანსაღი ურთიერთობა მხარეებს შორის. მომხმარებელი კმაყოფილია და ბანკი ასრულებს დასახულ გეგმას.

ბანკის მიერ გაყიდული პროდუქტი პირველ რიგში არის ფული და ასევე სხვადასხვა მომსახურება, მაგ. ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორება, სესხები, განვადებები, ანაბრები. რა თქმა უნდა ბანკისთვის მნიშვნელოვანია თავიანთი მომსახურებებისა და პროდუქტების გაყიდვა, ქართული ბანკები ჩართულები არიან მძაფრ კონკურენციაში. ამის გათვალისწინებით ბანკები უნდა ცდილობდნენ მაქსიმალურად მომხმარებელზე მორგებული და ხელსაყრელი პირობები შექმნან, მაგრამ ასეთი კონკურენტული გარემოს გამო მათ ავიწყდებათ ყველაზე მნიშვნელოვანი, მომხმარებლები. ისინი ცვლილებებს ანხორციელებენ კონკურენტი ბანკის გამო და არა მომხმარებლებისა. სწორედ ამ ყველაფრისთვის არის საჭირო საბანკო სტრატეგიების შექმნა და მარკეტოლოგების მონაწილეობა. მათი მთავარი მოვალეობა არის ამოარჩიონ საუკეთესო გზები, დასახული მიზნებისა და გეგმის მისაღწევად. კომერციული ბანკებისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან შემდგომი მათი სამოქმედო გეგმა იქნება დამოკიდებული სწორად დასახულ და არჩეულ მიზნებზე და გზებზე. ეს ასევე დაეხმარება კლიენტებს, თანამშრომლებს, აქციონერებს და დაინტერესებულ პირებს სწორი წარმოდგენა შეიქმნან ბანკის მომავალზე და დანიშნულებაზე.

მარკეტინგული სტრატეგიის საშუალებით აუცილებელია განისაზღვროს შემდეგი ელემენტები: სეგმენტისა და ბაზრის განსაზღვრა; ბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა ბაზარზე; საბანკო მარკეტინგ-მიქსის ელემენტები.

ფინანსურ ბაზარზე წარმატების მიღწევისათვის ბანკებმა უნდა შესთავაზონ მომსახურებები მომხმარებლებს იმ დროს და იქ, სადაც მათ დასჭირდებათ. ასევე აუცილებელია მოთხოვნების დაკმაყოფილება სწრაფად და მარტივად. თანამედროვე მარკეტინგი მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება. განვითარებულ ქვეყნებში 85% მოსახლეობისა სარგებლობს საბანკო მომსახურებებით, მსგავსი სიტუაციაა საქართველოშიც. ბანკები მცდელობას არ აკლებენ დაიბრუნონ ძველი კლიენტები, ახალი მომსახურებების და პროდუქტების შეთავაზებით, ასევე შეინ-

არჩუნონ არსებული კლიენტები. ახალი კლიენტების მოზიდვა ბანკს უფრო ძვირი უჯდება ვიდრე არსებულის შენარჩუნება. მარკეტინგი იყოფა აქტიურ და პასიურ მარკეტინგად კლიენტებთან ურთიერთობის მეთოდების მიხედვით.

საქართველოში საკმაოდ განვითარებულია საბანკო სისტემა, მსოფლიო საბანკო ბაზრის და ეკონომიკის წარმატება პირდაპირ კავშირშია პროდუქტების განვითარებასთან.ქართული ბანკები მომხმარებლებს პროდუქტების მრავალფეროვან ასორტიმენტს სთავაზობენ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ დიდია, ბანკები იძულებული ხდებიან მომხმარებლებს პროდუქტების დიდი არჩევანი შესთავაზონ. ბანკების მიერ შეთავაზებული პროდუქტების დაყოფა სხვადასხვა ნიშნითაა შესაძლებელი. პროდუქტის შეთავაზების პირობები განსხვავებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ დისტანციური საბანკო მომსახურება,რომელსაც ბანკები მომხმარებლებს ინდივიდუალურად სთავაზობენ. დასახელებიდანაც ვხვდებით, რომ ეს არის მომსახურების გაწევა კლიენტის ბანკში მისვლის გარეშე, სახლიდან გაუსვლელად. საქართველოში აქტიურად გამოიყენება დისტანციური საბანკო პროდუქტები, გამომდინარე იქედან, რომ საზღვარგარეთის მსგავსად ინტერნეტთან წვდომა ძალიან მარტივი და მოსახერხებელია. ეს მომსახურება ბანკების განვითარების ერთ-ერთ მთავარ გზად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული პროდუქტის და მომსახურების შეთავაზებით ბანკები მუდმივ კონტაქტში არიან კლიენტებთან, იქნება ეს კორპორაციული სეგმენტი, იურიდიული თუ ფიზიკური პირი.

დისტანციური მომსახურების განვითარება ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია, რადგან მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია დროის დაზოგვა, მტერიალური დანახარჯების შემცირება და კომფორტი. აქტიური კონკურენციის პირობებში თითოეული ბანკი ცდილობს მაქსიმალურად გაამარტივოს და მოარგოს კლიენტების სურვილებს და მოთხოვნებს.

დისტანციური საბანკო სერვისება საშუალებას იძლევა, სა-

ბანკო ოპერაციები განხორციელდეს სხვადასხვა ელექტრონული არხის დახმარებით. ესენია: ინტერნეტ ბანკი, სმს ბანკი, მობაილ ბანკი და ა.შ.

კლიენტების იდენტიფიკაციისთვის და ვერიფიკაციისთვის ბანკები სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. ერთ-ერთი უახლესი მეთოდი არის ხმის ჩაწერა და მისი ამოცნობა სპეციალური პროგრამით, მაგრამ ამისათვის ბანკს აუცილებლად სჭირდება მომხმარებლის თანხმობა. ასევე გავრცელებულია ბოლო გადახდის და ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის მიღება და აუცილებელია მომხმარებელმა დააკონკრეტოს თანხის ოდენობა მაქსიმალური სიზუსტით, თუ კლიენტს უჭირს ბოლო ტრანზაქციის დასახელება, ამ შემთხვევაში, ზუსტდება ანგარიშის და ბარათის ნომერი, ეს მარკეტინგული გათვლაც კლიენტებისათვის კომფორტულია, ეს იქნება ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

## დასკვნა

კონკურენციიდან გამომდინარე ბანკები მუდმივ მცდელობაში არიან გააუმჯობესონ და განავითარონ მომსახურება და პირობები და მაქსიმალურად მისაღები და მორგებული იყოს მომხმარებლებზე, მაგრამ ამის განხორციელებას ის ფაქტი აფერხებს რომ, სწორედ აღნიშნული კონკურენციიდან გამომდინარე, მათ უწევთ მიბაძონ ერთმანეთს და მსგავსი პროდუქტები შესთავაზონ ხალხს, ეს კი თავის მხრივ გაურკვევლობას იწვევს კლიენტებში და ჯანსაღი, სწორი გადაწყვეტილების მიღება რთულდება.

მოსახლეობის ჩართულობა საბანკო სისტემაში დღითიდღე მატულობს და ეს ბანკებისათვის უნდა იყოს მოტივაცია, მეტი მობილიზების, განვითარების და შეთავაზებების დახვეწისათვის. საერთო სტატისტიკიდან გამომდინარე საზოგადოებაში პოპულარული სესხები და დისტანციური მომსახურებებია, რაც ნიშნავს რომ ბანკები ვალდებულები არიან მეტად მორგებული და მარტივი გახადონ აღნიშნული პროდუქტები. პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაცია ბანკებსა და მომხმარებლებს შორის, რაც ნიშნავს იმას რომ ყველასათვის გასაგები არ არის

მათი შეთავაზებები. მარკეტოლოგებს სჭირდებათ დიდი შრომის გაწევა და მაქსიმალური გათვალისწინება თითოეული ინდივიდის, რათა ინფორმაციამ სწორად მიაღწიოს არსებულ თუ პოტენციურ კლიენტამდე. მომხმარებლების ძირითადი სურვილი არის შემცირებული საპროცენტო განაკვეთი სესხებზე და შემცირებული ტარიფები. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მუდმივად ცდილობენ გააუმჯობესონ მომსახურება, ეს მაინც პრობლემას წარმოადგენს და საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილოა. ფაქტია, კომერციულ ბანკებს საქართველოში სამუშაო ნამდვილად ბევრი აქვს სხვადასხვა კუთხით, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ დროთა განმავლობაში აღნიშნული პრობლემები აღმოიფხვრება. წინა წლებთან შედარებით პროგრესი ნამდვილად შეინიშნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. https://bankofgeorgia.ge/ka/retail/main - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 17.01.2022წ.

2. კოტლერი ფ. არმსტრონგი გ. „მარკეტინგის პრინციპები“, მე-14 გამოცემა, 2015 წელი;

**REFERENCES:**

1. https://bankofgeorgia.ge/ka/retail/main - last checked on 17.01.2022.

2. Kotler f. Armstrong g. “Principles of Marketing”, 14th edition, 2015;

# THE ROLE OF MARKETING IN THE BANKING SYSTEM

**Marina Bagaturia,**
Assistant professor of GTU,
m_bagaturia@gtu.ge

**Manana Beruashvili,**
Assistant professor of GTU

## RESUME

Banks play an important role in economic development and are a leading area of the Georgian financial sector. In addition to the fact that banks pay large taxes to the budget, they also contribute to the image and reputation of a country.

Due to the competition the banks are constantly trying to improve and develop services so that they are acceptable and customized as much as possible. But this is hindered by the fact that, due to this competition, they have to imitate each other and offer similar products. This, in turn, causes uncertainty and decision-making becomes more difficult.

**Keywords:** Banking Strategies, Banking Products, Marketing Strategy; Potential client.

# ორმაგი დაბეგვრა და უსწორო გადასახადები

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-181**

**მაია კაპანაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
kapinio@yahoo.com

**გიორგი ჭინჭარაული**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, სესტ უნივერსიტეტის რექტორი
chinharauli66@gmail.ru

## რეზიუმე

განხილულია ორმაგი დაბეგვრისა და უსწორო გადასახადების პრობლემები, როგორც ზოგად თეორიულ ასპექტში, ისე საქართველოს კონკრეტულ რეალობაში. ნაჩვენებია ორმაგი დაბეგვრის და უსწორო გადასახადების უარყოფითი როლი და მათი სპეციფიკა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფოს მასშტაბით. ასევე ანალოგიურად წარმოდგენილია საქართველოს უსწორო და არ არსებული კანონმდებლობის დამსახურება, აღნიშნული პრობლემების წარმოქმნაში.

კონკრეტულად განხილულია - ტრანსპორტის პარკირების გადასახადი; უმაღლეს სასწავლებელთა ავტორიზაცია, აკრედიტაციის გაუვლელობის შემთხვევაში გადასახადების დაუბრუნებლობა. განათლების ცენტრის მომსახურების საფასურის მოსაკრებელი; საჯარო რეესტრის მომსახურების მოსაკრებელი. დაურეგისტრირებული მიწის გადასახადის დაუბრუნებლობა, ე. ი. იმ ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ფუნქციონირებენ.

ნაჩვენებია თუ ისინი რა როლის თამაშობენ ორმაგი დაბეგვრისა და უსწორო გადასახადების, მოსაკრებლების წარმოქ-

მნაში. ყოველივე აღნიშნული სახელმწიფო ორგანიზაციებს წარმოგვიდგენს კერძო ორგანიზაციების სახით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ როცა მომსახურებაზე მოსახლეობა ფულს იხდის, სახელმწიფო ორგანიზაციები უნდა ფუნქციონირებდნენ სამეურნეო ანუ კომერციული ანგარიშის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ორმაგი დაბეგვრა და უსწორო გადასახადები ძალაში რჩება, რაც აუარესებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

**საკვანძო სიტყვები:** ორმაგი დაბეგვრა, უსწორო გადასახადი, მოსაგრებელი, პარკირება, ავტორიზაცია, აკრედიტაცია.

## შესავალი

როგორც ცნობილია ორმაგი დაბეგვრა არის, ერთი და იგივე გადასახადის ორჯერ გადახდევინება. ხოლო უსწორო გადასახადები არის, სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დადგენილი გადასახადები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას და საერთაშორისო კანონმდებლობას.

შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ორმაგი დაბეგვრისა და უსწორო გადასახადების რეგულაცია უნდა ხორციელდებოდეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

## ძირითადი ტექსტი

საერთაშორისო მასშტაბით „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებები" ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს და განსაზღვრავს ქვეყნებს შორის დაბეგვრის პრინციპებს. კერძოდ იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გაწეულ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება მხოლოდ ერთჯერ. ან იმ ქვეყანაში, სადაც ის იქნა გადახდილი (არარეზიდენტი) ან კიდევ იქ, სადაც ის იქნა წარმოებული (რეზიდენტი). ყოველვე ეს ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას და ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შე-

სახებ შეთანხმებები გაფორმებული აქვს 57 ქვეყანასთან, რომელიც ძირითადად რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის #633 (22.11.2011) ბრძანების - „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისთვის საქართველოში გადახდილ, გადასახადის დაბრუნების წესი“-ის მიხედვით.

ორმაგი დაბეგვრის პრობლემა წარმოიშვა მაშინ, როცა არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება იბეგრებოდა, როგორც რეზიდენტის, ისე არარეზიდენტის ქვეყანაში, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკურ განვითარებას, ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, ინვესტიციების მოზიდვას. ამდენად ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შემოღებული იქნა ორი მეთოდი: 1. განთავისუფლების მეთოდი (სახელმწიფო აღარ ბეგრავს სხვა სახელმწიფოში დაბეგრილ მომსახურებას); 2. ჩათვლის მეთოდი (სხვა სახელმწიფოში მომსახურების გადასახადს, გადახდილად უთვლიან მოცემულ სახელმწიფოში).

საერთაშორისო მასშტაბით ორმაგი დაბეგვრის აკრძალვა, ავტომატიურად მოითხოვს სახელმწიფოთა შიგნითაც მისი აკრძალვის მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება, სამამულო კანონმდებლობის შეუსაბამობას საერთაშორისო კანონმდებლობასთან, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია. სახელმწიფოთა შიგნით ორმაგი დაბეგვრის სხვადასხვა სახე არსებობს. გამოყოფენ ვერტიკალურს - როცა გადახდა მიდის სხვადასხვა დონეზე, ე. ი. ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე და ჰორიზონტალურს როცა გადახდა მიდის ერთ დონეზე, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. სახელმწიფოთა შიგნით ორმაგი დაბეგვრის პრობლემა დგას მრავალმხრივ ასპექტში. კერძოდ კი როცა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (რომელთა წყარო ფიზიკური და იურიდიული პირების გადასახადებია) გაწეულ მომსახურებაზე, სახელმწიფო ინსტიტუტები კვლავ გადასახადებს უწესებენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ან კიდევ ერთჯერად სახელმწიფო მოხელეთა მომსახურებაზე, მრავალჯერ სხვადასხვა მომიზეზებით ახდევინებენ მომსახურების გადასახადებს, თუ მოსაკრებლებს. ორმაგ და-

ბეგვრას აქვს ადგილი თუ ერთი და იგივე გადასახადი გადაიხდება ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე თუ ცალ-ცალკე იბეგრება ხელფასი და ხელფასის ფონდი, რომელშიც შედის ხელფასი და ა. შ.

ყოველივე ეს კანონმდებლობით უნდა იკრძალებოდეს, რაც საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს. რაც იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ექსპლოატაციასთან. ე. ი. სახელმწიფოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან დამატებითი, მეორეჯერ გადასახადის თუ მოსაკრებლის გადახდევინებით, მათი შემოსავლების მითვისებას, გაცვლისა და ეკვივალენტური ანაზღაურების გარეშე.

ჩვენდა საუბედუროდ, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში შესაბამისი არ არსებულ ან უსწორო კანონმდებლობის პირობებში, საკითხის სამართლიანი დარეგულირება შეუძლებელია. მტკიცებულებად განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:
- საქართველოს კანონმდებლობით ტრანსპორტის პარკირების გადასახადი დაწესებულია ქუჩებზე და ტროტუარებზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში ფიზიკურ და იურიდიულ პირების შენატანებით არის გაკეთებული. ეს კი იმის მტკიცებულებაა, რომ მეორეჯერ იხდიან გადასახადს პირები მათი შემოსავლებით გაკეთებულ ქუჩებსა და ტროტუარებზე, რაც აშკარა ორმაგი დაბეგვრის ექსპლუატაციის მაჩვენებელია, სხვა საქმეა ეს გადასახადი, რომ ვრცელდებოდეს არარეზიდენტებზე და იმ პირებზე რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები არ გააჩნია.

ანალოგიური და უფრო უარესი მდგომარეობაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების საფუძველზე ფუნქციონირებს. მიუხედავად ამისა, უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მინიჭებისათვის გადასახადს წინასწარ ახდევინებენ: მომსახურებისათვის ე. ი. ექსპერტების მომსახურებაზე - 500 ლარს. 2) ავტორიზაციისათვის - 12 ათას ლარს; 3) აკრედიტაციისათვის - 20 ათას ლარს. შემოწმების შემდეგ თუ უარი ეთქვა სასწავლებელს, ამ თანხის დაბრუნება უკან არ ხდება, რასაც უსწოროდ ითვისებს ეროვნული ცენტრი, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების თუ მოსაკრებლების სიდიდით.

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მარტო ორმაგ დაბეგვრას, არამედ სახელმწიფო რეკეტსა და დისკრიმინაციას, ვინაიდან შემოწმებაზე რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტ-იდან დაფინანსებული ორგანიზაცია, გადახდილია - 500 ლარი. როცა სასწავლებელს ავტორიზაციას და აკრედიტაციას არ ან-იჭებს ეროვნული ცენტრი. მაშინ რის საფუძველზე ითვისებს 12 ათას და 20 ათას ლარს? ან წინასწარ რატომ ახდევინებს? ამას დამატებითი კომენტარი არ ჭირდება.

კორუფციას თუ გამოვრიცხავთ, ორმაგი დაბეგვრის, უსწო-რო გადასახადების და მოსაკრებლების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომე-ლიც ასევე ფუნქციონირებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინან-სების საფუძველზე.

სახელმწიფო ბიუჯეტში კაპიტალური შემოსავლები მიიღ-ება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძირითადი კაპიტა-ლის, მიწის და ა. შ. გაყიდვიდან ფიზიკური პირების მიერ მიწის შესყიდვის შემთხვევაში რეესტრი წინასწარ ახდევინებს მიწის რეგისტრაციის მომსახურებისა და მიწის ფასს, შემდგომ წარ-დგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, თუ მიწის რეგისტრა-ცია არ განხორციელდა რეესტრი უკან არ აბრუნებს გადახდილ მიწის ფასს, რაც მოსახლეობის აშკარა სახელმწიფო რეკეტისა და ექსპლოატაციის მაჩვენებელია.

საქართველოს რეალობაში მსგავსი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია არსებუ-ლი და უსწორო კანონმდებლობის არსებობის მტკიცებულებად. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ეს სახელმწიფო ინსტიტუტების უშრომელი შემოსავალი, სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად არ მიდის და სახელმწიფო მოხელეთა პირად ინტერესებს ხმარდე-ბა. ასეთ, ვითარებაში რეალურად სახელმწიფო ინსტიტუტები კერძო ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

საყოველთაოდ ცნობილია სახელმწიფო ინსტიტუტები, როცა მოსახლეობას ფულს ახდევინებენ, ისინი უნდა ფუნქციონირებ-დნენ სამეურნეო ანუ კომერციულ ანგარიშზე და სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდნენ, რაც საქართველოს სი-ნამდვილეში არ არსებობს. სამაგიეროდ ორმაგი დაბეგვრისა და

უსწორო გადასახადების ბუმია, რის გამოც სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება.

## დასკვნა

ნაშრომში სხვადასხვა ასპექტებში განხილულია ორმაგი დაბეგვრისა და უსწორო გადასახადების პრობლემები. არგუმენტირებულია საქართველოში არ არსებული და არსებული უსწორო კანონმდებლობის შედეგად, თუ რაოდენ ფართო მაშტაბით მიმდინარეობს ფიზიკური და იურიდიული პირების ორმაგი დაბეგვრა და უსწორო გადასახადების გადახდევინება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Типовая конвенция об избежание двойного налогообложения. ООН, Нью-Йорк, 2013.

2. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2011.

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2011.

4. გ. ჭინჭარაული, ეკონომიკური თეორია, ნაწ. 3, თბ., 2005.

5. ვ. ხანიშვილი, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მექანიზმის სრულყოფა საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2016.

6. Бразгалин А. В., Берник В. Р. и др. Методы налоговой оптимизации. М., 2001.

## REFERENCES:

1. Model convention for the avoidance of double taxation. UN, New York, 2013

2. Constitution of Georgia, Tbilisi, 2011.

3. Tax Code of Georgia, Tbilisi, 2011.

4. G. Chincharauli, Economic Theory, part. 3, Tbilisi, 2005

5. V. Khanishvili, Improving the Mechanism for Avoiding International Double Taxation in Georgia, Doctoral Dissertation, Tbilisi, 2016.

6. Brazgalin A. V., Bernik V. R. et al. Methods of tax optimization. M., 2001.

# DOUBLE TAXATION AND ERRONEOUS TAXES

**Maia Kapanadze,**
Ac. Doctor of Economics,
Associate Professor of GTU
kapinio@yahoo.com

**Giorgi Chincharauli**
PHD in Economics,
The National Social- Technological University Rector
chinharauli66@gmail.ru

**RESUME**

The topic discusses the problems of double taxation and incorrect taxes, both in the general theoretical aspect and in the specific reality of Georgia. The negative role of double taxation and irregular taxes and their specificity in socio-economic development, both internationally and nationally, are shown. The merits of the incorrect and non-existent legislation of Georgia in the emergence of these problems are also presented analytically.

Moreover, there are specifically discussed: transport parking fee; Authorization of higher education institutions, non-refund of taxes in case of non-accreditation; Education Center service fee; Public Registry Service Fee; Non-refund of unregistered land tax; The activities of the organizations that operate with the funding of the state budget.

Furthermore, they are shown to play a role in generating double taxation and incorrect tax rates. It is well known that when the population pays for services, state organizations had to operate on the basis of an economic or commercial account, otherwise double taxation and erroneous taxes remain in force, which worsens the socio-economic situation of the state.

**Key words:** Double taxation, incorrect tax, taxable, parking, authorization, accreditation.

# საქართველოს პირველადი ჯანდაცვის პრობლემები და საჭიროებები

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-188**

**რუსუდან ქუთათელაძე**
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი, დეკანი
r.kutateladze@gtu.ge

**ნინო ელისაბედაშვილი**
სტუ დოქტორანტი
n.elisabedashvili@seu.edu.ge

**რეზიუმე**

განხილულია ზოგადად პოლიკლინიკების და ამბულატორიების როლი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში და ის პრობლემები, რომლებიც ამ როლის შესრულებას უშლის დღეს ხელს.

ხაზგასმულია, რომ პირველადი ჯანდაცვის სისუსტე და მისი უუნარობა გადაჭრას პრობლემები და გამოასწოროს ხარვეზები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ („ჯანმო") გლობალური ჯანდაცვის ერთ-ერთ საფრთხედ აღიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საფრთხე მარტო საქართველოს ჯანმრთელობის სფეროს არ უდგას, მაგრამ იგი განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოსნაირ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.

სტატიაში განხილულია ყველა ის პროგრამები და ინციციატივები, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო ფონდების მიერ განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის არასასურველი მდგომარეობის გამოსასწორებლად. დეტალურად გაანალიზებულია, მათ შორის, უშუალოდ საქართველოზე

ჩატარებული კვლევებიც და გამოკვეთილად დასახელებულია პირველადი ჯანდაცვის პრობლემები და ხარვეზები. პერსონალის (ძირითადად, ექიმების) დაბალი კვალიფიკაცია, პაციენტების უნდობლობა, სწორი მოტივაციის არქონა, პირველადი ჯანდაცვის სტრატეგიის არარსებობა, პაციენტებისადმი ექიმების უგულისყურო, ზერელე დამოკიდებულება და მრავალი სხვა.

სტატიის ავტორთა აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს პირველადი ჯანდაცვის ექიმების (და ექთნების) კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება, დაინერგოს სწორი მოტივაცია, გაიზარდოს ოჯახის და სოფლის ექიმების ხელფასები, ექიმებმა უნდა გაიარონ ფსიქოლოგიის კურსი, კერძოდ, „პატიენტთან უსაფრთხოების ფსიქოლოგია" და მრავალი სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვა; ოჯახის ექიმი; სოფლის ექიმი; სუსტი პირველადი ჯანდაცვა; პოლიკლინიკები და ამბულატორიები; სამედიცინო მომსახურება.

## შესავალი

ყველა ადამიანს, ადრე თუ გვიან, სამედიცინო მომსახურება სჭირდება. სწორედ ამიტომ, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სათანადო განვითარება თითოეული ჩვენთაგანის ინტერესს წარმოადგენს. ადამიანის ჯანმრთელობა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ცხოვრების დონის ხარისხის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რადგან საზოგადოების განვითარებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლის მთავარი პირობაა.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ორი ქვესისტემისგან შედგება:

1. პოლიკლინიკები და ამბულატორიები ანუ პირველადი ჯანდაცვა;
2. სტაციონალური კლინიკები (საავადმყოფოები).

მოცემული სტატია ეხება მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის პრობლემებს და ხარვეზებს და წარმოგვიდგენს მართვის სრულყოფით და დახვეწით მათი აღმოფხვრის რეკომენდაციებს.

## ძირითადი ტექსტი

პირველად ჯანდაცვას ამ სფეროს სპეციალისტები „მეკარიბჭის" („Gatekeeping") ფუნქციას აკისრებენ და თვლიან, რომ ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ მოწყობაში მას განსაკუთრებული როლი ეკისრება [1, გვ. 12]. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სამედიცინო სერვისისადმი მათი ხელმისაწვდომობა, რადგან, ოჯახის ექიმი ახდენს პაციენტის დაავადების პირველად შეფასებას, საზღვრავს სამედიცინო მომსახურების ხარჯის სიდიდეს და საჭიროების შემთხვევაში პაციენტს აგზავნის სტაციონარში ექიმ-სპეციალისტებთან [2], ასეა საზღვარგარეთ და ასეა ჩვენთანაც.

საზღვარგარეთული კვლევები ადასტურებს, რომ როდესაც ოჯახის ექიმი კორდინაციას უწევს პაციენტის სამედიცინო მომსახურებას, ამით მცირდება ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების მოხმარება. უცხოურ პრესაში, ასეთ დროს სახელდება ჰოსპიტალური მკურნალობის 35%-ით, ხოლო გადაუდებელი დახმარების 50%-ით შემცირება [3]. იგივე წყარო გვეუბნება, რომ ოჯახის ექიმი არის პაციენტის მრჩეველი მკურნალობის საკითხში და ის არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გონივრული გადაწყვეტილების მიღება შეუძლია პაციენტისთვის შესაფერისი სამედიცინო მომსახურების არჩევის საკითხში, რადგანაც იგი მას და მის ოჯახს, ხანგრძლივად, ზოგჯერ კი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აკვირდება. შედეგად, ოჯახის ექიმმა კარგად იცის პაციენტის სამედიცინო ისტორია [4. გვ. 102]. ეს ცოდნა მას საშუალებას აძლევს, მართოს პაციენტის დაავადება, მოახდინოს სამედიცინო ხარჯების მინიმუმამდის შემცირება და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა. ასეთ დროს, ხშირად ადგილი აქვს ამ რგოლის ამოგდებას პაციენტის მკურნალობიდან, პაციენტებმა დაკარგეს პირველადი ჯანდაცვის ექიმების ნდობა. აბა, სხვას რას მიეწერება ის ფაქტი, რომ საქართველოს ჯანდაცვის სტაციონარებში პაციენტთა მიმართვიანობა 2013-2017 წლებში გაიზარდა 3-ჯერ (300%), პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებში კი, მხოლოდ 30%-ით,

რომ საქართველოს ჯანდაცვისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მხოლოდ 43,3% დაიხარჯა პირველად ჯანდაცვაზე, 56,7% კი - სტაციონარებზე და ა.შ. [5. გვ. 18].

პრობლემური პირველადი ჯანდაცვა არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი. ეს პრობლემა ყველა დაბალშემოსავლიან და განვითარებად ქვეყანას უდგას. ამ პრობლემის შესახებ 2019 წლის დასაწყისში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოხსენებაში აღინიშნა. მან დაასახელა გლობალური ჯანდაცვის ათი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელთა შორის რიგით მეშვიდედ დასახელებულია სუსტი პირველადი ჯანდაცვა [6. გვ. 4]. ეს საფრთხეებია:

1. ჰაერის დაბინძურება და კლიმატის ცვლილება;
2. არგადამდები დაავადებები;
3. გლობალური პანდემია;
4. სუსტი და მოწყვლადი გარემოცვა;
5. ანტიკრიზისული რეზისტენტობა;
6. ებოლია;
7. სუსტი პირველადი ჯანდაცვა;
8. ვაქცინაციისგან თავის არიდება;
9. დენგეს დაავადება;
10. აივ/შიდსი.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მსოფლიო რანგის ორგანიზაციებმა ამ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება.

დაბალშემოსავლიან განვითარებად ქვეყნების პირველად ჯანდაცვაში არსებული არასასურველი მდგომარეობის გამო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას („ჯანმო") უხდება არა ერთი და ორი წამოწყების ინიცირება და გატარება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ერთ-ერთი ასეთი იყო 2015 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ბილ და მელინდა გეითსების ფონდის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავებული პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესების ინიციატივა - PHCPI (Primary Health Care Performance Initiative), რომლის მიზანი იყო დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების დაჩქარება [3. გვ. 9]. აღნიშ-

ნული ინიციატივის ქტივობები გამომდინარეობდა პირველადი ჯანდაცვის კონცეპტუალურ ჩარჩოდან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ძლიერი პირველადი ჯანდაცვის შექმნისთვის საჭირო კომპონენტებს [5. გვ. 10].

ამ საკითხზე ყურადღება გამახვილდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2018 წლის ანგარიშშიც და გაკეთდა შემდეგი დასკვნები [7]:

➢ სწავლის ციკლის კულტურის ამაღლება კლინიკური პრაქტიკის დონემდე;

➢ პირველადი ჯანდაცვის რეორგანიზება მულტიდისციპლინურ გუნდებად;

➢ პირველადი ჯანდაცვის მომსახურების შესრულების ინდიკატორების შემუშავება;

➢ პროვაიდერების კომპეტენციების გაუმჯობესება და სხვა.

იმავე 2018 წელს, ჯანდაცვის სისტემების კვლევის მეხუთე გლობალურ სიმპოზიუმზე (Fifth Global Symposium for Health Systems Research) (HSR 2018) ერთ-ერთი მთავარი სადისკუსიო თემა იყო პირველადი ჯანდაცვის სისტემა და აქაც შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები [5. გვ. 15]:

➢ დისკუსიისა და ხელმძღვანელობის პლატფორმის შექმნა;

➢ მართვის და რეგულაციების იურიდიული ჩარჩოს განვითარების მხარდაჭერა;

➢ მონაცემების შეგროვების და ანალიზის გაუმჯობესება;

➢ სახელმწიფო და კერძო სექტორის კავშირების პოლიტიკის შესწავლა და სხვა.

იმავე 2018 წლის საერთაშორისო ფონდ „კურაციო"-ს მიერ გამოქვეყნდა ანგარიში - „Primary Health care Systems (PRIMASYS) – Case Stydy From Georgia". ამ ანგარიშის სარეკომენდაციო ნაწილში განხილულია შემდეგი საკითხები:

➢ სამოტივაციო მექანიზმების შემუშავება ოჯახის ექიმის ფუნქციების არაადექვატური შესრულების გამოსასწორებლად;

➢ ვერტიკალური პროგრამების ინტეგრირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებში;

➢ პირველად ჯანდაცვაში მოდიფიცირებადი რისკების მართვის გაძლიერება;

➢ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამების დანერგვით და სხვა.

პირველადი ჯანდაცვის მუშაობის გასაუმჯობესებლად ანალოგიური ღონისძიებები ხორციელდებოდა საქართველოშიც. პირველადი ჯანდაცვის რეფორმირება საქართველოში 2000 წლიდან დაიწყო [8]. ამ პერიოდიდან საქართველოს სოფლებში დაიწყო ამბულატორიების მშენებლობის და რეაბილიტაციის პროცესი, ექიმების და ექთნების გადამზადება. რაიონული ცენტრების და დიდი ქალაქებისთვის დაიწყო პირველადი ჯანდაცვის, ამბულატორიული და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისების ინტეგრაცია და ა. შ. დღეს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში პირველადი ჯანდაცვის სისტემა საოჯახო მედიცინის ცენტრების მეშვეობით ფუნქციონირებს, ხოლო სოფლად პირველადი ჯანდაცვის ფუნქციას სოფლის ექიმის ინსტიტუტი ახორციელებს [8. გვ. 82].

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებულმა რეფორმამ არ მოიტანა სათანადო შედეგი. ამას გვიჩვენებს ამბულატორიულ დაწესებულებებში პაციენტთა მიმართვების რაოდენობა. მან მოსახლეობის ერთ სულზე 2,3 მიმართვა შეადგინა, ნაცვლად 7,5 მიმართვისა ევროპის ქვეყნებში [9. გვ. 82].

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოში პერიოდულად ტარდებოდა კვლევები, მუშავდებოდა რეკომენდაციები და იქმნებოდა კონცეფციები. მაგალითად, 2014 წელს შემუშავებული - „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტებიის უფლებების დასაცავად“, რომელიც მოიცავდა პირველად ჯანდაცვასაც, 2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, რომელშიც მოცემული იყო რეკომენდაციები პირველად ჯანდაცვის მიმართაც, 2016 წელს, „გლობალური ალიანსის“ მიერ შემუშავებუ-

ლი ჯანდაცვის სტრატეგია (2016-2023 წ.წ.), რომელიც შეიცავს პირველად ჯანდაცვასაც და რომელი დოკუმენტიც დღემდე არ ამოქმედებულა და სხვა.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც მხოლოდ საქართველოს პირველად ჯანდაცვას შეეხო [5].

აღნიშნულ კვლევაში, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მოსახლოებაში ჩატარდა, დასკვნები რესპოდენტების მიერ გაცემულ პასუხებს დაეფუძნა. პირველადი ჯანდაცვის სისუსტის მიზეზად რესპოდენტებმა დაასახელეს შესაბამის სამინისტროებში პირველად ჯანდაცვის მუშაობაზე პასუხისმგები დეპარტამენტის არ არსებობა, ჯანდაცვის სამინისტროში თანამდებობის პირების ხშირი ცვლა, რომლებიც სანდოდ და სარწმუნოდ არ მიიჩნევენ წინამორბედის მიერ ჩატარებულ სამუშაოს და იგივე პროცესს იწყებენ თავიდან. რესპოდენტთა შეფასებით, ჯანდაცვის სამინისტროს აქცენტები ძირითადად სტაციონარებზე აქვთ გადატანილი, რადგან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ამას მოითხოვდა და იმის მიუხედავად, რომ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, სიტუცაია მაინც უცვლელი დარჩა. დასახელდა ოჯახის ექიმების დაბალი კვალიფიკაციაც [5. გვ. 28]. ამის გარდა, დასახელდა ექთანთა მწვავე დეფიციტი. საქართველოში ექიმების რაოდენობა აჭარბებს ექთნების რაოდენობას. 2019 წლის სტატისტიკით საქართველოში 31700 ექიმი და 19600 ექთანია, ანუ ერთ ექიმზე მოდის 0,6 ექთანი [10]. ეს მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში საშუალოდ ერთ ექიმზე მოდის 4-5 ექთანი [11]. საქართველოს ჯანდაცვაში ეს პრობლემა რომ არსებობს საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ, ქმედითი ნაბიჯები ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ იდგმება, 2019 წელს ჩატარებულ კვლევაში ჩართულ რესპოდენტთა უმრავლესობას აღუნიშნავს, რომ საოჯახო მედიცინაში ახალი კადრები არ იზრდებიან, რადგან, ეს სპეციალობა პრესტიჟულად არ ითვლება. თვით ოჯახის მოქმედი ექიმებიც არ გრძნობენ თავს დაფასებულად და ამის მიზეზად ქვეყანაში მათ შესახებ უარყო-

ფით საინფორმაციო კამპანიას ასახელებენ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ამ კვლევამ გამოკვეთა არის ოჯახის ექიმის, განსაკუთრებით სოფლის ექიმის დაბალი ხელფასი (განსაკუთრებით კერძო კლინიკებში), მათ არა აქვთ დაზღვევა, არა აქვთ ავადმყოფობის უფლება და ავადობის გამო, გაცდენილი დღეები ხელფასიდან ექვითებათ [12] და ა. შ.

კვლევაში რესპოდენტები ზოგად პრობლემად ასახელებენ კერძო სექტორის კლინიკების მოგებისადმი უზომო მისწრაფებას, ამიტომ ისინი მოითხოვენ რომ ქვეყნის პირველად ჯანდაცვაში წახალისდეს არაკომერციული, არამომგებიანი კლინიკები.

სწორედ კვლევაში მონაწილე რესპოდენტებთან შეთანხმებით გააკეთა „ღია საზოგადოება საქართველოს ფონდის" მკვლევართა ჯგუფმა შემდეგი დასკვნები [5. გვ. 45-47]:

1. პირველადი ჯანდაცვის კარდინალური სრულყოფის ბარიერი არის ქვეყანაში ამის პოლიტიკური ნების არარსებობა;

2. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული პირველადი ჯანდაცვის ექიმ-სპეციალისტების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციები;

3. საჭიროა ჩამოყალიბდეს პირველადი ჯანდაცვის განვითარების გრძელვადიანი ხედვა (სტრატეგია), რომელსაც თან უნდა ახლდეს სამოქმედო გეგმა შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით;

4. პრიველადი ჯანდაცვის კარდინალურ რეფორმირებას სჭირდება კომპეტენტური გუნდი, რომელიც ამ საკითხზე იქნება პასუხისმგებელი;

5. აუცილებელია უწყვეტი პროფესიული განათლების სავალდებულო სისტემის დანერგვა;

6. ალმოსაფხვრელია არასწორი სტიმულების სიჭარბე და დასანერგია სწორი მოტივაციები (ოჯახის ექიმმა რომ სრულყოფილად შეასრულოს თავის მოვალეობა, საჭიროა ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება) და მრავალი სხვა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია მეცნიერების თ. ვერულავას და რ. ჯორბენაძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევა ჩატარდა 456 რესპოდენტზე. კვლევით დადგინდა, რომ რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 55% (253 რესპოდენტი) უპ-

ირატესობას ანიჭებს საჭიროების შემთხვევაში არა პირველადი ჯანდაცვის ოჯახის ექიმთან მიმართვას, არამედ, პირდაპირ ექიმ-სპეციალისტთან თვითმიმართვას. ეს განსაკუთრებით ახასიათებთ სოფლის მცხოვრებთ და ქალაქების დაბალშემოსავლიან ოჯახებს. მათ 91,3%-მა ეს ვითარება ახსნა იმით, რომ არ არიან კმაყოფილნი ოჯახის ექიმის დამოკიდებულებით [9. გვ. 86-87]. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი მათი დაბალი გადახდისუნარიანობაა და ისინი ცდილობენ ნაკლები ექიმის მომსახურებით შეამცირონ დანახარჯები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მეცნიერები თ. ვერულავა და რ. ჯორბენაძე აკეთებენ დასკვნას, რომ პირველადი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისას ყურადღება მიექცეს პაციენტთა შეხედულებებს მკურნალობის საკითხზე, რომ საჭიროა ოჯახის ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება, რადგან მაღალკვალიფიციურ ექიმებს უფრო მეტი ნდობა აქვთ პაციენტებში, რომ ოჯახის ექიმი უნდა გახდეს აუცილებელი „მეკარიბჭე“ პაციენტის ექიმ-სპეციალისტთან მიმართვისას და თუ პაციენტი ამის გარეშე მიაკითხავს ექიმ-სპეციალისტს, მას დაუწესდეს დამატებითი გადასახადი [9. გვ. 88] და ა. შ. ეს უკანასკნელი მოსაზრება ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად.

ჯანდაცვა რთული სისტემაა. პაციენტებს უფლება აქვთ აირჩიონ კლინიკაც და ექიმიც, მაგრამ პაციენტებმა არ იციან სამედიცინო დახმარების რომელი სახე და რომელი ექიმია მათი მკურნალობისთვის ყველაზე ეფექტური. პაციენტი ამის ცოდნას არ ფლობს. ამიტომ აუცილებელია პაციენტი რაც შეიძლება მეტად იყოს ინფორმირებული, ანუ ჩართული სამედიცინო სერვისის მიღების პროცესში. როცა ოჯახის ექიმი ამას აკეთებს, მისი პაციენტი კმაყოფილია და ასეთ შემთხვევაში, არა მხოლოდ ამ კონკრეტული ექიმის, არამედ, კლინიკის მომსახურებითაც კმაყოფილია. ამ ორ ცვლადს შორის დადებითი კორელიაცია რომ არსებობს საქართველოს პირველადი ჯანდაცვის მაგალითზე ეს შეისწავლა და დაასაბუთა მეცნიერმა თ. ბუწაშვილმა [4. გვ. 105]. მან კვლევა ჩაატარა ქ. თბილისის ამბულატორიულ კლინიკებში და დააფიქსირა მაღალი დადებითი კორელიაცია (სპირმენი) - რს = 0,62, პ = 0,000 [4. გვ. 105]. მეცნიერი თ. ბუწაშვილის

გამოკვლევით დადგინდა, რომ თუ ოჯახის ექიმი დაუზარებლად, გულიანად მიაწოდებს პაციენტს მის დაავადებაზე ყველა ინფორმაციას - მკურნალობის არსს, მიზანს, მისი რჩევების არ გათვალისწინების უარყოფით შედეგს, შეეცდება ჩაწვდეს პაციენტის პრობლემებს, შეეცდება ჩართოს იგი გადაწყვეტილების მიღებაში, შეუქმნის მას ისეთ გარემოს, რომ პაციენტს შეიძლება თავისუფლად ესაუბროს მას თავის პრობლემებზე, საჭიროების შემთხვევაში უპასუხებს ტელეფონზეც, შეინახავს მის პირად საუბარს კონფიდენციალურად, არ აგრძნობინებს პაციენტს რომ მას არა აქვს საკმარისი დრო მის მოსამსახურებლად და ა. შ., მაშინ, პაციენტი აუცილებლად კმაყოფილი იქნება მისი და საჭირო შემთხვევაში მასთან ვიზიტს თავს არ აარიდებს.

რადგან საქართველოს პირველად ჯანდაცვას ის პრობლემა უდგას, რომ მის ექიმებს თავს არიდებენ და პაციენტები ხშირად პირდაპირ სტაციონარს მიმართავენ, ხოლო ვინც მიმართავს პირველად რგოლს, ისინიც, ძირითად შემთხვევაში, ცდილობენ ოჯახის ექიმის გვერდის ავლით ექიმ-სპეციალისტთან ვიზიტს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ პირველადი ჯანდაცვის ექიმებშია პრობლემა. შეიძლება მათ მართლაც აკლიათ განათლება (განსაკუთრებით სოფლის ექიმებს), რადგან ეს სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, მაგრამ ჩემი აზრით, გარდა იმისა, რომ დიდი ყურადღება მათი კვალიფიკაციის ამაღლებას უნდა მიექცეს, მათ ფსიქოლოგიური მომზადების კურსიც უნდა გაიარონ. მხედველობაში გვაქვს პაციენტთან ექიმის დამოკიდებულების ფსიქოლოგიის შესწავლა.

ფსიქოლოგია მეცნიერებაა, რომელიც ამ ბოლო დროს მრავალ სფეროში შემოიჭრა. არსებობს მენეჯმენტის ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია, ადამიანებთან ურთიერთობის ფსიქოლოგია და ა. შ. გამოჩნდა ახალი ხედვა იმის შესახებ, რომ მენეჯერები მათთან დასაქმებულებს უნდა მოექცნენ არა როგორც დაქვემდებარებულებს, არამედ, როგორც პარტნიორებს, უნდა გაიცნობიერონ მათი ფსიქოლოგიური ტიპაჟი - ხასიათი, განწყობა, სურვილები, ინტერესები და სხვა თვისებები, რომლებიც სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაა, და, რომელმა მენეჯერ-

მაც ეს მოახერხა, მისმა კომპანიამ ასეთი დასაქმებულებისგან მაღალი უკუგებაც მიიღო.

ჩვენი აზრით, ასე უნდა მივუდგეთ პაციენტებსაც. ექიმთა კორპუსმა უნდა გაიცნობიეროს, რომ პაციენტის მკურნალობის შედეგს მარტო მისი კვალიფიკაცია არ განაპირობებს. აქ ერთ-ერთი მთავარი არის პაციენტის განწყობა. ამ პროცესში, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ეს განწყობა მასში მკურნალმა ექიმმა უნდა შექმნას. მან პაციენტი მისსავე მკურნალობის პროცესში „პარტნიორად“ უნდა ჩართოს. ამას მხოლოდ ის ექიმი მოახერხებს, რომელსაც ნასწავლი აქვს „მკურნალობის ფსიქოლოგია“, ან „პაციენტებთან ურთიერთობის ფსიქოლოგია“. ეს საკითხი არა მხოლოდ პირველად ჯანდაცვაში, არამედ, საქართველოს ჯანდაცვის მთლიან სისტემაში სკრუპულოზურად შესასწავლი და პრაქტიკულად დასანერგია.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევისწავლეთ პირველადი ჯანდაცვის მდგომარეობა საქართველოში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის („ჯანმო“-ს) დამოკიდებულება და ინიციატივები ჯანდაცვის ამ რგოლის გასაუმჯობესებლად, ცალკეული კვლევები შედეგები და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ საქართველოს პირველადი ჯანდაცვა სუსტზე სუსტია. გამოკითხულ მოსახლეობის 91% უარყოფითად აფასებს პირველადი ჯანდაცვის ექიმების კვალიფიკაციას და მათ დამოკიდებულებას პაციენტების მიმართ.

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უნდა დაიწყოს მათი უწყვეტი პროფესიული განათლება. საქართველოში არის საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრები, მაგრამ ისინი ფასიანია და ექიმებს და ექთნებს ფინანსურად არ მიუწვდებათ მათზე ხელი [13. გვ. 167]. რაც შეეხება პაციენტებთან დამოკიდებულების გამოსწორებას, სამედიცინო პერსონალმა სპეციალურად უნდა შეისწავლოს ფსიქოლოგიის ორი კურსი - „მკურნალობის ფსიქოლოგია“ და „პაციენტებთან ურთიერთობის ფსიქოლოგია“. ამ კურსების გავლის შემდეგ, პირველად ჯანდაცვაში პაციენტებსა

და სამედიცინო პერსონალს (ძირითადად, ექიმებს) შორის არსებული უფსკრული თანდათან დაიძლევა. ექიმები გააძლიერებენ ძალისხმევას იმ მიმართულებით, რომ მათი და პაციენტების განწყობები და გადაწყვეტილებები ერთმანეთის დაუახლოვდნენ.

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:


1. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოკლე მიმოხილვა. 2018. (Brief overview of the Georgian healthcare system. 2018.)

2. Aoun A. Al Hayek S., El. Jabbour F. (2018). the Need for a New Model of the Physician-Patient Relationship: A Challenge for Modern Medical Practice. fom Med Prin Care Rev; 20(4): 379-384.

3. Gerade C. (2011). From Patient Advocate to Gorlekeeper Understnnd: nge the Effewcts of the NHS Reforms. Br j Gen Pract 61(592): 655-656.

4. ბუწუნაშვილი თ. ხარჯთეფექტური პირველადი ჯანდაცვა და მისი ეკონომიკური სარგებელი. ჟ. „ეკონომისტი“. #3. 2018. გვ. 102. (Butsunashvili T. Cost-effective primary health care and its economic benefits. J. “Economist”. # 3. 2018. p. 102.)

5. მიქავა ნ., გაბრიჭიძე ს. „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ წლიური ანგარიში. თბ., 2019. (Mikava N., Gabrichidze S. Annual Report of the Georgian Open Society Foundation. Tbilisi, 2019.)

6. Ten Threats to Global Health in 2019. http://www.who.int/emergencles/ten-threats-to-global-health-in-2019.

7. „ჯანმო“-ს 2018 წლის ანგარიში - A Vision for Health Care in the Rage and the Systainable Development Goals. 2018.

8. Chirovani I., Sulaberidze L. (2017). Primary Health Cre Systems, Case Study From Georgia, Geneva: World Health Organization.

9. ვერულავა თ. პირველადი ჯანდაცვის „მეკარიბჭეობა“ და მიმართვიანობა. ჟ. „ეკონომისტი“. #1. 2020. (Verulava T. Primary care “gatekeeping” and referral. J. “Economist”. # 1. 2020.)

10. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაცია (www.geostat.ge). Information of National Statistics Office of Georgia.

11. ვერულავა თ. ექთანთა საქმიანობის გარემოს მახასიათებ-

ლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში, ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია. 2015. 1(1). (Verulava T. Characteristics of Nurses' Work Environment and Job Satisfaction in Georgia, Health Policy, Economics and Sociology. 2015. 1 (1).)

12. სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური. თბ., 2015. (Audit of the effectiveness of the state program of the village doctor, State Audit Office. Tbilisi, 2015.)

13. როსტიაშვილი თ. პირველადი ჯანდაცვა - თანამედროვე ჯანდაცვის პრიორიტეტული მიმართულება, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული - „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი. თბ., 2020. ტ. I. (Rostiashvili T. Primary Health Care - Priority of Modern Health Care, Proceedings of the IV International Scientific Conference - "Globalization and Modern Business Challenges". Georgian Technical University. Faculty of Business Technologies. Tb., 2020. Vol. I.)

## PROBLEMS AND NEEDS OF GEORGIA'S PRIMARY HEALTH CARE

**Rusudan Kutateladze,**
Doctor of Economics,
Professor of GTU, Dean
r.kutateladze@gtu.ge
**Nino Elisabedashvili,**
PhD student of GTU
n.elisabedashvili@seu.edu.ge

**RESUME**

The Paper "Problems and needs of Georgia's primary health care" discusses generally the role of polyclinics and ambulatory clinics in providing the population with medical service and also the problems that hinder fulfilling this mission.

It is underlined in the paper that WHO (World Health Organization) recognized the weakness of primary health care and its inability to solve the problems and to improve the shortcomings as one of the perils of global health. This means that this danger is present not only in the public health domain of Georgia but it is especially severe in low-income countries like Georgia.

Moreover, the paper discusses all those programs and initiatives implemented by different international organizations and private funds to improve the unfavorable condition of primary health care. The Research conducted on Georgia is discussed in detail and problems and shortcomings of primary health care are named explicitly: Low qualification of staff (mainly doctors), distrust of patients, lack of right motivation, lack of primary health care strategy, careless, superficial attitude of doctors towards the patients and many more.

According to the authors, continuous upgrading skills and qualification of doctors (and nurses) should start immediately, right motivation should be established, income of family and village doctors should be increased, doctors should attend the course in psychology, namely, "psychology of safety with the patients" and many more.

**Keywords:** Public Health; Family doctor; Village doctor; weak primary health care; polyclinics and ambulatory clinics; medical service.

# LOGISTICS- AS THE PROVISION OF SERVICE

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-202**

Prof. **Wilhelm Hauser**,
HTW SAAR,
Saarland University of Applied Sciences

**RESUME**

The statements on the importance of services in logistics, as mentioned previously, shall point out how essential an optimized logistics performance is for any client. The Factors such as price, terms and conditions, which often resemble one another, although offered by different suppliers, are no longer leading criteria in the process of choosing an adequate supplier. The Companies, that offer excellent logistic performances, will achieve a competitive advantage.

**ABOUT THE AUTHOR**

Prof. Dr. h.c. Wilhelm Hauser is a professor for economics at Saarland University of Applied Sciences. Furthermore he is a business partner of a well-known German company for economic forensics, showcasing business reports in front of the court.

Georgian Technical University awarded him an honorary doctorate in 2019.

## LOGISTIK UNTER SERVICEGESICHTSPUNKTEN

### *KLASSISCHE MITTEL DER ABSATZBEEINFLUSSUNG*

Nahezu alle Märkte der westlichen Welt sind in der heutigen Zeit durch Sättigungsmerkmale gekennzeichnet. Nur selten gelingt es einem Unternehmen, ein wirklich neues, einzigartiges Produkt oder eine Dienstleistung, das/die noch nicht mit Alternativprodukten vergleichbar ist, auf den Markt zu bringen. Gelingt es, solche Produkte und Dienstleistungen am Markt erfolgreich zu platzieren, so

folgen schon nach sehr kurzer Zeit Wettbewerber mit einem vergleichbaren Produkt (Me-too- Produkt).

Für die Zeitspanne der „Einzigartigkeit“ des Produktes oder der Dienstleistung kann der Anbieter meist relativ hohe Preise realisieren, sobald jedoch vergleichbare Konkurrenzprodukte angeboten werden, treten neben dem Preis und den übrigen

„klassischen Mitteln der Absatzbeeinflussung“ (Abbildung 1) vor allem Servicegesichtspunkte zur Sicherung und Ausweitung des Absatzes in den Vordergrund.




Abb. 1: Klassische Mittel der Absatzbeeinflussung (Auswahl)

### *DIE STELLUNG DER „SERVICELEISTUNG“ IM ABSATZBEREICH*

Die klassischen Mittel der Absatzbeeinflussung, wie z.B. Preise und Konditionen für ähnliche Produkte sind meist identisch und direkt miteinander vergleichbar. Wettbewerbsvorteile gegenüber konkurrierenden Anbietern erzielt derjenige Anbieter, der seinen Kunden einen umfangreichen Service bieten kann. Verschiedene Umfragen von Meinungsforschungsinstituten bei gewerblichen Kunden ergaben, dass das Angebot an Serviceleistungen eines Lieferanten für eine Kaufentscheidung sehr hohe Priorität hat, während der Preis als Kaufkriterium eine nachgeordnete Rolle spielt. Wenn die Bedeutung des Preises in diesen Umfrageergebnissen auch angezweifelt werden darf (wer sagt schon gerne, dass er ein Schäppchenjäger ist?), so signalisiert das Ergebnis doch die wachsende Bedeutung der Serviceleistungen bei der Entscheidung für einen Lieferanten. Mögliche Serviceleistungen eines Unternehmens sind in Abbildung 2 dargestellt.




Abb. 2: Serviceleistungen im Unternehmen (Auswahl)

## *DIE BEDEUTUNG DER „LOGISTIK UNTER SERVICEGESICHTSPUNKTEN" FÜR DEN ABSATZ*

Viele Unternehmen haben die Bedeutung der Serviceleistungen im Allgemeinen für ihre Kunden bereits in ihr unternehmerisches Handeln einbezogen.

Die Bedeutung der **„Logistik unter Servicegesichtspunkten"** ist in den meisten Unternehmen jedoch noch nicht erkannt und entsprechend wenig in die Tat umgesetzt. Die Serviceleistungen in der Logistik können vielfältiger Art sein. Das nachfolgende Schaubild (Abbildung 3) gibt einen Überblick über die wichtigsten Bestandteile des Logistikservice.




Abb. 3: Bestandteile des Logistikservice (Lieferqualität)

## SUPPLY-CHAIN-MANAGEMENT

In Zeiten der verteilten und gesättigten Märkte gewinnt die Qualität der logistischen Leistung für die Kunden eine immer größere Bedeutung, da eine optimale logistische Leistung des Lieferanten Voraussetzung für eine reibungslose Bedienung der eigenen Kunden ist. Dieser Gedanke der Zusammenarbeit bzw. der Kooperation der einzelnen Teilnehmer der „Lieferkette" in der Logistik wird heute unter dem Begriff „Supply- Chain-Management" zusammengefasst. Das Supply-Chain-Modell fordert eine intensive Zusammenarbeit und Abstimmung aller am Lieferprozess beteiligten Unternehmen (Lieferant von Rohstoffen – Hersteller – Großhandel – Einzelhandel – Endverbraucher). Maßgebend für die jeweils vorgelagerte Wirtschaftsstufe sind die Bedürfnisse des Endverbrauchers (Kunden) und der jeweils nachgelagerten Wirtschaftsstufe. Man spricht hier von einem Pull–Prinzip (Dominanz der Nachfrage der jeweils nachgelagerten Wirtschaftsstufe). Der Gedanke des Supply-Chain- Management ist vorwiegend in Wirtschaftszweigen mit Auftragsfertigung (z.B. Automotive) bereits umgesetzt.

Relativ neu ist der Gedanke, neben der physischen Supply-Chain (Beschäftigung mit Güterströmen) auch die finanzielle Supply-Chain (Finanzströme parallel zu den Güterströmen) in die Geschäftsprozesse einzubeziehen. Die physische Supply-Chain bindet große Summen an Kapital durch die Finanzierung ihrer Elemente. Der Supply-Chain-Finance-Ansatz soll die Kosten dieses gebundenen Kapitals durch kooperative Zusammenarbeit der einzelnen Teilnehmer der Lieferkette in seiner Gesamtheit senken.

## LIEFERZEIT

Die Lieferzeit umfasst die gesamte Zeitspanne von der Auftragseinholung bis zur Erbringung der Unternehmensleistung (Ware, Dienstleistung) beim Kunden. In dieser Zeitspanne müssen die Arbeitsschritte Auftragseinholung über verschiedene Medien (IT, Telefon, Fax, persön-

licher Besuch), Kommissionierung (Zusammenstellung verschiedener Artikel für die Auslieferung an einen Kunden), Verladung, Transport zum Kunden, Einbringung der Ware ins Lager des Kunden sowie Generierung entsprechender Informationsdaten abgewickelt werden.

Die gesamte Abwicklungszeit – ab dem Zeitpunkt der Bestellung bis zum Eingang der Ware beim Kunden – beträgt beispielsweise für die Lieferung eines Laptops aus China nach Deutschland (also über ca. 8000 km) etwa eine Woche. In vielen Branchen mit kontinuierlichen Belieferungen ist es durchaus üblich, dem Kunden innerhalb Deutschlands eine Lieferzeit von einem Tag anzubieten. Konkret bedeutet dies, dass ein Auftrag, der bis zum Vorabend beim Lieferanten vorliegt, am nächsten Tag zum Kunden ausgeliefert wird. Es liegt auf der Hand, dass ein Lieferant, der seinen Kunden einen **„Eintagesvorverkauf“** anbieten kann, Wettbewerbsvorteile gegenüber einem Lieferanten mit einer längeren Lieferzeit hat.

Um eine entsprechend kurze Lieferzeit innerhalb Deutschlands zu erreichen, ist die Wahl des **Distributionssystems** und des **Verkehrsträgers** von Bedeutung.

Der schnellste Verkehrsträger innerhalb Deutschlands ist der LKW. Bahn, Flugzeug und Schiff haben ihre Vorteile eher über größere Distanzen.

Um eine größere Kundennähe und damit auch ein schnelles Handeln in der Logistik zu erreichen, kann ein Netz von räumlich verteilten Niederlassungen hilfreich sein. Hierbei sind jedoch Kostenaspekte (mehrfache Bestandshaltung, Fixkosten des Standortes) zu berücksichtigen.

Je nach Art der Waren und nach Branchengegebenheiten kann eine Distribution durch eigene Fahrzeuge und Fahrer, Spediteure oder einen Expressdienstleister sinnvoll sein.

## LIEFERZUVERLÄSSIGKEIT

Neben der Lieferzeit ist die Lieferzuverlässigkeit das wohl wichtigste Element des Lieferservice.


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

Die Lieferzuverlässigkeit beinhaltet die Faktoren **Lieferbereitschaft** sowie **Termintreue** hinsichtlich der Artikel, der Jahreszeit sowie der zu beliefernden Räume.

## LIEFERBEREITSCHAFT – ARTIKEL

Ein zuverlässiger Lieferant ist immer in der Lage, alle vom Kunden gewünschte Artikel in der georderten Menge kurzfristig zu liefern, so dass beim Kunden keine „Out-off- stock-Situation" (Nichtvorhandensein von Artikeln) entsteht und damit dem Kunden potenzieller Absatz verlorengeht. Sollte es dennoch einmal aufgrund fehlender Lieferbereitschaft des Lieferanten zu einer Out-off-stock-Situation kommen, so sollte der Lieferant aus Servicegründen eine kurzfristige Nachlieferung auf eigene Kosten durchführen.

## LIEFERBEREITSCHAFT – JAHRESZEIT

Zahlreiche Branchen sind durch stark unterschiedliche Nachfragemengen in den einzelnen Monaten des Jahres geprägt (Eiscreme, Getränke, Kleidung usw.). Um in allen Fällen lieferfähig zu sein, muss der Lieferant über entsprechende Mengenpuffer verfügen. Diese Puffer können sowohl im eigenen Unternehmen als auch bei Vorlieferanten (Supply-Chain-Gedanke) vorhanden sein. Keinesfalls darf es bei Nachfragespitzen zur Nichtlieferung kommen, da damit das Image des Lieferanten leidet und nicht getätigte Umsätze zu einem späteren Zeitpunkt kaum nachholbar sind.

## LIEFERBEREITSCHAFT – RÄUME

Eine logistische Abdeckung nahegelegener Ballungsräume ist in der Logistik eine Selbstverständlichkeit. Kunden, die in entlegenen, dünn besiedelten Räumen ansässig sind, können aber auch eine optimale Belieferung erwarten. Sind von einem Lieferanten Kunden in weit entlegenen Gebieten zu beliefern, so ist meist die Einschaltung

eines externen Logistikdienstleisters, der gegebenenfalls über ein regional verteiltes Netz von Niederlassungen verfügt und somit eine hohe Kundennähe erreicht, sinnvoll. Das Leistungsspektrum moderner Speditionen umfasst eine tägliche Belieferung aller Kunden in allen Räumen Deutschlands.

## TERMINTREUE

Es ist gängige Geschäftspraxis, dass Kunden ihrem Lieferanten für ihre Anlieferung ein sogenanntes „Zeitfenster“ vorgeben. Ein Zeitfenster – Anlieferung 9.00 bis 10.30 - gibt dem Lieferanten vor, dass er am Liefertag in der Zeit von 9 Uhr bis 10.30 Uhr seine Anlieferung an der Rampe des Kunden tätigen muss. Kommt der Lieferant zu spät, so kann es sein, dass er in der Warteschlange der Anliefernden „hinten angestellt“ wird bzw. im schlimmsten Fall erst am folgenden Tag abladen kann; dies ist mit beträchtlichen Kosten verbunden. Ein Lieferant, der zeitgerecht anliefert, erzielt erhebliche Kostenvorteile. Bei Beauftragung eines Dienstleisters muss die Anlieferung nach Zeitfenstern vertraglich vereinbart werden; bei Nichteinhaltung des Zeitfensters kann eine Konventionalstrafe fällig werden.

## LIEFERBESCHAFFENHEIT

Zur Lieferbeschaffenheit gehören die Kriterien **Liefergenauigkeit** und **Zustand der gelieferten Produkte.**

Die Einhaltung der **Liefergenauigkeit** besagt, dass der Kunde genau die bestellte Stückzahl erhalten soll. Mehr- oder Mindermengen führen zu einer unnötigen Verärgerung des Kunden und zu kostspieligen Reklamationen und Rückabwicklungen.

Der einwandfreie **Zustand der gelieferten Produkte** ist eine wesentliche Anforderung im Bereich des Lieferservice. Verschmutzte, verbeulte, zerknitterte und beschädigte Waren sind ein schlechtes Zeichen für den Lieferanten und deuten darauf hin, dass er seine Lieferkette (Supply-Chain) nicht im Griff hat. Beschädigte Ware führt

dazu, dass der Lieferant die Ware auf eigene Kosten zurücknehmen und durch neue ersetzen muss; dies und die dadurch verursachte administrative Reklamationsbearbeitung ist mit erheblichen Kosten verbunden.

## LIEFERFLEXIBILITÄT

Die Flexibilität nimmt in der sich ständig ändernden Wirtschaftswelt eine wichtige Stellung ein. Flexibilität in der Logistik bedeutet, dass ein Unternehmen Kundenanliegen und Änderungen der Kundenanliegen berücksichtigt.

Kundenwünsche können sich kurzfristig (z.B. Nachbestellung von Artikeln) oder mittel- und langfristig ändern (z.B. Änderung des Lieferrhythmus).

Zur Flexibilität in der Logistik gehört auch die Bereitstellung von zum Kunden hin kompatiblen IT-Systemen. Dies bedeutet für den Lieferanten, dass er in seinem eigenen IT-Bereich viele Schnittstellen zu den verschiedenen Systemen der Kunden bereitstellen und beherrschen muss.

Kompatible IT-Systeme sind wesentliche Voraussetzung für einen schnellen und beleglosen Datenaustausch und damit auch für eine schnelle Logistik.

## REKLAMATIONSBEARBEITUNG

Reklamationen in der Logistik können aus vielfältigen Gründen (falsche Artikel, beschädigte Artikel, falsche Menge, nicht zeitgerechte Anlieferung usw.) entstehen. Auch bei einer optimierten Logistik wird es immer wieder zu Reklamationen kommen. Die Reklamationsbearbeitung ist in der betrieblichen Praxis sehr aufwendig, da hier meist mehrere, räumlich getrennte Personen tätig sind (Kunde im Ort A, Aussendienst im Ort B, Innendienst in der Zentrale C des Lieferanten, Spediteur im Ort D).

Reklamationen haben unmittelbar zur Folge, dass der Kunde sei-

ne Rechnung bis zur endgültigen Klärung der Reklamation nicht bezahlt. Dies wirkt sich nachteilig auf die Liquidität des Lieferanten aus.

Um eine reibungslose und schnelle Reklamationsbearbeitung zu erreichen, empfiehlt es sich, die Reklamationsbearbeitung verantwortlich bei den Kundenbetreuern im Innendienst zu zentralisieren (ein Ansprechpartner für alle Belange des Kunden – kein Weiterleiten der Reklamation). Mit dieser Organisationsform der zentralen Kundenteams hat der Autor dieses Artikels in seiner betrieblichen Praxis gute Erfahrungen gesammelt.

Reklamationen, die auf Fehler beim Lieferanten zurückzuführen sind, sind auf jeden Fall zu Lasten des Lieferanten zu regulieren. Zweifelhafte Fälle, in denen die Verursachung nicht eindeutig geklärt werden kann, sollten vom Lieferanten mit einer gewissen Kulanz behandelt werden. Hier empfiehlt es sich, im Kleinen großzügig zu sein, um das Vertrauensverhältnis mit dem Kunden nicht zu stören.

## MESSUNG VON EFFIZIENZ IN DER LOGISTIK

Durch die vorhergehenden Ausführungen soll die Bedeutung der Serviceleistung in der Logistik hervorgehoben werden. Eine hohe Serviceleistung ist für den Erbringer der Leistung aber immer mit entsprechenden Kosten verbunden. Eine serviceorientierte Logistik muss also immer auch den Kostenaspekt berücksichtigen. Die Serviceleistung kann nicht zu jedem Preis erbracht werden, sondern muss in einem angemessenen Kostenrahmen erfolgen.

Zur Beurteilung der Effizienz und der Angemessenheit der logistischen Leistung bieten sich unterschiedliche Controlling-Instrumente an. Hilfreich bei der Beurteilung der Leistung in Relation zu den Kosten können eigene Kennziffern im Zeitvergleich (z.B. Vorjahresvergleich) oder Benchmarks (Vergleich mit Unternehmen der gleichen Branche über einen Interessenverband oder ein direkter Vergleich mit befreundeten Unternehmen) sein.

Der Aufbau eines Kennziffernsystems im Bereich der Logistik ist für das Controlling eine lohnende Aufgabe. Aussagefähige Kennziffern helfen, die Logistik zu steuern und zu optimieren. Denkbare Kennziffern im Logistikbereich sind unter anderen Anzahl der Sendungen pro Tag, Anzahl der Sendungen pro Mitarbeiter in der Logistik, Anzahl Artikel pro Sendung, Kosten pro Sendung (externe und interne Kosten), Reklamationsquote, Auslastung des Fuhrparks usw.

## KUNDENZUFRIEDENHEIT IN DER LOGISTIK

Alle Ausführungen zur Serviceleistung in der Logistik zielen darauf hin, die Zufriedenheit des Kunden mit der Leistung des Lieferanten und somit auch die Bindung an den Lieferanten zu erhöhen und zu festigen bzw. durch eine hervorragende logistische Leistung neue Kunden zu gewinnen.

In der betrieblichen Praxis ergeben sich häufig Unterschiede zwischen der Beurteilung der Qualität der logistischen Leistung durch das eigene Unternehmen und der Beurteilung durch die Kunden. Ebenso werden einzelne Leistungskriterien vom eigenen Unternehmen oft anders gewichtet, als vom Kunden. So könnte z.B. eine häufiger vorkommende geringfügige Überschreitung der Anlieferzeit vom Kunden sehr negativ gesehen werden, während sie vom eigenen Unternehmen als nicht gravierend eingestuft wird.

Aus diesem Grunde ist es für ein Unternehmen wichtig, die Meinung seiner Kunden über die eigene Leistung zu kennen. Diese Informationen können über eine **Kundenzufriedenheitsanalyse** gewonnen werden. Diese sollte in regelmäßigen Zeitabständen wiederholt werden; Ziel ist es, eine kontinuierliche Verbesserung der Zufriedenheitswerte im Zeitablauf zu erreichen.

Nach einer Studie des TARP-Institutes teilen zufriedene Kunden ihre positive Erfahrung drei weiteren Personen/Kunden mit, während unzufriedene Kunden ihre negativen Erfahrungen neun bis zehn weiteren Personen/Kunden mitteilen. Diese Kommunikation birgt sowohl Risiken, aber auch Chancen (positiver Multiplikator bei

zufriedenen Kunden) für das Unternehmen.

Ein professionell im Unternehmen verankertes „Beschwerdemanagement“ nimmt die Meinungen der Kunden wahr und versucht in Zusammenarbeit mit anderen Abteilungen des Unternehmens eine kontinuierliche Verbesserung der Abläufe zu erreichen. Zur Implementierung eines Beschwerdemanagements im Unternehmen bietet sich die bereits erwähnte Abteilung „Zentrales Kundenteam“ an.

Die Ergebnisse der Kundenbefragung müssen Basis für Optimierungsmaßnahmen in der Logistik sein. Dabei müssen wegen der Vielfalt der zu optimierenden Kriterien Prioritäten für die Optimierungsmaßnahmen gesetzt werden. Dies soll Abbildung 4 verdeutlichen.

| Bedeutung der Leistung für den Kunden | Beurteilung der Leistung durch den Kunden | Maßnahmen | Priorität der Maßnahme |
|---|---|---|---|
| | gut | halten | - |
| | mittel | kurzfristig verbessern | 2 |
| | schlecht | sofort verbessern | 1 |
| | gut | halten | - |
| | mittel | mittelfristig verbessern | 3 |
| | schlecht | kurzfristig verbessern | 2 |
| | gut | halten | - |
| | mittel | langfristig verbessern | 4 |
| | schlecht | kurzfristig verbessern | 3 |

Abb. 4: Kundenbeurteilung – abgeleitete Maßnahmen

## ZUSAMMENFASSUNG

Die vorgenannten Ausführungen zur Bedeutung der Serviceleistung in der Logistik sollen verdeutlichen, dass eine optimale logistische Leistung für die Kunden einen sehr hohen Stellenwert hat. Faktoren wie Preise und Konditionen u.a., die meist gleich sind und unmittelbar verglichen werden können, bilden nicht mehr das alleinige Entscheidungskriterium für die Auswahl eines Lieferanten. Unternehmen, die eine hervorragende logistische Leistung anbieten, werden in umkämpften und verteilten Märkten Wettbewerbsvorteile erzielen.

# ე-ჯანმრთელობის / eHealth-ის უცხოური მიღწევების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-214**

**ანა კატუკია**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

**ეკატერინე სანიკიძე**
სტუ-ის დოქტორანტი,
sanikidze.eka04@gmail.com

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ე-ჯანმრთელობის/eHealth-ის და ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT-ის) აქტუალური საკითხები, რომლის მიზანია უზრუნველყოს პაციენტის ჯანმრთელობის ინფორმაციაზე წვდომა საჭირო დროს და შესაბამის ადგილას და, ამით უზრუნველყოს სამედიცინო სერვისების უწყვეტობა და ხარისხი ჯანმრთელობის შედეგების გასაუმჯობესებლად; ასევე, წარმოდგენილია ე-ჯანდაცვის/ eHealth-ის სერვისების მიწოდების ახალ გზები, რომლებიც ხელს უწყობს ჯანდაცვის სხვადასხვა დაწე-სებულებებს შორის თანამშრომლობას, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლას, პაციენტთან ურთიერთქმედების ახალ ფორმებს, რომლის საფუძველია ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერი (EMR), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ჯანდაცვის პროვაიდერებისგან ინფორმაციის შეგროვებით უზრუნველყოს ერთიანი, უნიკალური ჩანაწერი თითოეული ადამიანისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერების სისტემასთან (EHR-თან) ურთიერთთანამშრომლობის სერვისებით.

**საკვანძო სიტყვები:** ე-ჯანმრთელობის/eHealth („ციფრული ჯანდაცვა“ – Digital Healthcare და „ტელეჯანმრთელობა“ – Tele-

Health), COVID-19-ის პანდემია, ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერების სისტემა (EHR/Electronic Health Records), ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერი (EMR), ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა (HIS/Healthcare Information Systems).

## ძირითადი ტექსტი

XXI საუკუნის მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული სიახლეების იმპლემენტაციას ჯანდაცვის სფეროში, რადგან საკითხი პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების ჯანმრთელობასა და სრულფასოვან განვითარებას. ელექტრონული ჯანდაცვა ბევრ ქვეყანაშია სიახლე და ის საკმაოდ კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. ამასთან, ჯანდაცვის სფერო ვითარდება სამრეწველო დარგის მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად და შესაბამისად, კომპანიები უნდა მოერგონ ახალ რეალობას, ეფექტური რეაგირება მოახდინონ რეალურ და შესაძლო რისკებზე, რომ შეინარჩუნონ სტაბილურობა და ზრდა დღევანდელ რთულ, გამოწვე-ვებით სავსე გარემოში.

ამჟამად, ჯანდაცვის ინოვაციები მწვავე თემაა, რადგან COVID-19-ის პანდემიამ გამოავლინა მნიშვნელოვანი პრობლემები და ხარვეზები მიმდინარე ჯანდაცვის სისტემაში, სადაც მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის პრაქტიკის გაუმჯობესება და დარგის განვითარების საუკეთესო გზების განსაზღვრა პერსპექტივაში ეროვნული ჯანდაცვის მოდელის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ევროკავშირის წინაშე დგას ჯანმრთელობის იგივე ზოგადი პრობლემები, რაც აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში, მაგალითად, მოსახლეობის დაბერება, რასაც მოჰყვება ჯანდაცვის სამსახურების ოპტიმიზაციის და მოდერნიზაციის მსგავსი აუცილებლობები. ევროკომისიამ ჩამოაყალიბა ერთიანი ციფრული ბაზარი, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, ციფრული ჯანდაცვა კი ამ სტრატეგიის ნაწილია. ევროკავშირს უკვე მიღებული აქვს კანონმდებლობა სამედიცინო

ალჭურვილობის, მონაცემთა დაცვის, ციფრული იდენტიფიკაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფ-რთხოების შესახებ, რაც ქმნის შესანიშნავ გარემოს ე-ჯანმრთელობის (E-Healt) სერვისებისთვის. ევროკავშირის მრავალმა ქვეყანამ სწრაფად დანერგა ე-ჯანმრთელობის სტრატეგიები, რასაც მოჰყვა პოლიტიკური ვალდებულება და ე-ჯანმრთელობის მომსახურების დაჩქარებული და კარგად კოორდინირებული განვითარება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კი განვითარება მოხდა ე-ჯანმრთელობის მთელი რიგი ცალკეული, მაგრამ ნაკლებად კოორდინირებული პროექტების საშუალებით. [1,2,3]

ე-ჯანმრთელობის მიზანია პაციენტის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა ლოგიკურ დროს და შესაბამის ადგილას, სადაც გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის სამსახურების უწყვეტობის და ხარისხის უზრუნველყოფა ჯანდაცვის შედეგების გასაუმჯობესებლად. ე-ჯანმრთელობა აწესებს ჯანდაცვის მომსახურების გაწევის ისეთ ახალ გზებს, რაც ამარტივებს თანამშრომლობას ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულებებს შორის და იძლევა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარების საშუალებას პაციენტებთან ურთიერთობის ახალი ფორმების ამოქმედებით, ე. ი. ე-ჯანმრთელობას (eHealth) მოაქვს უამრავი სარგებლობა, სადაც ძირითადად იგულისხმება ელექტრონული დოკუმენტების გაცვლა, რაც ზოგავს მედიცინის მუშაკების და პაციენტის დროს, კლინიკური პროცედურების დუბლირების თავიდან აცილებას ინფორმაციის შექმნის, შენახვის და გაზიარების გზით. ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებითაც კლინიკები ციფრულად მართავენ პროცესებს, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა (HIS/Healthcare Information Systems) ეწოდება, რომელიც პაციენტის მკურნალობის პროცესს მთლიანად აციფრულებს, როგორც კლინიკურ, ისე – ადმინისტრაციულ ნაწილში და საავადმყოფოებისა და კლინიკების გამართულად მუშაობის პროცესში ძალიან დიდ როლს ასრულებს. ასეთ პირობებში, სახელმწიფო ძალიან აქტიურად ცდილობს კლინიკებსა და ჰოსპიტალებს პროცესების გაციფრულებაში ხელი შეუწყოს, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2019 წლის

15 იანვრიდან თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სტაციონარებს მოუწიათ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეების ჯანმრთელობის ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში გადაეცათ, ხოლო 1 მაისიდან სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეების შემთხვევაში საქართველოს ყველა სტაციონარს, 1 სექტემბრიდან ყველა ამბულატორიას და 2020 წლის 1 იანვრიდან აბსოლუტურად ყველა სამედიცინო დაწესებულებას შეეხო, მიუხედავად იმისა, რომ მათი პაციენტები სახელმწიფო პროგრამით სარგებლობენ თუ – არა. როგორც ცნობილია, ამ ინფორმაციის გადაცემა ორნაირად შეიძლება მოხდეს, პირდაპირ სამინისტროს EHR-ში, ავტორიზებული პირების მიერ, ან ლოკალური HIS-ის ან კიდევ იგივე ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების (EMR/Electronic Medical Record) გამოყენებით. ბუნებრივია, მეორე გზა ბევრად უფრო მარტივი, სწრაფი და უსაფრთხოა. თუმცა, ჯერ კიდევ რჩება მთელი რიგი პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, ძალიან აქტუალურია, ანაზღაურების სიტემის მოწესრიგება, რადგან ჯერ კიდევ დღესდღეობით კლინიკები თვეების განმავლობაში ელოდებიან კუთვნილი თანხის ანაზღაურებას სახელმწიფოსგან, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც სამედიცინო პერსონალის მოტივაციაზე, ასევე გაწეული სერვისების ხარისხზე. ელ. სისტემა კი, საშუალებას იძლევა მოხდეს ყველა საჭირო დოკუმენტაციის დროული და ონლაინ გადამოწმება, საჭიროების შემთხვევაში კი დახარვეზებული საბუთების სწრაფად კორექტირება. ასევე, ელექტრონული ჯანდაცვა არის ყველაზე აღიარებული რაციონალური მექანიზმი ეფექტიანი მონიტორინგისთვის, როგორც სამედიცინო პერსონალის საქმიანობაზე, ასევე მომარაგებისა და შესყიდვების სისტემაზე, მაგალითად მედიკამენტების, ვაქცინების, სახარჯი მასალის და სხვათა თვალსაზრისით. [4,5,6,7]

თემის აქტულაურობიდან გამომდინარე, დავგეგმეთ და ჩავატარეთ კვლევა ქ. თბილისის და ქ. ბათუმის რამდენიმე კლინიკაში, სადაც დავინტერესდით თუ, რამდენად შემსუბუქდა ექიმის შრომა და შემცირდა დოკუმენტაციის წარმოების დრო.

აღმოჩნდა, რომ: მართალია კლინიკები მიესალმებიან სიახლეს, თუმცა აღნიშნავენ, რომ, ამ ეტაპზე პროცესი მეტად გართულდა, რადგან კანონმდებლობით არ გაუქმებულა ქაღალდმატარებლის წარმოების ვალდებულება. ამავდროეულად, ექიმებს დაევალათ ელექტრონული ინფორმაციის ჯანდაცვის პორტალზე ატვირთვა, რაც აორმაგებს მათ შრომას და ზრდის დოკომენტების წარმოების დროს, რაც იწვევს მთელ რიგ სირთულეებს. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ:

## დასკვნა

საკანონმებლო ბაზა უნდა იქნეს მაქსიმალურად მოქნილი არსებული სჭიროებიდან გამომდინარე და სამედიცინო დაწესებულებებს ე–ჯანდაცვის შემოღების შედეგად უნდა გაუმარტივდეს პროცესების ადმინისტრირება. კლინიკები სრულად უნდა გადავიდნენ დოკუმენტაციის ელ. წარმოებაზე, რომელიც მოითხოვს კლინიკების ტექნოლოგიურ მზაობას. ვფიქრობთ, რომ ამისათვის, სახელომწიფოს მაქსიმალური ჩართულობა უნდა მოხდეს იმ კლინიკების ტექნოლოგიური უზრუნველყოფისთვის, (რეგიონებში არსებული მონოპროფიური კლინიკიები, სოფლის ამბულატორიები და სხვა.) რომელთაც მწირი ბიუჯეტი აქვთ. დღესდღეობით ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციებისთვის პრიორიტეტული საკითხებია: ფინანსური მდგრადობა, მომსახურების ეფექტიანი მოდელები, პაციენტებზე ფოკუსირება, ციფრული ტრანსფორმაცია და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა, ინდუსტრიის ლიდერები, რომლებიც გეგმავენ ჯანდაცვის სისტემის მომავლის ფორმირებაში მონაწილეობას და რაციონალური, მდგრადი ეკოსისტემის შექმნას, ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობა, როგორც დარგის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რათა მოქალაქეებმა მიიღონ ღირსეული, ხარისხიანი და დროული სამედიცინო მომსახურება.

**REFERENCES:**

1. https://www2.deloitte.com/ge/en/pages/life-sciences-and-healthcare/articles/global-health-care- sector-outlook2.html

2. https://www.peaceinnovation.com/blog/comparing-health-care-models-and-their-role-in-the-covid-19-response

3. https://pphr.princeton.edu/2017/12/02/unhealthy-health-care-a-cursory-overview-of-major-health-care-systems/

4. https://eufordigital.eu/geo/e-card/what-exactly-is-ehealth-i-dont-want-my-doctor-to-be-replaced-by-an-application/

5. http://vaba.co/ge/blog/droa-klinikebma-janmrtelobis-elektronuli-chanatserebis-ehr-sistemebze-daitsqon-fikri

6. https://www.moh.gov.ge/news/4244/

7. T. Verulava. Health Policy Challenges in Georgia: Organizational and Financial Perspectives on Medical Services. Publishing House „Dzavapoligraf", 2020, 420 p. (თ. ვერულავა. ჯანდაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში: სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული და ფინანსური პერსპექტივა. გამომცემლობა „ძავაპოლიგრაფი", 2020, 420 გვ.).

# PERSPECTIVES OF E-HEALTH FOREIGN ACHIEVEMENTS INTRODUCING IN GEORGIA

**Ana Katukia**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

**Ekaterine Sanikidze**
PhD Student of GTU,
sanikidze.eka04@gmail.com

**RESUME**

The article discusses current issues in e-Health and Health Information Technology (IT), which aims to provide access to patient health information at the right time and place, thereby ensuring the continuity and quality of medical services to improve health outcomes. The paper identifies the interrelationships and relevance of the economic aspects of medical treatment, where the introduction of information technology highlights the importance of quality management in medical treatment, as well as new ways of providing e-health services that facilitate collaboration between different health care institutions The new forms based on electronic medical record (EMR), which play an important role in gathering information from different healthcare providers, provide a single, unique record for each person that will be available through the Electronic Health Record System (EHR).

**Key words:** e-Health (Digital Healthcare, TeleHealth), COVID-19 pandemic, Electronic Health Record (EHR), Electronic Medical Record (EMR), Health Information Systems (HIS).

# პოპ-კულტურის ტრანსნაციონალური გავლენა ტურისტულ დესტინაციაზე

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-221

**მანანა ვასაძე**
სტუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
m.vasadze@gtu.ge

**ნინო ბორცვაძე**
სტუ, დოქტორანტი
nbortsvadze@gmail.com

**რეზიუმე**

პოპულარული კულტურის სხვადასხვა ჟანრი, როგორიცაა მუსიკა, ვიდეო, ფილმები, სერიალები და ციფრული თამაშები, გავლენას ახდენს მსოფლიო ტურიზმის ტრანსნაციონალურ ნაკადებზე (Griffin, M.,2002).

„მაღალი" კულტურისგან განსხვავებით, პოპულარული კულტურა განიხილება, როგორც მასობრივი მიმზიდველობის ყოველდღიური კულტურა (Gans, H.J.,1999). პოპულარული კულტურა მოიცავს ფართო საზოგადოებას, რომელიც იზიარებს მის ღირებულებებსა და მნიშვნელობებს. პოპულარული კულტურის გავლენა იმდენად დიდია, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანების აზროვნებაზე, მეტყველებაზე, მოდასა და პერსპექტივაზე (Shirley & Biagi, 1996). გლობალური მედია ქსელების, საკომუნიკაციო სისტემების და ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით, პოპულარულ კულტურას შეუძლია მოიცვას ფართო აუდიტორია. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ახალ ფენომენს ტურისტულ ინდუსტრიაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პოპულარული კულტურის ტურიზმი (Junghun L, 2006.). ნაშრომში განხილულია პოპულარული კულტურის გავლენა ტურისტთა ქცევაზე.

**საკვანძო სიტყვები:** პოპ-კულტურა; გლობალური მედია, ტურისტული დესტინაცია, ტურიზმის ტრანსნაციონალური ნაკადი

## ძირითადი ტექსტი

ტურისტები თვალს ადევნებენ დესტინაციის პოპულარობას, რათა უშუალოდ ესტუმრონ საყვარელი ფილმის, მომღერლის ან სპორტული ღონისძიების ადგილებს ან დაესწრონ ფან შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან.

ელვის პრესლის სახლი მემფისში ჯერ კიდევ იზიდავს უამრავ ტურისტს მთელი მსოფლიოდან. ახალ ზელანდიაში ფილმის, ბეჭდების მბრძანებლის, გადაღების ლოკაციებმა გამოიწვია ტურისტეტთა ნაკადის ზრდა. ბოლო დროს სამხრეთ კორეაში აზიელი ტურისტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა აზიის რამდენიმე ქვეყანაში სამხრეთ კორეის პოპ კულტურის პოპულარობის გამო. ტურიზმის მზარდი ნიშური ბაზარი-პოპულარული კულტურის ტურიზმი- რამდენიმე კვლევისა და პუბლიკაციების ყურადღების ცენტრში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევებმა ხელი შეუწყო ინდუსტრიის აკადემიკოსებისა და პრაქტიკოსების პოპულარობის ზრდას პოპ-კულტურული ტურიზმის პოტენციალისადმი, მათგან ძალიან ცოტამ გაამახვილა ყურადღება პოპულარული კულტურის გავლენაზე ტურისტთა ქცევაზე ემპირიული თვალსაზრისით (Busby & Klug, 2001). უპირველეს ყოვლისა, წინა ნამუშევრები მხოლოდ კინოსა და სერიალთან დაკავშირებულ ფენომენებს და არა პოპულარული კულტურის სხვა ჟანრებს აშუქებდნენ.

კვლევების კლასიკურმა მაგალითებმა გამოიწვია ჩვენი ინტერესი კონცეპტუალური საკითხების განხილვით და ფილმების ლოკაციების მზარდი ვიზიტორების რაოდენობის თვალყურის დევნით (Batler, 1990; Riley & Van Doren, 1992). შემდგომმა კვლევებმა გააფართოვა ჩვენი ინტერესები ისეთ თემებზე, როგორიცაა მოგზაურობის მოტივაცია, ვიზიტორების გავლენა გადაღების ლოკაციებზე და როგორ ცვლის ფილმის ყურების გამოცდილება ლაბორატორიულ გარემოში დანიშნულების ადგილის სურათებს (Frost, 2006; Kim & Richardson, 2003 ).

კინო ინდუსტრია და ზოგადი ფანტაზიები, როგორებიცაა, წიგნებში, ნახატებში, ფილმებსა თუ სერიალებში, ხშირად ექცევა ადამიანის ყურადღების ცენტრში და მასში ასახული ლოკა-

ცები ხშირად ხდება მოგზაურთათვის ინსპირაციის წყარო, თუ სად უნდა იმოგზაურონ შემდეგში.მაგალითად, ბოლივუდის გადაღებები საქართველოში ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას და ტურისტების რიცხვი აზიიდან და ინდოეთიდან სულ უფრო და უფრო იზრდება, რაც, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკაზე კარგად იასახება. 2016 წლის მონაცემებით, "საქართველოში უკვე გადაღებულია ორი ინდური ფილმი, რომელშიც 500-მდე ადგილობრივი და უცხოელი მსახიობი მონაწილეობს. ფილმის გადაღების დროს 4 მილიონზე მეტი ლარი (დაახლოებით 1,70 მილიონი აშშ დოლარი / 1,53 მილიონი ევრო) შევიდა საქართველოს ეკონომიკაში".(Film in Georgia, 2013).

"ინდოელი პროდუსერები საქართველოთი დაინტერესებულები არიან, რადგან ის გთავაზობთ ინსპირაციულ ადგილებს, როგორიცაა სუბტროპიკები, ზღვა, ალპური მთები, უდაბნო და ტყის ულამაზესი სცენების გადაღებას ერთ დღეში. მიმზიდველია საქართველოს ექვსი კლიმატური ზონა და გრძელი მზიანი დღეები, ისევე როგორც მისი უნიკალური და მიმზიდველი არქიტექტურული შერწყმა." (Indian Productions Flock, 1018).

აღსანიშნია ისიც, რომ ფილმების გამოსვლის შემდეგ არატურისტულ ლოკაციებზეც კი იზრდება ტურისტთა რაოდენობა. ისევე, როგორც ტურისტულ ზონებში. შესაბამისად, ბოლივუდის და საქართველოს კინო პროექტები დადებითად აისახება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე ტურისტულ ლოკაციებზე.

შედეგად, მას შემდეგ რაც ბოლივუდმა საქართველოში დაიწყო ფილმებისა და სერიალების წარმოება ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტთა რიცხვიმა იმატა, ხოლო მათი უმეტესობა კი სწორედ ამ ქვეყნების მოქალაქეები არიან.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში განათლების მისაღებად ინდოეთიდან ჩამოსული 42 სტუდენტთა შორის 68%-ს მიღებული აქვს პირველადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ იმ ფილმებისა და/ან სერიალებიდან, რომლებიც ბოლივუდს საქართველოში აქვს გადაღებული.

ამრიგად, „საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი გამოიყ-

ენოს ფილმი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ეფექტიანად პოზიციონირებისთვის. ასევე, წაახალისოს და შეუქმნას პირობები საერთაშორისო გადამღებ ჯგუფებს, აწარმოონ ფილმის გადაღება საქართველოს ტურისტულ ადგილებზე. ამ მხრივ სამუშაო ბევრია, და, ვიმედოვნებთ, აღნიშნული მიმართულების განვითარება გათვალისწინებული იქნება საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში.“ (forbes Georgia, 2014).

## ბიბლიოგრაფია

1. Busby, G., & Klug, J. (2001). Movie-induce tourism: the Challenge of Measurement and Other Issues, Journal of Vacation Marketing, 7(4), 316-332.

2. Butler, W.R. (1990). The influence of the media in shaping international tourist patterns, Tourism Recreation Research, 15(2), 46-55.

3. Frost, W. (2006) Braveheart-ed Ned Kelly: historic films, heritage tourism and destination image, Tourism management, 27, 247-254.

4. Gans, H.J. (1999). Popular culture & High culture, New York.

5. Griffin, M. (2002). From Cultural Imperialism to Transnational Commercialization: Shifting Paradigms in International Media Studies, Global Media Journal, 1(1).

6. Junghun Lee , CONSUMING POPULAR CULTURE, CONSUMING PLACES: THE TRANSNATIONAL IMPACT OF POPULAR CULTURE ON DESTINATION IMAGES AND VISIT INTENTION (The 7th Biennial Conference on Tourism in Asia, Tpirism, Hospitality and Foodservice Industry in Asia: Develop0ment, Marketing and Sustainability, 1-14 May, 2006, Jeonju, Korea, p.6-8)

7. Kim, H., & Richardson, S.L. (2003). Motion picture impacts on destination images, Annals of Tourism Research, 30(1), 216-237.

8. Riley, W.R., & Van Doren, C.S. (1992). Movies as Tourism Promotion, Tourism management, 267-274.

9. Film in Georgia: Bollywood producers excited by Georgia's filming potential, 2013. https://agenda.ge/en/news/2016/1880

10. FNE staff. “Indian Productions Flock to Shoot in Georgia.” 2018
https://www.filmneweurope.com/news/georgia-news/item/116943-indian-productions-flock-to-europe-especially-georgia
11. forbes, 2014. ჩაკვეტაძე ნატო. “დიდი ტურიზმში”/ Chakvetadze Nato. “Big cinematography in Tourism”
https://cutt.ly/5FhZshw

## THE TRANSNATIONAL IMPACT OF POP CULTURE ON TOURIST DESTINATION

**Vasadze Manana**,
GTU, Professor, PHD,
m.vasadze@gtu.ge
**Bortsvadze Nino,**
GTU, Doctorate student,
nbortsvadze@gmail.com

**RESUME**

Different genres of popular culture, such as music, video, movies, TV series and digital games, influence the transnational flows of world tourism (Griffin, M.,2002). Unlike “high” culture, popular culture is seen as the everyday culture of mass attraction (Gans, H.J.,1999). Popular culture involves a wider community that shares its values and meanings. The impact of popular culture is so great that it can affect people’s thinking, speech, fashion, and perspective (Shirley & Biagi, 1996). Thanks to global media networks, communication systems and digital information technologies, popular culture can reach a wide audience. This, in turn, will lead to a new phenomenon in the tourism industry, which can be called Popular Culture Tourism (Junghun L, 2006.). The paper discusses the impact of popular culture on tourist behavior.

**Keywords:** Pop Culture; Global media, tourist destination, transnational tourism flow.

# რკინიგზის ტრანსპორტით საკონტეინერო გადაზიდვების ეკოლოგიური ეფექტი

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-226**

**მანანა მოისწრაფიშვილი**
სტუ-ს პროფესორი,
**თამარ არჯევანიძე**
სტუ-ს დოქტორანტი
arjevanidze.tamar@gtu.ge

## რეზიუმე

განხილულია სატრანსპორტო გადაზიდვების ეკოლოგიური ასპექტი, ინოვაციის ზეგავლენის ხარისხის შეფასება ეკონომიკის ეფექტიანობასა და ეკოლოგიაზე, ამ პრობლემების სიმწვავე საქართველოს მოსახლეობისათვის. გაანალიზებულია განვითარების ძირითადი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური კომპონენტები. განხილულია თანამედროვე მწვანე ტექნოლოგიის ტიპის მოდელი, როგორც ეკოლოგიური ტექნოლოგიის მაგალითი და მიკრო და მაკრო ეკონომიკის გაუმჯობესების საშუალება.

**საკვანძო სიტყვები:** მენეჯმენტი, ტრანსპორტი, ეკონომიკა, ეკოლოგია.

## შესავალი

თანამედროვე პირობებში ცხოვრება წარმოუდგენელია მეცნიერების იმ უახლესი მიღწევების გარეშე, იქნება ეს ტექნიკური თუ ტექნოლოგიური მონაპოვარი, რომელსაც ინოვაცია ჰქვია. მაგრამ ამ მონაპოვარს, უმეტესწილად, სარგებელთან ერთად უარყოფითი და გვერდითი მოვლენებიც გააჩნია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეს ასპექტები ზოგ შემთხვევაში იმდენად მასშტაბურია, რომ მსოფლიო საზოგადოებას ნათლად დაანახა, განვითარების ეკონომიკურ მომგებიანობასთან ერთად, სოციალური სამართლიანობისა და გარემოსთვის დამზოგავი

ტექნოლოგიების უპირატესობა. სწორედ ამისთვის შემუშავდა მდგრადი განვითარების სტრატეგია. თავად მდგრადი ეკონომიკა გულისხმობს განვითარების დინამიურ ხასიათს, ცვლილებების პროცესს, რომელშიც რესურსების ექსპლუატაციის მასშტაბები, კაპიტალდაბანდებათა მიმართულებები, ტექნიკური განვითარების ორიენტაცია და ინსტიტუციური ცვლილებები თანხვედრაშია არსებულ და მომავალ მოთხოვნებთან.

NDI-ის კვლევების მიხედვით უნდა გამოიყოს ის სამი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დგას დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის წინაშე და რაც თანდათან მეტად თვალსაჩინო ხდება, კერძოდ: გარემოს დაბიძურება, საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება.

ოდითგანვე საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რაზედაც არაერთ მეცნიერს, მკვლევარსა და გამოჩენილ მოღვაწეს გაუმახვილებია ყურადღება. სწორედ ეს სატრანზიტო გზა და მაგისტრალი აძლევს ქვეყანას შანსს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში მოიპოვოს ეკონომიკური სარგებელი და შეძლოს განვითარება.

## ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ადამიანი საკუთარი ბიზნეს საქმიანობით ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, იყენებს რა წიაღისეულ, კლიმატურ, წყლის და სხვა რესურსებს, ახორციელებს საქმიანობას, რომელიც, განურჩევლად მისი ხასიათისა, წარმოქმნის ნარჩენებს, ისეთ საქმიანობებსაც, როგორიცაა საშიში და „დამაბინძურებელი“ რესურსების გამოყენება, მაგალითად, ატომური და ქიმიური რესურსები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ გარემოზე, რელიეფზე, მიკროკლიმატურ პირობებზე. ამასთან, კაცობრიობა ეჩვევა მიღწეულ კომფორტს და წარმოიქმნება სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები, გამომდინარე იქიდან, რომ გარემოს დაბინძურებამ უკვე გამოიწვია და შემდგომში კიდევ უფრო მეტად გამოიწვევს ცხოვრების ხარისხის

გაუარესებას. სოციალური და ეკოლოგიური კავშირი უშუალოდ გამოიხატება ადამიანების გაუარესებული ჯანმრთელობის სტატისტიკაში, რაც უშუალოდ არის დამოკიდებული გარემოზე, რომელსაც თავად ადამიანები აბინძურებენ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობით.

აქტუალური რეგულირების ერთ-ერთი სფერო გახდა ავტომობილების გამონაბოლქვის შეზღუდვის მაჩვენებლების კონტროლი. მდგრადი განვითარების კონცეფციის თანახმად დადგინდა დასაშვები ნორმები და სტანდარტები[1], რაც აქტიურად ვითარდება დასავლეთ ევროპაში. კონცეფცია ითვალისწინებს ისეთი მდგრადი სისტემის შექმნას, რომელიც სამივე მაჩვენებელს აბალანსებს. საქართველო, იძულებულია ეკოლოგიური პრობლემები მოაგვაროს მეურნეობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. ასეთი ქვეყნებისთვის სამეურნეო გამოცდილება მწირია, ძნელად არის ხელმისაწვდომი ახალი ტექნოლოგიებიც. ეკონომიკურად განვითარების დაბალი დონე ხშირად აიძულებს მოძველებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას და, ზოგ შემთხვევაში, მათ იმპორტსაც კი. ამასთან აღნიშნული ტექნოლოგიებისა თუ მოწყობილობების უკუჩვენებები ხშირად გაუთვალისწინებელი ან უგულებელყოფილია. ჰაერის დაბინძურება კი ყველაზე მეტად სწორედ ღარიბ მოსახლეობას უქმნის ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებსაც არა აქვთ საშუალება სათანადო ყურადღება მიაქციონ ჯანმრთელობას ან საერთოდაც არ შეუძლიათ შეიქმნან უკეთესი საცხოვრებელი გარემო.

დღეისათვის ექსპერტებს ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად სწორედ „მწვანე ტექნოლოგიებით“ სარგებლობა მიაჩნიათ. ევროპის მაგალითი გვიჩვენებს, რომ „ლოგისტიკაში რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება არის საშუალება დაიზოგოს მატერიალური მარაგი 40-60 %-ით, საბრუნავი სახსრების მობილობა გაიზარდა 20-40%-ით, ტრანსპორტირების ხარჯები შემცირდა 7-20%-ით და ამასთან გამოვლინდა, რომ მწვანე ტექნოლოგების გამოყენება დადებით გავლენას ახდენს

**1 Стиглиц Дж. Экономика государственного сектора. Перевод с английского.М, инфра-М.1997, გვ. 205**

გარემოსდაცვით საქმიანობაზე“[1]. საქართველოს ტრანსპორტის სექტორი დღეისათვის გარემოზე სერიოზული დატვირთვის წყაროა, სამგზავრო ავტომობილების რაოდენობის უსაზღვროდ მზარდი ტენდენცია ფიქსირდება, ამას მოწმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები, სადაც 1038730 სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული. ასევე, სატვირთო გადაზიდვების მომსახურების გაუმჯობესებამ ტვირთმფლობელთათვის შექმნა მეტად ხელსაყრელი პირობა რესურსებისა და დროის დაზოგვისათვის, გაზარდა ქვეყნის მაგისტრალზე სატრანზიტო საავტომობილო გადაზიდვების მოცულობა, შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაც.

საქართველოსთვის, როგორ სატრანზიტო კორიდორისთვის, ასეთი მწვანე ტექნოლოგიის ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალება კი რკინიგზაა. საქართველომ რკინიგზის მეშვეობით აქტიურად აითვისოს სატვირთო გადაზიდვების სეგმენტი. უახლესმა სატრაილერო გადაზიდვის მაჩვენებელმა მაღალ ნიშნულს მიაღწია. დღეღამეში 900-ზე მეტი სატვირთო კვეთს ქვეყანას. ბოლო წლებში სატრანზიტო ტრაილერების რაოდენობამ 17%-ით მოიმატა და 332000-მდე გაიზარდა (სურ.1).

ეს კი იმის მანიშნებელია, რომ კიდევ უფრო მოიმატა ჰაერის დაბინძურებამ, ამასთან, ის გადაზიდვებიც რაც ტრაილერებით სრულდება საკმაოდ დიდ რისკებს ქმნის ავტოსაგზაო შემთვევების მატებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების თვალსაზრისით, რაც გზების უფრო ხშირი შეკეთების საჭიროებას წარმოქმნის და დამატებითი გარემოს დამაბინძურებელი წყარო ხდება.

მულტიმოდალური ტრანსპორტის კომბინაცია საშუალებას იძლევა მეტად გადატვირთულ საგზაო ავტომაგისტრალი განიტვირთოს რკინიგზის მეშვეობით, ანუ საავტომობილო ტრაილერი სადგურში გადასატანი ბაქნის მეშვეობით გზას განაგრძობს რკინიგზის საშუალებით, გამორთული ძრავის მდგო-

---

**1 ვ. ბოგველიშვილი, დ. ფრიდონაშვილი და ზ. ბოგველიშვილი, მდგრადი განვითარების კონცეფცია და მწვანე ლოგისტიკა, ჟურნალი „ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" N1 (50) 2021 წ. გვ.12**




**სურ. 1. სატრანზიტო სატვირთოების რაოდენობა 2015-2021 წლებში**

მარეობაში, რაც დამატებით იძლევა გადატვირთული საავტომობილო გზების განტვირთვის, საგზაო ინფრასტრუქტურის ცვეთის დაქვეითების, საავარიო შემთხვევების შემცირების შესაძლებლობასაც და ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტად მიზანშეწონილია როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე ტვირთმლობელთათვის და მგზავრთათვის.

აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვით, გარდა სარკინიგზო და საავტომობილო კომპანიებისა, მეტად დაინტერესებულია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, განსაკუთრებით ევროპა. ეს გახლავთ საქონლის ტრანსპორტირების პროგრესული, მდგრადი და კომფორტული სისტემა, რომელიც მეტად მიზანშეწონილია ეკოლოგიური და მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით და, შესაბამისად, ტრანსპორტირების ამ სახეობის გამოყენების ინიციატორი ევროპაში სწორედ სახელწიფოა.

## დასკვნა

საერთო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კეთილდღეობის შენარჩუნება შეუძლებელია ეკოლოგიურად მავნე გადაწყვეტების შეცვლის გარეშე. ამიტომ, აუცილებელია მიღებული იქნას მიზანშეწონილი გადაწყვეტილება სატრანსპორტო გადაზიდ-

ვების მოცულობების ზრდასა და ეკონომიკური განვითარების დაბალანსების მეთოდით, რომლის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას სწორედ რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებით საკონტრეილერო გადაზიდვები წარმოადგენს.

**ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ**


1. Стиглиц Дж. Экономика государственного сектора. Перевод с английского.М, инфра-М.1997, გვ. 205

2. ვ. ბოგველიშვილი, დ. ფრიდონაშვილი და ზ. ბოგველიშვილი,მდგრადი განვითარების კონცეფცია და მწვანე ლოგისტიკა, ჟურნალი „ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" N1 (50) 2021 წ. გვ. 12

3. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი 2014 წ. გვ 219

4. ბაბლუანი მ. საქალაქო ტრანსპორტის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის კვლევა. თბილისი, სტუ, 2019. 656.132.001 / 2;

5. ვ. ხარიტონაშვილი, „საავტომობილო ტრანსპორტი და ეკოლოგიური უსაფრთხოება". თბილისი 2006

6. https://cutt.ly/7FhCy9W

7. გარემოს გავლენა ჯანმრთელობაზე, ლუიზა გოჩიაშვილი / ჯანიაშვილი. გადამოწმებულია 26-01-2022.

8. http://www.railway.ge თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. 2010 წ იანვარი.


**REFERENCE:**


1. Stiglitz J. Economics of the public sector. Translation from English. M,infra-M.1997, p. 205

2. Bogvelishvili, d. Pridonashvili and Z. Bogvelishvili, Concept of Sustainable Development and Green Logistics, Journal "Transport and Mechanical Engineering" N1 (50) 2021. P. 12

3. Gurova I., World Economy. Tbilisi 2014 P 219

4. Babluani m. Economic-ecological efficiency study of urban transport. Tbilisi, GTU, 2019. 656.132.001 / 2

5. F Kharitonashvili, "Road Transport and Environmental Safety". Tbilisi 2006

6. https://cutt.ly/7FhCy9W

7. Environmental Impact on Health, Luiza Gochiashvili / Janiashvili. Checked 26-01-2022.

8. http://www.railway.ge Environmental Impact Assessment of Tbilisi Bypass Railway Project. January 2010

## TRAILER TRANSPORTATION BY RAIL AND ECOLOGICAL EFFECTS

**Manana Moistrapishvili,**
GTU Professor.

**Tamar Arjevanidze,**
GTU PhD Student
arjevanidze.tamar@gtu.ge

**RESUME**

The article discusses the ecological aspect of shipping, the level of the impact of innovation on economic efficiency and ecology, the severity of these problems for the population of Georgia. The article analyses the main economic, ecological and social components and also considers the modern "green model" as an example of ecological technology and a way to improve micro and macro economies. Maintaining prosperity is impossible without environmentally harmful solutions. Therefore, it is necessary to make an appropriate decision on the method of increasing the volume of transport and balancing economic development. One of the best practices of shipping is trailer transportation by rail.

**Keywords:** Management, Transport, Economics, Ecology.

# დიჯიტალიზებული აგროტურიზმი როგორც მრავალმხრივი ეკონომიკური განვითარების ჰაბი

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-233**

**თამთა მამულაიძე**
სტუ დოქტორანტი,

**ოთარ ბაღათურია**
სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი
otar.baghaturia@gmail.com

**რეზიუმე**

სოფლის ტურიზმი UNWTO-ს (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია) მიერ განიხილება, როგორც მაღალი პოტენციალის მიმართულება, რომლის სტიმულირება მოიაზრება როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის სტაბილურობის ფაქტორად.

Covid-19-ის პანდემია უპრეცედენტო ზიანს აყენებს ტურიზმის სექტორს. მრავალი ქვეყნის ხელისუფლებამ სასწრაფოდ უპასუხა კრიზისს. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთად, პარლამენტის აგრარულ კომიტეტს წარუდგინა აგროტურიზმის განვითარების შესახებ კანონპროექტის სამუშაო ვერსია (ჯერ კიდევ უპასუხოდ).

სტატიაში განხილულია ზემოაღნიშნული კანონის იმპლემენტირებით მიღწევადი შედეგები, ასევე აგროტურიზმისა თუ სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და დიჯიტალიზაციის პოტენციალი აღნიშნულ სფეროში.

აგროტურიზმის, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულების განვითარება ერთგვარი მულტიპლიკატორი იქნება როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის.

შემოთავაზებული კვლევის სიახლე არის ის, რომ დიჯიტალიზაციას შეუძლია დააკავშიროს ტრადიციული სოფლის მე-

ურნეობა და ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები. აგრო სექტორისა და აგროტურიზმის დიჯიტალიზაციისა და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შესაძლებელია საერთაშორისო მომხმარებლისთვის სრულიად ექსკლუზიური პროდუქტის შეთავაზება, ახალი ინდუსტრიის შექმნა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა ქვეყნის გარედან, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, და ამ თვალსაზრისით აგროტურიზმი შეიძლება ჩაითვალოს ექსპორტის ნაირსახეობად, რაც ასევე წარმოდგენილი კვლევის სიახლეა. ამ მხრივ, აგროტურიზმი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საქართველოს კონკრეტული თემისა თუ რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის მრავალფუნქციური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ალტერნატიულ გზად.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, დიჯიტალიზაცია, გაციფრულება, ექსპორტი, კანონპროექტი.

## ძირითადი ტექსტი

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) სოფლის ტურიზმს მაღალი პოტენციალის მქონე მიმართულებად მიიჩნევს, რომლის სტიმულირებაც ეკონომიკური სტაბილურობის ფაქტორად მოიაზრება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ჯერ კიდევ პანდემიამდე საქართველომ, კერძოდ გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთად აგროტურიზმის განვითარების შესახებ კანონპროექტის სამუშაო ვერსია პარლამენტის აგრარულ კომიტეტს წარუდგინა.

Covid-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ სექტორს - ტურიზმს, უპრეცენდენტო ზიანი მიაყენა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. 100-დან 120 მლნ-მდე პირდაპირი სამუშაო ადგილი გაუქმდა, ტურიზმის მუშახელის 54%-ი, რომელსაც ქალები და ახალგაზრდები წარმოადგენენ პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო საარსებო მინიმუმის გარეშე დატოვა.

ალნიშნულ კრიზისულ ვითარებაში მრავალი ქვეყნის ხელისუფლებამ მყისიერად მოახდინა რეაგირება, ზოგან სამომხმა-

რებლო აქტივობის, ზოგან კი სექტორის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით გამოიყო სახსრები.

გლობალური ეკონომიკის სიდიდით მესამე საექსპორტო კატეგორიის კონსერვირება მოცემულ ნიშნულზე და შემდგომი განვითარება რიგ ქვეყნებში შიდა ტურიზმის წახალისების სხვადასხვა მექანიზმების შემუშავებით და დიჯიტალიზაციით იქნა შესაძლებელი.

საქართველოს აგროტურიზმის ბაზრის ანალიზის, მისი პოტენციალის განვითარების და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისთვის განხორციელდა არაერთი კვლევა, რომელზე დაყრდნობითაც აგროტურიზმის განვითარება საქართველოში, სხვა, ბევრი თანმდევი ამოცანის გადაწყვეტას გამოიწვევს. კერძო სექტორისთვის გარკვეული სარგებელის მიღების პარალელურად აგროტურიზმის როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულების განვითარება იქნება ერთგვარი მულტიპლიკატორი როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ამავდროულად, აგროტურიზმი, გარკვეული დაშვებით, შეიძლება განხილულ იქნას როგორც „ექსპორტის ნაირსახეობა" იმ თვალსაზრისით რომ მომხარებელი (ტურისტი) ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული, შექმნილი და აკომულირებული სახსრებით ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციას იძენს, ოღონდ იმ განსხვავებით რომ აღნიშნულ მომსახურების მისაღებად იგი თავად მიეშურება მიმწოდებლისა და მწარმოებლისკენ.

ამგვარად აგრო სექტორის და აგროტურიზმის დიჯიტალიზაციითა და ურთიერთკოოპერირებით შესაძლებელია სრულიად ექსკლუზიური პროდუქტის შეთავეზება საერთაშორისო მომხმარებლისთვის, ამ თვალსაზრისით ახალი ინდუსტრიის წარმოქმნა და ქვეყნის გარედან დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა, ქვეყნის ეკონომიის გამოჯანსაღებისთვის. აღნიშნული თვალსაზრისით აგროტურიზმი შეიძლება განხილულ იქნას როგორც რეგიონის მრავალფუნქციური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ალტერნატიული გზა.

სხვა ქვეყნების პოზიტიურ გამოცდილებასა და საქართველოში განხორციელებულ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავ-

და და პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი **„საქართველოს კანონი აგროტურიზმის შესახებ"**, რომელიც ითვალისწინებდა სექტორის წახალისებას.

**კანონპროექტის პერსპექტივები:**

აგროტურიზმის განვითარების იდეა მოდის ევროპიდან, სწორედ ევროპის ტურისტული ბაზრის შესწავლა ცხადყოფს, რომ ინტერესი აგროტურიზმის მიმართ ყოველწლიურად იზრდება. საქართველო, მისი კულტურულ-ისტორიული თუ აგრარულ-რეკრეაციული პირობებიდან გამომდინარე ხელსაყრელი გარემოა აგროტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის.

აგროტურიზმი მოიცავს სოფლად, არაურბანულ გარემოში ტურისტული საქმიანობას, რომლის ძირითადი პირობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ტრადიციული ლანდშაფტი, სოფლის გარემო და თავად მასპინძელია; ხოლო რესურსი - აგრო-სანახაობა, აქტივობა და ადგილობრივი კვების პროდუქტი. აგროტურიზმი განიხილება, როგორც ადგილობრივი პროდუქტის რეალიზაციის მოკლე გზა - პროდუქტის მიწოდების მოკლე ჯაჭვისა და ადგილობრივი ბაზრის განვითარების წამახალისებელი აქტივობა.

იტალიის აგროტურიზმის რეგულირების კანონის შესწავლის საფუძველზე მოხდა გარკვეული სამართლებრივი ფორმების საქართველოზე ადაპტირება და კანონპროექტის შემუშავება. მოგეხსენებათ, რომ აგროტურიზმის განვითარებას თან ახლავს თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის, აგროტურიზმის განვითარების ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებელია იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ამ პროცესზე როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად აისახება. კანონპროექტის იმპლემენტირებით, მასში გაწერილ მიზნებზე დაყრდნობით შესაძლებელია აგროტურიზმის განვითარება, რაც თავისთავად გულისხმობს საქართველოს რეგიონებში ფერმერული მეურნეობისა და ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას, ლიბერალული საგადასახადო პოლიტიკის შემოღებას, სტანდარტიზაციას, სოფლად მცხოვრებთა დასაქმებას და მცირე მეურნეობების წახალისე-

ბას, სტანდარტების მიხედვით პროდუქციის წარმოებას, სერვისების შემუშავებას და მიმართულების გაციფრულებას და სხვა.

კანონპროექტში მკვეთრად განსაზრულია, მმართველობით რგოლში ჩართული ერთ-ერთი აქტორის, სახელმწიფოს მხრიდან შესასრულებელი აქტივობები, რაც მიმართულია აგროტურიზმის ხელშეწყობისკენ არაპირდაპირი სუბსიდირების გზით, რისი ანალოგიც გადმოღებულია სწორედ ევროპის ქვეყნების აგროტურზმის ან სოფლის ტურიზმის რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩოდან, სამწუხაროდ საქართველოს მთავარ საკონომდებლო ორგანოს გადადებული აქვს კანონპროექტის მოსმენის საკითხი გაურკვეველი ვადით, რაც თავისთავად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სექტორის განვითარებისთვის და აღნიშნულ სიტუაციას ამძიმებს არსებული პანდემიური ვითარება. ამგვარი დაყოვნება ამჟღავნებს მოქმედი ხელისუფლების უპასუხიმსგებლობას, ვინაიდან არათუ კანონპროექტის განხილვა არ მომხდარა, არამედ არც მისი განხილვის ვადა ჩანიშნულა და არც განხილვაზე უარი თქმულა.

სახელმწიფოს მიღმა, საქართველოში, აგროტურიზმის განვითარებას საერთაშორისო დონორი და ადგილობრივი ორგანიზაციები უწყობენ ხელს, კერძო სექტორის ჩართულობით. ამასთან ერთად, ა(ა)იპ „დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ DMO - ები რომელიც შექმნილია ზემოაღნიშნული აქტორების კოლაბორაციით, წარმოადგენენ დამატებით მექანიზმს, აგროტურიზმის როგორც პოტენციალის მქონე სექტორის განვითარების საქმეში, თუმცა არსებული ძალისხმევის მიუხედავად გაზომვადი ეკონომიკური ძვრები ამ კუთხით არ იგრძნობა.

კანონპროექტის მიზნების და ამოცანების შესრულება სახელმიწოფოს ჩართულობის გარეშე რთულად მისაღწევია. როგორც მოგეხსენებათ საქართველოს უმეტეს რეგიონში, განსაკუთრებით მაღალმთიან ადგილებში ჯერ კიდევ მოუგვარებელია ინფრასტრუქტურული პრობლემები, ასევე საქართველოს უმეტეს რეგიონში ციფრული უთანასწორობა ამ დრომდე დაძლეული არ არის. აგროტურიზმის მოყვარულ მომხმარებლებში მსფოლიო ტენდეციების გათვალისწინებით ავთენტური სერვისების პო-

პულარიზაცია მარტივ ინსტრუმენტს წარმოადგენს ციფრულ მარკეტინგში, მსგავსი ტიპის ობიექტებისა და სერვისების შეთავაზება კი საქართველოს უმეტესად სწორედ მაღალმთიან რეგიონებში შეუძლია, თუმცა ზემოაღნიშნული პრობლემების გამო მომხმარებლის მიღება ვერ იქნება გრძელვადიანი ეფექტის მქონე. სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის პოპულარიზაცია ტექნოლოგიური პროგრესისა და ციფრული ტრანსოფრმაციის ეპოქაში არის ერთ-ერთი ეფექტიანი გზა ტურიზმის და მისი დამოუკიდებელი მიმართულებების პიარის საქმეში.

ერთობლივი და ეფექტიანი კოორდინაციის პრაქტიკის დანერგვა აგროტურიზმის მართვის კუთხით, რომელშიც გათვალისწინებულია სააგენტოების ადმინისტრაციების სხვადასხვა დონეზე (რეგიონულ და ეროვნულ დონეზე) მონაწილეობითი თანამშრომლობა და თემის ჩართულობა. ინტეგრირებული მართვა რეგიონებში, გულისხმობს სერვის მომწოდებლების წარმატებულ კოლაბორაციას, თემზე დაფუძნებული ტურიზმის ხელშეწყობას. აგროტურიზმის სექტორის ინტეგრირებული მართვა რეგიონულ დონეზე ხელს შეუწყობს როგორც სექტორული თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ტურიზმის მართვის სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესის წინაპირობაა.

## აგროტურიზმის დიჯიტალიზაციის შესაძლებლობები:

გლობალიზაცია - ძირითადად ღარიბი, მცირე და ჩამორჩენილი განვითარების ქვეყნებისთვის ერთის მხრივ წარმოადგენს გამოწვევას, ხოლო მეორეს მხირვ შესაძლებლობას რომ თანაბარ სასტარტო პირობებში აღმოჩნდნენ დიდ და განვითარებულ ქვეყნებთან. დღესდღეობით, ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ტრადიციული ინდუსტრიები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ტექნოლოგიებისა და ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით. ციფრული პლატფორმები ცვლის საზღვრებს გარეთ ბიზნესის

კეთების ეკონომიკას, ამცირებს საერთაშორისო ურთიერთქმედებებისა და ტრანზაქციების ღირებულებას და დროს. ისინი ქმნიან ბაზრებს და მომხმარებელთა საზოგადოებებს გლობალური მასშტაბით, აწვდიან ბიზნესებს პოტენციური მომხმარებლების უზარმაზარ ბაზას და მათ მიღწევის ეფექტურ გზებს.

კომპლექსური მიდგომის საფუძველზე, ემპირიული კვლევის მეთოდებისა და მეორადი ინფორმაციის ანალიზის გამოყენებით გამოიკვეთა აგროტურიზმის დიჯიტალიზაციის პერსპექტივები. ამასთან ერთად, SWOT ანალიზზე დაყრდნობით სხვადასხვა ქვეყნებისა და ქალაქების ციფრული პლატფორმების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ავსტრალია, ტაილანდი, ჟირონა, ბოლზანო და ა.შ. https://localalike .com/ https://www.spain.info/en/discover-spain/agrotourism-spain/ https://www.agroturisme.cat/ https://www.agroturisme.cat/ https://www.orbitz .com/Belgium-Agritourism.d17-aaAgritourism.Travel-Guide-Accommodation https://www.farmstayplanet.com/farm-stay-rural-travel-guides/britain/) საქართველოს აგროტურიზმის ხელშეწყობის მიზნით შექმნილ ციფრულ პლატფორმასთან შედარებამ წარმოაჩინა რომ აგროტურიზმის სერვისების, მასთან დაკავშირებული ინოფრმაციის გაციფრულება და ელექტრონული კომერციით დარგის ხელშეწყობა გამოიწვევს პირდაპირ აგრო სექტორის და არაპირდაპირ ეკონომიკის სხვა მომიჯნავე მიმართულებების ხელშეწყობას.

www.agrogate.world არის პირველი აგროტურისტული ონლაინ პლატფორმა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც მოგზაურს დასვენებას ტურიზმთან ადაპტირებულ ტრადიციულ სოფლის მეურნეობის გარემოში სთავაზობს. აგროტურიზმის ინდუსტრიაში ამ ორი სფეროს ურთიერთთანამშრომლობა განტვირთვა-დასვენების საუკეთესო ფორმასთან ერთად, თავის თავში სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის განვითარებას, ეკოლოგიის დაცვასა და ბიზნესისთვის კონკურენტუნარიანი გარემოს სტიმულირებას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნული შემთხვევების შესწავლამ აჩვენა, რომ დარგის პოტენციალი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს ეროვნული

ეკონომიკის სხვა დარგებთან, მათ შორის სოფლის მეურნეობასთან თანამშრომლობით. ტურიზმსა და სოფლის მეურნეობის წარმოებას შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება აძლიერებს ტურიზმის მიერ შემოთავაზებული სერვისების დამატებით ღირებულებას და ეს არის მნიშვნელოვანი პოტენციური შესაძლებლობა ეკონომიკის დივერსიფიკაციის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სამუშაო ძალის გამოყენებისთვის. სადაც შეძლებენ ინტეგრირებას შრომით საქმიანობაში (მაგ., სოფლის ქალები, უფროსი თაობა, შრომისუნარიანობის მქონე მოქალაქეები). ტურიზმი - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარების გაზრდა ტურიზმი ხელს უწყობს აგრომრეწველობას; სოფლის მეურნეობა - მზარდი ინტერესი წარმოშობის ქვეყნის მიმართ სოფლის მეურნეობა მხარს უჭერს ტურიზმის ინდუსტრიას; აგრო ტურიზმი - ერთმანეთთან აკავშირებს ორივე ინდუსტრიას, წარმოადგენს დამოიკიდებელ ახალ ინდუსტრიას; დიჯიტალიზაცია - პოსტინდუსტრიული გლობალიზაციის ახალ ეპოქაში, დიჯიტალიზაცია - ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ტრადიციული დარგების შენარჩუნების და ამავე დროს მათი გათანამედროვების მიზნით.

## ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „აგროტურიზმის შესახებ“., საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2019 წ.

2. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის „UNWTO”., ოფიციალური ვებ-გვერდი https://www.unwto.org/ (23.02.2022)

3. ტრადიციული დარგების დიჯიტალიზაცია „ჟირონას უნივერსიტეტი“ *თ.მამულაიძე.*, 2021

4. საქართველოს-აგროტურიზმის-ბაზრის-პოტენციალის-კვლევა_ ლ.ხ (30.06.2020)

5. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის „FAO” და “FAO Georgia”., ოფიციალური ვებ-გვერდი https://www.fao.org/home/en/ https://www.fao.org/georgia/en (23.02.2022).

**REFERENCES:**

1. Georgian agritourism support bill., Georgian Farmers' Association and The United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women. 2019

2. Official website of The World Tourism Organization (UNWTO) https://www.unwto.org/ (23.02.2022)

3. Tamta Mamulaidze. Digitalization of traditional sectors., University of Girona. 2021.

4. L.Kh. Market potential research for Georgian agritourism. (30.06.2020)

5. The Food and Agriculture Organization "FAO" and "FAO Georgia", https://www.fao.org/home/en/ https://www.fao.org/georgia/en (23.02.2022).


## DIGITAL AGRITOURISM AS A HUB OF MULTIFACETED ECONOMIC DEVELOPMENT


**Tamta Mamulaidze,**
PhD Student of GTU
**Otar Bagaturia**
Doctor of Socio-Political Sciences,
GTU Associate Professor
otar.baghaturia@gmail.com



**RESUME**

Rural tourism is considered by UNWTO (united Nation's World Tourism Organization) as a high-potential direction, the stimulation of which is considered as a factor of economic stability for small and medium businesses (SMEs).

The Covid-19 pandemic causes unprecedented damage to tourism sector. The Authorities in many countries responded immediately to the crisis. UN Women organization, together with the Georgian Farmers' Association, submitted a working / draft version bill

on supporting measures for agritourism to the Parliamentary Agrarian Committee (still without respond).

Moreover, in the article there are considered the perspectives of the abovementioned law, also the prospective of agritourism or rural tourism, and potential of digitalization in indicated sphere.

The development of agritourism as an independent direction of tourism will be a kind of multiplier for the economy of both the region and the country.

Novelty of suggested research is that digitalization can connect traditional agriculture and modern trends of tourism. With the digitalization and mutual cooperation of the agricultural sector and agritourism, it is possible to offer a completely exclusive product to the international consumer, to create a new industry and to attract additional financial resources from outside the country, for the recovery of the country's economy, and in this meaning agritourism can be interpretated as a kind of export, and this is also novelty of this research. In this regard, agritourism can be considered as one of the alternative ways to promote the multifunctional and sustainable development of the communities and regions of Georgia and whole country as well.

**Keywords**: Tourism, Rural Tourism, Agritourism, Digitalization, Export, Bill.

# საზღვაო პორტების სტივიდორული სამსახურის ინვესტირების პერსპექტ ივები საქართველოში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-243**

**იასონ ამანათაშვილი,**
ფიზ/მათ. მეცნ. დოქტორი,
თსუ, კონსულტანტი,
i.amanatashvili@gtu.ge

**მურმან ბლიაძე,** ემდ, სტუ პროფესორი

**ნანა ელაშვილი.** ემდ, აუდიტორი

**ლაშა შარაშიძე,** სტუ, დოქტორანტი,

**რეზიუმე**

სტივიდორული მომსახურების საერთაშორისო ბაზარი წარმოადგენს ეროვნული საზღვაო სავაჭრო პორტების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან ტვირთების გადაზიდვას საერთაშორისო ვაჭრობის ფარგლებში და აქტიურად კონკურირებენ ერთმანეთში.

მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საფუძვლების და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება სტივიდორული საქმიანობის განვითარების, მართვის და რეგულირების სფეროში, რომელიც დაფუძვნებულია საინვესტიციო პროცესების მართვის თანამედროვე მეთოდებზე.

განხილულია საზღვაო პორტების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების, განსაზღვრის და ანალიზის ოპტიმიზაციის საკითხები და ოპტიმიზაციის კრიტერიუმების ამორჩევის პრობლემა. განსაზღვრულია საზღვაო პორტების სტრატეგიის შემუშავების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეკომენდაციები,

**საკვანძო სიტყვები:** საზღვაო პორტები, სტივიდორული მომსახურება, სტრატეგიული მენეჯმენტი, კონკურენტუნარიანობა.

## ძირითადი ტექსტი

საზღვაო პორტების მდგრადი განვითარება, რომლებიც აკავშირებენ საქართველოს საგზაო სატრანსპორტო კომპლექსს მსოფლიო სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემასთან, წარმოადგენს აუცილებელ პირობას მულტიმოდალური გადაზიდვების და ტვირთების მიწოდების სერვისის განვითარების და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნისათვის აუცილებელია კაპიტალური დაბანდებების დაგეგმვის რაციონალური მოდელის შემუშავება სტივიდორული საქმიანობის მეურნეობის განვითარების, სპეციალიზაციის და წარმოების განთავსების ამოცანების გადასაწყვეტად.

მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საფუძვლების და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება სტივიდორული საქმიანობის განვითარების მართვის და რეგულირების სფეროში, რომელიც დაფუძვნებულია საინვესტიციო პროცესების მართვის თანამედროვე მეთოდებზე.

სტივიდორული მომსახურების საერთაშორისო ბაზარი წარმოადგენს ეროვნული საზღვაო სავაჭრო პორტების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან ტვირთების გადაზიდვას საერთაშორისო ვაჭრობის ფარგლებში და აქტიურად კონკურირებენ ერთმანეთში. საპორტო ოპერატორების კონკურენტუნარიანობის და ეფექტურობის გაზრდის გათვალისწინებით ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის მექანიზმი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზღვაო პორტების ტექნოლოგიური განვითარება საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ამ მხრივ, საზღვაო გადაზიდვების ორგანიზებისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია საქართველოში სტევიდორული საქმიანობის ინვესტირების პროცესის განვითარება და ხელშეწყობა.[1,2].

განსახილველი საკითხების აქტუალობის კვლევისას, ავტორების მიერ განიხილება საკითხი საზღვაო სატრანსპორტო კომპლექსის ეფექტიანობის და ამაღლების შესახებ, კერძოდ, საკითხი საზღვაო ინდუსტრიის საწარმოების განვითარების ეფექტიანობის და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების

ფორმირების შესახებ, აგრეთვე, მომსახურების ხარისხის მართვის, ფასწარმოქმნის ეფორმირების და სხვ.[3]. დიდი ყურადღება ეთმობა საზღვაო პორტების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების, განსაზღვრის და ანალიზის ოპტიმიზაციის საკითხებს და ოპტიმიზაციის კრიტერიუმების ამორჩევის პრობლემას. შემოთავაზებულია განსახილველად ეკონომიკური პოტენციალი, როგორც სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც იზომება იმ პორტების საერთო შემოსავლით, რომლებიც დასაქმებული არიან ტვირთების მიწოდებით გამომგზავნიდან მიმღებამდე. ნაშრომში განხილულია საზღვაო პორტის სტრატეგიის შემუშავების თორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეკომენდაციები, კარგად გათვლილი სასარგებლო გარდაქმნების განსახორციელებლად სანავსადგურო სფეროში. პრაქტიკული რეკომენდაციები დაკავშირებულია საზღვაო პორტის გარემოს შიდა და გარე ანალიზთან, პორტის მისიის და მიზნების დადგენასთან, საბაზო და ფუნქციონალური სტრატეგიების შემუშავებასთან, სტრატეგიული დაგეგმარების სისტემის ფორმირებასთან[4,5].

საზღვაო ნავსადგურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, მიდგომების სახით, შემოთავაზებულია გამოიყოს პროცესიული, მარკეტინგული და კლასტერული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებენ საზღვაო ნავსადგურების ფუნქციონირების სპეციფიკას. კლასტერული მიდგომა, მეცნიერთა აზრით, ყველაზე ეფექტურია რეგიონის საზღვაო ნავსადგურის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რადგან ის საშუალებას გვაძლევს შევქმნათ სტრუქტურა, რომელშიც ყველა მონაწილე მიიღებს დამატებით კონკურენტულ უპირატესობას [6].

ძირითადად, საპორტო საქმიანობის საინვესტიციო განვითარების მიმართულებებად ითვლება:

- საქართველოს საზღვაო პორტების განვითარების სტრატეგიის სრულყოფა. საპორტო ოპერატორების კონკურენტუნარიანობის და ეფექტურობის გაზრდა. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმების ლიბერალიზაცია და გამოყენება;

ყველა მონაწილისათვის თანაბარი და კონკურენტული პირობების შექმნა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის; დამატებითი ტვირთების მოზიდვა სერვისების დონის, ეკონომიური და ტექნოლოგიური მიმზიდველობის გაზრდის გზით, ასევე ტვირთბრუნვის პროგნოზული რეზულტატებზე დაყრდნობით;

- სატვირთო სამუშაოების თანამედროვე პროცედურების და ტექნოლოგიების დანერგვა. მომსახურების გაწევა მცურავი საშუალებებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; საზღვაო პორტების და საზღვაო მარშრუტების ინფრასტრუქტურის, ჰიდროტექნიკური და სანაპირო ნაგებობების განვითარების დაჩქარება. ნორმატიულ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და სრულყოფა; ხელსაყრელი საინვესტიციო პირობების შექმნა საზღვაო პორტების განვითარების და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისათვის; პორტის ტერიტორიაზე მდებარე ქონების და მიწის ნაკვეთების გადაცემის პროცედურების გამარტივება კონცესიით;

- საზღვაო პორტების გამტარუნარიანობის გაზრდა, საპორტო ფომალური და ტექნოლოგიური პროცედურების გამარტივების გზით. ხომალდების დაყოვნების დროის შემცირება. ხომალდების რადიოლოგიური კონტროლის სრულყოფა; ძირითადი საწარმოო საშუალებების განვითარება და ტექნოლოგიური გადაიარაღება. სანავიგაციო უზრუნველყოფის საშუალებები. ელექტრო და რადიონავიგაციური მოწყობილობები; გარემოზე მავნე ზემოქმედების ფაქტორების შემცირება;

- საზღვაო პორტებში საკონტეინერო ტერმინალების განვითარება და მოდერნიზაცია გლობალურ კონტექსტში. ტრანსპორტის კონტეინერიზაციის ტენდენციების განვითარება, სატრანსპორტო კავშირების გაფართოება ევროპის და აზიის ქვეყნებთან, პორტებში კონტეინერების განბაჟების გამარტივება, და მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან შეესაბამისობაში;

- საქართველოს პორტებში ტვირთების მოზიდვის პროგრამის შემუშავება მათი სატვირთო ბაზის პრობლემის გათვალისწინებით და არსებული სიმძლავრეების სრული გამოყენება;

ეკონომიკური კონკურენციის განვითარება საპორტო მომსახურების ბაზარზე. ახალი გადამტვირთავი კომპლექსების მშენებლობა.

## დასკვნა

საზღვაო ნავსადგურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად მიდგომების სახით შემოთავაზებულია გამოიყოს პროცესიული, მარკეტინგული და კლასტერული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებენ საზღვაო ნავსადგურის ფუნქციონირების სპეციფიკას. კლასტერული მიდგომა, მეცნიერთა აზრით, ყველაზე ეფექტურია რეგიონის საზღვაო ნავსადგურის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რადგან ის საშუალებას გვაძლევს შევქმნათ სტრუქტურა, რომელშიც ყველა მონაწილე მიიღებს დამატებით კონკურენტულ უპირატესობას მასშტაბის და სინერგიის ეფექტების კომბინირებული გავლენით.

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია კაპიტალდაბანდებების რაციონალური დაგეგმვა საქართველოს საზღვაო პორტებში სტივიდორული საქმიანობის განვითარების, სპეციალიზაციის და წარმოების განთავსების ამოცანების შესასრულებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო. “საქართველო და ქართველები”, თბილისი, 2013.

2. Ю. Ю. Крук, Моделирование инвестиционного процесса развития стивидорной деятельности в Украине. Журнал “ Эффективная экономика”, №7, 2018.

3. Жихарєва В.В., Дубовик Н.В., Наврозова Ю.О.]. Підвищення ефективності діяльності та конкурентоспроможності підприємств морегоподарського комплексу України: Монографія 2016.

4. Курлянд А.М., Постан М.Я., Савельева И.В. Анализ современных тенденций развития портов в системе смешанных перевозок. 4(45). – С.7–23, 2013.

5.Степанов О.Н. Стратегическое управление развитием морского порта: монография.- Одесса:Астропринт, 2005.-323 с.

6. Бережной А.В., методология формирования инструментарий реализации.Менеджмент иновации, №2. 2014, http://mmi.fem.sumdu.edu.ua/.

**REFERENCES:**

1. Abashidze Z., Bakhtadze M., Janelidze O., "Georgia and Georgians", Tbilisi, 2013.

2. J. J. Kruk, Modeling of investment process of development of stevedoring activity in Ukraine. Journal "Effective Economy", №2, 2018.

3. Zhykharieva, V.V. Dubovyk, N.V. and Navrozova, Yu.O., Increasing the efficiency and competitiveness of the enterprises of the Ukrainian seagoing complex, 2016.

4. Kurljand, A.M., Postan, M.Ja, and Savel'eva, I.V. (2013), "Analysis of current trends in the development of ports in the mixed transport system", vol. 4(45), pp.7–23. 2013.

5. Stepanov O.N. Strategic management of seaport development: monograph.-Odessa: Astroprint, 2005.-323 p.

6. A.V. Berezhnoi, The organizational and economic mechanism of competitiveness of the seaport region: methodology of formation and tools of realization. №2 , 2014.

# THE INVESTING PERSPECTIVES IN STEVEDORING SERVICES OF THE SEAPORTS IN GEORGIA

**Iason Amanatashvili,**
PhD, TSU, Consultant
i.amanatashvili@gtu.ge
**Murman Bliadze**, PhD, GTU, Professor
**Nana Elashvili,** PhD, Auditor
**Lasha Shervashidze**, GTU, Doctorant

## RESUME

The international market of stevedoring services is a combination of national sea trading ports that serve the transportation of goods in the framework of international trade that actively compete with each other.

The purpose of this work is to develop the economic foundations and practical recommendations for regulating the development of stevedoring activities based on modern investment process management methods. It also considers the optimization of the definition and analysis of the use of economic potential of seaports and the problem of choosing optimization criteria at different stages of the algorithm problem solving. The analysis of the competitiveness of ports requires describing the economic potential in terms of resource and organizational and managerial capabilities. Furthermore, there is discussed the theoretical foundations and practical recommendations for developing a seaport development strategy for viable and well-calculated transformations in the port sector. The practical recommendations are related to external and internal analysis of the seaport environment, development of the mission and goals of the seaport, development of basic and functional strategies,formation of a strategic planning system.

**Keywords:** Seaports, Stevedoring services, Strategic management, Competitiveness.

# ჯანდაცვის სექტორის მცირე საწარმოს მდგრადი განვითარების ტენდენციები კლინიკა „დენტალ-მედის“ მაგალითზე

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-250**

**მარიამ წიკლაური**
სტუ, დოქტორანტი,
mariam23tsiklauri@gmail.com

**სოფიო ბერიძე**
სტუ, დოქტორანტი,
sophioberidze1@gmail.com

## რეზიუმე

თანამედროვე კრიზისული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მცირე ფორმის სამედიცინო კერძო საწარმოთა პრობლემები საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, გაანალიზებას და მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვას - ჯანდაცვის სფეროს აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ციფრული ტექნოლოგიებისა და პანდემიის მდგომარეობიდან განპირობებული, აკრედიტაციის მოთხოვნებიც გამკაცრდა, გამრავალფეროვნდა და შესაბამისად, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები საქმიანობის სრულყოფისათვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის წინაშე დააყენა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ბაზარზე სრულყოფილი ფუნქციონირების, მდგრადი განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენციის გასაწევად.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, ჯანდაცვის სექტორი, აკრედიტაციის მოთხოვნები

## შესავალი

არადინამიურად ცვალებადი გარემო აწესებს სტიმულებს და შეზღუდვებს საწარმოების ფუნქციონირებაში და განსაზღვრავს მათ პერსპექტივებს, კონკურენციის შესაძლებლობებს. თანამედროვე კრიზისული საბაზრო ეკონომიკის

პირობებში, მცირე ფორმის სამედიცინო კერძო საწარმოთა პრობლემები საჭიროებს ყოვლისმომცველ, სიღრმისეულ შესწავლას, გაანალიზებას და მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვას. ამავე დროს, აუცილებელია ჯანდაცვის სფეროს აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა კმაყოფილების შესწავლას და ექსპერტთა შეფასების შედეგების გაანალიზებას.

## ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ჯანდაცვის სექტორის მცირე ბიზნესის - „კლინიკა დენტალ-მედის" საფუძველზე დავისახეთ მიზნად მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ექსპერტული კვლევის შედეგების შესწავლა. მონაცემების შეგროვებისათვის გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი, შედეგების ანალიზისათვის, მონაცემების დამუშავება განხორციელდა სტატისტიკური ანალიზის სპეციალური პროგრამა SPSS-ის მეშვეობით.

აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად, პერსონალს და ხელმძღვანელობას მოეთხოვება უწყვეტი განათლება, შესაბამისია შედეგიც - რესპოდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი (88%) - მის აუცილებლობას აღნიშნავს, ანალოგიური პასუხი გვიჩვენა - სამედიცინო აპარატურის სტანდარტებთან დაკავშირებულმა კითხვამაც.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ინფექციის კონტროლი ძალზედ მნიშვნელოვანია (88%), გამჭირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე რესპოდენტთა (75%) ერთხმად აღნიშნავს, ხოლო საკრედიტაციო აუდიტსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების აუცილელობაზე, ექსპერტები, ერთხმად თანხმდებიან.

ექსპერტებს მოეთხოვებოდათ ის ღონისძიებები დაესახელებინათ, რომელთა გატარებაც მათი აზრით აუცილებლია. ჩამონათვალი შემდეგნაირად გადანაწილდა: ფინანსურ რესურსებზე წვდომა და პერსონალის გადამზადება (25%), კადრების მუდმივი განვითარება და კლინიკის აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიით.

როგორც ალმოჩნდა, რესპოდენტები ფლობენ ინფორმაციას კლინიკის შესახებ და ერთხმად აღნიშნავენ მის დადებით რეპუტაციას. კლინიკის პროდუქტების შესახებ, რესპოდენტთა უმეტეს ნაწილს (63%) მნიშვნელოვნად მიაჩნია პერსონალის გადამზადებაზე აქცენტი, ასევე, დანერგილი სიახლეებიდან, გამოკითხულთა ნახევარი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას შესაბამისად აფასებს. ბუნერივია, უსფრთხოების ზომების გამკაცრებაც მნიშვნელოვანია (63%), ასევე მომხმარებლებთან კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები (50%) და კლიენტზე მორგებული კომფორტული გარემოც (50%).

უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული სიახლეების შედეგები, ექსპერტებს, ზოგადად, დიდი იმედით ავსებს (100%). დეტალებისაგან უმრვლესობამ (75%) თავის შეკავება არჩია, თუმცა, დანარჩენი ექსპერტების აზრი თანაბრად გადანაწილდა შემდეგ დანერგილ სიახლეებზე - სტერილიზაციის სტანდარტის გაუმჯობესება, კოვიდ რეგულაციების დაცვა, ვექტორის აპარატის შექმნა (25%) და უსაფრთხო მომსახურება, პაციენტის ჯანმრთელობის გარანტია (25%).

ახალი სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერვას, შესაბამისი რესურსი ესაჭიროება, რაც შესაძლოა კლინიკას არ გააჩნდეს მოცემულ ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებული შედეგი არ გაგვკვირვებია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ექსპერტებს გარკვეულწილად ნეიტრალური პოზიცია უკავიათ. მათი მოსაზრებით, სიახლეების დანერგვა გარკვეულწილად ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული (63%) და ასევე შრომით დანახარჯებთან.

ციფრული ტექნოლოგიებისა და პანდემის მდგომარეობიდან განპირობებული, აკრედიტაციის მოთხოვნებიც გამკაცრდა, გამრავალფეროვნდა შესაბამისად და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები საქმიანობის სრულყოფისათვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის წინაშე დააყენა. ჩამონათვალი არცთუ ისე მცირეა, რაც აუცილებელია სრულყოფილი საქმიანობისათვის, მათ შორისაა - მიკროსკოპი, ახალი აპარატურა (12.5 %), 3D რენდგენის დამატება (12.5%), ხარისხის მართვის მენეჯმენტის სა-

ერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (37.5 %), მართვის სისტემის გაფართოება, ტრადიციული და თანამედროვე მართვის სიტემის გაერთიანება (25%)

ცვალებად გარემოს მორგებადი ინოვაციების შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებების ჩამონათვალი შემდეგია - სიახლეების დანერგვა, ელექტრონული მართვა, პროფესიული გადამზადება, უწყვეტი სამედიცინო განათლება, კომფორტის ზონა პაციენტის, ექიმისა და დამსაქმებლისათვის, რეალობაზე ორიენტირებული სტილი, მუდმივად ცვალებადი, შიდა და გარე ფაქტორების გავლენით გამოწვეული, მოგებაზე ორიენტირებული ახალი სტრუქტურა.

ჩვენი ინტერესი მიიპყრო ექსპერტების აზრმა, თუ როგორ ესახებათ მათ სამომავლოდ ჯანდაცვის სფეროს მცირე ბიზნესი და ამ მიმართულებით რას ფიქრობენ სახელმწიფოს როლზე. შედეგებმა გვიჩვენა, რომ აქცენტი მაინც კეთდება ფინანსურ მოტივაციასა და ფინანსების წვდომაზე, შეღავათებზე გადასახადებში, სადაზღვევო სისტემებთან ჯანსაღ თანამშრომლობაზე და ხარისხის მართვაზე. პრიორიტეტულია სახელმწიფო პროგრამები, საერთაშორისო გრანტები, სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფესიული კავშირების როლიც. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რეფორმების გატარების მიზნით, ყველაზე მნიშვნელოვნად რჩება - სოციალური პროგრამები, მარეგულირებელი გარემო (50%).

კლინიკის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევაც განხორციელდა უშუალო გამოკითხვით. გამოკითხულ იქნა 122 პაციენტი, მიმდინარე წლის იანვრის თვეში. განხორცილედა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის მეშვეობით. ანკეტა-კითხვარი რამდენიმე ბლოკისგან შედგებოდა: ზოგადი ინფორმაცია რესპოდენტის შესახებ, ინფორმაციის მიღების წყარო, კლინიკის სერვისები, კლინიკის ინფრასტრუქტურა, კლინიკის პერსონალი და კლინიკის ტექნოლოგიები.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, კლინიკას უფრო მეტად ქალბა-

ტონები სტუმრობენ (82%). ასევე, ვიზიტორთა უმეტესი ნაწილი უმაღლესი განათლებით გამოირჩევა (61%). პასუხების საფუძველზე დავადგინეთ, რომ ჩვენი კლინიკის შესახებ ინფორმაცია რესპოდენტებს მიეწოდებათ სხვადასხვა არხიდან: მედია-საშუალებები (ტელევიზია, პრესა) (31%), სოციალური ქსელი (facebook, e-mail) (32%), გარემოცვა (ნაცნობ-მეგობრები) (33%). პაციენტები ფლობენ სრულ ინფორმაციას კლინიკისა და მისი სერვისების შესახებ (89%), რამდენიმე ახალი პაციენტის გამოკლებით და ასევე, კლინიკის შესახებაც მათ ამომწურავი ინფორმაცია აქვთ (95%).

უნდა აღინიშნოს, რომ კლინიკა ითვალისწინებს მომხმარებელთა დროის მენჯმენტს და შესაბამისად, გამართულია რიგის მართვის სისტემა (96%).

შემდეგი ბლოკით განისაზღვრა კლინიკის ინფრასტრუქტურის შესწავლა. მდებარეობა შეფასებულია „საუკეთესოდ" (83%), კლინიკის დიზაინსაც დიდი ნაწილი მიიჩნევს საუკეთესოდ (75%) და საკმაოდ დიდი მოცულობის რესპოდენტები (79%) აღნიშნავენ, რომ კლინიკა ნამდვილად აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, მიმღების პერსონალი არის თავაზიანი, აკადემიური და კომუნიკაბელური მომხმარებელთა დიდი ნაწილის აზრით (70%) და ამავე უნარებით დამხმარე პერსონალსაც ახასიათებს რესპოდენტთა ზუსტად ნახევარი (50%). ასევე, რესპოდენტები, ბოლო 2 წლის მანძილზე განხორციელებული სიახლეებიდან აღნიშნავენ - პირველ რიგში ჰიგიენის გამკაცრებულ ნორმებს, შემდეგ იწონებენ განახლებულ ტექნიკას, ასევე, მათზე მორგებად ონლაინ კონსულტაციას, განხლებულ დიზაინს, კომფორტულ გარემოს, ლაზერულ თერაპიას და სხვ. და როგორც ჩანს, ეს ახალი ტექნოლოგიები „სრულიად აკამაყოფილებთ" მათ (88%).

ჩვენი მოსაზრებით, კლინიკის მდგრადი განვითარების მიზნით, შევისწავლეთ ასაკობრივ, გენდერულ და განათლების ჭრილში მომხმარებელთა დამოკიდებულება მიმღების პერსონალის, მკურნალი ექიმების და დამხმარე პერსონალის მიმართ: ბოლოს განხორციელებული სიახლეებზე, როგორც ვხედავთ

- მომხმარებლების დამოკიდებულების მაჩვენებელი საკმაოდ სანდო აღმოჩნდა (0.006).

## დასკვნა

ციფრული ტექნოლოგიებისა და პანდემის მდგომარეობიდან განპირობებული, აკრედიტაციის მოთხოვნებიც გამკაცრდა, გამრავალფეროვნდა და შესაბამისად, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები საქმიანობის სრულყოფისათვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის წინაშე დააყენა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ბაზარზე სრულყოფილი ფუნქციონირების, მდგრადი განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენციის გასაწევად. როგორც ვნახეთ, კლინიკა „დენტალ-მედი" თანამედროვე მოთხოვნებს სრულფასოვნად პასუხობს და მზად არის ახალი გამოწვევებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშების შედეგები. 2012-2017 წწ.

2. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოკლე მიმოხილვა, 2017.

3. ჯანმრთელობის ეროვნული მოხსენება, 2016-2017 წწ.

4. ჯანდაცვის სექტორი საქართველოში, 2020 წლის დეკემბერი. თბილისი, 2020.

## REFERENCES:

1. Results of national health reports. 2012-2017

2. Brief overview of the Georgian healthcare system, 2017.

3. National Health Report, 2016-2017.

4. Health Sector in Georgia, December 2020. Tbilisi, 2020.

# TRENDS IN SUSTAINABLE DEVELOPMENT OF SMALL ENTERPRISES IN THE HEALTHCARE SECTOR ON THE EXAMPLE OF THE CLINIC "DENTAL-MED"

**Mariam Tsiklauri,**
GTU, PhD Student
mariam23tsiklauri@gmail.com,

**Sophio Beridze,**
GTU, PhD Student
sophioberidze1@gmail.com

## RESUME

In the conditions of a modern crisis market economy, the problems of small-scale medical private enterprises require a comprehensive, in-depth study, analysis and planning of the next steps. At the same time, it is necessary to take into account the requirements for accreditation in the field of healthcare and, as far as possible.

Due to the state of digital technologies and the pandemic, accreditation requirements have also been tightened, diversified and, consequently, small businesses have been faced with the introduction of new technologies to improve their operations, which must be taken into account for perfect market functioning, sustainable development and healthy competition.

**Keywords:** Sustainable Development, Health Sector, Accreditation Requirements.

# IT TECH და ღრუბლოვანი სერვისები მევენახეობა-მეღვინეობის ეკონომიკაში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-257**

**მაია ბენია,**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
maia.benia9@gmail.com

## რეზიუმე

მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ შეამცირა წარმოების ხარჯები და გაიზარდა საწარმოს კონკურენტუნარიანობა. POS სისტემა - აღჭურვილობის მზა ნაკრებია სავაჭრო ოპერაციების ავტომატიზაციისთვის. ყველა მოწყობილობა ინტეგრირებულია ერთმანეთთან და განთავსებულია ისე, რომ უზრუნველყოს გამყიდველის მაქსიმალური კომფორტი და მომხმარებლის სწრაფი მომსახურება. მეღვინეებს შეუძლიათ POS სისტემები გამოიყენონ მარნებში მარკეტინგის ფუნქციების მეშვეობით ლოიალური მომხმარებლების მოსაზიდად. ბლოკჩეინი უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს თვალყური ადევნონ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს. როდესაც ღრუბლოვანი სერვისი გაერთიანებულია Blockchain ტექნოლოგიასთან, ორგანიზაციებს შეუძლიათ უკეთ დააკავშირონ ყველა ინფორმაცია ერთმანეთს. ყველა ამ ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენება ზრდის დარგის ეკონომიკურ პოტენციალს და კონკურენტუნარიანს ხდის საერთაშორისო ბაზრებზე.

## ძირითადი ტექსტი

ტექნოლოგიების უსწრაფესი ტემპით განვითარებამ შეცვალა ჩვენი ცხოვრების ტემპიც, პროფესიული ცხოვრებაც. IT TECH და ღრუბლოვანი კომპიუტერული ბიზნესიც ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. გლობალური ღრუბლოვა-

ნი კომპიუტერული (Cloud Computing) ბიზნესინდუსტრია 2023 წლისთვის 623,3 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ღრუბლოვანი სისტემების დანერგვამდე კომპანიებს უწევდათ მთელი პროგრამული უზრუნველყოფის შენახვა საკუთარ მყარ დისკებსა და სერვერებზე. რაც უფრო დიდია ბიზნესი, მით მეტი სივრცეა საჭირო. მონაცემთა დამუშავების ეს მეთოდი არ არის მასშტაბური სიჩქარის თვალსაზრისით. Cloud Computing სარგებელი მოაქვს როგორც ფიზიკური პირების, ასევე კორპორაციებისთვის. ჩვენ ვიყენებთ ღრუბლოვან აპებს ჩვენი სოციალური მედიის პროფილის გასაახლებლად, ახალი სერიის გამოწერისთვის ან საბანკო ბალანსის შესამოწმებლად, ღრუბლოვანი სისტემები კომპანიებს საშუალებას აძლევს სწრაფად გაფართოვდნენ და ადაპტირდნენ, დააჩქარონ ინოვაციების დანერგვა, გაამარტივონ ოპერაციები, შეამცირონ ხარჯები. ეს არა მხოლოდ დაეხმარება ფირმებს არსებული კონკურენციის დაძლევაში, არამედ ხელს შეუწყობს დაჩქარებულ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

მონაცემთა დიდ მოცულობაზე წვდომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განვითარებადი ტენდენცია არის ხელოვნური ინტელექტის ღრუბლოვანი სერვისი. მანქანური სწავლების გამოყენებით, მას შეუძლია გამოიყენოს ეს მონაცემები თავის ძირითადი შესაძლებლობების ოპტიმიზაციისთვის. ხელოვნური ინტელექტი ასევე გამოიყენება ღრუბლოვან ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად. ღრუბლოვანი გამოთვლები ხელოვნურ ინტელექტს საშუალებას მისცემს შეასრულოს უფრო სწრაფი გამოთვლები და უკეთ მართოს რესურსები. უფრო სპეციალიზებული გადაწყვეტილებები, როგორიცაა BetterCloud, Cloud Manager და სხვები, შემუშავებულია მიგრაციისა და ოპერაციების სამართავად, რადგან SaaS (software as a service) უფრო პოპულარული ხდება. მისი მეშვეობით გადაწყვეტილებების მთელი ნაკრების მართვა მარტივდება, როგორიცაა Google G Suite, Microsoft Office 365 და სხვა პოპულარული SaaS გადაწყვეტილებები.

კონტეინერიზაციის ტექნოლოგიები ინდუსტრიის გიგანტე-

ბის მიერ სწრაფად და წარმატებით დაინერგება ინდუსტრიაში. ამ ტენდენციის შედეგად ღრუბლოვანი კომპიუტერული სექტორი რაც შეიძლება მალე დაიწყებს კონტეინერიზაციაზე მუშაობას. ის მალე დააჩქარებს და მსხვილი კორპორაციების, როგორიცაა Amazon და Microsoft, განახორციელონ ინვესტიციები საკუთარ კონტეინერიზაციის პროგრამულ პაკეტებში.

ყველა ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი საკუთარი ინფორმაციებისა და კომპანიის უსაფრთხოებაა. გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად პროვაიდერები თავიანთ მომხმარებლებს უსაფრთხოების უახლეს ვარიანტებს აწვდიან, აღსანიშნავია ინოვაცია Kubernetes - Google-ის მიერ შემუშავებული მართვის მენეჯმენტი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. Kubernetes დანერგეს კომპანიებმა ღრუბლოვანი შეზღუდვების დასაძლევად. ბიზნესი, რომელიც ნერგავს Kubernetes-ს, მაღალკონკურენტუნარიანი იქნება ბაზარზე. მაგალითად, Microsoft-მა იყიდა Deis, რათა გაეფართოებინა Kubernetes-ის ხელსაწყოთა ყუთი. NetApp-მა შეიძინა StackPointCloud. კომპიუტერები მალე შეძლებენ ინფორმაციის უფრო სწრაფად გადაცემას კვანტური გამოთვლის წყალობით. ამ თვალსაზრისით, ღრუბლოვანი გამოთვლა თანაბრად მნიშვნელოვანია გამოთვლითი სიმძლავრისა და პროდუქტიულობის გაზრდისთვის.

ბლოკჩეინი უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს სრულად აღრიცხოს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები. ღრუბლოვანი სერვისის გაერთიანება Blockchain ტექნოლოგიასთან, ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს დააკავშირონ ყველა ინფორმაცია, შიდა გარე სისტემები ერთმანეთს, ეხმარება სხვადასხვა საფრთხეების ამოცნობასა და თავიდან აცილებაში.

ღრუბლოვანი გამოთვლები ბიზნესში ყველაზე მნიშვნელოვანია და უახლოეს წლებში უფრო ეფექტური, ხელმისაწვდომი და ადაპტირებადი გახდება. მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში ფეხი მოიკიდა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ, რამაც შეამცირა წარმოების ხარჯები და გაიზარდა საწარმოს

კონკურენტუნარიანობა. ასეთია POS სისტემა - აღჭურვილობის მზა ნაკრები სავაჭრო ოპერაციების ავტომატიზაციისთვის. ყველა მოწყობილობა ინტეგრირებულია ერთმანეთთან და განთავსებულია ისე, რომ უზრუნველყოს გამყიდველის მაქსიმალური კომფორტი და მომხმარებლის სწრაფი მომსახურება. ხშირად, კომპლექსური გადაწყვეტილებები გამოიყენება იქ, სადაც მნიშვნელოვანია გადახდის საკვანძო შესრულება და სიჩქარე - მაღალი გამტარუნარიანობის მქონე საცალო მაღაზიებში, სუპერმარკეტებში, რესტორნებში, სასადილოებში, სერვის კომპანიებში. ასევე არის მიკრობიზნესის ბიუჯეტის მოდელები (მინიმარკეტები სახლთან ახლოს, ბუტიკები და პავილიონები სავაჭრო ცენტრში). მეწარმეებისთვის ახალი ღვინის ქარხნის დაგეგმარების და აღჭურვის შემდეგ POS სისტემის არჩევა და დანერგვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის მეღვინეობის ჯაჭვის ყველა ასპექტის კონტროლი ღვინის წარმოებიდან, ჩამოსხმა, დისტრიბუცია, ადგილზე გაყიდვა და საბოლოო გადახდის მონაცემების დამუშავებამდე.

საუკეთესო ღვინის დეგუსტაციის ოთახი და POS სისტემები DTC-Sales გულისხმობს ისეთ სერვისებს როგორიცაა:1.WineDirect; 2.Revel Systems; 3.ShopKeep; 4.Lavu; 5.Upserve; 6.Xudle; 7.VinNow. შვიდივე არის ინოვაციური და მაღალეფექტური სხვადასხვა კუთხით. გარდა ამისა, ეს POS სისტემები შექმნილია სპეციალურად ღვინის ქარხნების მფლობელებისთვის, უზრუნველყოფს ინსტრუმენტების კომპლექტს მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად, მათ შორის ლოიალობის პროგრამების, ონლაინ დაჯავშნისა და ლოდინის სიის და ღვინის ონლაინ გაყიდვების ჩათვლით, რაც პანდემიის პერიოდში ვიხილეთ, რომ უაღრესად აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ასობით POS სისტემა მეღვინეობისთვის, მევენახეებს ურჩევენ გამოიყენონ ღვინის ქარხნის სპეციფიკური POS სისტემა, რომლის საშალებითაც უზრუნველყოფენ რისკების თავიდან აცილებას და ზედმეტ დანახარჯებს.

DTC საწყისი გეგმა იწყება $79 თვეში, 2% გაყიდვების საკომისიო, და საშუალებას აძლევს ღვინის ქარხნებს გაყიდონ

$200,000-მდე პირდაპირ მყიდველზე. გარდა ამისა, თვითონ DTC Pro გეგმა ღირს $199 თვეში, 1% გაყიდვების საკომისიო და $2,000,000-მდე მომხმარებლის პირდაპირ გაყიდვებზე. WineDirect არის SaaS (პროგრამული უზრუნველყოფა) პროვაიდერი ღვინის ქარხნებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მართონ ყველაფერი თავიანთ ბიზნესში, ასევე შეასრულონ ღვინის შეკვეთები DTC (პირდაპირ მომხმარებელზე) ელექტრონულ კომერციაში. კომპანია ასევე გთავაზობთ ღვინის ქარხნის POS სისტემას, რომელიც მუშაობს მობილურ პლატფორმაზე, ნებისმიერი ტიპის ბრაუზერზე. POS სისტემა ასევე აწვდის მეღვინეობის მფლობელებს ინვენტარის მართვის ფუნქციებს, სიის სეგმენტაციას, რათა შექმნან ელ.წერილი და SMS შეტყობინებები მათი მომხმარებლებისთვის და ინფორმაცია მათი ღვინის ქარხნის პროდუქციის გაყიდვებისა და პოპულარობის შესახებ. $199/თვეში, $1,000 დაყენების საკომისიო ტრანზაქციის საკომისიოს გარეშე, გაყიდვები $10,000-მდე თვეში.

Xudle არის მეღვინეობის სფეროს საკითხების სრული უზრუნველყოფა ტრანზაქციის მართვის, ვენახის ვიზიტებისა და ღვინის ონლაინ გაყიდვისთვის. WineDirect-ის მსგავსად, Xudle-ის ძირითადი კონცეფცია არის DTC (პირდაპირ მომხმარებელზე) ფუნქციონირება, რაც ღვინის ქარხნებს საშუალებას აძლევს გაყიდონ თავიანთი ღვინო პირდაპირ მომხმარებლებზე და მიაწოდონ პროდუქტი საკუთარ სახლში. ის ასევე საშუალებას აძლევს ღვინის ქარხნებს მართონ თავიანთი კლუბი და ღვინის გამოწერა, შეასრულონ მიწოდება და შესთავაზონ ლოიალობის პროგრამები.მისი გაყიდვის პუნქტის ფუნქციონირება მეღვინეებს ეხმარება მართონ ადგილობრივი და ონლაინ გაყიდვები. Xudle საჭიროებს აპარატურულ და ფიზიკურ კიოსკებს და მუშაობს პოპულარულ ბარებსა და რესტორნებში POS კიოსკების მსგავსად.

Revel Systems, რომლის ფასი $99 თვეში შეადგენს ტერმინალზე, ხოლო დამუშავების და ინსტალაციისა კი $649-დან, გამოიყენება POS გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ინდუსტრიისთვის, მათ შორის მეღვინეობისა და მევენახეობისთვის. Revel Winery

POS, ეხმარება მეღვინეს წარმოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მართვაში, პროდუქციის მარაგის კონტროლში, კლიენტთა მონაცემების მართვაში CRM-ით და ტრანზაქციების დამუშავებაში ადგილზეც და ონლაინ რეჟიმში. გასაყიდი პუნქტის პლატფორმის ძირითადი მახასიათებლები მყარია, მათ შორის გადასახადების გაყოფის, დიდი ჩანართების წინასწარ ავტორიზაციის, ღვინის ქარხანაში დეგუსტაციების მასპინძლობის შესაძლებლობა. Revel-ის აპარატურა მოყვება iPad სისტემებს, თვითმომსახურების კიოსკებს, დისპლეის სადგამებს, შტრიხკოდების სკანერებს და ქვითრების პრინტერებს.

ShopKeep არის პატივცემული საცალო POS ბრენდი, მაგრამ მას ასევე აქვს ღვინის ქარხნებისთვის შექმნილი POS პლატფორმა. ShopKeep Winery POS ეხმარება ვენახის მფლობელებს თვალყური ადევნონ თავიანთი ღვინის მარაგს, შეაგროვონ მომხმარებელთა ელფოსტა მარკეტინგული კამპანიებისთვის და მოახსენონ ბუღალტრული აღრიცხვისა და გაყიდვების შესრულება, რათა უკეთ გაიგონ ღვინის ქარხნის ფინანსური მაჩვენებლები. ShopKeep for Wineries-ის ტრანზაქციის მახასიათებლები ღვინის ქარხნებს აძლევს ინსტრუმენტებს ღვინის ბოთლების შტრიხკოდების დასაბეჭდად, ღვინის ბოთლის შეფუთვის პერსონალიზებისთვის, ქვითრების დაბეჭდვის ან ელექტრონული ფოსტით ონლაინ შეკვეთების მართვის, გადასახადების გაყოფისთვის და სხვა.

Lavu არის პოპულარული iPad POS სისტემა რესტორნებისთვის. Lauv Winery-ის გამოყოფილი POS პროდუქტი არის 100% ღრუბელზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ღვინის ქარხნებს საშუალებას აძლევს დაზოგონ სივრცე დიდი მოძველებული ტერმინალების და უსაფრთხოების გაზრდის გარეშე. Lavu ღვინის ქარხნებისთვის ასევე საშუალებას აძლევს მფლობელებს დააკონფიგურირონ მთელი ფიზიკური და ონლაინ მენიუ, მართონ ონლაინ შეკვეთები და აქვს გადახდის დამუშავების ადვილად გამოსაყენებელი სისტემა.

Upserve არის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე POS ინდუსტრიაში, რომელიც სთავაზობს გადაწყვეტილებებს რესტორნების-

თვის, ბარებისთვის, ლუდსახარშებისთვის, მათ შორის Upserve Winery POS (ადრე ცნობილი როგორც Breadcrumb). Upserve Winery POS ყურადღებას ამახვილებს ღვინის ქარხნებისთვის ორ მთავარ კონცეფციაზე: საუკეთესო მომხმარებლის გამოცდილების მიწოდება ანგარიშსწორებისას და მფლობელებისთვის გაყიდვების გამჭვირვალე ანგარიშების მიწოდება, რათა გაიგონ ROI ყველაფერი, რაც ხდება მათ ვენახში.მისი ძლიერი გადახდის დამუშავების მახასიათებლები მოიცავს წინასწარ ავტორიზებულ ანგარიშებს, გაყოფილ ჩეკებს, მობილურ კიოსკებს და სხვა.

VinNOW არის ღვინის ქარხნის კიდევ ერთი DTC და POS პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გეხმარებათ მართოთ როგორც ადგილზე, ასევე ელექტრონული კომერციის გაყიდვები. მისი პირდაპირი მომხმარებელთან დაკავშირებული ფუნქციები ეხმარება ღვინის ქარხნებს მართონ ელექტრონული კომერციის შეკვეთები. VenNOW POS-ის მახასიათებლებს აქვს ორი ძირითადი კომპონენტი: ერთი საცალო ვაჭრობაზე ორიენტირებული ღვინის ქარხნებისთვის და მეორე რესტორნის ტიპის ღვინის პატარა ქარხნებისთვის. ის უზრუნველყოფს წინასწარ ავტორიზაციის ფუნქციებს, ონკანზე ღვინის შეკვეთას, ჩანართებს და დიფერენცირებულ ბილეთებს და სხვა. გაყიდვების და შესრულების DTC სისტემას რაც განასხვავებს მეღვინეობის POS-ს სხვა სერვისებზე დაფუძნებული ინდუსტრიებისგან, არის გადაწყვეტის საჭიროება ელექტრონული კომერციის მეშვეობით ღვინის შეკვეთების მართვისა და შესრულებისთვის, მათ შორის თითოეული ქვეყნის ალკოჰოლის მიწოდების კანონების დაცვაზე.

ადგილზე ტრანზაქციებსა და გადახდის დამუშავებას რაც შეეხება, ყველა POS სისტემის ძირითადი კონცეფცია არის ტრანზაქციის მართვა და გადახდის სრული პროცესის დამუშავება. მეწარმე ხედავს, თითოეული პროდუქტი აკმაყოფილებს თუ არა ღვინის ქარხნის სპეციფიკურ საჭიროებებს, როგორიცაა წინასწარი ავტორიზაცია, ბილეთების გაზიარება, მობილური გადახდები, როგორიცაა Apple Pay და სხვა. ასევე მენიუს კონტროლის შესახებ რაც შეიძლება ითქვას- მეღვინეობის

POS სისტემები მეღვინეობის მფლობელებს ეხმარება შექმნან ფიზიკური და ონლაინ მენიუები. მარკეტინგულ ან დიზაინერ-ულ სააგენტოს დასხმარების გარეშე მეწარმეს შეუძლია მენიუს ახალი ელემენტის, ფასის განახლებაში ან ღვინის სრულიად ახ-ალი ხაზის დანერგვაში შეიტანოს სიახლე. ბევრ POS სისტემას აქვს ჩაშენებული ფუნქციები, რომლებიც საშუალებას აძლევს ღვინის ქარხნებს განაახლონ ისინი პირდაპირ POS სისტემაშივე. ესეც მნიშვნელოვნად ზოგავს დანახარჯებს. გაყიდვების ანგა-რიშგებას ამარტივებს POS პროგრამული სისტემები, ეხმარება მევენახეებს მართონ თავიანთი ფინანსები მარტივი ნავიგაცი-ისა და ძირითადი აღრიცხვის, გაყიდვებისა და მომხმარებლების მონაცემების ხედვით, რათა დაინახონ საწარმოს მდგომარეობ-ის სრული სურათი. ეს ყოველივე ეხმარება მეწარმეს გაყიდვე-ბის პროგნოზირებაში და სამომავლო განვითარების სტრატე-გიის შემუშავებაში.

**REFERENCES:**

1.https://www.analyticsinsight.net/top-12-cloud-computing-trends-in-2021/

https://medium.com/nycdev/deploy-to-a-managed-kubernetes-cluster-on-google-cloud-

894d35b83619

2.https://capable.nz/blog/information-technology/it-innovation-in-winemaking/

https://fitsmallbusiness.com/best-winery-pos-systems/


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

# IT TECH AND CLOUD SERVICES IN THE VITICULTURE - WINEMAKING ECONOMY

**Benia Maia**,
Georgian Technical University,
Associate professor,
maia.benia9@gmail.com

**Resume**

The introduction of the latest technologies in the field of viticulture and winemaking has reduced production costs and increased the competitiveness of the enterprise. POS system - a ready-made set of equipment for automation of trading operations. All devices are integrated with each other and placed in such a way as to ensure maximum comfort of the seller and fast customer service. Winemakers can use POS systems to attract loyal customers through marketing functions in wineries. Blockchain is the latest technology that allows companies to track all stages of a product life cycle. When cloud services are integrated with Blockchain technology, organizations can better integrate all the information with each other. The use of all these innovative technologies increases the economic potential of the sector and makes it competitive in international markets.

**Keywords:** Upserve Winery; Lauv Winery; ShopKeep Winery POS; WineDirect; Xudle; Revel Systems; DTC-Sales; Apple Pay; Blockchain; StackPointCloud; SaaS; Cloud Computing.

# სასტუმრო ინდუსტრია ციფრული სამყაროს პირობებში

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-266

**მარინა მეტრეველი**
სტუ პროფესორი
metrevelimarina7@gmail.com

**თინათინ დოლიძე**
სტუ დოქტორანტი
tinatin_dolidze@yahoo.com

## შესავალი

დიგიტალიზაციამ მოიცვა მთელი სამყარო და მათ შორის ისეთი სწრაფად განვითარებადი დარგი, როგორიც სასტუმრო ბიზნესია. ეს არა მხოლოდ სიახლე, არამედ აუცილებლობაცაა, განსაკუთრებული იარაღია ამ პანდემიურ პირობებში, როდესაც უშუალო კონტაქტები, ოფლაინ გამოფენები, სასტუმროს მომსახურებები მკაცრადაა შეზღუდული კოვიდრეგულაციების გამო. მომხმარებლის კმაყოფილება კი დაჯავშნისა და კომფორტული მომსახურების მიღების მატების პირდაპირპროპორციულად იზრდება. სტატიის მიზანია-გამოვიკვლიოთ გაციფრულების კონცეფციების რეალიზაცია თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიაში და გავაკეთოთ დასკვნები მისი დადებითი თუ უარყოფოთი შედეგების შესახებ. შევისწავლოთ, როგორი უტილიტარული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორ გენერირდება ისინი სასტუმროს სისტემებში ოპერირების ყოველ ნაბიჯზე და როგორ მოქმედებს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. ასევე, სტატიის მიზანია, შევისწავლოთ ციფრული მარკეტინგული კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი და ტაქტიკა, რომელიც რამდენიმე ძირითად ამოცანას ემსახურება: ინფორმირება ახალი სერვისების შესახებ, ბრენდის ცნობადობის ამაღლება, ჯავშნებისა და დატვირ-

თულობის მაჩვენებლების ზრდა, პოტენციური მომხმარებლების დაინტერესება და დაჯავშნის პროცესის გამარტივება.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, სასტუმრო, გაციფრულება, კომუნიკაცია, მომსახურება.

## ძირითადი ტექსტი

სასტუმრო ბიზნესის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და კონკურენტული სექტორია მსოფლიოში, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით მიზნობრივ აუდიტორიამდე უნდა მიაღწიოს მკაფიო, უნიფიცირებულმა და მიზანმიმართულმა მარკეტინგულმა შეტყობინებებმა, რომლებიც თავისი უნიკალურობით გამოირჩევა და მომხმარებელს თავს „განსაკუთრებულად" აგრძნობინებს. "ტექნოლოგია მოიცავს ტურიზმის ყველა სფეროს და მას განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ინდუსტრიის სამუშაო ძალის განვითარებისას"[1], - ნათქვამია გაეროს მსოფლიო მოგზაურობის ორგანიზაციის ანგარიშში.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ძირითადად 2000 წლიდან დაიწყო და დღეს მოსახლეობის 52% - დაახლოებით 2.2 მილიონი ადამიანი – აქტიურად იყენებს მას. მსოფლიოში კი 2018 წლის მონაცემებით იინტერნეტს 4 მილიარდამდე მომხმარებელი ჰყავს.[2] ეს მონაცემები პანდემიის შემდეგ საგრძნობლად მოიმატებს.

დიგიტალიზაცია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის სექტორის გაციფრულება ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო, როდესაც ფრენის ბილეთების ელექტრონული წარმოება გახდა შესაძლებელი. თავდაპირველად, პროცესი ნელა ვითარდებოდა და ეფექტურად მხოლოდ მცირე ნაბიჯები გადაიდგა ციფრული სამყაროსკენ. 90-იან წლებში შესაძლებელი გახდა მოგზაურობის შეკვეთა ინტერნეტის საშუალებით, მაგრამ მაინც დანიშნულების ადგილის შესახებ რეალური ინფორმაციის მოძიება ადამი-

---

**1 https://www.unwto.org/digital-transformation**

**2 ციფრული მარკეტინგი, გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე, USAID, პროექტი "ზრდა საქართველოში" თბილისი, 2018 გვ. 11.**

ანური წყაროების მეშვეობით ხორციელდებოდა. დღესდღეობით მსოფლიოს ყველა მიმართულებისა თუ ღირსშესანიშნაობის შესახებ ულევი ინფორმაცია არსებობს საძიებო სისტემებში.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი გარდაქმნა მოუტანა ტურიზმის ინდუსტრიას მთლიანობაში, ერთგვარი რევოლუცია მოახდინა ტურისტულ საწარმოებში, სასტუმროებსა თუ კვების ობიექტებში. დიგიტალიზაციამ გარდაქმნა ტურიზმის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ტრადიციული როლები. ამის შედეგად გაჩნდა ახალი როლები, ურთიერთობები, ბიზნეს მოდელები და კომპეტენციები. აგრეთვე, ციფრული პლატფორმების ზრდამ ტურისტული პროდუქტების, მომსახურებისა და გამოცდილების მრავალფეროვნებასაც შეუწყო ხელი. სასტუმრო მომსახურებაზე მოთხოვნის მიღების საოპერაციო სიჩქარე, ბაზრის ინფორმირება და უკუკავშირი ბევრად გამარტივდა. ამ ცვლილებებმა სასტუმრო ბიზნესს ახალი გამოწვევები შეუქმნა და მასპინძლობის სფერო უფრო კონკურენტული გახადა.

ბრენდული და დიდი ზომის სასტუმროები ნაკლებ მოქნილი არიან გარემო პირობების ცვლილებების მიმართ, ადაპტაციის უნარი მცირე და საშუალო ზომის ბუტიკ სასტუმროებს უფრო აქვთ. მსურს გაგიზიაროთ ჩვენი კვლევის შედეგი ამგვარი ადაპტაციის უპრეცენდენტო შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. ეს გახლავთ კომპანია ნუმა (NUMA), „ჩვენ ვაშენებთ ახალ გზას“[1] - ასეა აღნიშნული ისტორიაში მათ შესახებ. მარტივი, მოხერხებული, გასაგებად და ხელმისაწვდომად კონსტრუირებული მათი ვებ-გვერდი ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის მათი ინოვაციების შესახებ. უახლესი ციფრული ტექნოლოგიისა და გემოვნების ნამდვილი მიქსია მათი მიდგომები, თითოეული ოპერაცია... მსოფლიოს მასშტაბით ხუთი ქვეყანა აქვთ მოცული: გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, ჩეხეთი. მათი 80-მდე სასტუმრო ევროპის 12 ქალაქშია: ბერლინი, დიუსელდორფი, მიუნჰენი, ზალსბურგი, ვენა, ფრანკფურტი, ბარსელონა, მადრიდი, სევილია, ფლორენცია, მილანი და პრაღა. მთავარი კონცეფცია დიგიტალი-

1 https://numastays.com/our-story

ზაციაა, ყველაფრის QR კოდებით მართვა, ჯავშნის მიღებიდან დაწყებული ოთახში შესახლებით დასრულებული. საოპერაციო პროცესების 80% გაციფრულებულია; დაწყებული დაჯავშნიდან და ოთახის შერჩევიდან, დასრულებული დასუფთავებით, ბუღალტერიითა და ა.შ. ეს აძლევს მათ საშუალებას იყონ - მასშტაბურები, გლობალურები და კონკურენტუნარიანები საფასო პოლიტიკის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი, პირველ რიგში, შემცირებული ხარჯებია. როდესაც თითო სასტუმროს თითო საოპერაციო მენეჯერი ჰყავს და ისიც დისტანციურად მართავს, სასტუმრო ფაქტობრივად ცარიელია, მხოლოდ სტუმარია შენობაში, საუზმე, მილაგება და სხვა სერვისები ისევე კოდური შეკვეთითა და გამოძახებითაა. ეს სრულიად ინოვაციური მოდელი სრულიად მიუღებელია ისეთი ტრადიციული ქვეყნისთვის, როგორიც საფრანგეთია, კომპანიას ჯერ მართვაში არ აუღია არცერთი სასტუმრო საფრანგეთში. არ არის გამორიცხული პირდაპირი კომუნიკაციის სადარაჯოზე ბევრი ტრადიციული ქვეყანა დადგეს, მათ შორის საქართველო.

ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, არდადეგების და მოგზაურობის სეზონი გადავადდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გადავადდა დაგეგმილი მარშრუტები, დაჯავშნილი სასტუმროები, უკან დაბრუნდა გაყიდული ბილეთები. ტურისტული კომპანიები სრული მობილიზაციით და რეგულაციების დაცვით ცდილობენ სექტორების აღორძინებას. მომხმარებლები სულ უფრო მეტ ციფრულ არხებსა და პლატფორმებს ეყრდნობიან თავიანთი სამოგზაურო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, დასვენების და მოგზაურობის სეზონები შეიცვალა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაიწია სხვადასხვა ქვეყანაში ეპიდვითარებიდან გამომდინარე. დაგეგმილი მარშრუტები, დაჯავშნილი სასტუმროები, გაყიდული ბილეთები დაბრუნდა ან სხვა თარიღებზე გადაიჯავშნა. ტურისტული კომპანიები და განთავსების ობიექტები სრული მობილიზაციითა და რეგულაციების დაცვით ცდილობენ სექტორის აღორძინებას. მომხმარებლები კი, სულ უფრო მეტ ციფრულ არხსა და პლატფორმას იყენებენ თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მარკეტინგი დღემდე პოპულარობით სარგებლობს და ვხვდებით ბეჭდვით რეკლამებს, სატელეფონო კომუნიკაციას ან პირდაპირ მარკეტინგს, ციფრული მარკეტინგი ნებისმიერი კომპანიისთვის სრულიად ახალ შანსებს იძლევა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი წარმოება შესაძლებელია ელექტრონულად და ონლაინ რეჟიმში. ეს ნიშნავს, რომ ბრენდებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ - მომხმარებლებამდე მივიდნენ და შესთავაზონ თავიანთი პროდუქტი ელექტრონული ფოსტის, ვიდეო განთავსების, სოციალური მედიის ან საძიებო სისტემის გამოყენებით. დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, რომ ციფრული მარკეტინგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასტუმროს ბრენდის ცნობადობის გასაზრდელად. უკვე იმიჯის საკითხია, გქონდეს ვებ-გვერდი და ასევე, სოციალური მედია გამართული უკუკავშირით. მარკეტინგი მათი ციფრული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. ყველა ცდილობს კონკურენტებისგან განსხვავებული სოციალური მედიის სტრატეგია შეიმუშაოს, რათა მომხმარებლების ყურადღება მიიქციოს და მათ პროდუქტის შეძენის სურვილი გაუჩინოს.

## დასკვნა

საქართველოში ტურიზმისა და მასპინძლობის ტრადიციული ხასიათიდან გამომდინარე, ციფრული განვითარება სასტუმროებს სერიოზულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს მოუტანს. განთავსების ობიექტები არაერთგვაროვნად აფასებენ დიგიტალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებს. მაგალითად, სრულად ციფრულ კომუნიკაციაზე გადასვლის კატეგორიული წინააღმდეგია საფრანგეთი. ამიტომაც შესამუშავებელია ჰიბრიდული ქართული მოდელი, რომელიც თანამედროვე დიგითალ სამყაროსთან იქნება ადაპტირებული და ამავდროულად მოუფრთხილდება როგორც დასაქმებულებს, ასევე, პერსონალურ კომუნიკაციას როგორც მარკეტინგის, ასევე, სერვისის სფეროში. საქართველოსთვის პერსონალური კომუნიკაციის ფასეულობა ყველაზე მაღალია. ამიტომ საჭიროა გავიზიაროთ ევროპული გამოცდილება, შევამციროთ საოპერაციო ხარჯები,

გავამარტივოთ ჯავშნის სისტემები, უფრო ეფექტური და მიზნობრივი გავხადოთ მარკეტინგული კომუნიკაციის ხერხები და ხარჯები, მაგრამ, ამავდროულად, არ დავივიწყოთ ჩვენი, ქართული სტუმარმასპირძლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და კონცეფცია, შევქმნათ მოდელი, მორგებული როგორც ოპტიმიზაციაზე, ასევე - თვითმყოფადობაზე.

**REFERENCES:**

1. Ryan Deiss, Russ Henneberry, Digital Marketing Dummies, Publishing house Palitra L, Tbilisi 2021(დაისი რაიან; ჰენებერი რას, ციფრული მარკეტინგი მარტივად, პალიტრა L, თბილისი 2021);

2. Tom Hopkins, Selling for Dummies, Publishing house Palitra L, Tbilisi 2020(ჰოპკინსი ტომ, გაყიდვები მარტივად, პალიტრა L, თბილისი 2021);

3. Digital marketing, USAID, GNTA, CHEMONICS, Tbilisi 2018(ციფრული მარკეტინგი, გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე, USAID, პროექტი "ზრდა საქართველოში" თბილისი, 2018);

4. Marina Metreveli, Tourism and Hospitality (Principles), Third edition, Tbilisi 2018(მეტრეველი მარინა, ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები, თბილისი 2017);

5. P.I. Benckendorff, P. J. Sheldon, D.R. Fesenmalex, Tourism Information Technology, Tbilisi 2015(ბენკენდორფი პიერი, შელდონი პაულინი, ფეზენმაიერი დანიელ, ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 20150:

6. REPORT-TourismDigitalisation-131118_REV-KB-EM.pdf;

7. https://www.researchgate.net/publication/334303975_DIGITALIZATION_OR_ICT_IN_TOURISM;

8. https://webcache.googleusercontent.com/search;

9. https://www.unwto.org/digital-transformation ;

10. https://digitalhub.edu.ge/ ;

11. https://numastays.com/our-story.

# THE HOTEL INDUSTRY IN THE DIGITAL WORLD

**Marina Metreveli,**
PhD, Professor of GTU,
metrevelimarina7@gmail.com,

**Tinatin Dolidze,**
PhD student of GTU
tinatin_dolidze@yahoo.com

## RESUME

Digitalization has spread all over the world and including such a rapidly evolving field as the hotel business. This is not only a novelty, but also a necessity, a special tool in these pandemic conditions, when direct contacts, offline exhibitions, hotel services are strictly limited due to co-regulations. Customer satisfaction increases in direct proportion to the increase in booking and convenient service. The purpose of this article is: to investigate the implementation of digitalization concepts in the modern hotel industry and to draw conclusions about its positive or negative consequences; to learn about the utilitarian importance of modern digital technologies, how they are generated at every step of operating a hotel system, and how they affect customer satisfaction. Also, the purpose of this article is to explore different ways and tactics of digital marketing communication, which serve several main tasks: informing about new services, raising brand awareness, increasing bookings and load rates, attracting potential customers and simplifying the booking process.

**Key words:** Tourism, hotel, digitalization, communication, service.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

# ჩვენი სალოცავები სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-273

**ნანი მამფორია**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
mamporianani11@gtu.ge

**მარიამ გავაშელიშვილი**
სტუ სტუდენტი,
mariam.gavasheli.13@gmail.com

**მარი მელაძე**
სტუ სტუდენტი,
meladzemari213@gmail.com

**ნანა ორაგველიძე**
სტუ სტუდენტი,
oragvelidze.nana@gtu.ge

**რეზიუმე**

განხილულია რუსეთის მიერ ინსპირირებული 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ჩვენი ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ე. წ. სასაზღვრო ზოლს მიღმა დარჩენილი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მითვისება და განადგურება.

ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, შეუპოვარი ბრძოლის მაგალითია. გამორჩეული ამ თვალსაზრისით არც XX-XXI საუკუნეების გეოპოლიტიკური კატაკლიზმები აღმოჩნდა. საქართველოს საბჭოთა კავშირის დატოვება ძალიან ძვირი დაუჯდა–2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო და 1992 წელს, გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის მიერ აღიარებული ტერიტორიის (69. 700 კმ) 20 პროცენტი 12. 565 კმ (აფხაზეთი – 8.665 კმ, ცხინვალის რეგიონი – 3.900 კმ)² მიიტაცა... ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში აღნუსხულია 555 მართლმადიდებლური ეკლესია. Aამ ეტაპზე, ინფორმაცია (ფოტოსურათების სახით) 267 ნაგებობის (266 ეკლესია და 1 სინაგოგა) თაობაზე მოგვეპოვება; მათი დიდი ნაწილი ამჟამად არქეოლოგიურ ობიექტებადაა ქცეული, ხოლო დანარჩენებს უყურადღებობისა და ანტიქართული ქმედებების გამო, განადგურების საფრთხე ემუქრებათ. [1. გვ. 4.]

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ადმინისტრაციული „საზღვარი" დროდადრო იცვლება. ე. წ. სამხრეთ ოსეთთან გაკეთებული ბანერი წარწერით Республика Южная Осетия საქართველოს ცენტრალური მაგისტრალის მიმართულებით ინაცვლებს და სულ უფრო მეტი ტერიტორია რჩება მავთულხლართების მიღმა.

**საკვანძო სიტყვები:** ოკუპაცია, სამაჩაბლო, კულტურული მემკვიდრეობა, ცივილიზაცია, სამართლიანი, ხუროთმოძღვარი.

## შესავალი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი ექვსი (და არა ხუთი, რადგანაც რუსული არმია საქართველოს ტერიტორიაზე 8 აგვისტომდე იყო განლაგებული) დღის განმავლობაში - 7-დან 12 აგვისტომდე გრძელდებოდა. ომის დროს რუსული არმიის ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ცხინვალის რეგიონით არ შემოფარგლულა. საბრძოლო მოქმედებების მეორე ფრონტი გაიხსნა აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებებიდან. საბრძოლო მოქმედებებში ჩართული იყო ასევე რუსეთის საზღვაო ფლოტი. [2. გვ. 206]

საოკუპაციო რეჟიმი არ ერიდება საქართველოს მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფასაც, რისი ნათელი მაგალითიც იყო 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან, ხურჩაში მოკლული საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიასა და 2018 წლის 22 თებერვალს ახალგორში დაკავებული

და შემდეგ წამებით მოკლული არჩილ ტატუნაშვილის შემთხვევები. [2.]

„ხალხთა თაობების მიერ შექმნილი ისტორიული ძეგლები, რომლებიც წარსულის გზავნილის მატარებელია, დღემდე რჩება მათი საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალ მოწმედ. კაცობრიობა დღითიდღე რწმუნდება, რომ ადამიანებს საერთო ღირებულებები გააჩნიათ და პატივს მიაგებენ ისტორიულ ძეგლებს, როგორც საერთო მემკვიდრეობას“... [3.]

საოკუპაციო ძალა, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ცდილობს, ყველანაირად წაშალოს ძველი ისტორიული კვალი და არა მხოლოდ კვალი, რომელიც უკავშირდება ძეგლებს, არამედ წაშალოს საზოგადოების არსებობის კვალიც. ცხინვალის რეგიონში ქართული სოფლები - **თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ერედვი, ვანათი და ავნევი** სრულიად იქნა განადგურებული, ანუ წაიშალა იქ მოსახლეობის ცხოვრების ნიშანწყალიც კი[4. გვ. 7],Mრაც გამოიხატება შემდეგში: შიდა ქართლის ოკუპირებული ნაწილი მოიცავს ოთხ რაიონს: **ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა** და **ახალგორის** რაიონებს. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ (2008 წელი) აღნიშნულ რაიონებში რელიგიის თავისუფლების მიმართულებით არსებული ვითარება ასეთია: ცხინვალის, ზნაურის და ჯავის რაიონებიდან ქართველი სასულიერო პირები სრულად იქნენ გამოდევნილი. ამ რაიონებში ქართულ, მართლმადიდებლურ ტაძრებში დღეს წირვა-ლოცვას აღავლენენ ოსები, რომლებიც გამოეყვნენ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და დაექვემდებარნენ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განდგომილ ერთ-ერთ ეკლესიას – CHURCH OF THE CENUINE ORTHODOX CHRISTIANS OF CREECE HOLY METROPOLIS OF OROPOS AND PHYLE -ს (ვებგვერდი: www. hsir.org; www.cominf.org).

რაც შეეხება **ახალგორის რაიონს,** ამ ტერიტორიაზე დღეისათვის რვა მოქმედი ეკლესიაა, იქ მომსახურე სასულიერო პირები გამოდევნილნი არიან ამ ტერიტორიიდან და იქ შესვლისა და ღვთისმსახურების აღსრულების უფლება არ აქვთ... გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქართველ მრევლს ეზღუდება

უფლება მოინახულოს ახლობელთა და ოჯახის წევრთა საფლავები და დაესწროს ღვთისმსახურებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრილ ტაძრებში. ამ შეზღუდვებთან ერთად, შემაშფოთებელია დასახლებულ რაიონებში არსებული საკულტო ნაგებობების მდგომარეობა. ქართული მართლმადიდებლური ტაძრების ნაწილი დანგრეულია, ნაწილზე კი სისტემატურად მიმდინარეობს არალეგალური „სარესტავრაციო" სამუშაოები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფრაგმენტებზე აშენებულია ახალი ტაძრები, სახეშეცვლილია არაერთი ეკლესია, საომარი მოქმედებების დროს დანგრეულია ბევრი მათგანი. [5. გვ. 7.]

უშუალოდ საომარი მოქმედებების დროს დაზიანდა შემდეგი ძეგლები:

**ხეითის მთავარანგელოზის** მე-18-მე-19 საუკუნის ეკლესია. 12 აგვისტოს ჭურვი მოხვდა და შედეგად გუმბათი და სამრეკლო დაზიანდა.

დამწვარია მე-19 საუკუნის **სვერის წმ. გიორგის** ხის ეკლესია.

**ერედვის წმ. გიორგის** ეკლესია – X საუკუნე. პირველი თარიღიანი ბაზილიკა. ნაგებობათა ტიპი დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ხუროთმოძღვრებისთვის. ხუროთმოძღვარი – თეოდორე თაფლაისძე. იკითხება ეკლესიის სამხრეთის ფასადის მრგვალ სვეტზე. საომარი მოქმედებების დროს გალავანზე მოხვდა ჭურვი და დაზიანდა.[6]

ვანო მაჩაბელს ყველაზე ნაკლებად გაუმართლა - მას საფლავიც კი არ ეღირსა. უდიდესი მამულიშვილის დაკარგვიდან საუკუნის შემდეგ საქართველომ ვანო მაჩაბლის მშობლიური სოფელი თამარაშენიც დაკარგა. დანგრეული და მიწასთან გასწორებულია მაჩაბლების ისტორიული სახლიც. ამჟამად, მწერლის სახლ-მუზეუმი წეროვანის №407 კოტეჯშია განთავსებული...[7]

**იკორთის ტაძარი** - 1172 წელი. ცხინვალიდან 35 კილომეტრში. ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია შიდა ქართლში. იკორთის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ექვთიმე თაყაიშვილი

იკორთის შესახებ წერდა: „ასეთი მშვენიერი ნაგებობა თამარის დროისა, ჩვენ მეტი არა გვაქვს, რა შესანიშნავი დეკორი აქვს? მისი ტოლებია ბეთანიაც, კაბენი, მაგრამ მასთან ვერც ერთი ვერ მოვა......იკორთა უნიკუმია და ასეთი ძეგლები განსაკუთრებით კარგად უნდა შევინახოთ". [8]

ტაძარში დაკრძალულნი არიან კახეთის აჯანყების (1659) ხელმძღვანელები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. ოსებმა ჩვენი ქართველი წმინდანები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ალანებად - ოსებად შეგვირაცხეს.

რუსულმა კომპანიამ დაიწყო **თირისა** და იკორთის ტაძრების რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ორივე ობიექტი მნიშვნელოვნად დაზიანდა, რაც ფრესკებსაც შეეხო. არაპროფესიონალიზმით იმდენად უხეში ჩარევა მოხდა ამ პროცესში, რომ თვითონ ცხინვალის წარმომადგენლობაც შეშფოთდა, რის შედეგადაც შეაჩერეს რესტავრაცია. [9]

**ლარგვისის სამონასტრო კომპლექსი.** ლარგვისის მონასტერი XIV-XV საუკუნეებში მნიშვნელოვან კულტურულ და საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა.

ამჟამად, როგორც სხვა არაერთი ეკლესია, ლარგვისიც კირით არის შეთეთრებული. აქ მდებარეობს ქსნის ხეობაში ყველაზე ზემოთ მდებარე რუსული საოკუპაციო ნაწილების ბოლო ბაზა. [10]

ოკუპირებულ სოფელ **აჩაბეთის ციხეზე** ოსური დროშა აღმართეს და მას ალანის ციხე უწოდეს.

**ნიქოზიდან** მოიპარეს ვერცხლის სანაწილე, რომელშიც წმინდა ალექსი ბერის წმინდა ნაწილი იყო დაცული.

სოფელ ხეითთან მდებარე **საბაწმინდის ტაძარი** განადგურების პირასაა.

საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ და იცავდნენ კულტურულ მემკვიდრეობას, ზრუნავდნენ მის შენარჩუნებაზე, რათა თაობებისათვის გადაეცათ ისინი, როგორც ჭეშმარიტი ისტორიის საფუძვლები, როგორც ისტორიული პირველწყაროები. ჩვენთვის დიდი ტკივილია საქართველოს

საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართული მემკვიდრეობა. ჩვენ დროებით დაკარგული გვაქვს როგორც ტერიტორიები, ასევე ის კულტურული მემკვიდრეობა, რომლებსაც ათეულობით საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები. დიახ, უნიკალური ერი ვართ, რადგან შევინარჩუნეთ და დღემდე მოვიტანეთ ჩვენი, აბსოლუტურად თავისებური ხასიათის მატარებელი და თვითმყოფადი საოცარი კულტურა. ეს მაშინ, როდესაც ისტორიას ბევრი ჩვენზე დიდი და ძლიერი იმპერიები ახსოვს და ბევრმა მათგანმა დღევანდელ დღემდე ვერ მოაღწია. მსოფლიოში ბევრია ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ ჩვენზე დიდ ტერიტორიებს და ჩვენზე ძლიერ ეკონომიკას. მათი ისტორიის შექმნა დაიწყო IX-X საუკუნეებში ან კიდევ უფრო გვიან. რუსმა ოკუპანტმა ხომ თავისი ისტორიის ათვლა IX საუკუნიდან დაიწყო, თუმცა დღეს ის ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციითა და ბორდერიზაციით არის დაკავებული. უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული მემკვიდრეობა არის ჩვენი სიმდიდრე, ეს არის ჩვენი სიამაყე, ეს არის ის, რითაც ვიწონებთ ქართველები თავს მთელ მსოფლიოში.[11. გვ. 13]

## დასკვნა

არ შეიძლება თვალი არ გავუსწოროთ შექმნილ რეალობას და არ ვაღიაროთ, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ვანდალური ფაქტების მსგავსი ქმედებების შეჩერება საქართველოს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით შეუძლია და ამ მხრივ ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული საერთაშორისო ფორმატები და მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები.

ხმა გავაგონოთ ცივილიზებულ სამყაროს, რათა განადგურებისგან დავიცვათ ქართული კულტურის უძველესი ძეგლები, რომელთაგან ზოგიერთს უფრო მეტი ასაკი აქვს, ვიდრე ოკუპანტს – სახელმწიფოებრიობის ისტორია. ეს ჩვენი იდენტობაა, უძველესი ცივილიზაციის ენაა, რომლითაც დანარჩენ მსოფლიოს ველაპარაკებით. ოკუპანტი მის განადგურებას ცდილობს – ოკუპირებული სალოცავები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

დარჩენილი ადამიანების ბედს იზიარებენ... [1. გვ. 5]

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმედით შემოგვცქერიან პატრონის მომლოდინე ჩვენი სალოცავები!

**ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:**


1. ოკუპირებული მემკვიდრეობა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. თბილისი, 2021 გვ. 4; 5;

2. ყალიჩავა კ. დისერტაცია. „კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ გვ. 206

3. საერთაშორისო ქარტია ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ „ვენეციის ქარტია“. ვენეცია, მაისი, 1964.

4. Эдуард Кокойты: Мы там практически выровняли всё. // Газ. “Коммерсантъ”, №144, 15.08.2008, გვ. 7. ელექტრონული ვერსია http://www.kommersant.ru/doc/1011783.

5. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში. თბილისი, 2018 გვ. 7.

6. http://karibche.ambebi.ge/eklesia/tadzrebi-da-monastrebi/1836

7. https://old.funtime.ge/siyvarulis-istoria/post/93961

8. https://angi.ge/ikorta/

9. https://factcheck.ge/ka/story/38572

10. http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/l/largvisi.html

11. კულტურული მემკვიდრეობა - საფრთხეები და გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2019 გვ. 13


**REFERENCES**


1. Occupied Inheritance. State Agency for Religious Affairs. Tbilisi, 2021 p.4; 5;

2. Kalichava K. Dissertation. “Kosovo, Abkhazia, Tskhinvali Region: A Historical-Comparative Analysis of Contemporary Conflicts” p. 206

3. International Charter on the Protection and Restoration of Monuments "Venice Charter". Venice, May, 1964.

4. Эдуард Кокойты: Мы там praktчески выровняли всё.// Newspaper "Kommersant", №144, 15.08.2008, p. 7. Electronic version http://www.kommersant.ru/doc/1011783.

5. Report of the State Agency for Religious Affairs 2016-2017. Tbilisi, 2018 p. 7.

6. http://karibche.ambebi.ge/eklesia/tadzrebi-da-monastrebi/1836

7. https://old.funtime.ge/siyvarulis-istoria/post/93961

8. https://angi.ge/ikorta/

9. https://factcheck.ge/ka/story/38572

10. http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/l/largvisi.html

11. Cultural Heritage - Threats and Challenges. Proceedings of the International Scientific Conference. Tbilisi, 2019 p. 13

## OUR SHRINES IN THE OCCUPIED TERRITORY OF SAMACHABLO

**Nani Mamporia**,
Associate Professor of GTU,
mamporianani11@gtu.ge;
**Mariam Gavashelishvili**, GTU Student,
mariam.gavasheli.13@gmail.com;
**Mari Meladze,** GTU Student ,
meladzemari213@gmail.com;
**Nana Oragvelidze,**GTU Student
oragvelidze.nana@gtu.ge

**RESUME**

The article reviews the condition of our churches and shrines in the occupied territory of Samachablo resulted from the war of 2008 inspired by Russia. The idea is to analyze annexation and destruction of our cultural heritage left beyond so-called borderline.

The history of Georgian statehood of 3000 years is an example of centuries old stubborn fight for the liberty and independence of Georgian people. The Geopolitical cataclysms of XX-XXI centuries are not unusual from this point of view. Leaving the Soviet Union costed a lot for Georgia – on August 26, 2008 Russia recognized the independence of South Osetia and Abkhazia and occupied 20 percent, 12 565 km (69.700 km) (Abkhazia – 8.665 km, Tskhinvali region – 3.900 km) of the territories recognized by the United Nations Organization in 1992. On the occupied territory of Tskhinvali 555 Orthodox churches are recorded. For the present time we possess information (photos) about 267 of them; Great part of them are archeological objects, others are under danger of destruction as they are left of attention and are result of anti-Georgian attitude. [1]

The So-called administrative border of Georgian territories occupied by Russia are changed from time to time. The banner placed nearby so-called South Osetia with the transcript “Republic of South Osetia” (Республика Южная Осетия) is moving in the direction of Georgian Central Highway and more and more territories are left beyond wires.

**Keywords:** Occupation, Samachablo, Cultural heritage, civilization, fair, architect.

# ლიდეროზა და მოტივაცია

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-282

**ნიკოლოზ ბაკაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
nikbakashvili@gmail.com

**დალი ბაკაშვილი**
სტუ დოქტორანტი
Dakobakashvili2704@gmail.com

## რეზიუმე

ადამიანებს სხვადასხვა მოთხოვნილებები გააჩნიათ. მათი ქცევა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული. ადამიანების მოთხოვნილებები იყოფა მაღალი და დაბალი დონის მოთხოვნილებებად. მოთხოვნილებების ყველაზე ცნობილი თეორია აბრამ მასლოუს ეკუთვნის. ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს მასლოუმ ქვედა დონის მოთხოვნილებები უწოდა, ყველა დანარჩენს კი, ზედა დონის მოთხოვნილებები. ორგანიზაციებში (გუნდებში თუ კოლექტივში) დასაქმებულთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოტივაციით ხდება. იგი განსაზღვრავს მათ ქცევასაც. ლიდერის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულთა მოტივი შეუსაბამოს კომპანიის მიზნებს. მოტივაციის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულების ქცევას მისცეს კომპანიისთვის სასურველი მიმართულება. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ იმ კომპანიებში, რომლებშიც მოტივაცია ძლიერია, პერსონალის ლოიალობა იზრდება, მათი პოტენციალი იხსნება, 40%-ით იზრდება მოგება და 70%-ით მცირდება კადრების დენადობა.

დასაქმებულთა მოტივირება ორგანიზაციებში დაჯილდოვებით ხორციელდება. არსებობს ორი ტიპის დაჯილდოვება: შინაგანი და გარეგანი. დაჯილდოვება შეიძლება იყოს სისტემური, ანდა ინდივიდუალური. მუშაკთა დაჯილდოვება უდიდეს როლს თამაშობს შრომისადმი მათ მოტივაციაში. ამ სფეროში ამჟამად მეტად პოპულარულია „გადაშლილი წიგნის", მუშაკთა დამსახურების აღიარების, საფონდო ოპციონის და ე. წ. „ანაზღურება ეფექტიანობისათვის" პროგრამები. მოტივირების ცენტრალური საკითხია თუ როგორ გავაკეთებინოთ ადამიანებს ის, რისი გაკეთებაც მათ არ უნდათ. ეს კეთდება მოტივირების სტრატეგიის საშუალებით.

მოტივაციის თეორიები მრავალია: ორფაქტიანი თეორია, შეძენილ მოთხოვნილებათა თეორია, გამაგრების თეორია, მოლოდინის თეორია, სამართლიანობის თეორია და დაჯილდოების და დასჯის („თაფლაკვერის და მათრახის") თეორიები. შეძენილ მოთხოვნილებათა მოტივაციური თეორია შექმნილია მეცნიერ დევიდ მაკლელანდის მიერ. ეს თეორია იმ მოთხოვნილებებს იხილავს, რომლებიც ადამიანებს დაბადებით კი არ დაჰყვათ, არამედ, შემდეგში გამოცდილების დაგროვების პროცესში შეიძინეს.

დუგლას მაკგრეგორმა წარმოადგინა ორი განსხვავებული თეორია ადამიანის შესახებ: ძირითადად უარყოფითს X თეორია უწოდა, ხოლო ძირითადად დადებითს -Y თეორია. მენეჯერების თანამშრომლებთან ურთიერთობის განხილვის შემდეგ, მაკგრეგორმა დაასკვნა: ადამიანის ბუნებაზე მენეჯერების შეხედულება ვარაუდების შესაბამისად ჩამოაყალიბონ.

**საკვანძო სიტყვები:** ლიდერობა, მოტივაცია, ადამიანების მოთხოვნილებები, მოტივაციის თეორიები.

## ძირითადი ტექსტი

**ადამიანის მოთხოვნილებები, ქცევა და დაჯილდოვება.** ადამიანებს სხვადასხვა მოთხოვნილებები გააჩნიათ. მათი ქცევა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული. თუ გვინდა, რომ ამ ადამიანების ქცევა საჭირო მიმართულებით წარვმართოთ, მათ ამისთვის უნდა გავუჩინოთ მოტივაცია.




**ნახაზი 1. მოტივაციის მოდელი**

ადამიანების მოთხოვნილებები იყოფა მაღალი და დაბალი დონის მოთხოვნილებებად. მოთხოვნილებების ყველაზე ცნობილი თეორია აბრამ მასლოუს ეკუთვნის. მან ადამიანების მოთხოვნილებების იერარქიული სტრუქტურა შექმნა. მასლოუმ მოთხოვნილებები 5 ჯგუფად დაყო (იხ. ცხრილი 1):

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (საკვების, წყლის, ჟანგბადის, ნორმალური ტემპერატურის და ნორმალური შემოსავლის საჭიროება).

2. უსაფრთხოების მოთხოვნილება (ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრების საჭიროება, ძალადობის და საფრთხეების აღკვეთა, შრომის უსაფრთხო პირობების არსებობა).

3. კუთვნილების მოთხოვნილება (ოჯახის, მეგობრების და კოლეგების ერთობაში ყოფნა, მათთან კარგი ურთიერთობის სურვილი).

4. პატივისცემის მოთხოვნილება (დადებითი იმიჯის შექმნა, ყურადღების დამსახურება, კოლეგებისგან აღიარების მოთხოვნილება).

5. თვითორგანიზაციის (თვითაქტუალიზაციის) მოთხოვნილება (საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზაციის და პიროვნული განვითარების სურვილი, კარიერული წინსვლის სურვილი).

ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს მასლოუმ ქვედა დონის მოთხოვნილებები უწოდა, ყველა დანარჩენს კი, ზედა დონის მოთხოვნილებები. მასლოუმ, დაკმაყოფილების პრიორიტეტი ქვედა დონის მოთხოვნილებებს მისცა, შემდეგ კი, ყველა დანარჩენს აღმავალი იერარქიის მიხედვით.

**ცხრილი 1**

**ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების იერარქია**

| მოთხოვნილებების იერარქია | მოთხოვნილებების დაკმაყოფილება |
|---|---|
| თვითრეალიზაცია (V დონე) | წინ წაწევის, სწავლების, ზრდის და შემოქმედებითი ნიჭის გამოჩენის შესაძლებლობების მიცემა |
| პატივისცემა (IV დონე) | მაღალი სტატუსი, აღიარება, პასუხისმგებლობების წრის გაფართოვება |
| კუთვნილება (III დონე) | გუნდთან, კოლეგებთან, უფროსებთან კარგი ურთიერთობა |
| უსაფრთხოება (II დონე) | უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა |
| ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (I დონე) | ნორმალური ხელფასი და ცხოვრების ნორმალური პირობები |

ორგანიზაციებში (გუნდებში თუ კოლექტივში) დასაქმებულთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოტივაციით ხდება. იგი განსაზღვრავს მათ ქცევასაც. ლიდერის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულთა მოტივი შეუსაბამოს კომპანიის მიზნებს. მოტივაციის შესწავლით ლიდერი იგებს თუ რა ამოძრავებს დასაქმებულებს, რატომ იქცევიან ისინი ისე და არა ასე. მოტივაციის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულების ქცევას მისცეს კომპანიისთვის სასურველი მიმართულება. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ იმ კომპანიებში, რომლებშიც მოტივაცია ძლიერია, პერსონალის ლოიალობა იზრდება, მათი პოტენციალი იხსნება, 40%-ით იზრდება მოგება და 70%-ით მცირდება კადრების დენადობა.

დასაქმებულთა მოტივირება ორგანიზაციებში დაჯილდოვებით ხორციელდება. არსებობს ორი ტიპის დაჯილდოვება:

შინაგანი და გარეგანი. შინაგანი არის ის დაჯილდოვება, რომელსაც მუშაკი შრომის ზოგიერთი პროცესის შესრულებისას ღებულობს. მაგალითად, განსაკუთრებით რთული ამოცანის გადაწყვეტისას ადამიანს სიხარული და სიამაყე ეუფლება. გარეგანი დაჯილდოვება გარედან ხორციელდება. როგორც წესი, მას ორგანიზაციის ხელმძღვანელი ახორციელებს. ხშირად ასეთი ჯილდო მატერიალური წახალისებაა, გარკვეულ შემთხვევებში მორალურიც (მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და სხვა).

დაჯილდოვება შეიძლება იყოს **სისტემური,** ანდა **ინდივიდუალური.** სისტემური დაჯილდოვება ყველა თანამშრომელს მოიცავს (განყოფილებაში – განყოფილების ყველა წევრს, გუნდში გუნდის ყველა წევრს და ა. შ.), ინდივიდუალური კი კონკრეტულ პირებს (პრემიის მიცემა, კარიერული წინსვლა და ა. შ.).

მოტივაციის თვალსაზრისით თანამედროვე ლიდერობა განსხვავდება ტრადიციული მენეჯმენტისგან. ტრადიციულ მენეჯმენტში ყურადღების ფოკუსირება ძირითადად დაბალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ხდება. ამ დროს, დასაქმებულები მხოლოდ გარედან ჯილდოვდებიან. ისინი ცდილობენ შეასრულონ ნორმები, რომ დაიმსახურონ "თაფლაკვერი" და არა "მათრახი".

განსხვავებულია მოტივაცია ლიდერობის დროს. ლიდერები ისეთ დავალებებს აძლევენ დასაქმებულებს, რომ მისი შესრულებით მათ იგრძნონ კმაყოფილება, ანუ შინაგანი დაჯილდოვება. ეს იმავე დროს, არის მათი მაღალი მოთხოვნილებების (მაგალითად, თვითრეალიზაციის) დაკმაყოფილება. ასევე ხდება ლიდერების მიერ უფლებების რაღაცა ნაწილის ქვეშევრდომებზე გადაცემისასაც. ამით ისინი თვითდაჯერებულები და თავმომწონენი ხდებიან – მათ ცოდნას აფასებენ, მათ აღიარებენ და ა. შ. ეს ისეთი შინაგანი ჯილდოა, ისეთი კმაყოფილება, რომელიც ყოველგვარ გარეგან მატერიალურ ჯილდოს ფარავს.

**მოტივირებული სამუშაო დავალებების დაპროექტების თეორია.** რადგან მენეჯერები დაინტერესებულნი არიან სამუშაოზე დასაქმებული ინდივიდების მოტივაციით, მათ უნდა შე-

ეძლოთ მათთვის სამუშაო დავალების გულმოდგინედ, გარემო პირობების მოთხოვნილებებისა და თვით შემსრულებელთა ჩვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით დაპროექტება. თუ სამუშაო დავალებები ყველა ამ მომენტების გათვალისწინებითაა შედგენილი, თანამშრომლებს შრომის მაქსიმალური ინტესივობის სტიმული ეძლევათ.

არსებობს სამუშაო დავალებების მახასიათებლების მოდელი (JCM - Job Characteristics Model), რომელშიც მოცემულია: სამუშაო დავალებების 5 მახასიათებელი, მათი ურთიერთკავშირი და რეკომენდაციები მენეჯერებისთვის:[1]

➢ **გააერთიანეთ ამოცანები** (ლიდერებმა უნდა მოახდინონ ცალკეული, ფრაგმენტული სამუშაო დავალებების გაერთიანება და სამუშაოთა ახალი, უფრო მოცულობითი მოდულების შექმნა);

➢ **ჩამოაყალიბეთ ბუნებრივი სამუშაო ერთეულები** (ლიდერებმა ამოცანები ისე უნდა დააპროექტონ, რომ ისინი კონკრეტულადაც და აზრობრივადაც ერთ მთელს წარმოადგენდნენ);

➢ **დაამყარეთ პირდაპირი კავშირები კლიენტებთან;**

➢ **გააფართოვეთ სამუშაო დავალებები ვერტიკალურად, ანუ მოახდინეთ სამუშაო დავალებების გამდიდრება** (ამის შემდეგ თანამშრომლებს ისეთი დავალებების შესრულება უხდებათ, რაც ადრე მენეჯერის კომპეტენციაში შედიოდა. ამით მაღლდება მუშაკის ავტონომიის დონე და პრესტიჟი);

➢ **შექმენით უკუკავშირის არხები** (ამ არხებით მუშაკი სისტემატურად არის საქმის კურსში, თუ როგორ ფასდება მისი შრომის ინტენსივობა და რამდე-ნად ახლოსაა იგი მიზანთან).

**სამართლიანი თეორია.** ტერმინი „სამართლიანობა“ აღნიშნავს მსგავსი მახასითებლების მქონე ინდივიდებისადმი თანასწორ მიდგომას. მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანები საკუთარ შრომასა და მის შედეგებს მუდმივად ადარებენ მსგავსი ადამიანების ანალოგიურ მახასიათებლებს (შეფარდება: „შრომითი დანახარჯები - შედეგები“)

---

**1 Hackman J. R., Oldham G. R., Development of the job Diagnostig Survey, Journal of Applied Psychology, Aril 1975, p. 159-170.**

და შესაბამისად თხოულობენ სამართლიანობას.

**მოლოდინის თეორია.** მოლოდინის თეორია დამუშავებულია ვიქტორ ვრუმის მიერ,[1] რომელიც მოტივაციის პრობლემების ყველაზე სრულ ახსნას იძლევა. აქტიური გამოკვლევებიც ადასტურებენ მის სიმართლეს.

მოლოდინის თეორია სამ ცვლადს მოიცავს:

- ➢ თანაშეფარდება „შრომითი დანახარჯები - შედეგები“;
- ➢ თანაშეფარდება „შედეგები - გასამრჯელო“;
- ➢ დაჯილდოვების მიმზიდველობა (ფასეულობა).

**მუშაკთა დაჯილდოვების პროგრამების შემუშავება.** მუშაკთა დაჯილდოვება უდიდეს როლს თამაშობს შრომისადმი მათ მოტივაციაში. ამ სფეროში ამჟამად მეტად **პოპულარულია „გადაშლილი წიგნის“, მუშაკთა დამსახურების აღიარების, საფონდო ოპციონის და ე. წ. „ანაზღურება ეფექტიანობისათვის“ პროგრამები.**

**„გადაშლილი წიგნის“** პროგრამის არსი იმაშია, რომ ფირმებმა მასიურად დაიწყეს მთელი თავისი ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობა თანამშრომლებისთვის, რითაც მათ ულვივებენ მეურნე ადამიანის გრძნობას და აჩვენებენ, თუ როგორ იმოქმედებს მათი საქმიანობა ფირმის პრაქტიკულ შედეგებზე.

**მუშაკთა დამსახურების აღიარების პროგრამა** იმაში მდგომარეობს, რომ ფირმა ყველა მუშაკს ყურადღებით და ინტერესით ექცევა და სამუშაოს სათანადო დონეზე შესრულების შემთხვევაში, სათანადოდ უნაზღაურებს მას.

**პროგრამა „ანაზღაურება ეფექტიანობისთვის“** წარმოადგენს კომპენსაციის გეგმას, რომლის თანახმად, მუშაკთა შრომის ანაზღაურება სამუშაოს ინტენსივობის გარკვეული კრიტერიუმის საფუძველზე ხორციელდება. მაშასადამე, თანამშრომელს ხელფასი იმის მიხედვით კი არ უნდა მიეცეს, თუ რამდენი დრო გაატარა სამსახურში, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის სამუშაო შეასრულა.

**საფონდო ოპციონის პროგრამა.** საფონდო ოპციონი საფინანსო ინსტრუმენტია, რომლის მიხედვით ფირმის მუშაკებს

1 Vroom V. H., Work and Motivation (New York: John Wiley, 1964).

უფლება აქვთ თავისი კომპანიის აქციები ფიქსირებული ფასით იყიდონ. ამ პროგრამას საფუძვლად უდევს იდეა იმის

შესახებ, რომ ფირმის თანამშრომლები გადაიქცნენ მის თანამესაკუთრეებად. ასეთი „თანამესაკუთრე“ მუშაკი უფრო ეფექტურად მუშაობს – მთელი უკუგებით, რადგან იცის, რომ ხელფასის გარდა, იგი ფირმის შემოსავლებიდან წილს (დივიდენდს) მიიღებს.

მოტივირების სტრატეგიები. მოტივირების ცენტრალური საკითხია თუ როგორ გავაკეთებინოთ ადამიანებს ის, რისი გაკეთებაც მათ არ უნდათ. ეს კეთდება მოტივირების სტრატეგიის საშუალებით. მისი 4 კატეგორია არსებობს:[1]

დღეისათვის ქართული წარმატებული ორგანიზაციები და კომპანიები მოტივირების სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ. მათ შორის აღსანიშნავია:

1. ხელფასის ზრდა სტაჟის მიხედვით;
2. მადლობის გამოცხადება;
3. ბონუსების შემოღება;
4. ფინანსური ჯილდო -პრემია;
5. თანამდებობრივი დაწინაურება;
6. ტრანსპორტი -ავტომობილი ფირმის ლოგოთი;
7. მობილური საშუალებების კრედიტის ანაზღაურება;
8. ორგანიზაციის ხარჯზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების და ტრენინგების გატარება;
9. ორგანიზაციის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვა.

**მოტივაციის თეორიები.** მოტივაციის თეორიები **მრავალია: ორფაქტორიანი თეორია, შეძენილ მოთხოვნილებათა თეორია, გამაგრების თეორია, მოლოდინის თეორია, სამართლიანობის თეორია** და **დაჯილდოების** და **დასჯის** („თაფლაკვერის და მათრახის“) თეორიები.

ორფაქტორიანი თეორია ეკუთვნის მეცნიერ ფრედერიკ ჰერ-

**1 ხახუბია ნ. ადამიანური რესურსების მოტივირების თეორიები და სტრატეგიები. ჟ. `ბიზნესი და მენეჯმენტი~, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, #2,2010, გვ.134**

ცბერგს. მან ასობით დასაქმებულიდან აიღო ინტერვიუ მათი მაღალი და დაბალი მოტივაციის შესახებ და დაადგინა, რომ არსებობს ფაქტორების ერთი ჯგუფი, რომელიც მაღალ მოტივაციას აპირობებს, ხოლო მეორე იწვევს მოტივაციის დაცემას.

**შეძენილ მოთხოვნილებათა მოტივაციური თეორია** შექმნილია მეცნიერ დევიდ მაკკლელანდის მიერ. ეს თეორია იმ მოთხოვნილებებს იხილავს, რომლებიც ადამიანებს დაბადებით კი არ დაჰყვათ, არამედ, შემდეგში გამოცდილების დაგროვების პროცესში შეიძინეს. მეცნიერი მაკ-კლელონდი მათ 3 ჯგუფად აჯგუფებს:

1. წარმატების მიღწევის მოთხოვნილება (ეს არის ადამიანების მისწრაფება შეძლონ რაღაცა განსაკუთრებული რთულის შესრულება და ამით აჯობონ სხვებს).
2. სოციალური კავშირების დამყარება (ეს არის ადამიანების მისწრაფება ჰქონდეთ კარგი, უკომფლიქტოი ურთიერთობები და მჭიდრო კავშირები).
3. ძალაუფლების შეძენის სურვილი (ეს არის ადამიანების მისწრაფება ფლობდნენ მაღალ ძალაუფლებას, აკონტროლებდეს სხვებს და ჰქონდეს მათზე პასუხისმგებლობა).

**გამაგრების თეორიას** მეორენაირად უწოდებენ **მოტივაციას გამაგრების მეშვეობით.** ეს თეორია შემოიფარგლება ორგანიზაციის საქმიანობასა და მის შედეგებს შორის ურთიერთკავშირის განხილვით დასაქმებულთა დაუყოვნებელი დაჯილდოვების ან დასჯისას მათი ქცევის მოდიფიცირების პირობებში. ტერმინი **ქცევის მოდიფიკაცია** გულისხმობს ადამიანის ქცევის ცვლილების მთელ რიგ ტექნიკებს, რომელთაც ქცევის მეცნიერება შეისწავლოს. ქცევის მოდიფიკაციას საფუძვლად უდევს გამაგრების კანონი, რომლის თანახმად, ქცევების ფორმებს, რომლებმაც დადებითი გამაგრება მიიღეს, ახასიათებთ განმეორება, ხოლო რომელთაც არ მიიღეს, ისინი არ განმეორდებიან. გამაგრება შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტორად, რომელსაც შეუძლია ქცევის რომელიმე ფორმის განმეორება განაპირობოს ან არ განაპირობის. არსებობს ქცევის მოდიფიკაციის შემდეგი ფორმები:

**X თეორია და Y თეორიები.** დუგლას მაკგრეგორმა წარმოადგინა ორი განსხვავებული თეორია ადამიანის შესახებ: ძირითადად უარყოფითს **X თეორია** უწოდა, ხოლო ძირითადად დადებითს - Y თეორია. მენეჯერების თანამშრომლებთან

ურთიერთობის განხილვის შემდეგ, მაკგრეგორმა დაასკვნა: ადამიანის ბუნებაზე მენეჯერების შეხედულება ვარაუდების შესაბამისად ჩამოაყალიბონ.

**ლიდერის უფლებების დელეგირება დაქვემდებარებულზე, როგორც მათი უმაღლესი დონის მოთხოვნილებების უზრუნველმყოფი მოტივატორი.**მართალია დასაქმებულთა ქვედა (დაბალი) დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თვით ორგანიზაციისთვის, რომელშიც ისინი მუშაობენ, მეტი ეფექტი მოაქვს მათი მაღალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს არის მათი პოტენციალის სრული გახსნა, მათი კომპეტენციების აღიარება, პატივისცემა, მათზე ლიდერისგან უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის გადაცემა (დელეგირება) და სხვა. ლიდერს, როცა ლიდერს კოლექტივში კომპეტენტური დაქვემდებარებულები ჰყავს, მან უნდა გადაუნაწილოს თავისი უფლებების ნაწილი მათ, შეამციროს მათი საქმიანობის კონტროლი და ამით შექმნას პარტნიორული თანამშრომლობის ატმოსფერო. საქმის და უფლებების ასეთი მინდობით დასაქმებულების მნიშვნელობა იზრდება მათსავე საკუთარ თავში, კოლეგების თვალში, ოჯახის და სამეგობროს თვალში და მათ მეტი მოტივირება ეძლევათ უფრო მონდომებით იმუშავონ იმ კომპანიის სასახელოდ, რომელმაც ისინი ასე დააფასა. მაშასადამე, ასეთ დროს, ლიდერი დასაქმებულებს აძლევს თავისუფლებას, მაგრამ, ეს თავისუფლება რა თქმა უნდა, გარკვეულად შემოსაზღვრულია, საქმიანობის საერთო მიმართულებას კვლავაც ლიდერები საზღვრავენ.

ამრიგად, მოტივაციის თვალსაზრისით თანამედროვე ლიდერობა განსხვავდება ტრადიციული მენეჯმენტისგან. რადგან მენეჯერები დაინტერესებულნი არიან სამუშაოზე დასაქმებული ინდივიდების მოტივაციით, მათ უნდა შეეძლოთ

მათთვის სამუშაო დავალების გულმოდგინედ, გარემო პირობების მოთხოვნილებებისა და თვით შემსრულებელთა ჩვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით დაპროექტება. საქმის და უფლებების ასეთი მინდობით დასაქმებულების მნიშვნელობა იზრდება მათსავე საკუთარ თავში, კოლეგების თვალში, ოჯახის და სამეგობროს თვალში და მათ მეტი მოტივირება ეძლევათ უფრო მონდომებით იმუშავონ იმ კომპანიის სასახელოდ, რომელმაც ისინი ასე დააფასა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ა.ჰ.მასლოუ (1943)., ადამიანის მოტივაციის თეორია; თავდაპირველი გამოქვეყნება „ფსიქოლოგიური მიმოხილვა" 50, 370-396.

2. ჰეკმენ ჯ.რ., ოლდჰემ გ.რ. სამუშაოს შემუშავება, დიაგნოსტიკური კვლევა, ჟურნალი: "გამოყენებითი ფსიქოლოგია", აპრილი 1975.

3. ვრუმ ვ.ჰ., სამუშაო და მოტივაცია (ნიუ-იორკი: ჯონ ვილი, 1964).

4. ხახუბია ნ. ადამიანური რესურსების მოტივირების თეორიები და სტრატეგიები. ჟ. `ბიზნესი და მენეჯმენტი~, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, #2,2010, გვ.134


**REFERENCES:**


1. A. H. Maslow (1943); A Theory of Human Motivation, Originally Published in Psychological Review, 50, 370-396.

2. **Hackman J. R., Oldham G. R.,** Development of the job Diagnostic Survey, Journal of Applied Psychology, April 1975.

3. **Vroom V. H.,** Work and Motivation (New York: John Wiley, 1964).

4. Khakhubia N. Theories and strategies of human resource motivation. Journal of Business and Management, Shota Rustaveli State University2, 2010.

# LEADERSHIP AND MOTIVATION

**Nikoloz Bakashvili,**
Doctor of Economic Sciences, Professor
nikbakashvili@gmail.com;

**Dali Bakashvili,**
PhD Student of GTU,
Dakobakashvili2704@gmail.com

## RESUME

People have different needs. Their behavior is aimed at satisfying these needs. People's needs are divided into high and low level needs. The most famous theory of needs belongs to Abram Maslow.

Maslow called physiological needs lower-level needs, while all others called them upper-level needs. Satisfying the needs of employees in organizations (teams or teams) is motivated. It determines their behavior as well. One of the tasks of a leader is to match the motivation of the employees with the goals of the company. The purpose of motivation is to give employee behavior the direction a company wants. Various studies have shown that in companies where motivation is strong, staff loyalty increases, their potential opens up, profits increase by 40%, and staff turnover decreases by 70%. Employee motivation is rewarded in organizations. There are two types of rewards: internal and external. Rewards can be systemic, or individual. Rewarding workers plays a huge role in motivating them to work. The most popular in this field right now is the `torn book, the recognition of the merits of the workers, Stock option and Remuneration for the effectiveness of programs. Central to motivation is how to get people to do what they do not want to do. This is done through a motivational strategy.

Motivation theories are many: the two-factor theory, the theory of acquired needs, the theory of reinforcement, the theory of expectation, the theory of justice, and the theories of reward and punishment (honey and whip).

The motivational theory of acquired needs was developed by scientist David McClelland. This theory addresses the needs that people did not have at birth, but rather acquired in the process of gaining experience. Douglas McGregor presented two different theories about the human face: he called the mostly negative Theory X and the mostly positive Theory Y theory. After reviewing the relationship between managers and employees, McGregor concluded: To form managers' views on human nature according to assumptions.

**Keywords:** Leadership, motivation, Human needs, motivation theories.

# პერსონალის მართვის სისტემები საქართველოს საჯარო სტრუქტურებში

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-295

**ედუარდ კავთიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
e.kavtidze@gtu.ge

**რეზიუმე**

ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი ორგანიზაციის განვითარების დონეს. ცხადია, ორგანიზაციათა ზრდისა და განვითარების პარალელურად, ადამიანური რესურსების მართვის პროგრამები, პრაქტიკა და პროცედურები უნდა იცვლებოდეს და ვითარდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება წარმოების პიროვნული და ნივთობრივი ფაქტორების განვითარებაში დისპროპორციას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ადამიანთა საქმიანობის ეფექტიანობაზე. ყოველივე ეს მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევის მნიშვნელობაზე.

დღეისათვის საქართველოს საჯარო სამსახურში ერთიანი საკადრო პოლიტიკის განხორციელების, მისი პროფესიულ პრინციპზე დაფუძნებული განვითარების, კანონმდებლობის დახვეწის, ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობისა და ეთიკური სტანდარტების დანერგვის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო.

სამსახურის ბიუროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს სახელმწიფო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბიურო აქტიურად მუშაობს და სხვადასხვა პროექტებს გეგმავს. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შენარჩუ-

ნება და განვითარება მოქალაქეებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ეფექტური და ფუნქციონალური ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებისთვის, საჭიროა არსებული სისტემის მახასიათებლების დადგენა და იმ ხარვეზების იდენტიფიკაცია, რომლებიც დაუყოვნებლივ აღმოფხვრას საჭიროებს.

**საკვანძო სიტყვები:** საკადრო მენეჯმენტი, პერსონალის მართვა, ადამიანური რესურსები, მენეჯმენტის მოდელები, სტრატეგიული დაგეგმვა, შიდა კომუნიკაცია, მართვის ეფექტიანობა.

## ძირითადი ტექსტი

ორგანიზაციის განვითარება ადვილი ამოცანა არ არის. მის მისაღწევად, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია შრომითი კოლექტივი ორგანიზაციულად კარგად იყოს შეკრული და ადამიანებს შორის არსებობდეს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ნორმალური და ცივილიზებული ურთიერთობა. ასეთ კოლექტივებში უფრო ხშირად იბადება ახალი იდეები, შესამჩნევად მცირდება დანახარჯები და, საბოლოო ანგარიშით, ვითარდება ორგანიზაცია.

ცხადია, საჯარო სამსახურში, რაც უფრო მაღალკვალიფიციური და უნარიანი კადრებია შერჩეული, მით ძლიერია ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და იგი მოსახლეობას უკეთეს პროგრამებსა და მომსახურებას შესთავაზებს. ადამიანური რესურსების მართვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს იმ სფეროებს სადაც საჯარო სამსახურს ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები და სადაც ასეთი კადრების დეფიციტია.

ტექნოლოგიების გამოყენება კადრების მართვის სფეროში ადამიანური რესურსების ოპერაციული პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მსოფლიოში ფართოდ აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა მნიშვნელოვანია, რათა

მოხდეს ზოგადი მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს საჯარო სამსახურის დაწესებულებებში. საქართველოს ხელისუფლების მიზანია ადამიანური რესურსების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის პროექტების დანერგვა, რათა გაძლიერდეს ადმინისტრაციული ეფექტურობა, შემცირდეს ხარჯები და გაუმჯობესდეს მომსახურეობის სტანდარტები. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა სახელმწიფო სტრუქტურებში ხელს შეუწყობს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, სერვისის, მონაცემთა ბაზების, მეთოდებისა და გადაწყვეტების, გაზიარებასა და განვითარებას.

საქართველოს საჯარო სექტორში მრავალფეროვანი პროგრამული გადაწყვეტები არის ხელმისაწვდომი, რომელთაგან უმეტესობას მხოლოდ ადამიანური რესურსების რეგისტრაციის და სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა გააჩნია (SAP და ORIS პროგრამები). სხვა უფრო ფართომასშტაბიან ადამიანური რესურსების მართვის პროგრამებს აქვთ ინტეგრირებული შეფასების, მოტივაციის, ასევე ტესტირების ფუნქციები. აღნიშნული პროგრამები გაუმჯობესების პროცესშია.

ადამიანური რესურსების მართვის ინსტიტუციური სტრატეგია გამოიყენება სტრუქტურაში HHR აქტივობების დაგეგმვისა და ინტეგრირებისათვის, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული მისიების ან/და სპეციფიური ორგანიზაციული მიზნების მიღწევას. სტრატეგიული დაგეგმვა შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული მიზნების მიხედვით და ფოკუსირებული იყოს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დაქირავების, შენარჩუნების, განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის სფეროებზე.

შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს და აანალიზებდეს კომუნიკაციის საწყის წერტილს, ასევე კომუნიკაციის მიზნებსა (სხვა სპეციფიურ HHR მიზნებთან ერთად) და განსაზღვრული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ აქტივობებს. წარმატებით დაგეგმილ და ორგანიზებულ შიდა საკომუნიკაციო სტრატეგიას, შეუძლია დადებითი წვლილი შეიტანოს ორაგანიზაციის საქმაინობის

პროცესში. მისი მეშვეობით თანამშრომლები ინფორმირებულები არიან ორგანიზაციის საქმიანობასთან და გეგმებთან დაკავშირებით. ის ხელს უწყობს მენეჯერული შესაძლებლობების ზრდას ორმხრივი კომუნიკაციის პროცესის და თანამშრომლებთან ეფექტური უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით, ზრდის პოზიტიურ დამოკიდებულებას და ამცირებს თანამშრომელთა წინააღმდეგობას ცვლილებების მიმართ, ასევე ხელს უწყობს თანამშრომელთა ლოიალურობის ზრდას.

ეფექტური შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორგანიზაციაში არსებულ კომუნიკაციის ინსტრუმენტებსა და მექანიზმებზე.

სახელმწიფო სტრუქტურებში პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის არსებობა მნიშვნელოვან მართვის ინსტრუმენტს წარმოადგენს. პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების არსებობის აუცილებლობა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში აშკარაა თუ გავითვალისწინებთ დაქირავების ციკლის დინამიკას, თანამრომლების შიდა როტაციას, კანონმდებლობის ცვლილებებს ან ახალი პროგრამებისა და პროექტების დანერგვის ფაქტებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პერსონალის განვითარების საჭიროებები შესაძლოა წინასწარ იყოს ნაკარნახევი კონკრეტული პოზიციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაშინ როცა სხვა შემთხვევაში მათმა საჭიროებამ შესაძლოა თავი იჩინოს ცვლილებებთან ერთად. ადამიანური რესურსების განვითარება იწყება ინდივიდუალური ტრენინგებით, მას შემდეგ, რაც შეირჩევა ახალი თანამშრომელი, რათა მოხდეს ორგანიზაციაში მისი ინტეგრირება, მიეცეს ახალი შესაძლებლობების შესწავლის საშუალება და მომავალი საქმიანობის სწორად განხორციელების შესაძლებლობა. ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. ფუნქცია მკვეთრად აკავშირებს ადამიანური რესურსების მართვის გუნდს თანამშრომელთან, რადგან ამ ეტაპზე ხორციელდება იმ ტრენინგების საჭიროების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლის კარიერულ ზრდას. პერსონალის განვითარე-

ბის ტაქტიკა სექტორისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ცოდნის ასამაღლებლადაა გამიზნული და სახელმწიფო სტრუქტურის საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა სახისაა. სპეციფიკური ცოდნის ამაღლება შესაძლოა განხორციელდეს ფორმალური ტრენინგის, თვითშემეცნების, პროფესიონალური სამუშაო შეხვედრების სხვა აქტივობების მეშვეობით. პერსონალის განვითარების დაგეგმვის პროცესი მოიცავს მოხელის შესაძლებლობების, განსწავლულობის, დაუყოვნებელი საჭიროებების, პოტენციური რესურსების შეფასებას.

საქართველოში სამუშაო დრო კვირაში დადგენილია – 40 საათი, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათი, რომელიც დადგენილია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად, რაც შეეხება შვებულებას ამავე კოდექსით წელიწადში სულ მცირე 24 დღიანი ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების უფლება აქვს, როგორც შტატით განსაზღვრულ ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს. საავადმყოფო ფურცლის გამოყენება არ არის შეზღუდული და არ არსებობობს რაიმე სანქცია მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში (საქართველოს შრომის კოდექსი, თავი IV-V).

სამუშაოს აღწერა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის უმთავრეს ხელსაწყოს წარმოადგენს. ის კონკრეტული პოზიციისათვის ადგენს აუცილებელ ფუნქციებს პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებს, ზრდის ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ ეფექტურობას, და ნათლად აცნობს დაქირავებულ პირს კონკრეტული პოზიციისა და ორგანიზაციის მიზნებს. სამუშაოს აღწერილობა სამუშაო გეგმასთან ერთად არსებითი ხელსაწყოა შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის წარმოებისთვის.

სამუშაოს შესრულების და შეფასების სისტემის მართვა მიზნად ისახავს დასაქმებულის სამუშაოს დაგეგმვას, განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ რა კომპეტენციები და უნარ-

ები აქვს თანამშრომლებს, რა დამატებითი პრაქტიკული/თეორიული სწავლება სჭირდება მათ. ასევე შეფასდება მათ მიერ გაწეული საქმიანობა და დადგინდება რამდენად მნიშვნელოვანია ის ორგანიზაციისთვის. ამ პროცესის დროს შესაძლებელია დავინახოთ ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. საბოლოო ჯამში ეს პროცესი მიმართულია ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდაზე.

მოტივაციაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის ეფექტური მუშაობა. შესაძლებელია ორგანიზაციას ჰქონდეს კარგი სტრუქტურა, მაგრამ არ იყოს პროდუქტიული, რადგან ვერ ახერხებდეს თანამშრომელთა შრომის წარმართვას ისე, რომ მიაღწიონ დასახულ მიზნებს. მოტივაციის პროცესი საკმაოდ რთულად ფორმულირდება გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ურთიერთკავშირით. ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის პროგნოზირება რთულია სხვადასხვა მოტივაციის ეტაპების გათვალისწინებით. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და შესაბამისად მათ ინდივიდუალური მიდგომა სჭირდებათ, რადგან ადამიანებს განსხვავებული მოტივატორები აქვს. მოტივაციის ერთმა სახემ შესაძლებელია სხვადასხვანაირად იმოქმედოს ადამიანებზე, შესაბამისად ამ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს იდენტიფიცირება რომელი თანამშრომლისთვის რა ტიპის მოტივაცია იქნება შედეგობრივი. მოტივირებული თანამშრომლების ზრდა გავლენას ახდენს მათ პროდუქტიულობაზე. საქართველოს საჯარო სტრუქტურებში სხვადასხვა სამოტივაციო სისტემები მოქმედებს - პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობა, კორპორაციული დაზღვევა, ორგანიზაციის ღონისძიებები და წლიური ნომინაციები, ბონუსებისა და პენსიების სქემები, შეფასების შესაბამისი დაწინაურების ციკლი, მადლობის წერილი, საჩუქრები და ჯილდოები.

ცხადია, საჯარო სამსახურში, რაც უფრო მაღალკვალიფიციური და უნარიანი კადრებია შერჩეული, მით ძლიერია ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და იგი მოსახლეობას უკეთეს პროგრამებსა და მომსახურებას შესთავაზებს. ადამიანური რესურსების მართვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც,

რომ იგი ნათლად გვიჩვენებს იმ სფეროებს, სადაც საჯარო სამსახურს ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები და სადაც ასეთი კადრების დეფიციტია.


## გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. დრუკერი, მენეჯმენტის პრაქტიკა, გამომცემლობა „მანი და ვებერი“ 2015
2. ს. გოდინი, ლიდერი და მისი როლი, გამომცემლობა „ ახალი აზროვნება“ 2016
3. ბ. ტრენსი, მენეჯმენტი, გამომცემლობა „მანი და ვებერი“ 2015.

**REFERENCES:**

1. Drucker P, Management practice, publishing house Mann and Veber, 2015
2. Godin S, Leader and his role, Publishing House New Thinking, 2016
3. Trancy B, Management, Publishing House Mann and Veber, 2015.


## PERSONAL'S MANAGEMENT SYSTEMS IN GEORGIA'S PUBLIC STRUCTURES


**Eduard Kavtidze**
GTU, Associate Professor,
PhD in Economics
e.kavtidze@gtu.ge



### RESUME

The real revolution in staff work was due to the systemic approach to management after the World War II. The Establishment of system management has led to the development of human resources management principally with the new management of staff

management. This technology has been incorporated into the strategic management system and the personnel management function has become the competent authority of corporations. The character of the personnel policy has changed: it has become more active and purposeful.

Although the differences in the internal domestic traditions of the personnel are quite large, it is possible to allocate a number of common characteristics of staff management that were developed and disseminated in the developed nations in the XX century.

On the background of radical changes in corporation management within 15-20 years, it is surprising that the personnel management, which is quite normal and marginalized, has not completely disappeared, but on the contrary, real prosperity. The main reason is the third "architectural" model of dominating management in practice in the 80s.

Instead of a rather fragmented structure of staff management used during the dominance of the first and second model of personnel management, the management system is established, primarily focused on human capital development. The mission of this system - among the other prior strategic goals of the corporation, is to realize the main goals of its personnel policy.

**Keywords:** personnel management, sales management, human resources, management models, strategically plans, inner communication, management effectiveness.

# სინერგიის მზარდი მნიშვნელობა ბიზნეს გარემოში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-23**

**თამთა თაბუკაშვილი**
სტუ დოქტორანტი
Tamtatabukshvili@gmail.com

**რეზიუმე**

სინერგიული ეფექტი ქმნის ახალ მიმართულებას კომპანიაში, მიმდინარე სტრატეგიული მენეჯმენტის ცვლილებებისთვის. მას ახასიათებს ურთიერთქმედება, რომელიც მიმდინარეობს თანამშრომლობის, პარტნიორობის და კონკურენტული ბრძოლის სხვადასხვა ფორმით. გარე გარემო მუდმივად მოქმედებს კომპანიის შიდა გარემოზე და ქმნის განსაკუთრებულ პირობებს, რომელშიც კომპანიებს სჭირდებათ მენეჯერებისა და თანამშრომლების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება, ორგანიზება და გაერთიანება. ეს შესაძლებლობები წარმოადგენს ახალ ღირებულებას, რომელიც უნიკალურია სტრატეგიული მენეჯმენტის განხორციელებისთვის დღევანდელ გლობალიზებულ ბაზრის პირობებში. სტატიის მიზანია წარმოაჩინოს სინერგიული ეფექტის შექმნა, კომპანიის შერჩეული სტრატეგიული მენეჯმენტის მეშვეობით. კომპანიის წარმატებისთვის, მიმდინარე გლობალიზებულ გარემოში გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მზარდი საჭიროებით - აუცილებელია განისაზღვროს შესაბამისი გზა, თუ როგორ შეიძლება კომპანიის მართვა სინერგიის ეფექტის მისაღწევად. ეს სტატია საწყისი ეტაპია შემდგომი კვლევისთვის, დაფუძნებულია თეორიულ-ანალიტიკურ მსჯელობაზე - სინერგია, სინერგიული ეფექტის გავლენა ბიზნეს გარემოზე.

**საკვანძო სიტყვები**: სინერგიული ეფექტი, თანამშრომლობა, სტრატეგიის მართვის მეთოდები და მიდგომები.

## შესავალი

არსებული კომპანიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი მიდგომების აღმოჩენას და დანერგვას, ისინი მხარს უჭერენ სინერგიული ეფექტის იდეას, როგორც შესწავლის და განხილვის ობიექტს. სინერგია არის კავშირი, თანამშრომლობა, კომპანიების ჩართულობა კონკრეტულ სპეციფიკურ გარემოში, რომელიც შემდგომ სინერგიული ეფექტის გავლენით იცვლება, ვითარდება და რეაგირებს. სინერგიული ეფექტი პირდაპირ კავშირშია გარემოსთან, რომელშიც წარმოიქმნება ახალი ღირებულება და სტატუსის ცვლილება. გოლდი და კემბელი განიხილავენ სინერგიას, როგორც ურთიერთქმედების ეფექტს - თანამშრომლობის ურთიერთქმედება ქვე-ბიზნესის ერთეულებს შორის, რამაც გამოიწვია დამატებითი ღირებულების შექმნა.

სინერგია არ ჩანს მხოლოდ ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კონტექსტში, არამედ ბიზნეს გარემოშიც, თუნდაც სტარტეგიის მართვის მეთოდებში, როგორიცაა BS (Balanced Scorecard - დაბალანსებული ქულების სისტემა). Balanced scorecard - დაბალანსებული ქულების სისტემა არის მართვის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების და ორგანიზაციული შესრულების ერთობლიობაში გადაყვანას, რომელიც, თავის მხრივ, იზომება, მონიტორინგდება და იცვლება საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების შესრულების უზრუნველსაყოოფად. ამიტომ საჭიროა შემდეგი არგუმენტის ჩამოყალიბება: სინერგიის ეფექტი არის ცალკეული კომპანიის ობლიგაციების ურთიერთქმედების შედეგი, რომელშიც გამოიყენება სტრატეგიული მენეჯმენტი. სინერგია განისაზღვრება, როგორც სისტემის ქცევისა და თვისებების ცვლილება, ახალი ურთიერთქმედების შექმნისთვის.

## ძირითადი ტექსტი

**სტრატეგიის მართვის შერჩეული მეთოდები.** ნებისმიერი კომპანიის წარმატება დამოკიდებულია, შიდა საწარმოო ორგანიზაციული ფორმების ეფექტიანობაზე, ეფექტურად შერჩეულ სტრატეგიაზე და სტრატეგიულ მენეჯმენტზე, რაც ხელს

უწყობს დასახული მიზნების მიღწევას. სტრატეგიაში მნიშვნელოვანია გარემო ცვლილებების დანახვა, როგორც კომპანიის სტრატეგიის მართვაზე გავლენის მომხდენი ფაქტორი. Kკომპანიის მენეჯმენტმა გარემო ცვლილებებზე რეაგირების კონტექსტში უნდა შეაფასოს რისკები და მოემზადოს ცვლილებებისთვის, რომელიც საჭიროა სტრატეგიულ გეგმაში კომპანიის მიზნებისა და ხელმისაწვდომი რესურსებისთვის. სტრატეგიის მართვის ზოგადი მიდგომების გარდა, აუცილებელია ვიცოდეთ სტრატეგიის მართვის ინსტრუმენტები, როგორიცაა BSC (Business Classification Scheme - ბიზნესის კლასიფიკაციის სქემა), EFQM (European Foundation for Quality Management - ხარისხის მართვის ევროპული ფონდი) მოდელი, PRISM (principles-based, sustainable project management methodology – არის პრინციპზე დაფუძნებული, მდგრადი პროექტის მართვის მეთოდოლოგია) და სხვა. შემდეგი ტექსტი მოიცავს ამ, შერჩეული მეთოდების თეორიულ დამუშავებას და ძირითადი ელემენტების შერჩევას. მნიშვნელოვანია იმ მეთოდებზე ფოკუსირება, რომლებსაც შეულიათ ხელი შეუწყონ სინერგიის ეფექტის შექმნას კომპანიების სტრატეგიის მართვის გზით. ვინაიდან ეს სისტემური ინსტრუმენტები შესაფერისია არა მხოლოდ საწარმოებში ინფორმაციის შესაგროვებლად, არამედ ბიზნესისა და მისი საქმიანობის ყოვლისმომცველი შეფასებისთვის. ეს მნიშვნელოვანია ძირითადი ელემენტების განსაზღვრისთვის, რათა მოხდეს სინერგიის ეფექტის იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია.

კაპლანმა და ნორტონმა გააფართოეს BS-ს ცნება, ის ცნობილია როგორც სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის სისტემის შესრულების საზომი ფორმა. თუ კომპანია მიაღწევს სინერგიას თავისი ბიზნესისა და დამხარე ერთეულების მეშვეობით, მაშინ შესაძლებელია მისი სწორი მიმართულებით მართვა და დასახული მიზნების მიღწევა. შეფასებისა და მართვის სისტემები საშუალებას გაძლევთ ზუსტად განვსაზღვროთ კომპანიის სისტემური განლაგების უპირატესობები, რომლებიც დაფუძნებულია სტრატეგიულ გზამკვლევებსა და BSC სისტემებზე. BSC მეთოდი იძლევა ყოვლისმომცველ შესაძლებლობას კომპანიის

(შიდა გარემო) და კომპანიების (კომპანიის ცალკეული ფილიალების) მართვისთვის.

ბიზნეს კლასიფიკაციის სქემა (BSC) არის ორგანიზაციის ბიზნესის კონცეპტუალური წარმოდგენა. იგი აღწერს ორგანიზაციის ბიზნეს ფუნქციებს, საქმიანობას და მათ შორის ურთიერთობებს. BSC ორიენტირებულია ოთხ მიმართულებაზე: ფინანსური, მომხმარებელი, შიდა პროცესები, სწავლა და ზრდა. ამ მეთოდს კარგად ქონდა შემუშავებული სწავლის და ინფორმაციის ქეისები, მაგრამ მნიშვნელოვანი თემები წარმოდგენილ იქნა კაპლანის და ნორტონის მიერ, რადგან სწორედ ისინი არიან ამ იდეის ფუძემდებლები. გამოდის, რომ Bბიზნეს კლასიფიკაციის სქემა (BSC) გაფართოვდეს მთლიანად კომპანიისთვის სინერგიული ეფექტის თვალსაზრისით. ტოპ მენეჯმენტი უზრუნველყოფს იმ ღირებულებების შერწყმას, რომელსაც ცალკეული ბიზნეს ერთეულები ქმნიან, რათა შექმნას ახალი საერთო ღირებულება – იგულისხმება, საოპერაციო ხარჯების შემცირება, მომხმარებლისთვის მეტი ღირებულების შეთავაზება. სინერგია BSC მეთოდში კაპლანისა და ნორტონის მიერ გამოვლენილია ფინანსური სინერგიის საფუძველზე: როგორ გავზარდოთ აქციების ღირებულება, ჩვენი სტრატეგიული ბიზნეს ერთეულების პორტფელის შემოტანით. მომხმარებელთან ურთიერთობის სინერგია: როგორ შეუძლიათ კომპანიებს გაზარდონ კავშირი მომხმარებლებთან, რათა გაიზარდოს საერთო ღირებულება მომხმარებლისთვის? შიდა პროცესების სინერგია: როგორ შეგვიძლია ვმართოთ SBU (strategic business unit – სტრატეგიული ბიზნეს ერთეულები)-ის პროცესები, რათა მივაღწიოთ დანაზოგს, რომელიც წარმოიქმნება აქტივობების მთელი სპექტრიდან ან ღირებულების ჟაჭვის ინტეგრაციის შედეგად? სწავლისა და ზრდის სინერგია: როგორ შეგვიძლია განვავითაროთ და გავაზიაროთ ჩვენი არამატერიალური აქტივები? სტარტეგიულ მენეჯმენტში გამოსაყენებლად BS-ის ძირთადი დებულებებია:

• ინფორმაციის უწყვეტად ცვლის სტარტეგია ზედა და ქვედა მენეჯმენტის რგოლებს შორის ურთიერთკავშირის საშუალებით, როგორიცაა: კომპანიის მიზნები, კოორდინაცია, თანამ-

შრომლეები. თანმიმდევრული კავშირი თანამშრომლებს შორის.

• კომპანიის მუშაობის შეფასება ცალკეულ სფეროებში და პროცესებში, რათა უზრუნველყოს იმის დადგენა, თუ რა იყო განსაზღვრული და და გაკეთებული.

• სხვადასხვა პროცესების მდგომარეობის და შედეგების იდენტიფიცირება. Gგანსაზღვრეთ პასუხისმგებლობები ინდივიდუალურ პროცესებზე.

• დააკვირდით და განსაზღვრეთ თქვენი პოზიცია საერთო სტრატეგიაში, შეიძლება თუ არა შეიქმნას მეტი ღირებულება საკუთარი ერთეულების გაერთიანებით, თუ უმჯობესია სხვა საწარმოების ერთეულების შემოერთება.

PRISM – არის მდგრად პრინციპებზე დაფუძნებული პროექტების მართვის მეთოდოლოგია. ის აყენებს პროექტებს უფრო სტრატეგიულ ფოკუსში, არსებული ორგანიზაციული სისტემების გამოყენებით, რათა უზრუნველყოს სარგებლის რეალიზება ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, პროცესისა და პროდუქტის მდგრადობაზე მაქსიმალური ყურადრების მიქცევით. ის განსაზღვრავს ძირითად ბიზნეს საკითხებს, სვამს კრიტიკულ კითხვებს გადაწყვეტილების მისაღებად, მიზან-შედეგობრიობის დასადგენად. კომპანიებში მიმდინარე მონიტორინგის პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია შიდა მენეჯმენტზე და თვალთახედვიდან რჩება სიტუაცია სტრატეგიული მენეჯმენტის შესახებ. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინფორმაციის მიწოდებისა და მიღების ხარჯებს. კიდევ ერთი პრობლემა არის მოხსენებების (რეპორტების) რაოდენობა და მრავალფეროვნება, რაც აფერხებს იმას, რაც რეალურად მნიშვნელოვანია. ეს არის აღრიცხვა და მონიტორინგი ოპერატიული აქტივობების, რომლებიც მხარს უჭერს სტრატეგიულ მენეჯმენტს. აღრიცხვა უნდა იყოს მენეჯმენტისთვის ინფორმაციის შეგროვების პროცესი და არა ყველაფრის აღრიცხვა. PRISM არის მეთოდი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს ინფორმაციას და ქმნის ბაზას სხვადასხვა პერსპექტივებისთვის. ის, აკვირდება რა სურთ დაინტერესებულ მხარეებს და ასევე აანალიზებს საუკეთესო სტრატეგიებს მათი საჭიროებების დასაკმაყოფი-

ლებლად. PRISM შედგება ხუთი ურთიერთდაკავშირებული საკითხისგან: ვინ არიან ჩვენით დაინტერესებული მხარეები და რა სურთ მათ? (დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება) რა სტრატეგიები გვჭირდება იმისთვის, რომ დავაკმაყოფილოთ დაინტერესებული მხარეების სურვილები და მოთხოვნილებები, ისე რომ საკუთარი მოთხოვნილებებიც დავაკმაყოფილოთ? (სტრატეგია) რა პროცესები გვჭირდება ჩვენი სტრატეგიების განსახორციელებლად? (პროცესები) რა უნარები გვჭირდება, რომ წარვადგინოთ, მოვამზადოთ და შევძლოთ პროცესების მართვა? (შესაძლებლობები) პრიზმის თეორიული და პრაქტიკული მიგნებების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი სტრატეგიული მენეჯმენტისთვის:

- ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- მართვა, გაზმოვა და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა. ზედა და ქვედა რგოლის მენეჯმენტის მიდგომის დანერგვა;
- დაინტერესებული მხარეების მუშაობის მონიტორინგი, ისე როგორც საკუთარი საჭიროებებისა;
- სტრატეგიის განხორციელება უნდა მოხდეს შესაბამისი პროცესებითა და საჭირო უნარებით;

EFQM (European Foundation for Quality Management) – ხარისხის მართვის ევროპული ფონდის ბრწყინვალე მოდელი, არის თვითშეფასების ფორმა, ორგანიზაციის სიძლიერისა და გაუმჯობესების შესაფასებლად, მის ყველა საქმიანობაში. მოდელი გთავაზობთ კომპანიის ზოგად მიმოხილვას. არსებითად, ეს არის შესანიშნავი ფორმა მდგრადი განვითარებისთვის. განსაკუთრებული კომპანიები აღწევენ და ინარჩუნებენ წარმატების დონეს, რომელიც აკმაყოფილებს ან აღემატება ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინს. ამიტომ, არის ამ მოდელის მიდგომები ფორმულირებული ისე, რომ ხელი შეუწყონ კომპანიების მდგრად განვითარებას და მიაწოდონ რჩევები წარმატების მისაღწევად. მოდელი საშულაებას აძლევს კომპანიებს: შეაფასონ წარმატების არსებული მდგომარეობა; გააერთიანონ, შექმნან საერთო ლექსიკა და აზროვნება; დაგეგმილი და არსებული ინიციატივ-

ების დაკავშირება; ხარვეზებისა და დუბლირებების გამოვლენა; მენეჯმენტის სტრუქტურის უზრუნველყოფა; თვითშეფასების გამოყენება; ბენჩმარკეტინგი; გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება; ამ მოდელის ძირითადი დებულებებიდან, შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი კომპონენტები , რომელიც დაგვეხმარება სტრატეგიულ მენეჯმენტის სრულყოფაში:

• კომპანიის მასშტაბით ყველა რესურსის ოპტიმიზაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი და პოლიტიკა;

• შეფასება არის კომპანიის ფუნქციონირებისა და მისის ეფექტურად მართვის დაწყების პროცესი;

• ყურადღება მიაქციეთ: რა ბიზნესს აკეთებთ? – ფაქტობრივი მდგომარეობა (ლიდერობა, სტრატეგია, პროცესები, რესურსები) რომელს მიაღწიეთ ? – შედეგები (მომხმარებლები, თანამშრომლები, ბიზნესი) რა არის საჭირო წარმატებისთვის?

• მიღწეული წარმატების შენარჩუნება სფეროებში: მომავლის გეგმების ფორმირება, ღირებულებების უზრუნველყოფა, უნარების განვითარება, კრეატიულობა და ინოვაცია, ლიდერობა და მოქნილობა მენეჯმენტში;

• რადარის ლოგიკის გამოყენება: სტარტეგიული მიზნების დასახვა, მიღწევების სტრატეგიების დაგეგმვა, განხორციელების სტრატეგიის უზრუნველყოფა, სტარტეგიის გაუმჯობესების მონიტორინგი და ანალიზი.

• შედეგები აქტივატორების გასაზღვრა და მათი ეფექტურად მართვა, პროდუქტიული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

• ადამიანურ პოტენციალზე ყურადღების გამახვილება, სტრატეგიული მენეჯმენტით მიღებულ შედეგების გათვალისწინებით.

## დასკვნა

სტრატეგიული მენეჯმენტი ნიშნავს სწორი გადაწყვეტილების ცოდნას და იმ გზის გავლას, რომელიც წარმატებამდე მიგიყვანს. ამიტომ, თუ გაეცნობით კომპანიის მდგომარეობასა და ურთიერთობებს კომპანიის სტრატეგიულ მენეჯმენტს შორის, რომელიც წარმოიქმნება სინერგიული ეფექტის ფარგლებ-

ში – თქვენ მიაღწიეთ ერთ-ერთ წარმატებულ სტრატეგიას, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოთ კონკურენტუნარიანი და შეძლებთ საკვანძო კომპეტენციის გამოყენებას (წარმატების ძირითადი ფაქტორები). ეს გულისხმობს მკაფიოდ განსაზღვრულ სტრატეგიას, მიზნებს და საწარმოს ორგანიზაციული ფორმების განსაკუთრებით სათანადო სტრატეგიულ მართვას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. http://balancedscorecard.org/Resources/About-the-Balanced-Scorecard

2. Daves, J., (2004), European Foundation for Quality Management - ხარისხის მენეჯმენტის ევროპული ფონდის (EFQM) საუკეთესო მოდელის დანერგვა გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტის აკადემიურ ერთეულებში. შალფორდის უნივერსიტეტი. http://usir.salford.ac.uk/14853/1/DX231063.pdf

3. ა. გოლდი და მ. კემბელი (1998), სინერგიის ძიება, ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვა. სექტემბერი-ოქტომბერი 1998 გამოცემა. https://hbr.org/1998/09/desperately-seeking-synergy

4. კაპლანი რ.ს და ნორტონი დ.ფ (2006), განლაგება, ორგანიზაციის სისტემის დარეგულირება, მენეჯმენტი.

**REFERENCES:**

1. Balanced Scorecard Institute, Balanced Scorecards, Page. http://balancedscorecard.org/Resources/About-the-Balanced-Scorecard

2. Daves, J., (2004), The implementation of The European Foundation for quality management´s (EFQM) excellence model in academic units of the United Kingdom universities. University of Salford, http://usir.salford.ac.uk/14853/1/DX231063.pdf

3. Gold M. and Campbell A., (1998), Desperately Seeking Synergy, Harvard Business Review, September- October 1998 Issue, Page. https://hbr.org/1998/09/desperately-seeking-synergy

4. Kaplan, R.S. and Norton, D.P., (2006), Alignment, System Tuning, Management Press.

# THE GROWING IMPORTANCE OF SYNERGY IN BUSINESS ENVIRONMENT

**Tamta Tabukashvili,**
PhD student of Georgian Technical University
Tamtatabukshvili@gmail.com

**RESUME**

The synergy effect creates a new direction for change in current strategy management of companies. They are characterized by mutual interaction which run in various form of cooperation, partnership, competitive struggle. The external environment constantly affecting the internal environment of company and creates special conditions, in which companies need to build, organize and combine exceptional skills of managers and employees. These capabilities represent new value that is unique for implementation and better understanding of strategic management in today´s globalized market conditions. The purpose of article is to point out a creating synergy effect through suitable chosen strategy management of company. For company´s success in current globalized environment with increasing need to maintain long-term competitiveness – it is necessary to define in an appropriate way how can be the company managed in order to achieve the synergy effect. This article refers to starting position of thinking and research in the context of synergy and synergy effects in business environment.

**Keywords:** synergy, synergy effect, cooperation, methods and approaches to strategic management.

# თანამედროვე მარკეტინგი ახალ ციფრულ ეპოქაში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-312**

**თამარ მაჭარაშვილი**
სტუ ასისტენტ-პროფესორი
Tamar.matcharashvili@gmail.com

**რეზიუმე**

დღევანდელ პირობებში ინფორმაცია გასაოცარი სისწრაფით ვრცელდება და აღნიშნული განპირობებულია სოციალური ქსელების არსებობით. დიჯიტალიზაციის პროცესმა უბიძგა ბრენდებს შეცვალონ ტრადიციული საპრომოციო კამპანიები და აქტიურად ჩართონ ინფლუენსერები მათში. ინფლუენსერები საკუთარ სოციუმში საკმაო გავლენით სარგებლობენ. მათ სოციალურ ქსელებში ძალიან დიდი აუდიტორია მოიპოვეს. ეს უკანასკნელი კი იზიდავს ბრენდებს. მომხმარებლების დიდი ნაწილი ინფლუენსერებისგან მოითხოვს იყონ მიუკერძოებელნი და წარმოაჩინონ პროდუქციისა თუ მომსახურების დადებითი და უარყოფითი ეფექტები როგორც მესამე პირებმა, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მიიღონ რაციონალური და არა თავსმოხვეული გადაწყვეტილებები შესყიდვის შესახებ. ამდენად ინფლუენსერების ჩართულობას გაყიდვების პრომოციის საქმეში აქვს ძალიან დიდი როლი და სწორედ ამითაა განპირობებული რომ ამ მიმართულებით ბაზარი 2019 წლიდან უფრო და უფრო შეუქცევადად იზრდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

**საკვანძო სიტყვები**: მარკეტინგი, ახალი ერა, სოციალური ქსელები, ინფლუენს მარკეტინგი.

## ძირითადი ტექსტი

თანამედროვეობაში რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაციის გავრცელება და მართვა სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება. ამდენად, აქტუალობას იძენს ინფლუენსინგი და ინფლუენსერები. დიჯიტალიზაციის პროცესმა უბიძგა ბრენდებს

აქტიურად ჩართონ ინფლუენსერები საპრომოციო კამპანიებში.

ინფლუენსერები, მიიჩნევიან სფეროს ექსპერტებად, მათ აქვთ მაღალი რეპუტაცია და გააჩნიათ საფუძვლიანი ცოდნა ამა თუ იმ ბრენდის შესახებ.

ინფლუენსერებთან ურთიერთობა კომპანიებს უხსნის გზას მათი მიმდევრებისკენ, რომლებიც ნდობით არიან გამსჭვალულნი მათთვის სანდო ინფლუენსერების მიმართ.

წარსულ დროში ძირითადი გავლენა ტელევიზიაზე, რადიოსა და პრესაზე ნაწილდებოდა, ამჟამად კი, სოციალური მედია ქმნის ამინდს. ინფლუენსერები საკუთარ სოციუმში საკმაო გავლენით სარგებლობენ. მათ სოციალურ ქსლებეში ბევრი მიმდევარი ჰყავთ. ეს უკანასკნელი კი ძალიან იზიდავს ბრენდებს, რადგან ისინი ინფლუენსერებს მათსა და საზოგადოებსთან ურთიერთობაში ერთგვარ ხიდად ხედავენ. ამასთანავე ინფლუენსერების ჩართვა საპრომოციო კამპანიებში საკმაოდ ხარჯეფექტურია.

თანამედროვეობაში ძალიან მნიშვნელოვანია „გავლენა“ და რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს სწორედ აღნიშნული ჰყიდის პროდუქტს. დღეს კომპანიები უკვე ნაკლებად იყენებენ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ტრადიციულ სტრატეგიებს, ცვლილებები კომუნიკაციაში აშკარაა. ამ ყველაფერმა კი შეცვალა ადამიანების შეხედულებები, განწყობები, მოლოდინები და ზოგადად კომუნიკაციის ფორმები. ვინაიდან ტრადიციული ფორმები აღარაა ეფექტური, აქტუალური ხდება ე.წ. „სოციალური ვალუტა“, რომელიც კავშირშია ინფლუენსერებთან.

ტრადიციული მარკეტინგიდან ინფლუენს მარკეტინგამდე გზა საკმაოდ გრძელი და საინტერესო გამოვიდა. ამ პერიოდში ბაზარმა უამრავი რყევა, თუ აღმასვლა განიცადა, რამაც ასახვა ჰპოვა მარკეტინგული სტრატეგიების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზეც.

სადღეისოდ, ძალიან აქტუალურია ინფლუენს მარკეტინგი და ე.წ. ინფლუენსერობა. ხშირად ისმის შეკითხვები მისი არსის და რეალური სარგებლიანობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს,

რომ ვინც დროულად აუწყო ფეხი ბაზრის პულსაციას და არამცთუ სკეპტიკურად არის განწყობილი ამ მიმართულების მიმართ, არამედ აქტიურადაც ცდილობს ბაზარზე ექსპანსირებას ინფლუენსერების დახმარებით, უდიდეს წარმატებას მიაწლიეს.

მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაცია და ლოიალურობის ხარისხის ზრდა ამდენად აქტუალური არასდროს ყოფილა. ბრენდები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ გაყიდვების სტიმულირებაში და ისინი სულ ეძებენ საშუალებებს რაც მათ მომხმარებლებთან უფრო ნაკლები დანახარჯებით და ეფექტურად დააკავშირებთ. ციფრულ სამყაროში ინფლუენსინგი, ანუ გავლენის მოხდენა აქტუალური გახდა. ინფლუენსერობა იქცა საქმიანობად, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ეკონტაქტო უზარმაზარ აუდიტორიას, რომლებიც გენდობიან და სჯერათ რეკომენდირებული საქონლისა თუ მომსახურების, რასაც ინფლუენსერი წარადგენს. ინფლუენსერები წარმატებით ურთიერთობენ მიზნობრივ აუდიტორიასთან.

ყველას შეუძლია გახდეს ინფლუენსერი, ვლოგერი ან ბლოგერი. მთავარია პიროვნებას ჰქონდეს პრეზენტირების კარგი უნარები, იყოს კომუნიკაბელური, შეეძლოს საინტერესო კონტენტის შექმნა და იყოს ინდივიდუალური. მიმდევართა დიდი არმია კი მონეტიზირდება როგორც მატერიალურ სარგებელში, ისე გავლენებსა და ცნობადობაში.

ორი სახის ინფლუენსერები გვხვდებიან: კონტენტკრეატორები (ბლოგერები, ექსპერტები, ვლოგერები და ა.შ) და ასევე ე.წ. ლაიფკასტერები (ანუ ცნობადი სახეები, მეწარმეები, მოდელები, პოლიტიკოსები და ა.შ.). მათ შორის მთავარი განსხვავება არის ის, რომ კონტენტკრეატორები ცნობილები და წარმატებული სოციალური ქსელების საშუალებით გახდნენ და მანმადე მათ არავინ იცნობდა, ხოლო ლაიფკასტერები ძირითადად არიან ადამიანები, რომლებიც ისედაც ძალიან მაღალი ცნობადობით გამოირჩევიან სოციალური ქსელების მიღმაც, შესაბამისად მათ თავიანთი იმიჯი და ცნობადობა მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანეს ონლაინ სივრცეში.

ინტერნეტ მომხმარებლების უმეტესობა ბლოკავს რეკლა-


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

მებს სოციალურ ქსელში. აღნიშნული მათ ეფექტურობას ამცირებს და დანახარჯების არაეფექტურ ზრდას იწვევს. მომხმარებლების დიდი ნაწილი ინფლუენსერებისგან მოითხოვს იყონ მიუკერძოებელნი და წარმოაჩინონ პროდუქციისა თუ მომსახურების დადებითი და უარყოფითი მხარეები როგორც მესამე პირებმა, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მიიღონ რაციონალური და არათავსმოხვეული გადაწყვეტილებები შესყიდვის შესახებ.

კონტენტკრეატორები ის ინფლუენსერები არიან, რომლებიც ცდილობენ იყონ კრეატიულები, შექმნან და მოიფიქრონ ახალი იმიჯები ცხოვრების სტილისა და სხვა აქტუალური მიმართულებების შესახებ, რაც მათ აყალიბებს როლურ მოდელებად. ინფლუენსერების ძირითადი საქმიანობა აუდიტორიის სწორად შერჩევა, ცნობადობის შექმნა და ჩართულობის გამოწვევაა.

საშუალოდ ქართველი ინფლუენსერი ერთი ინსტაგრამ სთორით 50-80 ათასამდე ადამიანთან კონტაქტს ახერხებს და აცნობს ბრენდს. ისინი ცდილობენ პოტენციურ მომხმარებელს გაუღვიძონ შეძენის სურვილი და იყონ ინტერაქციული ამ პროცესში.

ინფლუენსერ მარკეტინგის უპირატესობებია პოტენციურ მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ტრადიციული რეკლამა სადღეისოდ აღარ არის ეფექტური და მისგან ამონაგები საკმაოდ მცირეა, რადგან დიდძალ რესურსს მოითხოვს, მაგრამ მის მიმართ ნდობა უკვე ნაკლებია. ინფლუენსერ მარკეტინგის შემთხვევაში მომხმარებლები მას რეკლამად არ აღიქვამენ, უფრო როგორც რეკომენდაციებად და რჩევებად, შესაბამისად უფრო ლოიალურნი არიან. არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს კარგი კონტენტის ფასი, ის ნამდვილად კარგად მუშაობს, მაშინ როდესაც ინფლუენსერი კარგად იცნობს თავის აუდიტორიას. ინფლუენსერის მუშაობის შედეგად იზრდება ბრენდის ცნობადობაც, რაც ზრდის შეძენის ალბათობას.

უფრო სიღრმისეულად რომ დავაკვირდეთ მაინც რა არის მიზეზი ინფლუენსერების ამგვარი აქტივობის. ესენია:

✓ გავლენა - ინფლუენსერები სანდო და გავლენიან პიროვნებებად მიიჩნევიან;

✓ კომპეტენტურობა - ისინი ადვილად ერკვევიან ბრენდების არსსა და კორპორატიულ კულტურაში და არიან კომპეტენტურნი;

✓ რეიტინგი - როგორც წესი ინფლუენსერებს ჰყავთ ძალიან დიდი რაოდენობის მიმდევრები, იგივე გამომწერები;

✓ პერსონალური გამოცდილება - აღნიშნული ბევრად უფრო აინტერესებს სოციალური ქსელების მომხმარებლებს, ვიდრე რეკლამა რასაც უშუალოდ ბრენდისგან ისმენს.

✓ სწრაფი შედეგები - ინფლუენსერების კონტენტი ვირუსულად ვრცელდება და დიდ აუდიტორიას ძალიან სწრაფად მოიცავს.

✓ დანახარჯებთან შესაბამისობა - ინფლუენსერების სამუშაო საკმაოდ ძვირადღირებულია, თუმცა ამასთანავე საკმაოდ შედეგიანიც. ამის გამოა რომ კომპანიები დიდ რესურსებს არ იშურებენ ინფლუენს მარკეტინგში.

✓ დასამახსოვრებელი ვიზუალი და კონტენტი - ინფლუენსერებს აქვთ შესაძლებლობა და უნარები შექმნან ისეთი ეფექტური ტექნიკები და ვიზუალური გამოსახულებები, რაც უამრავ ადამიანს იზიდავს და ყიდვის სურვილს აღუძრავს.

ხილული შედეგები და სტატისტიკა - ადვილად არის შესაძლებელი ინფლუენსერის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგების დათვლა, რაც დიდი უპირატესობაა სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებასთან მიმართებით.

ინფლუენსერ მარკეტინგის სტრატეგია მთლიანად დგას სანდოობაზე. იმ ინფლუენსერებსაც კი, რომელთაც ნაკლები გამომწერი ჰყავთ კომპანიისთვის უდიდესი შედეგების მოტანა შეუძლიათ, თუ მათ მიმართ გამომწერებს სანდოობის მაღალი ხარისხი აქვთ. თუ ბრენდს სურს ახალი აუდიტორიის მოზიდვა, მაშინ უკავშირდებიან ინფლუენსერებს. თუ ბრენდის სანდოობის გაზრდა სურთ, მაშინ ფოკუსირება უნდა მოხდეს ნდობის გაზრდასა და ავთენტურობაზე. შედეგების გასაზომად გამოიყენება შთაბეჭდილებები, კლიკების რაოდენობა, საუბრები, მიმდევრების რაოდენობა. მიზნის მისაღწევად კამპანიების შექმნა აპრობირებული მიდგომაა.

როგორც ედვარდ ბერნეისი[1] ამბობდა: „რატომ უნდა მოვახდინო გავლენა მილიონობით ადამიანზე, თუ შემიძლია ერთი ადამიანით მოვახდინო იგივე."

ძირითადი პლატფორმები სადაც მიმდინარეობს ინფლუენსინგი არის: Instagram, Facebook, Youtube. ბოლო პერიოდში ჩამონათვალს დაემატა TikTok.

ამდენად, შეცვლილი რეალობა ბრენდებს კარნახობს გამოავლინონ სწრაფად ადაპტაციის უნარები, ითანამშრომლონ ინფლუენსერებთან, დაგეგმონ ერთობლივი მარკეტინგული სტრატეგიები და რაც შეიძლება მეტ პოტენციურ მომხმარებელს მოუთხრონ მათ შესახებ გულწრფელად.

**REFERENCES:**

1. Digital Marketing-strategy, implementation and practice, seventh edition, Pearson, 1040 pages

2. https://influencer.ge/ka/news/257/ra-aris-influensingi-da-vin-arian-influenserebi-%E2%80%93%C2%A0-eldar-pirmisaSvili

3. https://bm.ge/ka/article/ra-aris-influenser-marketingi-da-vin-arian-influenserebi/37590

4. https://www.marketinghouse.ge/influence/

**1 https://www.britannica.com/biography/Edward-Bernays**

# CONTEMPORARY MARKETIG IN NEW DIGITAL ERA

**Tamar Macharashvili,**
GTU, Assistant Professor
Tamar.matcharashvili@gmail.com

## RESUME

In modern life, information is spread and managed through social media. The digitalization process has prompted brands to involve actively in collaborations with influencers in potential campaingns. The Influencers have considerable influence in their society. The have gained a large audience in social media. This is very attractive for brands, because they see influencers as a kind of bridge in their relationship with their potential customers.

The main activities of influencers are to select the right audience, create awareness and increase engagement. The large proportion of customers require influencers to be honest and to demonstrate the pros and cons of the product or service as the impartial person, so that customers can make rational decisions.

The involvement of the influencers in the promotion of sales has a huge role and that is why the market in this field is growing more and more all over the world since 2019.

**Keywords:** Marketing, New era, social networks, Influencer Marketing.

# ცვლილებების განხორციელების თავისებურებები ორგანიზაციებში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-319**

**თამარ ღამბაშიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
t.gambashidze@gtu.ge

**ნინო ხუჭუა**
საქართველოს საავიაციო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**რეზიუმე**

მიზნობრივი მართვის სავალდებულო პროცედურა არის მიზნებისა და ამოცანების ხის აგება. მიზნების ხის მეთოდი გულისხმობს მიზნების სტრუქტურირებას და მიზნებსა და მიზნების მიღწევის საშუალებებს შორის კავშირების გამოვლენას.

მთავარი მიზანი იყოფა რამდენიმე მიზნად, რომელთა შესრულებაც მისი მიღწევის საშუალებას გვაძლევს. თითოეული ეს მიზანი, თავის მხრივ, იყოფა კიდევ უფრო მცირე მიზნებად, რომელთა განხორციელება, კონტროლი და საჭიროებისამებრ კორექტირება უფრო ადვილია. ეს ეტაპობრივი მიდგომა უფრო რეალისტურს ხდის მთავარი მიზნის (მისიის) მიღწევას. მიზნებისა და ამოცანებისათვის განისაზღვრება შესრულების ვადები, რესურსები, პირველ რიგში კაპიტალური ინვესტიციები და ა.შ., იქმნება სპეციალური ორგანო, მისი სტრუქტურა, პროგრამული მიზნობრივი მართვის მექანიზმი და ტექნოლოგია.

**საკვანძო ტერმინები:** მიზნობრივი მართვა, მიზნების ხე , ინფორმაციის ნაკადი , მუდმივი მონიტორინგი, დაგეგმილი ცვლილებები.

## ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკის კანონები, საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის საუკეთესო შედეგის მისაღწევად მოითხოვს პროდუქ-

ციის, სამუშაოების, მომსახურების ღირებულების ფორმირებაზე მუდმივ კონტროლს; ფინანსური აღრიცხვის მონაცემებში არსებული ინფორმაციის გამოყენების უნარს ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

სამეწარმეო საქმიანობის მართვის გადაწყვეტილებები დაგეგმილ, ნორმატიულ (მარეგულირებელ), ტექნოლოგიურ, საბუღალტრო და ანალიტიკურ ინფორმაციას ემყარება. კონტროლი და რეგულირება - მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციები - ხორციელდება დაგეგმილი მონაცემების და ოპერატიული ანალიზის შედეგების შედარებისას. მენეჯმენტის გადაწყვეტილებების შედეგების და მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის შეფასება ხორციელდება შიდა ანგარიშგების მონაცემების მიხედვით. საწარმოს სამომავლო განვითარების დაგეგმვა და კოორდინაცია ემყარება ანალიტიკურ გათვლებს კონკრეტული ტექნიკის გამოყენებით.

ქართულ ეკონომიკაში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამახასიათბელი თვისება იყო სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების ერთიანი სოციალისტური ეკონომიკის საწარმოო ერთეულიდან დამოუკიდებელ საწარმოდ შეცვლის ტენდენცია. გარდა ამისა, ახალი ეკონომიკური ეპოქის ნიშნები გახდა კაპიტალის კონცენტრაცია, გაზრდილი შიდა და გარე კონკურენცია და ინფლაცია. შექმნილ პირობებში საწარმოს მართვის ტრადიციული მეთოდები აღარ შეესაბამებოდა მენეჯმენტის მოთხოვნებს.

**მენეჯმენტის განვითარება და გაუმჯობესება, მისი ადაპტირება კონკრეტულ სიტუაციასთან არის ფირმების მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი.**

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მართვა მმართველი სუბიექტების მიზნობრივი საქმიანობის გარეშე. მართვის მიზანი არის სამართავი ობიექტის სასურველი მდგომარეობა მომავალში. ზოგადად, მიზანი არის საქმიანობის შედეგის გონებრივი წარმოსახვა. აქედან გამომდინარე, მიზანი არის საქმიანობის შედეგის იდეალური აღწერა.


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

**მიზნების კლასიფიკაცია:**

- დონე - სახალხო სამეურნეო-დარგობრივი, ტერიტორიული, საწარმოები და სხვ.;
- საქმიანობის ვადა - პერსპექტიული და მიმდინარე;
- პრობლემის და მასშტაბის მოცვა - სტრატეგიული და ტაქტიკური.

მთავარი მიზანი იყოფა რამდენიმე მიზნად, რომელთა შესრულებაც მისი მიღწევის საშუალებას გვაძლევს. თითოეული ეს მიზანი, თავის მხრივ, იყოფა კიდევ უფრო მცირე მიზნებად, რომელთა განხორციელება, კონტროლი და საჭიროებისამებრ კორექტირება უფრო ადვილია. ეს ეტაპობრივი მიდგომა უფრო რეალისტურს ხდის მთავარი მიზნის (მისიის) მიღწევას. მიზნებისა და ამოცანებისათვის განისაზღვრება შესრულების ვადები, რესურსები, პირველ რიგში კაპიტალური ინვესტიციები და ა.შ., იქმნება სპეციალური ორგანო, მისი სტრუქტურა, პროგრამული მიზნობრივი მართვის მექანიზმი და ტექნოლოგია.

**მიზნების ხის ნაკლი არის** მიზნების იერარქიის სტატიკური ხასიათი, თუმცა საკმარისად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიზნების შემადგენლობა, მათი იერარქია და მახასიათებლები იცვლება. პრაქტიკაში, ეს წყდება პროცესების დინამიკის გათვალისწინებით, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით და ა.შ.

მიზნების ხის მეთოდის პრაქტიკაში გამოყენება შესაძლებელს ხდის უკეთ დავინახოთ დასახული მიზნების და ამოცანების სპექტრი, ვმართოთ საწარმო უფრო ოპერატიულად და მცირე დანახარჯებით.

**ინფორმაცია მართვის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვან როლს მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ობიექტურობა;
- წარდგენის დროულობა; საკმარისი სისრულე;
- ინფორმაცია მისი დამუშავებისთვის და გამოყენებისთვის მოსახერხებელი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ ინფორმაცია არსებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს,

მაშინ ამ ინფორმაციის საფუძველზე მეცნიერულად დაფუძნებული მენეჯერული გადაწყვეტილების შემუშავება შეუძლებელია.

**ინფორმაციული ტექნოლოგია** არის ინფორმაციის მიღების, გადაცემის, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მეთოდებისა და საშუალებების სისტემა. არსობრივად, პრაქტიკაში, ინფორმაციული ტექნოლოგიაში იგულისხმება კომპიუტერების და ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის სხვა ტექნიკური საშუალებების ტექნოლოგიური გამოყენება.

ნებისმიერი ტექნოლოგიის მსგავსად, ინფორმაციული ტექნოლოგია მოიცავს მატერიალური საშუალებების გარკვეულ კომპლექს (ინფორმაციის მატარებლები, გაზომვის, გადაცემის, დამუშავების ტექნიკური საშუალებები და სხვა), მათი ურთიერთქმედების მეთოდებს, აგრეთვე ინფორმაციასთან მუშაობის ორგანიზების გარკვეულ მეთოდებს.

საწარმოს მართვისას გამოიყენება სხვადასხვა სახის ინფორმაცია: ეკონომიკური, ტექნიკური, სამართლებრივი, სოციალური ხასიათის ინფორმაცია და ა.შ.

**ყველა ინფორმაცია შეიძლება გაერთიანდეს ორ ნაკადში** - შიდა და გარე. შიდა ინფორმაცია ახასიათებს საწარმოს მდგომარეობას, ხოლო გარე - გარემოს მდგომარეობას.

მიზნის ეფექტურად განსახორციელებლად, განისაზღვრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულის და სამსახურის კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულება შესაძლებელს ხდის საწარმოს მთავარი მიზნის განხორციელებას. ეს მიიღწევა ყველა დეპარტამენტის საქმიანობის კოორდინირებით, მათთვის გარკვეული პროგრამების შემუშავების, თანამშრომლებისთვის ოპერატიული ამოცანების დადგენის და მათი განხორციელების უწყვეტი მონიტორინგის საშუალებით.

მიზნობრივი მართვის სავალდებულო პროცედურა არის მიზნებისა და ამოცანების ხის აგება. მიზნების ხის მეთოდი გულისხმობს მიზნების სტრუქტურირებას და მიზნებსა და მიზნების მიღწევის საშუალებებს შორის კავშირების გამოვლენას. მთავარი მიზანი იყოფა რამდენიმე მიზნად, რომელთა შესრულებაც

მისი მიღწევის საშუალებას გვაძლევს. თითოეული ეს მიზანი, თავის მხრივ, იყოფა კიდევ უფრო მცირე მიზნებად, რომელთა განხორციელება, კონტროლი და საჭიროებისამებრ კორექტირება უფრო ადვილია. ეს ეტაპობრივი მიდგომა უფრო რეალისტურს ხდის მთავარი მიზნის (მისიის) მიღწევას.

**საქმიანობა გულისხმობს ორ ძირითად სიბრტყეში დახასიათებას:** გარე (ან გარეგნული) (საგნობრივ-ეფექტური) (ან საგნობივ-მოქმედი) და შინაგანი (ფსიქოლოგიური).

**გარე საქმიანობის დახასიათება** შეგვიძლია შრომის სუბიექტისა და ობიექტის, საქმიანობის საგნის, საშუალებებისა და პირობების ცნებების საშუალებით. შრომის საგანი არის ნივთების, პროცესების, მოვლენების ერთობლიობა, რომლებითაც სუბიექტი მუშაობის პროცესში გონებრივად ან პრაქტიკულად უნდა მოქმედებდეს. შრომის საშუალებები არის ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ადამიანის უნარი აღიქვას შრომის საგნის (ობიექტის) თავისებურებები და ზეგავლენა მოახდინოს მასზე. სამუშაო პირობები არის საქმიანობის სოციალური, ფსიქოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მახასიათებლების სისტემა.

**შიგა საქმიანობის დახასიათება** გულისხმობს მისი ფსიქიკური რეგულირების პროცესების და მექანიზმების აღწერას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მისი განხორციელების ოპერატიულ საშუალებებს.

მენეჯერული საქმიანობის სინთეზური, ინდივიდუალურ-ერთობლივი ბუნება არა მხოლოდ მის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ტიპის საქმიანობისთან კუთვნილებას განსაზღვრავს, არამედ მასში რიგი ფსიქოლოგიური ძირითადი მახასიათებლების არსებობასაც განაპირობებს. მას ახასიათებს არა პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი (ირიბი) კავშირი ამა თუ იმ ორგანიზაციის ფუნქციონირების საბოლოო შედეგებთან. უშუალოდ ხელმძღვანელი ჩვეულებრივ თავად არა მხოლოდ არ მონაწილეობს, არამედ არც უნდა მონაწილეობდეს საბოლოო შედეგების შექმნაში.

თავისი შინაარსით, მენეჯმენტის საქმიანობა არის მართვის

გარკვეული უნივერსალური ფუნქციების განხორციელება (დაგეგმვა, პროგნოზირება, მოტივირება, გადაწყვეტილების მიღება, კონტროლი და სხვა). ამ ფუნქციების სისტემა ნებისმიერი მენეჯმენტის საქმიანობისთვის არის დამახასიათებელი, მიუხედავად მისი კონკრეტული ტიპისა, თუმცა მათი გამოხატვის ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს. ამიტომ, მენეჯმენტის ფუნქციების უცვლელი სისტემა მისი კიდევ ერთი მთავარი მახასიათებელია.

**REFERENCES:**


1. Carnall, A. Colin - Managing Change in Organizations, Prentice Hall International Ltd., UK,2009.
2. Cummings, T. G.., & Worley, C. G. Organization Development and Change. Cincinnati, OH:South-Western College Publishing 2001.
3. Davenport, T.H. “Reengineering: Business Change of Mythic Proportions?” MIS Quarterly, pp.121-127, (2014).
4. Hayes J., The Theory and Practice of Change Management. “Palgrave Macmillan “, 2008.

## PECULIARITIES OF MAKING CHANGES IN ORGANIZATIONS

**Gambashidze Tamar**,
Doctor of Economic Sciences,
Associate Professor
of Georgian Technical University,
t.gambashidze@gtu.ge;

**Khuchua Nino**,
Associate Professor of
Georgian Aviation University

**RESUME**

Organizational change refers to the actions in which a company or business alters a major component of its organization, such as its culture, the underlying technologies or infrastructure it uses to operate, or its internal processes. Organizational change management is the method of leveraging change to bring about a successful resolution, and it typically includes three major phases: Preparation, implementation, and follow-through. Organizational change is a broad term. Some change is sweeping: a substantial evolution in the direction of a company. Other shifts are less dramatic, focusing instead on a small aspect of a firm. It can be helpful to think of change as a spectrum. On one end, you will find an adaptive change, which speaks to those modest iterations. On the other hand, there's transformational change, in which vast change is pursued.

**Keywords:** Targeted Management Objectives Tree; Information flow; Constant monitoring; Planned changes.

# ციფრული მარკეტინგი და ბიზნესი

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-326**

**თამარ კილაძე,**
სტუ, პროფესორი.
t.kiladze@gtu.ge

**მანანა ქანთარია,**
სტუ სტუდენტი.

**რეზიუმე**

ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი ტრანფორმაციები გამოიწვია ეკონომიკურ საქმიანობაში. ერთ-ერთი ასეთი სფეროა მარკეტინგი, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს. ციფრული ეკონომიკის ძირითად ტენდენციას წარმოადგენს ინფორმაციის სიმრავლე. მარკეტინგში ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევების აქტივობების გამოყენება იძლევა მომხმარებლისაგან უკუკავშირის მიღების საშუალებას, ასევე ხელს უწყობს კომპანიის პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათი პროდუქციის პოპულარიზაციისას.

ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება მარკეტინგული საქმიანობის განვითარების თანამედროვე პირობებში ფირმებს საშუალებას აძლევს შეამციროს მარკეტინგული ხარჯები, გააფართოოს კლიენტების ბაზა, გაზარდოს სარეკლამო საქმიანობის ეფექტურობა და, რაც მთავარია, განახორციელოს სამიზნე აუდიტორიის მოძიება.

სტატიაში განხილულია ბიზნესის მიერ საქართველოში ციფრული მარკეტინგული საშუალებების გამოყენების პრობლემები. ახსნილია ციფრული მარკეტინგის არსი, გაანალიზებულია მისი განსხვავებები ინტერნეტ მარკეტინგისგან. განსაზღვრულია ციფრულ გარემოში მცირე და საშუალო საწარმოების მარკეტინგული საქმიანობის ამოცანები. სტატიაში მოცემულია

ციფრული მარკეტინგის განვითარების ძირითად ტენდენციები.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული მარკეტინგი, მცირე და საშუალო საწარმოები, ინტერნეტ მარკეტინგი, საინფორმაციო სფერო, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტები, ბაზრის ტენდენციები.

## შესავალი

საზოგადოების ყველა სფეროში ციფრული ტექნოლოგიების შეღწევამ გამოიწვია დიდი მოცულობის ინფორმაციის დაგროვება. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება იწვევს სულ უფრო მეტი ადამიანების ჩართულობას მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტში. უამრავი ახალი ინფორმაციის არსებობა, მათ შორის ეკონომიკურ სფეროში, მოითხოვს მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას. დიდი მონაცემების დამუშავება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ადვილადაა შესაძლებელი, ამიტომაც ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი მიმართულებაა: სტატისტიკის მიხედვით, მონაცემთა ჯამური რაოდენობა ყოველ 1-2 წელიწადში ორჯერ იზრდება.

## ძირითადი ნაწილი

მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის ფუნქციონირებაში, უპირველესად მათი მობილობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მომსახურების სექტორში, ამით ხელს უწყობენ მოსახლეობის დასაქმებას და უზრუნველყოფენ ცხოვრების დონის ზრდას. მცირე და საშუალო ბიზნესს წარმატებით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს დიდი ზომის კომპანიებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული კონკურენტუნარიანი უპირატესობები: მართვის აპარატის სიმარტივე, საბაზრო ქვეყნების ეკონომიკაში ისინი ბაზარს ავსებენ საჭირო საქონელითა და ცვალებად გარემოში სწრაფად ადაპტირების უნარით, ფინანსური მოქნილობით, თუმცა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შეზღუდული რესურსები აქვთ და ისინი ვერ მიიღებენ მნიშვნელოვან ეფექტს წარმოების მასშტაბიდან გა-

მომდინარე, ვერ გაუწევენ მნიშვნელოვან კონკურენციას მაზარზე მსხვილ მოთამაშეებს, რომლებიც ეძებენ მონოპოლიზებულ ბაზრებს. ასეთ პირობებში მცირე და საშუალო საწარმოები იძულებულნი არიან განახორციელონ მარკეტინგული პოლიტიკა, რაც საშუალებას აძლევთ მიიღონ მაქსიმალური კონკურენტუნარიანი უპირატესობა მინიმალური დანახარჯებით. ბოლო წლების განმავლობაში ციფრული მარკეტინგის სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო მცირე და საშუალო ბიზნესს ეფექტური მარკეტინგული პოლიტიკის განხორციელებაში.

ინტერნეტ Live Stats-ის მიხედვით, ადამიანების საშუალო რაოდენობა, ვინც Google-ს იყენებს ნებისმიერ დღეს არის 77,000. ეს ნიშნავს მინიმუმ 2 ტრილიონ ძიებას წელიწადში. საშუალო და მსხვილი ბიზნესების მხოლოდ 12-14 %-მა დაიწყო თავისი ბიზნეს პროცესების ხელახალი განსაზღვრა მანქანათმცოდნეობის და ციფრული მარკეტინგის კონტექსტში.[1]

ციფრული მარკეტინგი, რომელსაც ასევე უწოდებენ ინტერნეტ მარკეტინგს, მოიცავს ინტერაქტიული ვირტუალური სივრცის გამოყენებას პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციისა და გაყიდვის მიზნით.

ფირმაში ციფრული მარკეტინგი წარმოადგენს მარკეტინგული საქმიანობის მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც უზრუნველყოფს მათ შორის კავშირის არსებობას. ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით მარკეტინგული საქმიანობა ყოველთვის ემყარება საინფორმაციო სფეროში ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორც აუცილებელ კომპონენტს. ფირმების მარკეტინგული ტექნოლოგიები თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკურ გარემოში არსებობს ტრადიციული სარეკლამო მეთოდების და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მუდმივი განვითარებით.

მარკეტინგში ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევების აქტივობების გამოყენება იძლევა მომხმარებელისაგან უკუკავშირის

---

**1 Powerful Digital Marketing Statistics and Facts for 2022. საიტი: https://contentwritingjobs.com/blog/digital-marketing-statistics. გადამოწმებულია 08.02.2022.**

მიღების საშუალებას, ასევე ხელს უწყობს კომპანიის პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათი პროდუქციის პოპულარიზაციისას. მართლაც, დღეს ინტერნეტ მარკეტინგი განსაზღვრავს ბევრ ინსტრუმენტს, რომლებიც ეფექტურია ფირმების საქმიანობისთვის. მისი დახმარებით შესაძლებელია მნიშვნელოვნად გააუმჯობესდეს ეკონომიკური მაჩვენებლები, მაგალითად, გაიზარდოს გაყიდვების რაოდენობა, გაუმჯობესდეს სამიზნე აუდიტორიის, ანუ შესაბამისი პოტენციური მყიდველების ძიება.

ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება მარკეტინგული საქმიანობის განვითარების თანამედროვე პირობებში ფირმებს საშუალებას აძლევს შეამციროს მარკეტინგული ხარჯები, გააფართოოს კლიენტების ბაზა, გაზარდოს სარეკლამო საქმიანობის ეფექტურობა და, რაც მთავარია, განახორციელოს სამიზნე აუდიტორიის მოძიება. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა წარმართოს კომპანიის მარკეტინგული ძალისხმევა სწორი მიმართულებით, დაზოგოს დრო და რესურსები სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირებისათვის. მარკეტინგში ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების ბაზარი მუდმივად ვითარდება, ჩნდება ინოვაციური ინსტრუმენტები, სტრატეგიები და შესაძლებლობები.

ციფრული მარკეტინგი არის მარკეტინგის ინსტრუმენტი თანამედროვე კომპანიისთვის, ასევე ტექნოლოგიური მიღწევების ერთობლიობა საინფორმაციო სფეროში. ამ ბიზნეს პროცესის განხორციელება ინტერნეტ მარკეტინგის გამოყენებით საშუალებას აძლევთ ფირმებს ეფექტურად და უმოკლეს დროში შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია მონაცემთა ელექტრონულ წყაროებზე (საძიებო სისტემები, საინფორმაციო პორტალები, ოფიციალური ვებსაიტები). ანალიტიკური ბიზნეს პროცესების მართვისთვის ინტერნეტ მარკეტინგის გამოყენების უპირატესობაა საჭირო ინფორმაციის სწრაფი შეგროვება, მისი ანალიზის სიმარტივე და დაბალი ხარჯები.

## დასკვნა

ასე რომ, ციფრული მარკეტინგული გარემოს სწრაფი ტრანსფორმაცია თანამედროვე პირობებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მობილური და ინტერნეტ კონტენტთან მუშაობის მეთოდების რეგულარული დანერგვა, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის აღარ არის საკმარისი, აუცილებელია ინტერნეტ მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება წარმატების მისაღწევად მაღალ კონკურენტულ ბაზარზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Powerful Digital Marketing Statistics and Facts for 2022. https://contentwritingjobs.com/blog/digital-marketing-statistics;

2. ციფრული მარკეტინგი-გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო. თბ. 2018 წ;

3. ნ.თოდუა „ინტერნეტ-მარკეტინგი“. თსუ. თბ. 2018 წ;

4. Балабанов И. П. Интерактивный бизнес / Балабанов И П - СПб: Питер, 2017.

5.https://books.google.ge/books/about/Digital Migital Marketing for Dummies. Html?id=0 D&printsec=frontcover&source=kpre ad button&hl=en&redir esc=y#v=onepage&q&f=false;


## REFERENCES:


1. Powerful Digital Marketing Statistics and Facts for 2022. https://contentwritingjobs.com/blog/digital-marketing-statistics;

2. Digital marketing- the way from ownership up to successful business. USA agency for international development. Tbilisi. 2018;

3. N.Todua „Internet-marketing“.Tbilisi State University. Tbilisi. 2018;

3. Balabanov I.P. Interactive business / Balabanov I.P. - SPb: Piter, 2017.

4.https://books.google.ge/books/about/Digital Migital Marketing for Dummies. Html?id=0 D&printsec=frontcover&source=kpre ad button&hl=en&redir esc=y#v=onepage&q&f=false;

# DIGITAL MARKETING AND BUSINESS

**Tamar Kiladze,**
GTU, Professor,
t.kiladze@gtu.ge

**Manana Kantaria,**
GTU Student

## RESUME

Digital technologies have led to significant transformations in economic activity. One such area is marketing that is an important part of any business. The main trend in the digital economy is the abundance of information.

The application of Internet technological advancement activities in marketing gives the possibility to customer feedback as well as helps to raise awareness of the company's products while promoting their products. The application of Internet technological advances in the modern conditions of marketing activities allows firms to reduce marketing costs, to expand the customer base, to increase the effectiveness of advertising activities and, most importantly, to find the target audience.

In the article are considered the problems of implementation of digital marketing means by business in Georgia. There is explained the essence of digital marketing, is analyzed its singularities from internet marketing. Additionally, there are determined the tasks of marketing activity of small and medium enterprises in digital environment. In the article there are stated the basic tendencies of digital marketing development.

**Keywords:** digital marketing, small and medium business, internet marketing, information field, digital marketing tools, business tendencies.

# ორგანიზაციული კონფლიქტების მიზეზები

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-332**

**ვასილ კავაძე**
სტუ დოქტორანტი,
v.kavadze@outlook.com

**რეზიუმე**

სტატიაში გაშუქებულია ორგანიზაციული კონფლიქტების არსი და მათი მართვა ორგანიზაციათა მენეჯმენტში. განხილულია კონფლიქტების მიზეზები ორგანიზაციებში, ნაჩვენებია ადამიანის რეაქცია ორგანიზაციულ ცვლილებებზე. ხაზგასმულია მართვის დემოკრატიული სტილის გამოყენების მიზანშეწონილობა ორგანიზაციული ცვლილებისადმი პერსონალის წინააღმდეგობის შესამცირებლად. შესწავლილია კონფლიქტის განვითარების ფაზები.

**საკვანძო სიტყვები:** ორგანიზაციული კონფლიქტების მიზეზები, კონფლიქტების მართვა, კონფლიქტის განვითარების ფაზები.

## შესავალი

ტერმინი კონფლიქტი წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „conflictus“ („შეჯახება“). კონფლიქტი ეწოდება სიტუაციას, რომლის დროსაც ერთი მხარის (პიროვნების, ჯგუფის, კოლექტივის) ქცევა ეწინააღმდეგება მეორე მხარის ინტერესების რეალიზაციას, ახდენს საპასუხო რეაქციის პროვოცირებას. უთანხმოება ბლოკავს ერთ-ერთი მხარის მიერ მიზნის მიღწევას და, შესაბამისად, იგი ცდილობს ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს მისი გეგმების ჩაშლაში.

**ორგანიზაციული კონფლიქტების მიზეზები.**კონფლიქტების ეფექტიანი მართვისთვის უნდა ვიცოდეთ, როგორ წარმოიქმნება, მიმდინარეობს ისინი და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა. კონფლიქტების მიზეზები სამ ჯგუფად იყოფა.[1]

---

**1 Кибанов А. Я., Ворожейкин И. Е., Захаров Д. К., Коновалова В. Г.**

მიზეზთა პირველ ჯგუფს განეკუთვნება შრომითი პროცესის შინაარსი. ეს არის გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანის მიერ მისი ფუნქციების შესრულებას. მაგალითად, ორგანიზაციული შეუსაბამობები, რიტმის და მოქმედებათა თანმიმდევრულობის დარღვევა ტექნოლოგიურ ჯაჭვში. როცა ერთი მხარე მეორე მხარეს უწზილებს იმედებს საკუთარი მოვალეობების არადროული ან არაჯეროვანი შესრულების გამო, ადგილი აქვს შეფერხებებს მუშაობაში.

ამ ჯგუფის კონფლიქტებს იწვევს ამოცანათა ურთიერთდამოკიდებულება; შეზღუდული რესურსების დეფიციტი, არაეფექტიანი კომუნიკაციური პროცესი; მომუშავის როლის გაურკვევლობა, როცა მისთვის გაუგებარია მუშაობის აზრი, შინაარსი, ხერხები, მისი კავშირი ორგანიზაციის საქმიანობის სხვა სახეებთან. იმისათვის, რომ შესუსტდეს აღნიშნული მიზეზების უარყოფითი გავლენა, მნიშვნელოვანია მკაფიო ინსტრუქციები, ამოცანების ნათლად წარმოჩენა; საჭიროა შრომითი ოპერაციების შესრულების ოპტიმიზება, ინფორმაციის გაცვლის გზაზე ხარვეზების აღმოფხვრა.

მიზეზთა მეორე ჯგუფი წარმოდგენილია სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით. როგორც ცნობილია, ყოველ ადამიანს აქვს თავისი განმასხვავებელი თავისებურებები, რამაც შეიძლება გაართულოს ურთიერთქმედება გარშემომყოფებთან და გამოიწვიოს ურთიერთდამოკიდებულებათა გაუარესება. ეს ეხება ისეთ პიროვნულ ასპექტებს, როგორიცაა ტემპერამენტი, ხასიათი, აღქმა, მოლოდინები, დამოკიდებულება, ფასეულობები, პრინციპები, უნარები, მოთხოვნილებები, ინტერესები.

მოცემული ჯგუფის კონფლიქტები შეიძლება განპირობებული იყოს მხარეთა მოლოდინების განსხვავებებით ერთმანეთის ქცევასთან მიმართებით, ასევე პიროვნების ინტერესების შებღალვით სხვა ადამიანის არასამართლიანი, მიკერძოებული მოქმედებებით. ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენით ჩნდება სიძულვილი, ადამიანთა შეუთავსებლობა და, შესაბამისად, არ-

**Конфликтология [Текст]: учебник для вузов. 2-е изд., перераб. и доп. М. : ИНФРА-М, 2012. 302 с**

ასასურველი მიკროკლიმატი, მიუღებლობის ატმოსფერო.

მოცემული ჯგუფის მიზეზების ზემოქმედების ნიველირებისთვის აუცილებელია თვითაღზრდა, თვითგანათლება, საკუთარი თავის მიმართ თუ სხვა ადამიანებთან თავიანთი დამოკიდებულებების მართვა, ორგანიზაციული კულტურის დონის ამაღლება, ურთიერთგაგებისა და შემწყნარებლობისკენ სწრაფვა. შრომითი კოლექტივის ჩამოყალიბებისას მიზანშეწონილია მომუშავეთა სიმპათიებისა და ანტიპათიების გათვალისწინება, მათი აღმოჩენა სოციომეტრიული გამოკვლევების საფუძველზე.

მესამე ჯგუფის მიზეზებს მიეკუთვნება ცვლილებები ორგანიზაციის საქმიანობაში, ანუ ინოვაციური ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც მომუშავეს ზოგჯერ უჩნდება წინააღმდეგობა ნოვაციებისადმი და კონფლიქტი ორგანიზაციულ გარემოცვასთან. საწარმოებში ხდება სხვადასხვა სახის გარდაქმნები: სტრუქტურული, ფუნქციური, ტექნოლოგიური, საკადრო. რაც უფრო რადიკალური და სწრაფია ცვლილებები, მით უფრო ძლიერია გვერდითი ეფექტი ნეგატიური რეაქციის სახით (ნახ.1).

სპეციალისტების შეფასებებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ პერსონალის 20 % მხარს დაუჭერს ცვლილებებს, 60 % დაიცავს ნეიტრალიტეტს, ხოლო დანარჩენი 20 % პრინციპულად დაუპირისპირდება მას. მენეჯმენტის ერთ-ერთ ამოცანას გარდაქმნების მიმდინარეობისას წარმოადგენს ის, რომ უარყოფითად განწყობილ 20 %-ს არ მიეცეს ნეიტრალურ 60 %-ზე ზემოქმედების შესაძლებლობა და პირველი 20 % იქცეს ცვლილებების ლიდერებად.[1]

იმავდროულად, უნდა გვესმოდეს, რომ ცვლილებათა პროცესში ადამიანთა პოზიციები იცვლება. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია მენეჯერის მართვის სტილზე. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ავტორიტარული სტილი ამართლებს მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებისას, როცა საჭიროა წინააღმდე-

**1 Лукин Ю. Ф. Конфликтология: управление конфликтами [Текст]: учебник для вузов. М. : Трикста, 2007. 799 с.**




**ნახ. 1 ადამიანის რეაქცია ორგანიზაციულ ცვლილებაზე**

გობის უსწრაფესად აღმოფხვრა. უმეტეს შემთხვევაში, პრიორიტეტულია დემოკრატიული სტილი, როცა ცვლილებათა მოწინააღმდეგეების დაპირისპირება სუსტდება თავდაპირველი მოწინააღმდეგეების გადაბირების გზით.

კონფლიქტი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ოთხი სტადიისგან (ფაზისგან) შემდგარი განვითარებადი პროცესი.[1]

პირველი ფაზა არის კონფლიქტის დასაწყისი. ჩნდება ინციდენტი, წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაცია. ინციდენტი გახლავთ გარემოებათა დამთხვევა, რომელთა გამოც შესაძლებელი ხდება კონფლიქტის წარმოშობა. დაძაბული ურთიერთობების მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ასევე შემთხვევითი გადაჭარბებული ემოციების, უპატივცემლო მოპყრობის, აზრების არამკაფიოდ გამოხატვის, ცრუ დასკვნების გამო. სიტყვებს, მოქმედებებს, ასევე უმოქმედობას, რომლებიც შეიძლება კონფლიქტის გამომწვევი გახდეს, კონფლიქტოგენები ეწოდებათ.

მეორე ფაზაა კონფლიქტის ესკალაცია. ურთიერთობები მწვავდება, ხოლო წინააღმდეგობების დაგროვების კვალდაკვალ, ინციდენტი გადაიზრდება კონფლიქტში. ამასთან, კონფლიქტური სიტუაციის ყოველ მონაწილეს გააჩნია გარკვეული

**1 Дмитриев А. В. Конфликтология [Текст]: учебник для вузов. 3-е изд., перераб. и доп. М. : Альфа-М, 2012. 336 с**

რანგი. პირველი რანგის ოპონენტები გახლავთ ცალკეული პიროვნებები, მეორე რანგისა - სამუშაო ჯგუფები, მესამე რანგის - ორგანიზაციები, როგორც მეურნე სუბიექტები; უმაღლესი რანგი ეკუთვნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო სტრუქტურებს; თუკი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, პირობითად რომ ვთქვათ, საკუთარ თავთან დიალოგის გზით, იგი მიიჩნევა ნულოვანი რანგის ოპონენტად.

მესამე ფაზაა კონფლიქტის პიკი. შეინიშნება კონფლიქტის ესკალაცია, მხარეთა წინააღმდეგობის გაძლიერება, ურთიერთობათა კრიზისი. შეჯახება იმდენად შორს მიდის, რომ საქმის ინტერესები უკანა პლანზე იწევს, წინა პლანზე წამოიწევს პირადი ამბიციები; კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ყველა აზრი მიმართულია თვითმიზნად ქცეული ბრძოლისკენ; ადამიანები იმართება ემოციებით და არა გონებით. აღნიშნული სტადია, თავის მხრივ, შედგება ორი ნაწილისგან: პირველი, კონსტრუქციული (როცა ნარჩუნდება საერთო ენის მონახვის და ერთობლივი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა) და, მეორე, დესტრუქციული (როცა რყევები იღებს კონფრონტაციის ფორმას და ნებისმიერი სახით თანამშრომლობა შეუძლებელი ხდება).

მეოთხე სტადიაა კონფლიქტის დაღმასვლა. კონფლიქტი ქრება; ურთიერთობები ან გვარდება, ან საბოლოოდ წყდება. კონფლიქტის რაციონალური დასრულებისთვის მნიშვნელოვანია მისი ნამდვილი მიზეზის აღმოფხვრა და კონფლიქტის გახანგრძლივების დაუშვებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ღრმავდება და შედეგად მოაქვს არა მხოლოდ მორალური ზიანი ფსიქოლოგიური დისკომფორტის, აპათიის, ცუდი გუნება-განწყობილებისა და თვითშეგრძნების სახით, არამედ მატერიალური ზიანიც, ვინაიდან მცირდება შრომისუნარიანობა, ქვეითდება შრომის მწარმოებლურობა, იზრდება კადრების დენადობა.

## დასკვნა

კონფლიქტების მართვა - მენეჯმენტის ერთ-ერთი სპეციფიკური ფუნქციაა. კონფლიქტების ეფექტიანი მართვისთვის

მნიშვნელოვანია ორგანიზაციებში კონფლიქტების აღმოცენების მიზეზების (შრომითი პროცესის შინაარსი, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, ცვლილებები საქმიანობაში), კონფლიქტის განვითარების ფაზებისა (დასაწყისი, ესკალაცია, პიკი, დაღმასვლა) შესწავლა და გაანალიზება .

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კაპანაძე მ. - სტრესი და კონფლიქტები ორგანიზაციაში და მათი მართვის

სტრატეგიები, თბილისი. 2016;

2. Кибанов А. Я., Ворожейкин И. Е., Захаров Д. К., Коновалова В. Г. Конфликтология учебник для вузов. 2-е изд., перераб. и доп. М. : ИНФРА-М, 2012. 302 с

3. Лукин Ю. Ф. Конфликтология: управление конфликтами учебник для вузов. М. : Трикста, 2007. 799 с.

4. Дмитриев А. В. Конфликтология учебник для вузов. 3-е изд., перераб. и доп. М. : Альфа-М, 2012. 336 с

5. Shonk K. - 5 Conflict Resolution Strategies, 2018 ნHoban J. Thomas (2005), Managing conflict, a guide for watershed partnerships, Associate Professor, North Carolina State University, Retrieved November 15, 2006, 234


**REFERENCES:**


1. M. kapanadze - Stress and conflicts in the organization and their management

Strategies, Tbilisi. 2016;

2. Kibanov A. Ya., Vorozheikin I. E., Zakharov D. K., Konovalova V. G. Conflictology textbook for universities. 2nd ed., reprint. and additional M. : INFRA-M, 2012. 302 p.

3. Lukin Yu. F. Conflictology: conflict management textbook for universities. Moscow : Triksta, 2007. 799 p.

4. Dmitriev A.V. Conflictology textbook for universities. 3rd ed., reprint. and additional m. : Alfa-M, 2012. 336 p.

# CAUSES OF ORGANIZATIONAL CONFLICTS

**Vasil kavadze ,**
GTU PhD student,
v.kavadze@outlook.com

## RESUME

The article covers the essence of organizational conflicts and their causes in the management of organizations. The causes of conflicts in organizations are discussed in detail in the paper, also the human reaction to organizational changes is shown. The expediency of using a democratic management style to reduce staff resistance to organizational change is emphasized. Additionally, the phases of conflict development are studied.

**Key words:** causes of organizational conflicts, conflict management, phases of conflict development.

# ბიზნესთან დაკავშირებული რისკები და დასაქმებულთა შრომითი შემოსავალი პოსტ-კოვიდურ ეპოქაში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-339**

**მაია სირაძე**
სტუ დოქტორანტი
siradze.m@gtu.ge

**რეზიუმე**

ნაშრომი გვიქმნის ნათელ წარმოდგენას დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ და გვაძლევს საშუალებას მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გაკეთდეს დასკვნა: პანდემიას და მის თანმხლებ შეზღუდვებს გლობალურ და ეროვნულ დონეზე უარყოფითი გავლენა აქვს ბიზნესის თითქმის ყველა სფეროზე. ეკონომიკის ჩვეულ რიტმში დაბრუნება შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ავტომატურად არ მოხდება. ნეგატიური ასპექტების დაძლევა ამ წლის განმავლობაში თითქმის შეუძლებელიც არის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დახმარების გონივრული გამოყენება მიზნობრივ ჯგუფებზე და ეკონომიკური აღდგენის უზრუნველყოფა.ამ მიმართულებით განხილულია ბიზნესის ფუნქციონირების შემაფერხებელი ფაქტორები, კონკრეტულად რისკები, რომლებიც მეტნაკლებად ხელს უშლიან ბიზნესს გაფართოებაში, რისკის გამოვლენის,შეფასებისა და აღმოფხვრის საკითხები, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ, რათა მივიღოთ დადებითი შდეგები. ამრიგად დადგენილია, რომ ბიზნესის ფუნქციონირებისას ყოველთვის იარსებებს რისკები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ ბიზნესზე. ხშირია შემთხვევები, რომლებსაც სერიოზული ფინანსური ზიანი მოაქვთ ბიზნეს-საქმიანობაზე, ამიტომ ყურადღება გასამახვილებელია თითოეულ დეტალზეც კი.

**საკვანძო სიტყვები**:კოვიდი, პანდემია, სიღარიბის მაჩვენებელი, უმუშევრობა.

## შესავალი

კოვიდმა პანდემიის გავრცელებამ აიძულა მრავალი ბიზნესი დახურულიყო, რამაც გამოიწვია ვაჭრობის უპრეცედენტო შეფერხება ინდუსტრიის უმეტეს სექტორში. საცალო მოვაჭრეები და ბრენდები მრავალი მოკლევადიანი გამოწვევის წინაშე დგანან, როგორიცაა სამუშაო ძალა, ფულადი სახსრები, მომხმარებელთა მოთხოვნა, გაყიდვები მარკეტინგი. ბევრი ბაზარი, რომელიც ფუნქციონირებს ბიზნესის სფეროში, აღარ არსებობს. ყველა ორგანიზაციული ფუნქცია მიზნად ისახავს ხარჯების პრიორიტეტიზაციას და ოპტიმიზაციას ან ამოცანების გადადებას, რომლებიც არ მოიტანს ღირებულებას მიმდინარე გარემოში. კომპანიებმა, განსაკუთრებით დამწყებებმა, განახორციელეს თანამშრომლების გაყინვა განუსაზღვრელი ვადით.

შრომის ანაზღაურებაზე პანდემიის გავლენას ასახავს სტატისტიკური მონაცემები, თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის პირველ კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდა ფიქსირდება და 1202.7 ლარს შეადგენს. ხელფასის ამგვარი ზრდა გამოწვეულია დასაქმების სტრუქტურის გადაჯგუფებით, რაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების გამორიცხვის მეთოდს ემყარება. მსჯელობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ პანდემიის პირობებში დახურული ბიზნეს საქმიანობა და შესაბამისად ამ არეალში დასაქმებულთა ხელფასები აღარ ჩაითვალა სტატისტიკური მონაცემების დაანგარიშებაში. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის პირველი კვარტალი საქართველოში ის პერიოდია, რომელიც მოიცავს პანდემიამდელ და პანდემიის დასაწყის მონაკვეთებს, რითაც შესაძლოა ასევე განპირობებული იყოს ის ფაქტი, რომ წინა წლის მონაცემთან შედარებით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კლების ნაცვლად გაიზარდა. ამის შესაბამისად, პანდემიისა და მისი თანმხლები შეზღუდვების პარალელურად, 2020 წლის მე-2 კვარტლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი უკვე იკლებდა და 1150.1 ლარს შეადგენდა.

**დიაგრამა 1.**




***წყარო:*** *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ*

საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის პარალელურად, პანდემიური კრიზისი აისახა უმუშევრობის დონეზეც, რომელიც წინა წლებში სტაბილურად მცირდებოდა, 2020 წლის მე-3 კვარტალში კი 11.9%-ს მიაღწია. წინა წლის მე-3 კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით უმუშევრობის დონე 0.7 პპ-ით არის გაზრდილი, ხოლო 2020 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით 0.4 პპ-ით არის შემცირებული. მძიმე ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით გადაიდგა სხვადასხვა სახის ნაბიჯები, გაიცა მიზნობრივი სოციალური ყოველთვიური დახმარება 200 ლარის ოდენობით. გარდა აღნიშნული დახმარებისა, განხორციელდა დამსაქმებელთა სუბსიდირება 6 თვის განმავლობაში-750 ლარამდე ხელფასები სრულად გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან, ხოლო 1500 ლარამდე ხელფასები-750 ლარის ოდენობაზე. ინიციატივები არ შეხებიათ მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულებს. არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებმა და თვითდასაქმებულებმა მიიღეს ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარება. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მონაცემებით, სახელმწიფოს კომპენსაციების მისაღებად ბევრ დასაქმებულს შეექმნა პრობლემა, რადგან ახერხებდნენ დასაქმებულის სტატუსის დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები ყველა-

ზე მოწყვლადნი აღმოჩნდნენ სახელმწიფოს მხრიდან.

ზოგადად, კერძო სექტორისთვის რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს და ატარებს პერმანენტულ ხასიათს. იგი მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში. რისკების იდენტიფიცირება და შეფასება ხდება მაქსიმალურად ამომწურავად, რათა თავიდან იქნას აცილებული ბიზნესის მიზნების მიღწევაზე უარყოფითი გავლენის მქონე ფაქტორები, რისი ალბათობაც გაიზრდება არაიდენტიფიცირებული რისკების შემთვევაში, რომლებიც არ დაექვემდებარებიან რისკის მართვის პროცესს. რომ გავარკვიოთ კონკრეტულ სიტუაციაში რისკები რამდენი პროცენტით დააზარალებს ჩვენს ბიზნესს, აუცილებელია პირველ რიგში მათი შეფასება.

რისკი განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლების კომბინაციით:

1. ხდომილების ალბათობა, სადაც გასათვალისწინებელია შედეგის დადგომის სიხშირე. ხდომილების ალბათობის მიხედვით განისაზღვრება რისკის შემდეგი დონეები:

- მაღალი-დიდია როგორც მოლოდინი, ასევე შესაძლებლობაც, რომ კონკრეტული შედეგი დადგება;
- საშუალო-კონკრეტული შედეგი მოსალოდნელია რომ დადგეს, მაგრამ არ წარმოადგენს ბიზნესის სისტემურ პრობლემას;
- დაბალი-ნაკლებად სავარაუდოა კონკრეტული შედეგის დადგომა.

2. რისკის გავლენა არის კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში, რისკით მიღებული ეფექტი. გავლენა ითვალისწინებს ოთხ ელემენტს:

➢ დრო;
➢ ხარისხი;
➢ სარგებელი;
➢ ადამიანური და სხვა რესურსები

რისკების მართვის 3,0000-მდე ექსპერტი გამოიკითხა და იმ საშიშროებების ათეული გამოვლინდა, რომელთაც ლიდერე-

ბი უნდა უფრთხილდებოდნენ. პანდემიის შედეგების გავლენის მიუხედავად, ბიზნესისთვის რისკების ათეულს კვლავ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში პირველი ადგილის მფლობელი „ბიზნესის შეწყვეტის რისკი“ ლიდერობს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული კომპანიების 94% 2020 წელს მიწოდების ჯაჭვის პრობლემის გამწვავების ერთ-ერთ მიზეზად პანდემიას ასახელებს, რომელიც 40%-ით, 15 პუნქტით დაწინაურების შემდგომ ბიზნესის რისკების რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს. პასუხების 40%-იანი შედეგით რეიტინგის სამეულს კი კიბერთავდასხმები იკავებს. ორი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებლით, კიბერთავდასხმების ზარალმა ეკონომიკისთვის $1 ტრილიონს მიაღწია. პანდემიით გამოწვეული დიგიტალიზაციისკენ სწრაფვაც სულ უფრო მოწყვლადს ხდის ბიზნესებს კიბერშეტევების მიმართ. გლობალურად, 2020 წელს დაფიქსირებული -4,5%-იანი კლების შემდგომ, 2021 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის +4,4%-ით აღდგენაა ნავარაუდები. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, მსოფლიოს რეკორდული მოცულობის, $277-ტრილიონიანი ვალი დასჭირდება, რამაც პოტენციურად შესაძლოა გავლენა იქონიოს ეკონომიკური ზრდის პროექტებზე.

**ურთიერთდამოკიდებული „პანდემიური ტრიოს“ შემდგომ, ათეული ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 2):**

## დასკვნა

ამრიგად დადგინდა, რომ პანდემიას და მის თანმხლებ შეზღუდვებს გლობალურ და ეროვნულ დონეზე უარყოფითი გავლენა აქვს ბიზნესის თითქმის ყველა სფეროზე, რაც დავას ნამდვილად არ საჭიროებს. ეკონომიკის ჩვეულ რიტმში დაბრუნება შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ავტომატურად არ მოხდება. ნეგატიური ასპექტების დაძლევა ამ წლის განმავლობაში თითქმის შეუძლებელიც არის, თუმცა, მნიშვნელოვანია ზარალისა და პრობლემების შემსუბუქება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დახმარების გონივრული გამოყენება მიზნობრივ ჯგუფებზე და ეკონომიკური აღდგენის უზრუნველყოფა. შრო-

**დიაგრამა.2.**




***წყარო** : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შედგენილია ავტორის მიერ*

მის ანაზღაურების შემცირებითა თუ დაკარგვით დაზარალებული დასაქმებულებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საქართველოს მთავრობის მიერ გაწერილი სოციალური დახმარება მიმართული იყო დაუყოვნებელი ეკონომიკური და სოციალური შოკის დაძლევისკენ და ვერ ექნება მას მუდმივი ხასიათი.

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Government of Georgia, Report on the measures taken by the Government of Georgia against Covid-19, Tbilisi, 2020;

2. Georgian trade unions, Impact of Covid-19 on employment,, Tbilisi, 2020;

3. L. khikhadze , Georgian business regulation.,Tbilisi , 2019 ;

4. N. Shonia, N. Benidze, J. Bitsadze Risks and Insurance,Tbilisi, 2010;

5. https://forbes.ge/riskebi-romlebsats-biznesis-mphlobelebi-unda-uphrthkhildnen/

6. https://cutt.ly/1FjkSqb

7. https://forbes.ge/riskebi-romlebsats-biznesis-mphlobelebi-unda-uphrthkhildnen/

## BUSSINES-RELATED RISKS AND INCOME OF EMPLOYEES IN THE POST -PANDEMIC ERA

**Maia Siradze**,
PhD Student of GTU
siradze.m@gtu.ge

**RESUME**

Declared as the pandemic, COVID-19 is undoubtedly the biggest global challenge of 2020, affecting almost every area of human activity. The various restrictions or regulations imposed by states to prevent the spread of the virus have led to a number of negative economic consequences, including rising unemployment, rising poverty rates, the devaluation of the national currency, and so on. It is difficult to predict the future economic damage of the pandemic, however, it will inevitably have an impact on the labor market as well. In the first half of 2020, the ban on the production of goods or services as a result of the declaration of a state of emergency affected the economic activity of employers. As a result of restrictions on sales and trade, in addition to hired employees, the self-employed and the informally employed were also affected. Therefore, discussing the impact of the pandemic on the remuneration of employees in Georgia is undoubtedly relevant. It was thus found that the pandemic and its accompanying constraints have a negative impact on almost all areas of business at the global and national levels, requiring no dispute. The economy will not return to its normal rhythm once the restrictions are lifted. Overcoming the negative aspects is almost impossible during this year, however, it is important to alleviate the losses and problems. In this regard, it is important to use international assistance wisely to target groups and ensure economic recovery.

**Keywords:** COVID-19, Pandemic, Poverty Rate, Unemployment.

# ლიდერობის ბიბლიური გააზრების შესახებ

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-346**

**მერაბ მიქელაშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ პროფესორი,
m.mikelashvili@gtu.ge

**რეზიუმე**

ლიდერობის საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ არ არსებობს ლიდერობის ერთიანი გაგება და ტიპი, რომ სხვადასხვა დრო, პერიოდი, კულტურული და სოციალური კონტექსტი ითხოვს ლიდერის გარკვეულ ტიპს. სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ-იდეოლოგიურ კონტექსტს ან ისტორიულ პერიოდს შეუძლია დროებით მოახდინოს გარკვეული ტიპის ლიდერის აქტუალიზაცია და წინა პლანზე წამოაყენოს ლიდერის გარკვეული ტიპი, ამასთან ხაზი გაუსვას რაიმე ნიშანს მის იმიჯსა და ხასიათში, სხვა ნიშნის ხარჯზე. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ შეიძლება ეს აქცენტი სულაც არ იყოს სწორი და ლიდერის ეს ტიპი ერთადერთი შესაძლებელი.

ზოგიერთისთვის ლიდერობა არის გარკვეული წარმატება, რომელიც იზომება რაოდენობრივი და ხელშესახები მიღწევებით. სხვებისთვის ლიდერობა არის გარკვეული პრინციპების აღმოჩენა, რომლის მიხედვითაც მათ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას, რაღაც მნიშვნელოვანს ცხოვრებაში. სხვებისთვის ლიდერული წარმატება იმაში კი არ არის, რასაც მიაღწიეს, არამედ იმაში, თუ ვინ გახდნენ ცხოვრების გზაზე. ზოგიერთისთვის ცხოვრებისეული წარმატება და ლიდერობა ფასდება სხვების მიერ და სავარაუდოდ, სიკვდილის შემდეგ, რადგან მათ აღმოაჩინეს არა მხოლოდ ის, რისთვისაც ღირს ცხოვრება, არამედ ის, რისთვისაც შეიძლება მოკვდე და ამისთვის გაიღო ყველაზე ღირებული- სიცოცხლე, ისე, რომ არ იფიქრო წარმატებაზე და ლიდერობაზე. ლიდერობა ყოველთვის არ არის ის, რაც აღმოაჩინე

საკუთარ თავში, არამედ არის ის, რაც სხვებმა აღმოაჩინეს და აღიარეს შენში.

როდესაც საქმე ეხება ლიდერობას, განსხვავდება არა მხოლოდ განსაზღვრებები, თუ რა არის ლიდერი, არამედ ძირითადი საკითხები, რომლებიც აყალიბებენ ლიდერობის დეფინიციებს. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ბიზნესში და არა მხოლოდ ამ სფეროში, ლიდერობის საკვანძო საკითხი არის კითხვა, რომელიც ყოველთვის აწუხებდა ბევრს სხვადასხვა ლიდერებზე დაკვირვებისას: რატომაა, რომ ხშირ შემთხვევაში, ვისაც შეუძლიათ ხალხის ხელმძღვანელობა და ხალხი მზად არის, რომ გაჰყვეს ნებაყოფლობით, არ სურთ ლიდერობა, მაშინ როცა, ისინი, ვისაც აშკარად არა აქვთ სხვების ხელმძღვანელობის უნარი და ხალხი უხალისოდ მიჰყვება, ასე ვნებიანად რატომ ისწრაფვიან ლიდერობისკენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხშირად თამაშის წესების დარღვევითაც კი, მიაღწიონ შედეგს?

ლიდერობის ბიბლიური გააზრება, შეიძლება გახდეს ის გზამკვლევი, რომელიც ამ კითხვაზე პასუხის პოვნაში აუცილებლად დაგვეხმარება ზემოთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის ძიების გზაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბიბლიური ლიდერობა, ლიდერის აზროვნება, ლიდერის სიმბოლური ტიპები, ზნეობრივი ლიდერი

## ძირითადი ტექსტი

ბიბლიური ლიდერობა ყოველთვის ცდილობს უპასუხოს სამ კითხვას: ვინ, რა და როგორ. პირველი შეკითხვა ეხება არჩევანს, მეორე მისიას, მესამე კი დავალებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიბლიაში ლიდერების ისტორია უცვლელად არის დაკავშირებული ცოდვების გამოსყიდვის ისტორიასთან. ანუ ლიდერების არჩევა ყოველთვის განპირობებული იყო ღვთის სასუფეველთან მიახლოების მიზნით-ძველ აღთქმაში სასუფეველს ჰქონდა სამომავლო იმედის დატვირთვა, ხოლო ახალ აღქმაში მიდის მსჯელობა სასუფევლის შესახებ, რომელიც უკვე დამდგარია, ანუ აწმყოშია.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა იგავის

განხილვა -იოთამის **(ძველი აღთქმა მსაჯულნი, 9:8-15)** და ახალი აღქმის იგავი მთესავზე **(მათეს სახარება 13:1-23).** მათ შორისა არსებობს მსგავსება და განსხვავებბი. განსხვავებები იმაში მდგომარეობს, რომ იგავი მთესავსზე იწყება უნაყოფო ნიდაგით, ხოლო იგავი ხეებზე მთავრდება უნაყოფო კვრინჩხით. მსგვსება კი იმაშია, რომ როგორც იგავში მთესავსზე სხვადასხვა ნიადაგი, წარმოადგენს სხვადასხვა ადამიანების ტიპებს, ასევე იოტამის იგავში სხვადასხვა ხეები არის სხვადასხვა ტიპის ლიდერების სიმბოლოები, რომელთა არჩევასაც ხალხის გარკვეული ნაწილი უჭერს მხარს.

მანამ, სანამ დავაკონკრეტებთ, თუ რომელი ტიპის ლიდერს წარმოადგენს თითოეული ხე, გავიხსენოთ იგავის არსი:

**„8. გადაწყვიტეს ერთხელ ხეებმა, მეფე აერჩიათ. უთხრეს ზეთისხილს: გახდი ჩვენი მეფე.**

**9. ზეთისხილმა უთხრა: დავთმო სიმსუყე, ჩემში რომ არის, ღმერთთაგან და კაცთაგან პატივდებული, და ხეებს გადავყვე?**

**10. უთხრეს ხეებმა ლეღვს: მოდი, შენ იმეფე ჩვენზე.**

**11.ლეღვმა უთხრა: დავთმო ჩემი სიტკბო, ჩემი კარგი ნაყოფი და ხეებს გადავყვე?**

**12. უთხრეს ხეებმა ვაზს: მოდი, შენ იმეფე ჩვენზე.**

**13. ვაზმა უთხრა: დავთმო ჩემი წვენი, ღმერთთათვის და კაცთათვის შვების მომგვრელი, და ხეებს გადავყვე?**

**14. ბოლოს უთხრა ყველა ხემ კვრინჩხს: მოდი, შენ იმეფე ჩვენზე.**

**15. უთხრა კვრინჩხმა ხეებს: თუ მართლა გინდათ თქვენი მეფე გავხდე, ჩემს ჩრდილს შემოეფარეთ. არადა, ამოვარდება კვრინჩხიდან ცეცხლი და შთანთქავს ლიბანის ნაძვებს.“**

თუ სხვა ხეებმა უარი თქვეს ლიდერობაზე, რადგან მათ თავისი ნაყოფით უკვე მოიტანეს გარკვეული სარგებელი, უნაყოფო და უსარგებლო ეკალი - კვრინჩხი, დათანხმდა და დაიწყო დაპირება და მუქარა იმით, რაც არ ჰქონდა. ჩნდება ლოგიკური კითხვა: რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ყველაფერი? ნაყოფიერი ხეების სახეები, როგორიცაა ზეთისხილი, ლეღვის ხე და ვაზი, ფართოდ გამოიყენება ბიბლიურ ტრადიციაში.


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

სამივე ხე, ან მათი ნაყოფი გვხვდება დაბადების პირველ თერთმეტ წიგნში. მაგალითად ადამისა და ევას პირველი სამოსი ლეღვის ფოთლებისგან გაკეთდა **(დაბადება 3:7)**, წარღვნის შემდეგ მტრედს ნოესთან ახალი ზეთისხილის ნედლი რტო მიაქვს **(დაბადება 8:11)**, ხოლო კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ დაიწყო ნოემ მიწისმუშაკობა და გააშენა ვენახი.**(დაბადება 9:20)**. წინასწარმეტყველურ ტრადიციაში და იესოს სწავლებებში ეს სახეები ასევე წარმოდგენილია და განასახიერებს ხალხის ნაყოფიერების ან უნაყოფობის სიმბოლოს **(ოსია წინასწარმეტყველი 14:6-7; აბაკუმ წინასწარმეტყველი 3:17; მათეს სახარება 21:19; იოანეს სახარება 15:1-13).**

ბუნებრივია ჩნდება კითხვა - რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ლიდერობის ტიპებთან?

უძველესი დროიდან აღმოსავლეთში, როდესაც ბრძენკაცები და სწავლულები ირჩევდნენ ხალხის მეფეს / ლიდერს, ისინი ყოველთვის ეძებდნენ მათ შორის ყველაზე ღირსეულს, ადამიანს, რომელსაც შეეძლო პირად და თავის უშუალო გარემოცვის ინტერესებზე მაღლა დადგომა და მიზნებით ხელმძღვანელობა, რომლებიც ემსახურებოდა საერთო კეთილდღეობას.

იმის მიხედვით, თუ რას განასახიერებდნენ იმ დროს იგავში მოტანილი ხეები, ჩვენ მივიღებთ ლიდერის გარკვეულ ტიპს, ერთადერთი შენიშვნით, რომ სიმბოლიზმიც და ტიპოლოგიაც პირობითია.

**ზეთისხილის ხის** გამოსახულება, ყოველთვის იყო სიკეთის, კეთილშობილების და სიბრძნის სიმბოლო. შემთხვევითი არ არის, რომ მისი ზეთი მეფეებისა და მღვდლების საცხებლად გამოიყენებოდა, რაც მათი ბრძნული მმართველობისა და მსახურების სიმბოლო და იმედი იყო. მას გამოჯანმრთელებისა და განსაკურნებლად სცხებდნენ ავადმყოფებსაც. რაბინების აზრით, ზეთისხილი განასახიერებს დიდსულოვან, კეთილი ნების და პატივცემულ ადამიანებს. ზეთისხილი ამ შემთხვევაში წარმოადგენს წარჩინებულ ადამიანს, ლიდერის ტიპს, რომელსაც ძალაუფლება ეკუთვნის. ესენი არიან ისინი, ვინც აცნობიერებენ თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას და სტატუსს არა

როგორც პრივილეგიას ან უპირატესობას სხვებზე, არამედ როგორც პასუხისმგებლობასა და სოციალურ მისიას. მათთვის ძალაუფლება არის არა საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალება, არამედ პასუხისმგებლობის ტვირთი იმ მისიაზე, რომელსაც მათი სტატუსი და პოზიცია აკისრებს. ისინი არიან კეთილშობილი, შეგნებული, პასუხისმგებელიანი, კულტურული, განათლებული, პატივსაცემი და გამორჩეული ადამიანები. ახლა გასაგებია, რატომ მიმართავენ ხეები პირველ რიგში სწორედ ზეთისხილის ხეს წინადადებით. ბრძენ ადამიანებს ყოველთვის სურთ თავიანთ ლიდერად იხილონ კეთილშობილი, გამორჩეული და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი. მაგრამ ზეთისხილმა უარი თქვა - კეთილშობილმა ადამიანებმა რატომღაც უარი თქვეს პასუხისმგებლობის ტვირთზე.

**ლეღვის ხის** გამოსახულება რაღაც სასიამოვნო სიმბოლოა, რომელიც ტკბობასთანაა დაკავშირებული, მაგალითად, ლეღვის ნაყოფს, ლეღვს, ადამიანსთვის სასიამოვნო, ტკბილი გემო მოაქვს, ლეღვის ხისადმი გამეფების შეთავაზება სხვა არაფერია, თუ არა ხალხის სურვილი, აირჩიონ ისეთი ლიდერი, რომელიც მათთვის სასიამოვნო იქნება; ლიდერი, რომელიც გაამართლებს მათ მოლოდინებს და სურვილებს; ლიდერი, რომელიც იმის ნაცვლად, რომ იყოს მათთვის პასუხისმგებლობისა და მსახურების მაგალითი და მათაც ამისკენ მოუწოდოს, უბრალოდ დაამშვიდებს ადამიანებს და დააშოშმინებს მათ; არ ეტყვის მათ, რისკენ უნდა ისწრაფოდნენ, პირველ რიგში საკუთარი თავის გარდაქმნის გზით, არამედ ესაუბრება იმაზე, თუ როგორ მიიღონ მაქსიმალური სიამოვნება იმისგან, რაც არის, ან როგორ შეუძლიათ მიიღონ ცხოვრებისგან სიამოვნება და ტკბობა. **(ეზეკიელ წინასწარმეტყველი 33:30-33)**.მათ, ვინც ლეღვის ხეს ძალაუფლებას სთავაზობს, სურთ, ლიდერად დაინახონ ის, ვინც სასარგებლო იქნება მათთვის საკუთარი სურვილის აღსასრულებლად თანამედროვე თვალსაზრისით, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მდიდრები თავად ირჩევენ იმას, ვინც ხელს შეუწყობს მათ კიდევ უფრო მეტ გამდიდრებას. მაგრამ ლეღვმაც უარი თქვა შეთავაზებაზე. სასიამოვნო და ტკბილმა წინამძღოლმაც უარი თქვა ლიდერობაზე.

**ვაზის გამოსახულება** სასარგებლოს სიმბოლოა. როგორც სასარგებლოს სიმბოლო, ვაზი წარმოადგენს ყველასთვის რაღაც საშუალოს სამაგალითოსა და ეფექტურს შორის და სასიამოვნოს ზოგიერთისთვის, ამ შემთხვევაში მდიდრებისთვის.

ამგვარად, სთავაზობენ რა ვაზს მეფობას, ხეებს სურთ თავიანთი წრიდან აირჩიონ ვინმე, ვინც მცოდნე და ეფექტურია სახელმწიფო და ადმინისტრაციულ საქმეებში, ვინც იზრუნებს საერთო კეთილდღეობაზე ან უმრავლესობის სიკეთეზე. ვაზი განასახიერებს ლიდერის ტიპს, რომელიც შეეცდება შექმნას საზოგადოება, სადაც სამართლიანობა მიიღწევა არა მხოლოდ მდიდრებისთვის ან ძლევამოსილებისთვის, არამედ ღარიბებისთვის და სოციალურად დაუცველებისთვის. ეს არის ლიდერი, რომლის უნარი და ძალისხმევა მიმართული იქნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთო რესურსები განაწილდეს საერთო სიკეთისთვის და არ გახდეს ეკონომიკური ექსპლუატაციის და სოციალური მანიპულაციის ინსტრუმენტი ან საშუალება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ხელში. ის შეეცდება ბედნიერების მომტანი იყოს ადამიანთა დიდ ჯგუფისთვის და მისი ლიდერობის შედეგი იქნება ბევრი ადამიანისთვის მოტანილი სარგებელი. ის არ იქნება მაღალი სულისკვეთების ლიდერი (ზეთისხილის ხის გამოსახულება), არც ლიდერი, რომელიც სასარგებლო იქნება მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის, რომელმაც აირჩია იგი მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად (ლეღვის ხის გამოსახულება), მაგრამ იქნება საქმიანი და პრაქტიკული ადამიანი, რომლის მსახურებაც უმრავლესობის საკეთილდღეოდ არის მიმართული. მაგრამ ამ იგავში ეს წინამძღოლიც (ვაზის გამოსახულება) უარს ამბობს იყოს ხალხისთვის სასარგებლო.

**კვრინჩხი-ეკლის ბუჩქის** გამოსახულება არის რაღაც უსარგებლოს, ველურის, აღვირახსნილობის სიმბოლო **(მეორე მეფეთა 23:6).** ყველა წინა ხისგან-ზეთისხილის, ლეღვისა და ვაზისგან განსხვავებით, რომელთაგან, თითოეული გარკვეულწილად სასარგებლოა, ეკალი არანაირ ნაყოფს არ იძლევა და საერთოდ გაუგებარია, როგორ შეიძლება იყოს ის სასარგებლო.

იგავის ტექსტიდან პირდაპირ არ ჩანს, თუმცა კვრინჩხს - ეკ-

ალს ირჩევენ არა ხალხის რჩეულები-კეთილშობილები და დიდგვაროვნები, არამედ უბრალო ხალხი. მას შემდეგ, რაც პირველებმა შეწყვიტეს მეფის ძებნა, უბრალო ხალხმა გადაწყვიტა თავის წინამძღოლად მოეძებნათ ადამიანი, რომლის ერთადერთი უპირატესობა იქნებოდა მკვლელობისადმი მიდრეკილება და შუბისა და ისრის ფლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვრინჩხი - ეკალი იმიტომ აირჩიეს, რომ მას უპირატესობას არ ანიჭებდნენ განსაკუთრებით რჩეულები.ლიდერი, რომელსაც განასახიერებს კვრინჩხი - ეკალი, ნაცვლად იმისა, რომ ისაუბროს თავის ღირსებებზე და სარგებლიანობაზე, როგორც ეს იყო წინა ხეების შემთხვევაში, რომლებსაც შეეძლოთ ესაუბრათ საკუთარ კეთილსინდისიერებასა და სარგებლიანობაზე, ცარიელ დაპირებებს იძლევა და თან ემუქრება მათ, ვინც არ დაიჯერებს ამ ცარიელ დაპირებებს.

მან არც კეთილშობილება იცის, არც სარგებლიანობა და არც პროფესიონალიზმი. მისთვის ძალაუფლება არა მსახურება, არამედ ძალადობა და დაშინებაა. ის სიამოვნებით ეთანხმება მმართველობის შეთავაზებას, რადგან მას თავიდანვე გაუკუღმართებული წარმოდგენა აქვს ძალაუფლების შესახებ. ძალაუფლება, მისი გაგებით, არ არის პასუხისმგებლობის ტვირთი, არამედ უპასუხისმგებლო და აღვირახსნილი მმართველობა, ტირანიაა. მისთვის ძალაუფლება მმართველობაა, რომელიც არ აშენებს და არ ქმნის, არამედ მოაქვს ნგრევა და ქაოსი. ვინაიდან ეკალმა უარი არ თქვა, ეს იგავი არის წინასწარმეტყველური გაფრთხილება სწორედ ამ ტიპის ლიდერობის წინააღმდეგ - ლიდერობის, რომელიც არ არის გავლენიანი ან პასუხისმგებელიანი, მაგრამ არის დომინანტური.

რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ზემოთ მოტანილი მიზეზების გამო კარგები უარს ამბობენ შეთავაზებულ ლიდერობაზე? მაშინ სცენაზე გამოდის „აბიმელექი“, რომელსაც ლიდერობა ესმის არა როგორც მსახურება, პასუხისმგებლობა, მისია, ღმერთის დავალება, არამედ როგორც ბატონობა, მდგომარეობა, სხვების მართვა საკუთარი სარგებლის მისაღებად. როდესაც კეთილშობილი, სასარგებლო და საქმიანები უარს ამბობენ

საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობისა და მისიის აღებაზე ან სხვადასხვა მიზეზის გამო, საკუთარი წრიდან ვერ არჩევენ ღირსეულ ადამიანს, ავანსცენაზე ჩნდებიან „შემსრულებლე-ბი“, რომლებსაც ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი იციან. მხოლოდ მათ ზურგს უკან არაფერი აქვთ და არავინ არ დგას. ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეუძლიათ სხვების გაძღოლა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ სხვა არ-აფერის გაკეთება არ შეუძლიათ. და ზუსტად იმის გამო, რომ ისინი სხვა ვერაფერს აკეთებენ და არასოდეს არც ერთი ვალ-დებულება არ შეუსრულებიათ, ასეთი ადამიანები ცარიელ და-პირებებს იძლევიან. ისინი მარტივად იძლევიან დავალებებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერ წარმოუდგენიათ რომ დაპირე-ბებს შესრულება უნდა. ისინი თვლიან, რომ დაპირებები იმიტომ უნდა გასცენ, რომ სხვებს მოეწონოთ. მათი დამოკიდებულება სხვების, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვისაც განსხვავებული ხედვა და აზროვნება აქვთ, ძალიან მარტივია - გზიდან ჩამოშო-რება, რათა ხელი არ შეუშალონ ნათელი მომავლის დანახვაში. მათ აქვთ მარტივი ინსტრუმენტი მათთვის, ვინც არ ეთანხმება და ეს არავითარ შემთხვევაში არ არის დიალოგი ან არგუმენტის ძალა, ეს არის მუქარა და ძალაუფლების არგუმენტი. პარადოქ-სულია, მაგრამ ადამიანები ზოგჯერ მიზიდულნი არიან ამ ტიპის ლიდერებისკენ, მოსწონთ რა ე.წ. „ძლიერი ხელი“ ამ ტიპის ლი-დერებს ძალიან თანაუგრძნობს ბრბო და მათი გული ადვილად იხრება ასეთი სტილისკენ. მაგრამ ძალიან მცირე ხნის შემდეგ, იგივე ბრბო ან ხალხი, კვნესის და წუწუნებს ასეთი ლიდერობის სიმძიმის ქვეშ და ოცნებობს მისი მმართველობიდან სწრაფ გან-თავისუფლებაზე.

## დასკვნა

ლიდერობა იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ იყო კარ-გი, პასუხისმგებლიანი და სასარგებლო იმაში, რაშიც თქვენ კარგი და სასარგებლო ხართ.სინამდვილეში, ლიდერობა არის გამბედაობა, რომ აიღოთ „პასუხისმგებლობის ტვირთი“ არა მხოლოდ იმაზე, რასაც თქვენ აკეთებთ, არამედ იმის გამოც,

რასაც სხვები აკეთებენ. ეს არ არის მხოლოდ უნარი და გამბედაობა, გადადგა სწორი და საჭირო ნაბიჯი სწორ დროს, არამედ არის გამბედაობა, ვიცხოვროთ ამ გადაწყვეტილების შედეგებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შედეგები არ არის ის, რასაც ველოდით ან ვწინასწარმეტყველებდით.

იოთამის იგავი, კლასიკური იგავია ლიდერობის შესახებ, რადგან ის, ჩემი აზრით, არ პასუხობს, არამედ აყალიბებს საკვანძო კითხვას ლიდერობის შესახებ: რატომ ამბობენ უარს კარგები ან ვერ არჩევენ თავიანთი წრიდან ღირსეულ ადამიანს ? იგავის გზავნილის სიღრმე ორმხრივია და მიმართულია კეთილი ადამიანებსკენ: ერთის მხრივ, ის უსვამს წინასწარმეტყველურ კითხვას ყველას, ვისაც შეუძლია რაიმე სარგებლის მოტანა, ვინც უკვე იპოვა თავისი ნიშა ცხოვრებაში და პასუხისმგებლობით იკავებს მას, არის თუ არა ეს მათი შესაძლებლობის ზღვარი და აყენებს მათ გამოწვევის წინაშე, იფიქრონ უფრო დიდზე, უფრო საპასუხისმგებლოზე. მეორეს მხრივ, ეს იგავი არის წინასწარმეტყველური გაფრთხილება მათთვის, ვინც ვერ გადაწყვიტა და უარი თქვა ეფიქრა და ეოცნება უფრო დიდზე. იგავი აფრთხილებს მათ, რომ თუ ისინი არ გაბედავენ, მაშინ გაბედავენ ისინი, ვისი გამბედაობაც დამღუპველია და ვისი ამბიციები და სურვილები გაუკულმართებულია. ასეთების მმართველობის შემდეგ კარგ, კეთილსინდისიერ, კეთილშობილ და წესიერ ადამიანებს კვლავ მოუწევთ ნანგრევების აღდგენა. ასე რომ, იქნებ სჯობს თავიდანვე არ თქვა უარი, განსაკუთრებით მაშინ, თუ შენი მომავალი მენეჯერობასთანაა დაკავშირებული.

## გამოყენებული ლიტერატურა :

1. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/msajulni/msajulni-9.htm

2. https://bookap.info/psyanaliz/noymann_glubinnaya_psihologiya_i_novaya_etika/gl8.shtm

3. Диармайд Маккалох, Христианство. Три тысячи лет, М. Издательство Эксмо, 2018 г.

4. Азимов А.Путеводитель по Библии. Ветхий Завет, М.Издательство Центрполиграф, 2016

5. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=category&id=45&layout=blog&Itemid=65&lang=ka

**REFERENCES:**

1. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/msajulni/msajulni-9.htm

2. https://bookap.info/psyanaliz/noymann_glubinnaya_psihologiya_i_novaya_etika/gl8.shtm

3. Diarmaid McCulloch, Christianity. Three thousand years, M. Eksmo Publishing House, 2018

4. Azimov A.A guide to the Bible. The Old Testament, M. Publishing House Tsentrpoligraf, 2016

5.http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=category&id=45&layout=blog&Itemid=65&lang=ka

## BIBLICAL RETHINKING OF LEADERSHIP

**Merab Mikelashvili,**
Academic Doctor of Economics,
Professor of GTU,
m.mikelashvili@gtu.ge

### RESUME

Studying leadership shows, that there's no one distinct definition or type of a leader and that every period, social and cultural context demands different types of leaders. The social-political and religious-ideologic contexts, or hystoric periods can actualize a certain type of a leader and highlight some characteristics of it. Though, we should know, that this mustn't be the only type of a leader.

For some people, being a leader means being successful, and suc-

cess is defined by quantitative, tangible achievements. For others, being a leader is a consequence of discovering some principles and achieving success, something important in life. For some, who they become is more important than what they achieve regarding leadership. There are people who assess success and being a leader is valued by others and mostly after death - because they have discovered something not to live, but to die for and live without thinking about success and leadership, which is not something you saw in yourself but what others saw in you.

When talking about leadership, all the definitions and characteristics of being a leader are very different. Supposedly, in business and not only, there's one question that arises while observing leaders: why is it that mostly people, who can lead others and whom people follow voluntarily don't want to be a leader, - and those who don't have ability to lead and whom people follow aversely, are so passionate about being a leader that they often break the laws of the play? Biblical rethinking of leadership might become a guide on the road of answering that question.

**Keywords:** biblical leadership, leader thinking, symbolic types of a leader, moral leader.

# ადამიანური რესურსების ინოვაციური მენეჯმენტი საქართველოს საჯარო სკოლებში

DOI - 10.36962/ecs105/3/2022-357

**მურად ფახურიძე**
სტუ დოქტორანტი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
muradpakhuridze@gmail.com

**რეზიუმე**

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, სკოლისადმი წაყენებული თანამედროვე მოთხოვნები საჭიროებს მის მუდმივ რეფორმას და რესტრუქტურიზაციას, ასევე, მნიშვნელოვანია მენეჯმენტის როლის განსაზღვრა ამ მიმართულებით.

ვინაიდან სკოლის მართვის მიზნები, ამოცანები და შინაარსი განისაზღვრება საზოგადოების ობიექტური საჭიროებებითა და მოთხოვნილებებით, აუცილებელია მათი შესწავლა საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება სკოლის წინაშე მუდმივი მზარდი გამოწვევების და შესაბამისად, მასში ორგანიზებული სასწავლო პროცესის მართვის ფონზე. დღეისათვის საქართველოს საჯარო სკოლების ადამიანური რესურსების მენეჯმენტი საჭიროებს მიზნისკენ სავალი მეთოდებისადმი დამოკიდებულების შეცვლას, მისი ორგანიზაციის ტრადიციული ფორმებიდან გადახვევას, სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის ცვლილებას და სტრუქტურის რესტრუქტურიზაციას.

საქართველოს საჯარო სკოლებში ადამიანური რესურსის სერტიფიცირება და კვალიფიკაციის ამაღლება ითხოვს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას სკოლის ადმინისტრაციის მართვის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების პრობლემის არასაკმარისმა თეორიულმა დამუშავებამ და მენეჯმენტის პრაქტიკაში ინოვაციების დანერგვის აუცილებლობამ, საჭირო გახადა საქართველოს საჯარო სკოლებში დაინერგოს ადამიანური კაპიტალის მართვის თანამეროვე ტენდენცია „ინოვაციები თანამედროვე სკოლის მენეჯმენტში“.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაცია, სერტიფიცირება, სტრუქტურა, მეთოდიკა, რესტრუქტურიზაცია.

## ძირითადი ტექსტი

განათლების ორიენტაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, მსოფლიო თანამეგობრობაში შესვლისკენ სწრაფვა, მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ინტერესებისკენ, საჭიროებს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცვალებადობას, მის ტექნოლოგიურ ეფექტურობას და ინდივიდუალიზაციას/მოდერნიზებას.

ამჟამად, სკოლების ხელმძღვანელების მზარდი რაოდენობა ჩართულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების ძიების და დანერგვის პროცესში, განათლების ხედვაზე დაფუძნებულ აქტივობებში, როგორც სოციალურ-კულტურული გარემოს განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს გზაზე, რომელიც ქმნის ახალ შინაარსს, მეთოდებს, ფორმებს. ადამიანური რესურსის მენეჯმენტის პროცესის ორგანიზება და მათზე ადეკვატური მართვის სისტემები, რაც ხელს უწყობს ოპტიმალური შედეგების მიღწევას. თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიზანია: განათლების შინაარსის, მეთოდებისა და განათლების ორგანიზაციული ფორმების განახლების პრობლემების გადაჭრა; მოსწავლის პიროვნების განვითარების უზრუნველსაყოფად გზების შემუშავება და ტესტირება, მისი თვითგანვითარების, თვითგამორკვევისა და თვითგანათლების შესაძლებლობები.

ამ საკითხის გადაწყვეტისას პრიორიტეტია სკოლებში ადამიანური კაპიტალის რესტრუქტურიზაცია, რაც, ბუნებრივია,

იწვევს ცვლილებებს მენეჯმენტის შინაარსში, ფორმებსა და მეთოდებში.

განვითარების რეჟიმში მყოფი თანამედროვე სკოლებისთვის დამახასიათებელი თვისებაა ინოვაციური პროცესები, რომლებიც წარმოადგენს „მრავალფუნქციურ კომპლექსურ პროცესებს შექმნის, განვითარების, გამოყენებისა და გავრცელებისთვის.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციის არსის გამოვლენა მოითხოვს კონცეპტუალური და ტერმინოლოგიური თვისებების გარკვევას; კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ცნებები: **"ინოვაცია", "ნოვაცია", "სიახლე", "სიახლის დანერგვა", "ინოვაციური საქმიანობა", "ინოვაციური პროცესი"**. ეს ცნებები ფორმირების პროცესშია და საჭიროა მათი გარკვევა, რათა ერთი და იგივე ცნება არ იყოს გამოყენებული სხვადასხვა მნიშვნელობით და არ შეიცვალოს ერთმანეთით.

ინოვაციების პროცესი, როგორც თანამედროვე სკოლის თვითგანვითარების ფაქტორი, ინოვაციის კონცეფცია გამჟღავნებულია სხვადასხვა მკვლევრის მიერ მსგავსი ტერმინებით, როგორიცაა „ინოვაცია", „სიახლე", „რაღაც ახალი". ბევრი ავტორი მოქმედებს „ინოვაციის" კონცეფციით, თუმცა მის ინტერპრეტაციაში გარკვეული განსხვავებები ჩანს. ასე, მაგალითად, **ე.მ. როჯერსი** თვლის, რომ ინოვაცია არის იდეა, რომელიც ახალია მასწავლებლებისთვის და არ აქვს მნიშვნელობა ეს იდეა ობიექტურად ახალია თუ არა.

ბევრ პუბლიკაციაში, ამა თუ იმ გზით, საუბრობენ ინოვაციის პრობლემაზე, "ინოვაციის" კონცეფცია დაკავშირებულია რაღაცის ცვლილებასთან. თუმცა, როგორც ავტორები აღნიშნავენ, აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ცნებები „ინოვაცია" და „ცვლილება". ინოვაციის ცნება, როგორც ის გამოიყენება სკოლებსა და სწავლებაში, ხშირად სინონიმია (იდენტურია) „ცვლილების" ცნებისა. თუმცა, არასწორი იქნება ყოველი ცვლილება ინოვაციად მივიჩნიოთ. ეს უნდა მოიცავდეს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესებას,

სრულყოფას. ყოველ ჯერზე ინოვაცია ადგენს ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს, ამიტომ, ინოვაცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ცვლილება, რომელსაც შემოაქვს რაღაც ახალი, უზრუნველყოფს გაუმჯობესებას ან სრულყოფას.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ახალი არის არა მხოლოდ იდეები, მიდგომები, მეთოდები, ტექნოლოგიები, რომლებიც წარმოდგენილი სახითაა ასეთ კომბინაციებში, არამედ ეს არის ელემენტების კომპლექსი ან ადამიანური კაპიტალის პროცესის ცალკეული ელემენტები, რომლებიც ატარებენ პროგრესულ საწყისს. ეს თავისთავად საშუალებას იძლევა ცვალებად პირობებსა და სიტუაციებში საკმაოდ ეფექტურად (ყოველ შემთხვევაში უფრო ეფექტურად, ვიდრე ადრე) გადაჭრას ადამიანური რესურსების განვითარების პრობლემები.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას **„ინოვაციის“** და **„სიახლის“** ცნებების გარჩევის აუცილებლობის შესახებ. ასე რომ, ეს ცნებები არ არის ადეკვატური და რამდენიმე მნიშვნელობას ანიჭებს ცნებას **“ინოვაცია”**, გათვალისწინებით იმისა, რომ ეს არის:

1) ახალი შინაარსისა და სწავლების ახალი მეთოდების შემუშავება;

2) უკვე არსებული ადამიანური რესურსის მართვის სისტემების დანერგვა და გავრცელება;

3) სკოლის მართვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, მისი განვითარება/დანერგვა;

4) სკოლის, როგორც ექსპერიმენტული ადგილის სტატუსი;

5) სიტუაცია, როდესაც სკოლას აქვს ფუნდამენტურად ახალი საგანმანათლებლო ორიენტაცია და ახლდება განათლებისა და აღზრდის შინაარსი;

6) ინოვაციების გამოყენების მასშტაბის შემცირების ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია მის შეცვლასთან ახალი პროდუქტით.

შემოთავაზებულ განმარტებებში მიკვლეულია **„ინოვაციის“** ცნების არსის ინტერპრეტაციის სხვადასხვა საფუძველი. მარე-

გულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს ინოვაციურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც დაწესებულებებს, რომლებიც შეიმუშავებენ და ახორციელებენ მთლიანად პროგრამას ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციური განვითარების დონეზე.

ყოველივე ამის გამო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ხდება ადამიანური რესურსის მართვის მოდელის შექმნა, რომელიც შეესაბამება სკოლის მოდელს. მენეჯმენტში ინოვაციების დანერგვა, რასაკვირველია, უნდა განხორციელდეს მისი მთლიანი განვითარების კონცეპტუალური მოდელის შესაბამისად და იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირებისა და განვითარების ეფექტურობას.

## დასკვნა

ამრიგად, ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვა - განვითარება ქვეყნის საჯარო სკოლებისთვის, მისი ადამიანური რესურსის მართვის და ინტელექტუალური აღმავლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ინოვაციური მენეჯმენტის პოპულარიზაციის საქმეში აქტიურად უნდა ჩაებას როგორც სკოლების ხელმძღვანელობა, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო თუ სამოქალაქო სექტორი და ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით სავსე დამოკიდებულებით. ყველა ხელმძღვანელმა პირმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მასზე დაქვემდებარებულ სკოლებში სიახლეების დანერგვა. ერთფეროვნება იწვევს სტაგნაციას, საბჭოური პერიოდის მენეჯმენტი ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

ასევე პედაგოგებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა მოუწოდონ ახალგაზრდებს ინოვაციებისადმი და შეეცადონ კარგად გაარკვიონ ისინი ინოვაციების არსში. უნდა გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია რომელიმე ჩვენგანის ერთმა იდეამ საფუძველი ჩაუყაროს ახალი თანამედროვე ინოვაციური სკოლის ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოში იქნება ბიძგი ახალი მართვის ტენდენციის, რომელიც შეიძლება ძალიან მარტივად

გავრცელდეს ქვეყნის სხვადასხვა სკოლებში, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს იმას, რომ ქართული საჯარო სკოლები გადავლენ კადრების მართვის ახალ ინოვაციურ მოდელზე, რომელიც კარგდაა აპრობირებული განვითარებულ ქვეყნებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბრალავა ა. გვაჯაია ლ. ქუთათელაძე რ. - საინოვაციო მენეჯმენტი.

2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრიება.

3. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ალან ჯაჯი. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. მე-11 გამოცემა.

4. Kotler P. Marketing Management Analysis, Planing Implementation, and control, prentice hall International Hemel Hempstead, 1997.

**REFERENCES:**

1. Abralava A. Gvajaia L. Kutateladze R. - Innovation management.

2. Baratashvili E., Takalandze L., Abralava A. Management and administration.

3. Stephen P. Robbins, Timothy Alan Judge. Fundamentals of Organizational Behavior. 11th edition.

4. Kotler P. Marketing Management Analysis, Planing Implementation, and control, prentice hall International Hemel Hempstead, 1997.

# INNOVATIVE HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN GEORGIAN PUBLIC SCHOOLS

**Murad Pakhuridze**
Doctoral student of Georgian Technical University
Invited Lecturer of Georgian State Teaching
University of Physical Education and Sport
muradpakhuridze@gmail.com

**RESUME**

At the current stage of development of human resource management, the modern requirements for the school need to be constantly reformed and restructured, and it is also important to define the role of management in this area. Since the goals, objectives and content of school management are determined by the objective needs and requirements of the society, it is necessary to study them taking into account the current trends in the development of the educational institution. This is especially true in the face of the ever-increasing challenges facing the school and, consequently, the management of the learning process organized in it. Today, the human resource management of Georgian public schools needs to change its attitude towards goal-oriented methods, deviate from the traditional forms of its organization, change the subject-object relationship, and restructure the structure. Certification and upgrading of human resources in Georgian public schools requires significant changes in the practical activities of school administration. Insufficient theoretical elaboration of the problem of innovations in human resource management and the necessity of introducing innovations in management practice, made it necessary to introduce a modern trend of human capital management in modern public schools “Innovations in Modern School Management”.

**Keywords:** Innovation, certification, structure, methodology, restructuring.

# ორგანიზაციის წარმატების მიღწევაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების მართვა

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-364**

**საბა ბურჯალიანი,**
სტუ დოქტორანტი,
saba_burjaliani@yahoo.com

## რეზიუმე

სტატიაში საუბარია იმის შესახებ, რომ თუ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსები სწორად იმართება, მაშინ, ეს ორგანიზაცია წარმატებული იქნება. ეს ფუნქცია ორგანიზაციაში პერსონალის მართვის სამსახურს ევალება. ხაზგასმულია, რომ საქართველოს ორგანიზაციებში პერსონალის მართვის სამსახურები მეტად სუსტია. იქ, ძირითადად, არაპროფესიონალები მუშაობენ, რადგანაც პერსონალის მენეჯერების დიდი დეფიციტია საქართველოში. სტატიაში განხილულია პერსონალის მენეჯერის ოთხი სტილი - დირექტიული, დარწმუნებითი, მონაწილეობითი, დელეგირების - და მენეჯერებს მიცემული აქვთ რჩევა თუ როდის, რა სიტუაციაში გამოიყენონ ისინი. ჩამოთვლილია ის პირობებიც, რომლებსაც თითოეული მათგანი უნდა დაეფუძნოს. საინტერესოა მოსაზრება-პერსონალის მენეჯერმა უნდა ირწმუნოს, რომ დასაქმებულებს ორგანიზაციის წარმატებისთვის ძალიან ბევრი კარგის გაკეთება შეუძლიათ. საჭიროა მხოლოდ მათი პირადი ინტერესების პატივისცემა და მათ მიერ გაკეთებული საქმის დაფასება.

**საკვანძო სიტყვები:** წარმატებაზე ორიენტაცია; ადამიანური რესურსების მართვა; პერსონალის მენეჯერი; დასაქმებულთა ინტერესი.

## შესავალი

ცნობილია, რომ კომპანიების საქმიანობაში ადამიანურ რესურსებს განსაკუთრებული როლი უკავიათ. მ. არმსტრონგმა მას

ორგანიზაციის ძირითადი რესურსი უწოდა [Armstong&Taylor, 2014:4]. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლები ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნისთვის. ასეთი ქვეყანაა საქართველო. თავის დროზე ასეთი იყო სინგაპურიც, რომელიც დღეს, ე. წ. „აზიის ვეფხვების" სათავეში დგას და ყველაზე მოწინავეა აზიის ქვეყნებს შორის. მაშინაც და ახლაც, სინგაპური მხოლოდ ადამიანებზე, მათ პროდუქტულობაზე იყო დამოკიდებული [Singapure Productivity Centre, 2015]. პროდუქტულობა კი ადამიანებში მაშინ იზრდება, როდესაც მათ ზრდა-განვითარებაზე მეტი ინვესტიცია იხარჯება. ეს ინვესტიცია უნდა მოხმარდეს სწორ განათლებას, ადამიანებისთვის ცოდნის გადაცემას და მათში შემოქმედებითი უნარის (ნიჭის) გამოვლენას, ანუ საბოლოო ჯამში, ადამიანისეული კაპიტალის შექნას.

## ძირითადი ტექსტი

ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციაში სამ დონეზე ხორციელდება. ეს დონეებია [გოროშიძე, 2015:10]:

1. პროცესების დონე (კომუნიკაცია, მოტივაცია, კონფლიქტები, კონტროლი, მართვის ოპტიმიზება);
2. ადამიანის დონე (ინდივიდის უნარი, თვისებები, ინტერესები);
3. ორგანიზაციის დონე (ორგანიზაციის ინტერესები);

მეცნიერები ამ ჩამონათვალიდან სხვადასხვა დონეს აძლევენ უპირატესობას, თუმცა, ყველა მათგანის გამოყენებას საჭიროდ თვლიან. ასევეა პრაქტიკაშიც. ზოგიერთი კომპანია პირველ დონეზე ფუკუსირდება, ზოგი მეორეზე და ა. შ. ყველა შემთხვევაში, მართვის რომელ დონესაც არ უნდა ეძლეოდეს უპირატესობა, ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს პერსონალის მართვის ქვედანაყოფი. ამ სტრუქტურას მოეთხოვება ისეთი კადრით დააკომპლექტოს ორგანიზაცია და დასაქმებული პერსონალი შრომის პროცესში ისე მართოს, რომ ისინი მაქსიმალურად იყვნენ ორგანიზაციის წარმატებაზე ორიენტირებულნი. ამასთან, ორიენტაცია იყოს მყარი, სტაბილური და ხანგრძლივი, საკმარისი არ არის მხოლოდ დასაქმებულების ყოველდღიური შრომის პროცესში ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭიროა

ყველა ორგანიზაციაში ხორციელდებოდეს ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად პერსონალი ის რესურსია, რომლის შრომის უნარზე და საქმისადმი თავდადებაზეა დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატება. ამიტომ საჭიროა, დასაქმებულებს კომპეტენტურ ადამიანთა გუნდი ხელმძღვანელობდეს. საზღვარგარეთ მიღებულია, რომ პერსონალის მართვის სამსახურში საერთო დასაქმებულთა 1-2% მუშაობდეს [Весенин, 2015:71]. ასეთ დროს საქართველოს ორგანიზაციების პერსონალის მართვის სამსახურები, ანუ ე. წ. კადრების განყოფილებები 2-3 კაცით არიან დაკომპლექტებული და ხშირად, ისინიც, არასპეციალისტები არიან. ამის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ ზოგად მენეჯერებს და არა ვიწრო სპეციალიზაციის მენეჯერებს, როგორიცაა პერსონალის მენეჯერი, სტრატეგიული მენეჯერი, ინოვაციების მენეჯერი და სხვა.

საზღვარგარეთ მსხვილ კომპანიებში პერსონალის მართვის ქვედანაყოფებში 15-მდე ბლოკებია შექმნილი (პერსონალის მოძრაობის აღრიცხვის, შრომის დაცვის, პერსონალის გადანაწილების, პერსონალის განვითარების, პერსონალის სტრატეგიის შემუშავების, პერსონალის სოციალური მომსახურების, პერსონალის მართვის სრულყოფის და სხვა). ასეთ დიფერენციაციას სათანადო რაოდენობის სპეციალისტები სჭირდება. ამიტომ მსხვილ კომპანიებში არა საერთო დასაქმებულთა 1-2%, არამედ 10%-იც კი მუშაობს. აშშ-ში ყოველ 150 დასაქმებულზე კადრების 10 მუშაკი მოდის, საფრანგეთში - 130 დასაქმებულზე - 1, იაპონიაში - 40 დასაქმებულზე - ერთი [Весенин, 2015:71].

დასაქმებულთა მართვის ეფექტიანობა პერსონლის მმართველი გუნდის ცოდნასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. პერსონალის მენეჯერი თავის ფუნქციებს წარმატებით ასრულებს იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულებზე ზემოქმედების მეთოდების ცოდნის გარდა, გააჩნია მათი ეფექტიანი გამოყენების ნიჭი. ამაში გადამწყვეტ როლს მისი ფორმალური და არაფორმალური ავტორიტეტი თამაშობს. ცნობილია, რომ ადამიანები პიროვნულ იმიჯს მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდ-


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

რე პროფესიულს. პიროვნული ავტორიტეტის მქონე მენეჯერის დავალებებს დასაქმებულები სიამოვნებით და სიყვარულით ასრულებენ. მათი ეს საქციელი კომპანიის წარმატებას მყარ საფუძველს უქმნის. აქედან კეთდება დასკვნა. უპირველესად საჭიროა პიროვნული იმიჯის გაუმჯობესება [ჯოლია, 2016:78].

მენეჯერის ხელმძღვანელობა დაქვემდებარებულებზე მის სტილში ვლინდება. ძირითადად გავრცელებულია მეცნიერების - ხერსის და ბლანშარის მიერ შემუშავებული დასაქმებულთა მართვის ოთხი სტილი [Дафт, 2008:587]:

1. დირექტიული სტილი (ასახავს მეტ ყურადღებას ორგანიზაციაზე, ნაკლებს დასაქ-მებულებზე);

2. დარწმუნებითი სტილი (ასახავს ერთდროულად მაღალ ყურადღებას ადამიანებზეც და ორგანიზაციაზეც);

3. მონაწილეობის სტილი (ასახავს ადამიანების მიმართ მაღალ, ხოლო ორგანიზაციის მიმართ დაბალ ყურადღებას);

4. უფლებამისლებათა განაწილების სტილი (ასახავს მაღალ ყურადღებას გამორ-ჩეულად განათლებულ სპეციალისტების მიმართ).

დასაქმებულთა მართვის ჩამოთვლილი სტილები პირდაპირ კარნახობენ პერსონალის მენეჯერებს როდის, რომელი სტილი გამოიყენონ. თუ მათ კომპანიაში დასაქმებულების განათლების დონე დაბალია, მაშინ, გამოადგებათ მხოლოდ დირექტიული სტილი, თუ ზომიერია - დარწნუნებითი სტილი, თუ მაღალი - მონაწილეობის სტილი, ხოლო თუ ძალიან მაღალი, მაშინ - დელეგირების სტილი.

ნებისმიერი ამ სტილის გამოყენებას თან უნდა ახლდეს სამი პირობა, რომელთა არსებობის გარეშე არცერთი სტილი წარმატების მიღწევაზე დასაქმებულთა ფოკუსირებას ვერ მოახდენს. ეს პირობებია [მართვის ახალი გეომეტრია], 2012:103-104]:

• თანამშრომლებს ყოველთვის და თანაც, ძალიან სურთ რომ ხელმძღვანელებმა აღიარონ მათი განუსაზღვრელი შესაძლებლობები, და, ამის გამო, მათ პატივს სცემდნენ;

• თანამშრომლებს სურთ, რომ მათ პირად ინტერესებს ისეთივე პატივი სცენ და ანგარიში გაუწიონ, როგორც ამას ითხოვენ

მათგან ორგანიზაციის ინტერესებისთვის;

• თანამშრომლებს სურთ და ითხოვენ ხელმძღვანელებისგან მათ მიერ თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ, გულით და მონდომებით გაკეთებული საქმის დანახვას, გამორჩევას და დაფასებას.

მაშასადამე, პერსონალის მენეჯერებმა უნდა ირწმუნონ, რომ დასაქმებულებს ორგანიზაციის წარმატებისთვის ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ. საჭიროა მათი პირადი ინტერესების პატივისცემა, გაკეთებული საქმის დაფასება, რაც მისცემს საშუალებას კიდევ უფრო უკეთ გამოიყენონ დასაქმებულები წარმატებისთვის და დასაქმებულ;ებიც კმაყოფილი დარჩნენ.

ქართველი მენეჯერები ხშირად აღნიშნავენ, რომ ჰყავთ მუდამ უკმაყოფილო კადრები, რომ მათი გულის მოგება, დაინტერესება, მოტივირება თითქმის შეუძლებელია [მართვის ახალი გეომეტრია, 2012:59]. და როგორ უნდა მოექცნენ ასეთ თანამშრომლებს, რომ ისინი შემოაბრუნონ ორგანიზაციისკენ. ასეთი კადრების მართვის მეთოდი ალბათ რამდენიმეა, მაგრამ, ჩვენ მხარს ვუჭერთ შემდეგ სამს:

1. გაეზარდოთ მათ პასუხიმსგებლობა, ანუ დაეკისროთ ისეთი მოვალეობები, რომლებიც მათ კომპეტენციის ზღვარზე გაიყვანს. ეს მათ გაუძლიერებთ სურვილს გაამართლონ ნდობა და შეინარჩუნონ ახალი სტატუსი.

2. გადაწყვეტილებების მიღებისას მენეჯერებმა მათაც ჰკითხონ აზრი. ეს მათ დაანახვებს პასუხისმგებლობის სიმძიმეს და უფრო მეტად დაფიქრებულნი და მოტივირებული გახდებიან.

3. მენეჯერები მაქსიმალურად დაუახლოვდნენ მათ, ხშირად შეახსენონ მოვალეობები, იკითხონ, ხომ არ სჭირდებათ დახმარება. "დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს კომპანიებში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, დასაქმებულთა მართვაში ასეთი მიდგომები არ შეინიშნება. - წერს ქართველი მეცნიერი ნ. ერიაშვილი, - შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ჯერ არ შექმნილა პერსონალის მენეჯმენტის ცივილიზებული სისტემა..." [ერიაშვილი, სტოლიარენკო, 2014:288].

## დასკვნა

საქართველოს კომპანიებში პერსონალის მართვა ძირითადად ხდება ტრადიციული მეთოდებით. პერსონალის მენეჯერებად ძირითადად ინიშნებიან არასპეციალისტები, რადგანაც პერსონალის პროფესიონალ მენეჯერებზე დიდი დეფიციტია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მენეჯმენტის მიმართულებით ვიწრო სპეციალიზაციები არ არსებობს. ამის შედეგია ის, რომ არასპეციალისტების მიერ მართული დასაქმებული ადამიანების ნიჭი და უნარი არ არის სრულად გახსნილი ცალკეული კომპანიების და მთლიანად ქვეყნის წარმატებისთვის გამოყენებული. საჭიროა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყოს ვიწრო სპეციალობებით სწავლება, მ. შ. პერსონალის მენეჯმენტი- სპეციალიზაციით კადრების მომზადება.

## გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES:


1. Armstrong M. & Taylor S. (2014). Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice, Kogan Page.

2. Singapore Productivity Centre (2015). WGY Improve Lbour Productivity in Your Company. Singapure, Retrieved from https://www.smeportal.sg/content/smeportal/en/bizguides/ qualityand_standards/2015/ why-improve-labour-productivity-in-your-company.html.

3. გოროშიძე გ. ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი ფორმირება (Goroshidze G. Effective formation of human resources management) GESJ: Education Science and Psychology, 2015, pp. 10-18.

4. ჯოლია გ. მოლაპარაკების ხელოვნება, (Jolia G. The art of Negotiation) თბ., 2016.

5. Дафт Р. Менеджмент.2008. (Daft R. Management. 2008.)

6. მართვის ახალი გეომეტრია. სინერჯი-ჯგუფის კრებული (New geometry of management. Synergy Group Collection.) თბ., 2012.

7. ერიაშვილი ნ., სტოლიარენკო ვ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია, თბ., 2014. ( Eriashvili N. Stoliarenko V. The Psycology of Management, Tb. 2014.).

# THE MANAGEMENT OF HUMAN RESOURCES FOCUSED ON THE SUCCESS OF THE ORGANIZATION

**Saba Burjaliani,**
Doctoral Student of GTU,
saba_burjaliani@yahoo.com

## RESUME

In the article: "The management of human resources focused on the success of the organization" - is an example that if the human resources in the organization are properly managed, then the organization will be successful. This function is assigned to the personnel management service in the organization. The article emphasizes that personnel management services in Georgian organizations are very weak. Mostly non-professionals work there, as there is a large shortage of staff managers in Georgia. The author considers that such specialization doesn't exist in Georgian higher education institutions.

The article discusses the four styles of personnel manager-directive, persuasive, participatory, delegating, and gives managers advice on when, in what situations, to use them. It also lists the conditions on which each of them must be based. The author concludes that personnel managers need to believe that employees can do a lot of good for the success of the organization. All they need to do is respect their personal interests and appreciate the work they do.

**Keywords:** Orientation on success; management of human resources; Personnel Manager; Employee interest.

# სამედიცინო ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-371**

**რუსუდან ბულბულაშვილი**
სტუ დოქტორანტი,

**თამარ როსტიაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
t.rostiashvili@gtu.ge

## რეზიუმე

განხილულია სამედიცინო ორგანიზაციის მოღვაწეობის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს სამედიცინო დახმარების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ავტორები თვლიან, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ ხარისხსა და ახალ მიზანზე ორიენტირებული და დაგეგმილი სამუშაოების მონიტორინგის შემთხვევაში. ავტორთა აზრით, ეს იძლევა ორგანიზაციის მუდმივი სრულყოფის საშუალებას. ავტორები თვლიან, რომ სამედიცინო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და სამედიცინო დახმარების სტრატეგიების მიმართ სამედიცინო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ზრდადი ინტერესის მიუხედავად, თვითშეფასებისთვის არსებული კრიტერიუმების ინტერპრეტაცია შესაძლოა გართულებული და ზოგჯერ გაუგებარიც კი იყოს. ავტორების აზრით, ჯანდაცვაში ზოგჯერ არაადეკვატურად არის გამოყენებული ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა მომხმარებელთან ურთიერთობის სისტემა, პროცესული მიდგომა, დაინტერესებული მხარეები, სოციალური პასუხისმგებლობა, ინფორმაციული უსაფრთხოება და ა. შ. ახალი მმართველობითი ტექნოლოგიების ასამუშავებლად საჭიროა მმართველებისა და პერსონალის მიერ ხარისხის ფილოსოფიის მიღება და გაზიარება.

**საკვანძო სიტყვები:** მართვის ფილოსოფია, ეფექტიანობა, შეფასების მეთოდები.

## ძირითადი ტექსტი

სამედიცინო ორგანიზაციის მართვის ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია მისი გადაჭრის ერთიანი გზებისა და მეთოდების არარსებობით. ს.ლონჯენეკერის[1] აზრით, მართვის ეფექტიანობა ყალიბდება ბევრი პარამეტრის მიხედვით, მათ შორის სტრატეგიული მიზნების ასრულების, ორგანიზაციის გეგმებში მოყვანილი სასრული შედეგების რეალიზების, ძირითადი მასალის ეფექტურად გამოყენების, კაპიტალდაბანდების და სხვათა გათვალისწინებით. ამავდროულად სხვა ავტორები მართვის ეფექტურობას განიხილავენ, როგორც ეკონომიკური ეფექტის რეალიზებული მმართველობითი გადაწყვეტილებებით დაკომპლექტებას. მართვის ეფექტიანობის ასეთი გაგება კი მოითხოვს შეფასების მოდელების უნიფიცირების გზების დამატებით შემუშავებას.

**მენეჯმენტის ხარისხის შეფასება ვატსონის მეთოდიკით**. სამედიცინო ორგანიზაციის ხარისხის შეფასების კონტექსტში შესაძლოა გამოყენებული იყოს მეთოდიკები, რომლებიც ეფუძნება „ეტალონურ" შეფასებას. სწორედ ამ პრინციპებზეა დაფუძნებული საქმიანი სრულყოფილებისა და ორგანიზაციის მენეჯმენტის ფუნქციონირების შეფასების დ.მასლოუს, პ.ვატსონისა და ნ.ჩილიშის ერთ-ერთი მოდელი. მოცემული სამედიცინო ორგანიზაციის მართვის მეთოდიკის გამოყენებით შესაძლებელია ძირითადი სამმართველო ფუნქციების რეალიზება, რომლებიც გულისხმობენ საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვას, ლიდერობას, სამმართველო კონტროლს, აგრეთვე კოორდინაციისა და კომუნიკაციის ფუნქციებს.

მოცემული მეთოდიკის გამოყენების შედეგად 2011 და 2017 წლებში ჩატარდა მმართველობითი გუნდის ანკეტირება. ანკეტები შედგენილია ზემოხსენებული მეთოდის ავტორების მიერ და ადაპტირებულია სამედიცინო ორგანიზაციის სპეციფიკასთან შესაბამისობაში.

---

**1 Longenecker, C. O. Why managers fail in post-Soviet countries: causes and lessons // C. O. Longenecker // Eur. Business Review. – 2001. – Vol. 13, N 2. [29; 152-168]**

**დიაგრამა 1. დიაგნოსტიკური ცენტრის კომუნიკაციური პროფილი 2011-2017 წწ. კვლევის შედეგების მიხედვით**




შეფასების შედეგების უკეთ აღსაქმელად, ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა პენტაგრამა, რომელზეც ასახულია კვლევის ძირითადი მაჩვენებლები მოდელის ყველა საკვლევი კრიტერიუმის მიხედვით. ამასთანავე, ხელმძღვანელთა შეფასების წარმოდგენით, არსებობს პრობლემები მენეჯმენტის ძირითად ფუნქციებთან, დაგეგმვასთან, კონტროლთან, მოტივაციასა და კოორდინაციასთან დაკავშირებით. ეს შედეგები გვიჩვენებს მიმართულებას მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად, რომლის მიხედვითაც საჭიროა პირველადი გაუმჯობესების ჩატარება. ყველა მიმართულებისათვის, რომელსაც ესაჭიროება მაკორექტირებელი ქმედებები, შემუშავებულია გაუმჯობესების პროგრამები.

ზემოხსენებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ქვემო ქართლის უმსხვილეს, ქალაქ რუსთავის საკვლევ დიაგნოსტიკურ ცენტრში შემუშავებულია დაგეგმავის ახალი სისტემა, რომელიც გულისხმობს საქმიანობის ეფექტურობის ძირითად

მაჩვენებლებს ორგანიზაციული იერარქიის ყველა დონეზე. საფუძვლად აღებულია ნორტონისა და კაპლანის[1] მეთოდიკა, რომელიც ცნობილია „მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემის“ (**BSC** – Balanced ScoreCard) სახელწოდებით. შემუშავებულია ორგანიზაციის ეფექტურობის ძირითადი ჯამური მაჩვენებლები პოსტების მიხედვით და ცალკეული საქმიანობის ყველა მიმართულებით, სადაც საჭიროა მაკორექტირებელი ქმედებები, შემუშავებულია გაუმჯობესების პროგრამა. ყოველივე ამან მოგვცა საშუალება, მიგვეღო მართვის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაჩინო შედეგი მენეჯმენტის საბაზისო ფუნქციების რეალიზების სფეროში, რასაც ამტკიცებს 2017 წლის განმეორებადი კვლევის შედეგები. გამოყენებული მიდგომა იძლევა საშუალებას, გამოვყოთ ცენტრის საქმიანობის მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც საჭირო იყო პირველადი გაუმჯობესების განხორციელება და პარალელურად იმის გათვალისწინება, რომ საქმიანობის ერთერთი ნაწილი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სხვაზე მართვის ციკლის ეტაპებისა და მენჯმენტის ფუნქციების უშუალო კავშირის გამო.

**მენეჯმენტის ხარისხის შეფასება ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარების გზით**. დიაგნოსტიკურ ცენტრში შესრულებულ კვლევას და შედეგების ეტაპობრივ ამუშავებას, როგორც წესი, თან ახლავს აუდიტი. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001-ის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების პროცესში მუშავდება დამატებითი კითხვარები ISO 14001 სტანდარტით მოთხოვნილი ეკოლოგიური უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და პროფესიული უსაფრთხოების OHSAS 18001 სტანდარტით მოთხოვნილი და სოციალურ ასპექტების SA 8000 სტანდარტით მოთხოვნილი წესების აღსრულების შესახებ. ამასთანავე, შემუშავების ეტაპზე ყალიბდება მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ინდიკატორებიც.

---

**1 Kaplan, R. Balanced scorecard: translating strategy into action / R. Kaplan, D. Norton. – Boston: Harvard Business School Press, 1996. [31; 42-59]**

საწყისს ეტაპზე აუცილებელია, ჩამოყალიბება იმასთან დაკავშირებით, თუ შიდა აუდიტის რა სახის ტექნოლოგიას ვირჩევთ. არსებობს აუდიტის რეალიზაციის ორი ვარიანტი: პირველი მოიცავს ყველა ლოკალური ქვესისტემის სრულ აუდიტს ერთდროულად (საჭიროებს ხანგრძლივ მომზადებას), ქვეპუნქტებიანი, კომპლექსური კითხვარების შედგენას. მეორე ვარიანტი კი, რომელიც რეალიზდება ეტაპობრივად და მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის ამუშავების პარალელურად იძლევა დამატებითი აუდიტების ჩატარების საშუალებას, ჩვენი აზრით, სამედიცინო ორგანიზაციისთვის უფრო უპრიანია.

ISO 19011-2003 სტანდარტი აყალიბებს შიდა აუდიტის შინაარსს, როგორც პროცესს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საკვლევი განყოფილებების საქმიანობის ობიექტურ მონაცემთა მიღება. აუდიტი რეალიზდება სისტემურობის საფუძველზე და არის დოკუმენტირებული და დამოუკიდებელი. შიდა აუდიტი, პირველ რიგში, საჭიროა მმართველობაში არსებული შეუსაბამობებისა და ძირითადი რისკების აღმოსაფხვრელად, რომელთა რეალიცაზიამ შეიძლება უარყოფითი კვალი დაატყოს ორგანიზაციას. საქმიანობის რეგლამენტაციისათვის შემუშავებულია „შიდა აუდიტის" გამოყენების სტანდარტი, რომელიც აყალიბებეს პერსონალის უფლებებს, პასუხისმგებლობას და ISO 9001 საბაზისო სტანდარტის მოთხოვნათა შემოწმების თანმიმდევრობას. აღსანიშნავია, რომ ამ სტანდარტის მოთხოვნები რეალიზდება საკვლევი ცენტრის ყველა ქვეგანყოფილებაში. შესრულების მეთოდიკა ეტაპობრივია:

**ეტაპი I**. შედგენილია მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის შიდა აუდიტის პროგრამა.

**ეტაპი II** - შედგენილ იქნა მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის შიდა აუდიტის ჩატარების გეგმა. დასრულდა შიდა აუდიტის ორგანიზაციულ-მეთოდური დოკუმენტების შემუშავება და მომზადება.

**ეტაპი III** - შედგენილია მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის შიდა აუდიტის კითხვარები.

**ეტაპი IV** - ჩატარდა დოკუმენტების ექსპერტული შეფასება.

**ეტაპი V** - შედგა და გაფორმდა მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის შიდა აუდიტის საკონტროლო დოკუმენტები.

**ეტაპი VI** - რეგისტრირდებოდა ოქმებში არსებული შეუსაბამობები შემდეგი კატეგორიების მიხედვით: მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი.

**ეტაპი VII** - სამუშაოების დასრულება და აუდიტის შესახებ ანგარიშის შედგენა.

**ეტაპი VIII** - შემმოწმებელი სტრუქტურული ქვეგანყოფილების მიერ ივსებოდა კონტროლის აღსრულების ერთიანი რეესტრი.

**ეტაპი IX** - ტარდებოდა მონაწილეთა შეკრება, რათა მომხდარიყო აუდიტის შედეგების შეჯამება.

**ეტაპი X** - განხორციელებული ღონისძიებების რეალიზაციის კონტროლი და შედეგიანობის შეფასება.

**დასკვნა.** მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის 2011-2017 წლებში ჩატარებული შიდა და გარე აუდიტების შედეგები გვიჩვენებს, რომ ჯამურად მიმდინარეობს დადებითი დინამიკა სისტემური შეუსაბამობების აღმოფხვრის მხრივ.

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Murray, C. J. L. A framework for assessing the performance of health systems. Theme Papers / C. J. L. Murray, J. Frenk // Bulletin of the World Health Organization. – WHO, 2000. – Vol. 78. – P. 717–724.

2. Watson, P. A new model for obtaining sustainable competitive advantage/ P. Watson, N. Chileshe, D. Maslow // Construction Industry Development 2nd Postgraduate Conference (Cape Town, South Africa, 10–12 Oct. 2004). – 2004. – P. 129–141

3. Bush D., The deming prize and the baldrige award: how they compare/ D. Bush // Quality Progress. – 1989. – Vol. 22, № 1. – P. 254.

4. “Baldrige Index” Consistently Outperforms the S&P 500 // Fact Sheet. – Gaithersburg, Maryland: NIST, 2001. – 10 April. – 49 p.

5. Cassel, C. Customer satisfaction and retention in transitional

economies /C. Cassel, L. Murguletz // SSE S.-Pb Research Paper. – St. Petersburg, 2009. – 56 p.

6. Davis, S. Futures wealth / S. Davis, C. Meyer– Boston Harvard Business School, 2000.– 44 p.

7. Longenecker, C. O. Why managers fail in post-Soviet countries: causes and lessons // C. O. Longenecker // Eur. Business Review. – 2001. – Vol. 13, N 2. – P. 199.

8. Watson, G. H. Strategic benchmarking: how to rate your company's performance against the world best / G. H. Watson. – John Wiley & Sons, 2007. – 232 p.

9. S. L. Jarvenpaa, M. S. Beers // MIT Sloan Management Review. – 2016. – Vol. 1, N 8. – P. 53–65.

10. Petrick, K. Umwelt-und Quality management systems. Hanser Verlag/ K. Petrick, R. Eggert. – Munchen – Wien, 2015. – P. 360.

11. De Carly, N. J. History of the Malcolm Baldrige awards / N. J. Carly // Quality Progress. – 2010. – N 3. – P. 378.

12. Davenport, T. H. Improving knowledge work processes / T. H. Davenport, // JAMA. – 1988. – V. 260, N 12. – P. 743–748.

13. Donabedian A. The quality of care. How can it be assessed? / A. Donabedian; Oper. & Prod. Manag. – 2011. – Vol. 2, N 12. – P. 516.

14. Khoo, H. H. Critical success factors for quality management implementation in Post-Soviet Countries / H. H. Khoo, K. C. Tan // Industrial and Commercial Training. – 2002. – Vol. 34, N 7. – P. 346.

# METHODS OF EVALUATING THE EFFECTIVENESS OF THE MANAGEMENT OF A MEDICAL ORGANIZATION

**Rusudan Bulbulashvili,**
Docotoral Student or GTU

**Tamar Rostiashvili**,
Assosiate Professor of GTU,
t.rostiashvili@gtu.ge

## RESUME

The article discusses the development of the activities of the medical organization, which aims to continuously improve the quality of medical care. The authors believe that this is possible only in the case of quality and new goal-oriented and planned work monitoring. According to the authors, this allows for constant improvement of the organization. The authors believe that despite the growing interest of the heads of medical organizations in improving the quality of medical organizations, the interpretation of the criteria for self-assessment may be complicated and sometimes even incomprehensible.

According to the authors, criteria such as customer relationship system, procedural approach, stakeholders, social responsibility, information security, etc. are sometimes inadequately used in healthcare. Developing new management technologies requires the adoption and sharing of a quality philosophy by managers and staff.

**Keywords**: Management philosophy, efficiency, evaluation methods.

# მარკეტინგული საქმიანობის თავისებურებები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციებში

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-379**

**ჯემმა სააკიანი,**
სტუ დოქტორანტი,
jemmasaakyan@gmail.com,

მეცნ. ხელმძღვანელი:
**ლია ბერიკაშვილი,**
სტუ ასოც. პროფესორი

**რეზიუმე**

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოფლის მეურნეობის დანიშნულების ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში მარკეტინგული სისტემების დანერგვა უაღრესად მნიშვნელოვანია. აგრო მარკეტინგი ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, პოპულარიზაციისა და რეალიზაციის სპეციფიკურ პირობებში, რაც განსაზღვრავს აგრარული მარკეტინგის მექანიზმის ფუნქციონირების თავისებურებებს. სტატიის მიზანია აგრო მარკეტინგისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტების გამოვლენა და ანალიზი, რომელთა ზეგავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე არსებითია, მათ შორის ყურადსაღებია: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციის პირდაპირი დამოკიდებულება ბუნებრივ და კლიმატურ პირობებზე, სასურსათო უსაფრთხოების პირობების დაცვა მომხმარებლისთვის, სეზონურობა, მარკეტინგული საქმიანობის განხორციელების განსხვავებული დონე, მარეგულირებელი ორგანოების არასრულყოფილება მარკეტინგული საქმიანობის რეგულირების სფეროში და ა.შ.. გამოვლენილი ელემენტების ანალიზი საშუალებას იძლევა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციებში მარკეტინგული საქმიან-

ობის სწორი პოლიტიკის შემუშავებისა და სისტემების დანერგვის დონის გაუმჯობესებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** აგრობიზნესი, მარკეტინგული სისტემა, ბუნებრივი რესურსი, სეზონურობა, სასურსათო უსაფრთხოება, რეგულაცია.

## შესავალი

მარკეტინგი გვევლინება, როგორც საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მთავარი ფილოსოფია ბაზარზე მოქმედი პირებისთვის, რომლებსაც პირდაპირ თუ ირიბად აქვთ ზეგავლენა ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ეფექტური მარკეტინგული ღონისძიებების გატარება კომპანიის განვითარებისა და წარმატების გარანტიაა გრძელვადიანი პერსპექტივით. თანამედროვე საბაზრო პირობებში მარკეტინგული ინსტრუმენტების სწორი გამოყენება ხელს უწყობს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის. სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მთავარი შემადგენელი დარგია, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია აგრო ინდუსტრიული მარკეტინგის კონცეფციის სრულყოფილი შესწავლა, ანალიზი და დანერგვა.

## ძირითადი ტექსტი

21-ე საუკუნეში ნებისმიერი სახის მარკეტინგული აქტივობის ძირითადი დანიშნულებაა წარმოებული პროდუქციის მიზნობრივი აუდიტორიისთვის სწორი გაყიდვა. მარკეტინგისა და მარკეტინგული სისტემის სასოფლო-სამეურნეო სეგმენტში გამოყენების მრავალი დეფინიცია არსებობს, ე. წ. აგრო მარკეტინგის დასახელებით, მასში მოიაზრება, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტის მწარმოებლიდან საბოლოო მომხმარებლამდე მიმოქცევის პროცესი, ასევე ორგანიზაციის შესაძლებლობა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები და მოთხოვნილებები. ეკონომიკურ ლიტერატურაში უამრავი განმარტება არსებობს მარკეტინგული სისტემების ჩამოყა-


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 სტუ

ლიზებისა და დანერგვის შესახებ, თუმცა სასოფლო-სამეურნეო დარგის მარკეტინგული ურთიერთობების შესწავლის ნაკლებობა ფიქსირდება. 1997 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ დევისმა პირველად გამოიყენა და შემოიტანა „აგრობიზნესის მარკეტინგული სისტემა" როგორც ცალკე ეკონომიკური ტერმინის სახით. ორგანიზაციაში თანამედროვე მართვისა და მარკეტინგული სისტემის დანერგვა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციის ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლით, რომელშიც მოიაზრება მარკეტინგული საკითების ფუნდამენტური შესწავლა, პროდუქტის განაწილების ახალი არხების ძიება, გაყიდვების ბაზრების ათვისება, დაბალანსებული საფასო პოლიტიკის განხორციელება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, პოპულარიზაციის და რეალიზაციის სპეციფიკა განსაზღვრავს აგრო მარკეტინგის ფუნქციონირების მექანიზმის არსებულ თავისებურებებს. ძირითადი პრინციპები, რომელის საფუძველზეც დგინდება სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის ფუნქციონირების მექანიზმი, არის: მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება საბაზრო პირობების ანალიზის საფუძველზე; სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ეფექტურობის ამაღლება ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირების საფუძველზე; მოგების მაჩვენებლის გამოყენება ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური ინდიკატორის სახით; მომხმარებელთა მოთხოვნის სტიმულირება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენებით.

აგრო მარკეტინგული ასპექტების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის დარგში საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, რაც განისაზღვრება მისი განხორციელების პრინციპებით, ტექნიკით, მეთოდებით და წარმოებული პროდუქციის დანიშნულებით. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციების მარკეტინგული საქმიანობის თავისებურებებს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების ბაზრების მახასიათებლები და მათზე მოქმედი ფასების პოლიტიკის, მიწოდებისა და მოთხოვ-

ნის თავისებურებები. განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები:

➢ პირდაპირი კავშირი ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს შორის. მიწათსარგებლობის ნაყოფიერება, ხარისხი და გამოყენების ინტენსივობა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ეფექტურობას. მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება ტექნოლოგიების საჭირო ხარისხისა და რაოდენობით ხელს უწყობს წარმოების სრულყოფისთვის, პროდუქციის ხარისხის, რაოდენობის და ასორტიმენტის მრავალფეროვნებისთვის.

➢ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციას აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დანიშნულება ქვეყნის მოსახლეობისა და სასურსათო უსაფრთხოებისთვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭიროა ისეთი საკითხების დეტალური განხილვა, როგორიც არის დემოგრაფიული მონაცემები, ეროვნული პრეფერენციები, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ..

სამწუხაროდ მიგრაციის ისეთი მიზეზებიც არსებობს, რომელთაც იძულებით გადაადგილებას უწოდებენ. ასეთებია: სტიქიური უბედურება, სამოქალაქო და ქვეყნებს შორის ომი. ხშირ შემთხვევაში სამშობლოს დატოვების მიზეზად პოლიტ-იკური დევნა სახელდება. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, სხვა ქვეყნებისათვის თავშესაფრის მიღების განაცხადებებში საკმაოდ ხშირად არის მითითებული, რომ ადამიანები იძულებულნი არიან, საკუთარი სამშობლო დატოვონ არატრადიციული ორიენტაციის, რელიგიური უმცირესობებისა და აზრთა სხვაობის გამო. ისინი მხოლოდ იმიტომ განიცდიან დევნას და ცხოვრობენ ფიზიკური განადგურების შიშით, რომ საზოგადოების ძირითადი მასისგან განსხვავდებიან. ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების განხილვისა და დადასტურების შემდეგ თავშესაფრის მაძიებელ პირებს ენიჭებათ იურიდიული სტატუსი-ლტოლვილი. ლტოლვილის სტატუსის მქონე ადამიანები ხდებიან იმ ქვეყნების მოქალაქეები, სადაც ფიქრობენ, რომ მათი უფლებები უფრო მეტად დაცული იქნება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ემიგრაციაში წასული ადამიანების რაოდენობის უწყვეტი ზრდა, ბევრმა მიზეზმა განაპირობა. მათ შორის: ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ინტერნეტთან წვდომის გამარტივებამ, უვიზო მიმოსვლის რეჟიმების ამოქმედებამ და ერებს შორის თანამეგობრობამ, ეს მიზეზთა ის მცირეა ჩამონათვალია, რომელმაც უფრო გააადვილა ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილების მიღება. ემიგრაციაში წასვლის უპირველეს მიზეზად როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში ფინანსური კეთილდღეობის მიღება რჩება.
**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, ეკონომიკა, სტრატეგია, მსოფლიო, საერთაშორისო ურთიერთობები, ლტოლვილი. მოსახლეობა.

## შესავალი

თანამედროვე მიგრაციულ პროცესებში ჩართულია მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტი და რეგიონი. მიგრაციის პროცესების მართვა და რეგულირება ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სადავო ასპექტი.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია ყოველთვის იყო თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემა, მიგრაციით გამოწვეულ ასპექტებს 21-ე საუკუნის დასაწყისამდე არ მიუღია სათანადო გაშუქება და საბოლოო ჯამში მიგრაციულმა პროცესებმა კოლოსალური მასშტაბები შეიძინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. 2018 წლის მონაცემებით საერთაშორის მიგრანტების რაოდენობამ დაახლოებით 255 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, ხოლო ქვეყნების შიდა მიგრაციამ კი თითქმის 800 მილიონს მიაღწია(აღნიშნულ ციფრებში მითვლილია ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა გარკვეული ნაწილი).

## ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა და განსაკუთრებით კი ევროპაში არსებულმა კრიზისმა, კიდევ ერთხელ აშკარად აჩ-

ვენა აღნიშნული ფენომენის სირთულე და ცხადყო, რომ აუცილებელია ამ პროცესების მოგვარებაში ჩართულ იყოს მთელი მსოფლიოს საზოგადოება და აუცილებელია თანამშრომლობა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე. მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში აქტიურად არის ჩართული ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მსოფლიო ბანკი (WB), ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR), გაეროს სპეციალიზებული სააგენტო - განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებში (UNESCO), აუცილებლად ცალკე უნდა აღინიშნოს, მიგრაციის საერთაშორის კომისია (IOM) ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც შეხებაშია მიგრაციის საკითხებთან. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და მთავრობათაშორის ორგანოებთან. ის დაარსდა 1951 წელს და მისი წევრი სახემწიფოების რაოდენობა 170-მდეა. საინტერსოა ისიც, რომ IOM 2016 წელს, მისი არსებობის სამოცდამეხუთე წელს გაეროს ნაწილი გახდა. საერთაშორისო მიგრაციის მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებთან დაკავშირებით, ყველაზე ავტორიტეტული დოკუმენტია 2003 წელს ჟენევაში დაარსებული (GCIM) საერთაშორისო მიგრაციის გლობალურ კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება, რომელის სახელწოდებაა: „მიგრაცია ურთიერთადაკ-ავშირებულ სამყაროში და მოქმედების ახალი მიმართულებები. აღნიშნულ დოკუმნეტში თავმოყრილია ისეთი ძირითადი საკითხები და პრობლემები, როგორიცაა მიგრაცის მზარდი დინამიკა, მსოფლიო შრომის ბაზარზე არსებული ვითარება, არალეგალური მიგრაციული პროცესები და მათგან გამოწვეული პრობლემები, მიგრანტების უფლებები და მოთხოვნები. გარდა ამისა, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ფინანსურმა ინსტიტუტმა - მსოფლიო ბანკმა თავის მიერ განსახორციელებელ მიმართულებებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საერთაშორისო მიგრაციისა და ფულადი გზავნილების საკითხებს. [1]

ჩვენს ქვეყანაში მიგრაციის მართვის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ევროკავშირის მხარდაჭერით. შემუშავდა მიგრაციის მართვის სხვადასხვა სტრატეგიები, სხვადასხვა ევროპული ქვეყნების მაგალითზე და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2010 წ) [2;3]

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები ერთნაირია: ეს უმეტეს შემთხვევებში არის საქართველოს ბაზართან შედარებით უფრო მაღალი ფინანსური ანაზღაურების სურვილი. თუმცა, არსებობს სხვა ტიპის ემიგრაციის მიზეზები, აღსანიშნავია, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ერთ-ერთია სამედცინო მომსახურების მიღების მიზნით მიგრაცია და დასავლური/ამერიკული განათლების/პრაქტიკის მიღების სურვილით გამოწვეული მიგრაცია. სამწუხაროდ, საქართველოს არცთუ ისე შორეულ წარსულში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაციის გამომწვევი მიზეზი ძირითადად იყო ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარება, არასტაბილური პოლიტიკური ფონი, შიდა დაპირისპირება, სამოქალაქო ომი და ამ ფაქტორებიდან გამომდინარე- მაქსიმალურად გაზრდილი კრიმინალი. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღწერილი ვითარების გამო მოსახლეობის მიგრაცია ძირითადად ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდებოდა. ამჟამად კი, მოსახლეობის ძირითადი მასა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობს გადასახლებას. თუმცა 2019 წლის მონაცემებით, ჩვენი ქვეყნიდან ყველაზე მეტი ემიგრანტი მაინც რუსეთში იმყოფება. [4;5]

აუცილებლად უნდა აღნიშნოს, ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში შესამჩნევი გახდა ემიგრანტების უკან-საქართველოში დაბრუნება, მართალია მათი რაოდენობა არ აჭარბებს ქვეყნიდან გამსვლელების რაოდენობას, თუმცა შესამჩნევად მოიმატა უკან დაბრუნებულთა რიცხვმა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველი ემიგრანტების უმეტესობა იძულებული გახდა დაეტოვებინა, როგორც საკუთარი ქვეყანა, ასევე ოჯახები და ახლობლები ფინანსური უზრუნველყოფისათვის. დღეს კი მათი უმეტესობის ძირითად მიზანს, უკვე მიღწეული კეთილდღეობისა და მეტ-

ნაკლებად ფინანსური დამოუკიდებლობის დონის შენარჩუნება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ არ არის განსაკუთრებით მზარდი უკან დაბრუნებულთა რიცხვი. [6]

ბოლო ათწლეულების მანძილზე დაჩქარდა ურბანიზაციის პროცესი, რაც პირდაპირ უკავშირდება სოფლებში მოქმედუნარიანი მოსახლეობის შემცირებას. სოფლების დაცლა ძირითადად გამოიწვია დიდ ქალაქებში არსებულმა სამშენებლო ბუმმა, რის გამოც გაიზარდა მოთხოვნა შედარებით დაბალი კვალიფიკაციის, უმაღლესი განათლების დიპლომის გარეშე მყოფ შრომისუნარიან მამაკაცებზე. სწორედ ქალაქში დასაქმებისა და „უკეთესი ცხოვრების" პერსპექტივამ გამოიწვია სოფლებში მიმდინარე პროცესები. მასიურად მოხდა ქმედითუნარიანი მოსახლეობის გადინება, რის გამოც ავტომატურად შეფერხდა სოფლის მეურნეობის განვითარება. მუშახელის არ არსებობის გამო მიუხედავი დარჩა, სხვადასხვა ხილის ბაღები, ვენახები, ბოსტნეული და პარკოსანი მცენარეები. აღნიშნული პრობლემის გამო ვერ მოხერხდა პროდუქტის მოთხოვნისა და მიწოდების დარეგულირება, რამაც გაზარდა იმპორტულ საქონელზე მოთხოვნა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ემიგრაცია უპირველეს ყოვლისა უკავშირდება სტაბილურ ფულად გზავნილებს უცხოურ ვალუტაში. ხშირ შემთხვევაში, საქართველოში შემოსული ვალუტის უმეტესი წილი სწორედ ემიგრანტების ფინანსურ გზავნილებზე მოდის(განსაკუთრებით ბოლო 2 წლის მანძილზე, როდესაც მსოფლიო პანდემიამ შეაფერხა ტურიზმი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში). გარდა ფულადი გზავნილებისა, ემიგრაციას სხვა დადებითი მოვლენებიც ახლავს თან. შედარებისათვის განვიხილოთ იაპონიის მაგალითი: იაპონია ალბათ მთელ მსოფლიოში ყველაზე მონოეთნიკური სახელმწიფოა, მისი მოსახლეობის 98%-ზე მეტი თავად იაპონელია. 1,9% კი მიმდებარე კუნძულების მაცხოვრებლები არიან. მხოლოდ 0,1% შეადგენს სხვა ერების წარმომადგენლები. [7]

ამომავალი მზის ქვეყანა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ზედემტად დახურულიც კი იყო. იაპონია ყოველთვის იყო გამორჩეული ძალიან მკაცრი მიდომებით მიგრაციული პროცესე-

ბი მიმართ, რაც ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლის შეზღუდვას და იაპონიის მოქალაქეების ქვეყნიდან თავისუფლად გასვლას. თუმცა ბოლო წლებში ემიგრაციასთან დაკავშირებით, დამოკიდებულება შეცვალა იაპონიის მთავრობამ. რადგანაც იაპონია, ისევე როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას პრობლემები შეექმნა, რაც ძირითადად დაბალი შობადობის და გაზრდილი სიცოცხლის მაჩვენებლებში გამოიხატება. (იაპონიას მთელ პლანეტაზე სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს და აგრძელებს ზრდას!) თანამედროვე თაობები უფრო მეტად არის ორნეტირებულები კარიერულ წინსვლაზე, ვიდრე ოჯახზე. აღნიშნულ პრობლემას შეუძლია საბოლოო ჯამში დემოგრაფიულ კრიზისამდე მიიყვანოს იაპონია. იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიმდინარე პრობლემის გამწვავება შესაძლოა შრომითი მიგრანტების ჩართულობით იყოს თავიდან აცილებული. პრემიერ მინისტრმა, შინზო აბემ პარლამენტის მხარდაჭერით 2018 წელს მიიღო ახალი საემიგრაციო კანონი, რის საფუძველზეც იაპონიაში დამკვიდრდა სამუშაო ვიზის რამდენიმე კატეგორია, რაზედაც დიდ იმედებს ამყარებენ იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები(მუშახელის მწვავე დეფიციტის აღმოფხვრა, დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ. [8].

## დასკვნა

საბოლოო ჯამში, ყველა ქვეყნის ხელისუფლება თანხმდება, რომ ემიგრაცია აუცილებელია. საჭიროა სწორად გავმიჯნოთ მისი დადებითი და უარყოფითი გავლენები, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ გამოვიყენოთ სხვა, უფრო განვითარებული ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმები და დანერგილი პრაქტიკა ემიგრაცისთან დაკავშირებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020 წ.)

2. სალომე სილაგაძე: ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდეციები 2020 წ.

3. ზუბიაშვილი თ. 1999 წ. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

4. ზუბიაშვილი “გლობალიზაცია და მიგრაციული პროცესები” თბილისი 2017.

5. World migration report 2018 //
https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

6. Summit on Refugees and Migrants Begins as IOM Joins the United Nations // https://www.iom.int/news/summit-refugees-and-migrants-begins-iom-joins-united-nations

7. The 2006 High-level Dialogue on International Migration and Development // http://www.un.org/esa/population/migration/hld/.

8. Глобальный форум по миграции и развитию
http://www.un.org/ru/development/migration/forum.shtml.

**REFERENCES:**

1. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (Enterprise Demand Survey on Skills 2020)

2. Salome Silagadze: Modern Trends in Intellectual Migration in 2020.

3. Zubiashvili T. 1999 Modern International Migration. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House.

4. Zubiashvili T. 2017 Globalization and migration processes.

5. World migration report 2018 // https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

6. Summit on Refugees and Migrants Begins as IOM Joins the United Nations // https://www.iom.int/news/summit-refugees-and-migrants-begins-iom-joins-united-nations

7. The 2006 High-level Dialogue on International Migration and Development // http://www.un.org/esa/population/migration/hld/.

8. Global Forum on Migration and Development http://www.un.org/ru/development/migration/forum.shtml.

# MIGRATION PROCESSES IN THE WORLD AND IN GEORGIA

**Ana Baratashvili,**
PhD student of GTU
baratashvilian@gmail.com

## RESUME

Migration is an already existing part of human existence. The main driving force of migration is the prospects of a successful life. Even in prehistoric times, the reason people moved was for life, for hunting, for allowing crops, and so on. Finding more favorable areas and their purpose.

Unfortunately, there is also a history of migration, similar: natural disaster, civil and war between countries. Frequent cases of leaving the homeland are cited as the cause of political persecution. According to world statistics, asylum for other countries, they differ in that people write, are to leave their homeland for a non-traditional orientation. They are only because they are in fear of physical destruction. After reviewing and confirming the above results, asylum seekers are granted legal status - refugees. People with refugee status, will be citizens of countries where their rights will be more protected.

The number of people who have emigrated in recent decades has been steadily increasing, for many reasons. Among them: the simplification of access to the Internet, the introduction of visa-free travel regimes and the community between nations, for these reasons it's a small technology, making it easier to make the decision to emigrate. The primary reason for emigrating is to get well-being in Georgia, as well as around the world.

**Keywords:** Emigration, Economy, Strategy, World, International Relations, Refugee, Population.

# გლობალურ ეკონომიკაში მინერალური ინდუსტრიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები და პერსპექტივები

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-419**

**გელა ლობჯანიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორი
**g.lobjanidze@gtu.ge**

## რეზიუმე

განხილულია მინერალურ-რესურსული პოტენციალის ათვისების გლობალური ტენდენციები და ეკონომიკაში მისი ცალკეული სახეების ეფექტიანი გამოყენების აქტუალური ასპექტები უფრო მწვანე, უსაფრთხო და მდგრადი მომავლის თვალსაზრისით; ასევე გაანალიზებულია მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნა ეკონომიკის დინამიკის, კრიტიკული გამოწვევების გადაჭრის და განვითარების ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით. შემოთავაზებულია მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით მინერალების და ლითონების პასუხისმგებლობით წარმოება, მათი უსაფრთხოდ გამოყენება ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის და სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციების ჩართულობით.

**საკვანძო სიტყვები:** მინერალურ-რესურსული პოტენციალი, მინერალური ნედლეული, COVID-19, გლობალური ტენდენციები, ეკონომიკა, მწვანე, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

## ძირითადი ტექსტი

მინერალური რესურსების მოპოვება და სამთო მრეწველობა ისტორიულად, ადამიანის ერთ-ერთი უძველესი საქმიანობა და დარგია, რადგან კაცობრიობა მრავა-ლი საუკუნის განმავლობაში და თუნდაც ათასწლეულების განმავლობაში, ასევე დღეს, სარგებლობს დედამიწის სიმდიდრით. ადამიანის მიერ მოპოვებული და გამოყენებული მინერალური რესურსები ყოველთვის

განაპირობებდა სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ და ცივილიზაციურ განვითარებას, რაც ძალიან ნათლად იყო ხაზგასმული 2000 წელს აშშ-ში გამართული მე-18 მსოფლიო სამთო კონგრესზე დევიზით - ყველაფერი იწყება სამთო მოპოვებით. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი ფიზიკოსის მაქს პლანკის გამონათქვამი: „სამთო არ არის ყველაფერი, მაგრამ სამთოს გარეშე ყველაფერი არაფერია". მართლაც რეალურია, ეკონომიკის მთელი რიგი დარგების და მიმართულებების არსებობა, როგორც წარსულში, ასევე აწმყოში, რომელთა ოპტიმალური ფუნქციონირებაც სამთო ინდუსტრიის განვითარებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. [1]

კორონავირუსის/COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ მძიმედ დაარტყა მსოფ-ლიო სამთო ინდუსტრიას, სამუშაოების პერიოდული დახურვით და მიწოდების ჯაჭ-ვის შეფერხებით. თუმცა, ვინაიდან ლითონები და მინერალები აუცილებელია მრა-ვალი სხვა ინდუსტრიისთვის, პანდემიით გამოწვეულმა ნიშანდობლივმა გარემო-ებებმა ასევე დაადასტურა, თუ რამდენად გამძლეა სამთო კომპანიები ასეთი სერი-ოზული გამოწვევების წინაშე. როგორც ცნობილია, მომავალში, ეკონომიკის სანედ-ლეულო მოდელზე განვითარების ცვლილების მიუხედავად, მინერალური ნედლეულის მნიშვნელობის აქტუალობა არ შემცირდება. ცხოვრების დონის ზრდით კვლავ გაიზრდება ენერგიის, ლითონებისა და სხვა მინერალების მოხმარება. (იხ. ნახ. 1) [2]

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია მინერალური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები. გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდის ეკონომიკურმა დარტყმამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ გარკვეულ პირობებში ამ პრობლემებმა შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების მთელ კურსზე, უარყოფითი გავლენა მოახდინოს წარმოების, ფულადი, საგარეო ეკონომიკური და მთელ რიგ სხვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებებზე. გრძელი რეტროსპექტივისას, ახალი მინერალების, შენადნობების აღმო-




**ნახ. 1. გლობალური რესურსების მოპოვების პროგნოზი 2010-2030 წწ. [7]**

ჩენამ, მინერალების მოპოვებისა და წარმოების ახალი მეთოდების აღმოჩენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ინდუსტრიულ განვითარებასა და მოხმარებაზე. [3]

გლობალური ტოპ 40 სამთო კომპანია, რომლებიც წარმოადგენენ ინდუსტრიის აბსოლუტურ უმრავლესობას, 2020 წელს გამოიმუშავეს ნახევარ ტრლნ აშშ $-ზე მეტი შემოსავალი. რაოდენობის თვალსაზრისით, ეს კომპანიები ყველაზე მეტად აწარმოებენ ნახშირს (თერმული და მეტალურგიული ნახშირის ჩათვლით), რკინის მადანს და ბოქსიტს. [4,5,6]

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სამთო მრეწველობა გარკვეულწილად კარგად ინარჩუნებს მდგრადობას COVID-19-ის გავლენის კონტექსტში გლობალურ ეკონომიკასა და წარმოებაზე, რამდენადაც სამთო კომპანიები ფინანსურად შედარებით ძლიერია და მათი უმეტესობა მეტნაკლები სტაბილურობით განაგრძობს მუშა-ობას, თუმცა გაზრდილია სიფრთხილისა და პროფილაქტიკური კონტროლის დონე. ამასთან, ჯერ კიდევ უცნობია პანდემიის გრძელვადიანი შედეგები. ცხადია, ასეთ პირობებში, ტოპ-40 სამთო კომპანიამ უნდა ისარგებლოს არსებული ფინანსური სტაბილურობით და გადახედოს თავის სტრატეგიას, რაც მომავალში გაზრდის ბიზნესის სტაბილურობას.

სამთო მომპოვებელ კომპანიებს უწევთ მუდმივად მზარდ მოთხოვნებთან გამკლავება, როგორიცაა: ინოვაციების საჭი-

როება, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ცვლილებები და ფიზიკურ და საინფორმაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ზრდა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, პროექტის კომპეტენციის მექანიზმი, მწვანე ეკონომიკის გარდამავალი მიდგომა, საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა, რისკის პოლიტიკის მთლიანობა, ეკონომიკის ინკლუზიური სტრატეგია, სამოქალაქო საზოგადოებასთან ჩართულობა და ა.შ. [7,8]

ბიზნესის, ბაზრისა და ხარჯვის ტენდენციების ანალიზი იძლევა მიმართულებას იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს მიმდინარე და სამომავლო საქმიანობა ინდუსტრიას. მიუხედავად იმისა, რომ ლითონების ფასები 2022 წელს რამდენადმე ჩამოიწევს მათი ამჟამინდელი მაჩვენებლებიდან, საშუალოვადიანი მიწოდების შეზღუდვები საფუძველს ქმნის ისტორიულად საშუალოზე მაღალ ფასებს 2025 წლამდე, ხოლო, სამთო გლობალური ბაზრის ზრდა 2025 წელს მიაღწევს 2427,85 მლრდ $-ს რთული წლიური ზრდის ტემპით CAGR (Compound Annual Growth Rate) 7%, რაც ძირითადად გამოწვეულია გლობალური ენერგეტიკული ტრანსმისიის დაჩქარებაში გამოყენებულ მასალებზე მოთხოვნის ზრდით. [9]

სამთო მოპოვების მდგრადი განვითარების პრობლემების სირთულე და შედეგად მიღებული მრავალფეროვნება გლობალური მასშტაბით მიუთითებს ცოდნის, მეთოდების, ტექნოლოგიების და სხვა გადაწყვეტილებების სფეროში გამოცდილების უწყვეტი გაცვლის აუცილებლობაზე. მათ უნდა უზრუნველყონ მდგრადი და სოციალურად მისაღები განვითარება და სამთო სამუშაოების მუდმივი ინოვაციური ოპერირება საჭირო მინერალური რესურსების უზრუნველსაყოფად. დეკარბონიზაცია, განახლებადი ენერგიის გამოყენება, ციფრული ნავიგატორი, დიგიტალიზაცია, კიბერ უსაფრთხოება, ციფრული გადასახადები, პორტფელის იპტიმიზაცია, საბრუნავი კაპიტალი, საქმიანობის ლიცენზია, უსაფრთხოების ინოვაციები, ადამიანური რესურსები, ESG და მდგრადობა და დივერსიფიკაცია ცვლის სამთო კომპანიების ჩვეულ ბიზნეს მოდელებს, რომლებიც წარ-

მოადგენენ სამომავლოდ სამთო ინდუსტრიის განვითარების ძირითად ტენდენციებს და პერსპექტივებს.

## დასკვნა

მინერალური რესურსების რაციონალური ათვისება და სამთო ინდუსტრიის მდგრადი განვითარება არის მთავარი გამოწვევა დღევანდელი გლობალური სამყაროსთვის და ნედლეულის და ენერგიის უსაფრთხოების გასაღები მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის. მომავალი ათწლეული იქნება მნიშვნელოვანი მოვლენების და ტრანსფორმაციის ეპოქა სამთო ინდუსტრიისთვის, სადაც ნიშანდობლივია მომავლის წარმატებულმა სამთო კომპანიებმა შეამცირონ ნახშირბადის ინტენსივობა და ნარჩენები და გააერთიანონ თავიანთი ოპერაციები მდგრადი განვითარების მიზნებთან, რომელიც დაეხმარება ძირითად საწარმოებს არა მხოლოდ ისარგებლონ მომავლის მოვლენებით, არამედ იმოქმედონ საზოგადოების საკეთილდღეოდ, რათა მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნით და ეკონომიკის მრავალი სექტორისათვის აუცილებელი ნედლეულის მიწოდებით ხელი შეეწყოს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

**REFERENCES:**

1. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2300396015300446
2. https://www.researchgate.net/figure/Global-Resource-Extraction-1980-2030_fig1_227012969
3. https://finuni.ru/rol-mineralnyh-resursov-v-mirovoy-ekonomike/
4. https://www.statista.com/statistics/272707/ranking-of-top-10-mining-companies-based-on-revenue/
5. https://www.statista.com/statistics/272706/top-10-mining-companies-worldwide-based-on-market- value/
6. https://www.statista.com/statistics/208725/net-profit-margin-of-the-top-mining-companies/
7. Минерально-сырьевые ресурсы и экономическое

развитие. Сборник научных трудов. Москва, ИМЭМО РАН, 2010, 211 с.(Mineral-mineral resources and economic development. Proceedings of scientific works. Moscow, IMYMO RAN, 2010, 211 p.);

8. EBRD Extractive Mining Industries Strategy 2018-2022. European Bank for Reconstruction and Development. 2017. 46 p.

9. https://www.marketwatch.com/press-release/mining-explosives-market-analysis-report-2021-2025-in-depth-insights-by-top-manufacturers-global-opportunities-by-regions-and-growth-status-with-revenue-forecast-by-industry-size-2021-12-07

## SOCIO-ECONOMIC TRENDS AND PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF THE MINERAL INDUSTRY IN THE GLOBAL ECONOMY

**Gela Lobjanidze**
Academic Doctor of Economics,
Associate Professor of
GeorgianTechnical University
g.lobjanidze@gtu.ge

### RESUME

The article discusses the global trends in the development of mineral-resource potential and the current aspects of the effective use of its individual forms in the economy in terms of a greener, safer and more sustainable future; The demand for mineral raw materials is also analyzed, taking into account the dynamics of the economy, the solution of critical challenges and the main directions of development. It is proposed to produce minerals and metals responsibly in order to promote sustainable economic growth, their safe use through the involvement of ethical business practices and other important trends.

**Key words:** Mineral Resource Potential, Mineral Raw Materials, COVID-19, Global Trends, Economy, Green, Safe and Sustainable Development.

# მიგრაციული პროცესების გავლენა საქართველოდან ემიგრირებულთა მოზარდ შვილებზე: ტრანსნაციონალური მშობლობა

**DOI - 10.36962/ecs105/3/2022-425**

**ნატალია ჩუბინიძე**
სტუ სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
nchubinidze2705@gmail.com

**რეზიუმე**

მიგრაცია და მიგრაციული პროცესები ოდითგანვე ახდენდა გავლენას ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ თუ სოციალურ სტრუქტურაზე. ზემოხსენებული ფენომენი კაცობრიობის განვითარების განუყოფელი ნაწილი იყო და დღემდე ასეა. არადა თანამედროვე, გლობალიზებად სამყაროში ადამიანთა გადაადგილების საკითხს ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს მსოფლიო პოლიტიკაში. ცხადია საქართველოც ვერ იქნება გამონაკლისი ამ გლობალური პროცესისგან. სტატიაში განხილული საკითხი, ემიგრანტი მშობლების, განსაკუთრებით ემიგრანტი დედების მიერ სამშობლოში დარჩენილი შვილების გამოწვევების თაობაზე, სამწუხაროდ საზოგადოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღებას უმეტესწილად მაშინ თუ დაიმსახურებს ხოლმე, როდესაც საქმე გვაქვს კონკრეტულ ასოციალურ, ტრაგიკულ თუ სამწუხარო ფაქტთან. არადა, თითქოს ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ საკითხი მეტად აქტუალურია, საჭიროებს პროფესიონალურ სტრუქტურულ და სტრატეგიულ მიდგომას და არა მხოლოდ სიმპტომურ რეაგირებას.

ზოგადად საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის ქვაკუთხედი კი ცხადია უნდა იყოს დაბალანსებული მიგრაციის მართვის პოლიტიკა, რომელიც ერთის მხრივ მისცემს ადამიანებს საშუალებას მიიღოს საზღვარგარეთ შრომითი გამოცდილება, გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები, თუმცა ეს ყოველივე

მოხდეს დროებით, ლეგალურად და არა ხანგრძლივი ვადით ან მუდმივად, მითუმეტეს არალეგალური მიგრაციის საშუალებების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაცია და განვითარება; ემიგრანტთა შვილები; კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით გაზრდილი თაობა; დაბალანსებული ლეგალური მიგრაცია; არალეგალური მიგრაციის პრევენცია.

## არსებული ვითარება

მიგრაცია და მიგრაციული პროცესები საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. აღნიშნული განსაკუთრებულად აქტუალური გახდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. უნდა ითქვას ასევე ისიც, რომ მიგრაციულ პროცესებს თან ახლდა აღმავალი და დაღმავალი ფაზები, რაც უშუალოდ დამოკიდებული იყო ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა ფაქტორებსა და ცვლილებებზე.

დღეის მდგომარეობით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ ბოლო წლებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორც იმიგრანტთა, ასევე ემიგრანტთა აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით, შეიცვალა და დაიხვეწა მონაცემების დამუშავების მექანიზმები, მაინც რთულია ზუსტი მონაცემების მოძიება იმასთან დაკავშირებით, თუ საქართველოს რამდენი მოქალაქე იმყოფება დღეის მდგომარეობით საზღვარგარეთ. საქსტატის ინფორმაციით, 1994 წლიდან მიგრაციული სალდო იყო უარყოფითი, ანუ, ქვეყნიდან უფრო მეტი ადამიანი გადიოდა, ვიდრე შემოდიოდა, ხოლო 2020 წელს, სავარაუდოდ, პანდემიის ზეგავლენით, ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანი შემოვიდა, ვიდრე გავიდა და მიგრაციულმა სალდომ +15,732 პირი შეადგინა.

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2020 წელს საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთა მიერ გადმორიცხული თანხები მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 13%-ს შეადგენს.

მხოლოდ ეს მონაცემიც კი ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების მიერ გადმორიცხული თანხები საქართველოს ეკონომიკისთვის და ზოგადად იმისთვის, რომ ქვეყანამ გამართულად განაგრძოს ფუნქციონირება, კერძოდ: გაიზარდოს მოქალაქეთა მსყიდველუნარიანობა, ახალგაზრდა თაობამ მიიღოს განათლება, ოჯახებმა შეძლონ ყოფითი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სხვა.

## მიგრაციის პოლიტიკისა და მართვის განვითარება საქართველოში

საქართველოში მიგრაციის პოლიტიკისა და მიგრაციული პროცესების მართვის მიზნით, სისტემური დოკუმენტი „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია" შემუშავდა და დამტკიცდა ჯერ კიდევ 1997 წლის 17 ნოემბერს, თუმცა 90-იან წლებში არსებული ვითარების გათვალისწინებით, დოკუმენტს არ მოჰყოლია კონკრეტული იმპლემენტაციისა თუ სამოქმედო გეგმის დოკუმენტები. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, წლების განმავლობაში, მიგრაციული პროცესები სრულად იყო დერეგულირებული და გარკვეულწილად დამოკიდებული იყო ეგრეთწოდებული მოთხოვნა-მიწოდების პრინციპზე. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობამ, ასევე იმ გარემოებამ, რომ 2011 წლის 1-ლი მარტიდან ძალაში შევიდა „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ" ხელშეკრულება, ისევე როგორც „შეთანხმება საქართველოს და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ"-საჭირო გახდა მიგრაციული პროცესების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება და სრულყოფა.

როგორც ზემოხსენებული ორი დოკუმენტის სათაურიდანაც ნათლად ჩანს, ერთი მათგანი ემსახურებოდა საქართველოს მოქალაქეთათვის ევროკავშირის რიგ წევრ ქვეყნებში გამგზავრებისათვის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივებას, ხოლო მეორე შეთანხმებით, ქვეყანამ აიღო ვალდებულება უკ-

ან დაებრუნებინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები. ამავე დროს 2010 წელს შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციისა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის. პროცესს აქტიურად უჭერდა და უჭერს მხარს ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, რომლის უშუალო ხელშეწყობითაც ფუნქციონირებს კომისიის სამდივნო. კომისიამ და მისმა სამდივნომ გამორჩეული როლი შეასრულა ასევე ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის სამოქმედო გეგმის მიგრაციის მართვის კომპონენტის ფარგლებში არსებული დავალებების განხორციელების საქმეში.

ცხადია, ევროკავშირის ქვეყნებთან დაახლოების, ინტეგრაციული პროცესების გააქტიურების საკითხმა გაზარდა საქართველოს მოქალაქეთა მობილობა ევროკავშირის/შენგენის ზონაში. ცნობილია, რომ შემფასებელი მისიის 4 სრულფასოვანი ანგარიშის შემდგომ 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა 3 თვემდე ვადით, მოკლევადიანი ვიზიტებისათვის იმოგზაურონ ევროკავშირის შენგენის ქვეყნებში. აღნიშნულ გარემოებას, ცხადია აქვს განუზომლად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველა გამოკითხვით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს უჭერს მხარს. აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2022 წლის იანვრის კვლევის თანახმად, გამოკითხულების 83%-ისთვის მისაღებია ევროკავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, რაც წინა, 2021 წლის კვლევის 76%-იან მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა. ასევე, ცხადია, მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმების შედეგად მიღებული სოციალური თუ მატერიალური გადმორიცხვები ჩვენი ქვეყნისათვის.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საკითხის სრულფასოვნად და ყოვლისმომცველად შეფასებისათვის, უნდა ითქვას, რომ ცხა-

დია არსებობდა და არსებობს რისკები იმის, რომ გაიზარდოს საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან თავშესაფრის მაძიებელთა თუ არადოკუმენტირებულ მიგრანტთა რიცხვი ევროკავშირის შენგენის ქვეყნებში. ევროკომისიის მიერ 2021 წლის აგვისტოში გამოქვეყნებულ ანგარიშში, სადაც ასახულია იმ ქვეყნების შეფასება, ვისაც აქვს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან, მიღწეულ პროგრესთან ერთად, ხაზგასმულია დამატებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, რათა მეტი ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის კონვენციით განსაზღვრული საფუძვლების თაობაზე.

1990 წლებიდან საქართველოს ათიათასობით მოქალაქეს უწევდა რთული, მძიმე და სახიფათო გზის გავლა, რათა მოხვედრილიყო განვითარებული ეკონომიკის ქვეყანაში ძირითადად არალეგალურად დასაქმების მიზნით. მათი არალეგალური სტატუსი, ბუნებრივია, რომ ზრდიდა მათი დაუცველობის ხარისხს, იქნებოდა ეს უფლებების, თუ სამშობლოში უკან დაბრუნების ნაწილში. სწორედ ასე და ამგვარად გაჩნდა მთელი თაობა ახალგაზრდებისა, მოზარდებისა, რომლებიც მშობლების, ხშირ შემთხვევაში დედების, გარეშე იზრდებოდნენ/იზრდებიან. 2019 წლის მიგრაციის პროფილის მიხედვით, ემიგრანტთა 43% პროცენტი, სწორედ ქალია და მათი რიცხვი მზარდი იყო განსაკუთრებით 2000-იან წლებში, როდესაც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს ათასობით მოქალაქე გაემგზავრა ოჯახში დამხმარე პერსონალის პოზიციაზე დასაქმების იმედით და ძირითადად არალეგალური სტატუსით. სამწუხაროდ, ძალიან მწირია მონაცემები, შესაბამისი კვლევები იმის თაობაზე, თუ რა გავლენა მოახდინა/ახდენს მშობლების ან მშობლის გარეშე გაზრდილი თაობის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ყოველივე ზემოთქმულმა. შესაბამისად, ჩემი მიზანია სიღრმისეულად გამოვიკვლიოო ემიგრანტი მშობლების საქართველოში დარჩენილი შვილების განვითარების საკითხი ჩემს სამომავლო სადოქტორო დისერტაციაში.

2015 წელს, მაასტრიხტის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ იყო გარკვეული მცდელობა ზემოხსენებული თემის გამოკვლევისა საქართველოსა და მოლდოვაში (Family-Member Migration and the Psychosocial Health Outcomes of Children in Moldova and Georgia). დოკუმენტი ცალსახად უსვამს ხაზს მონაცემთა სიმწირეს და შესაბამისად დასკვნებიც შესაძლოა, რომ იყოს მყიფე ამ თვალსაზრისით. შეფასებული არის ის გარემოებაც, რომ მოლდოვასაგან განსხვავებით, საქართველოში მშობლების, კერძოდ დედასთან დაშორების საკითხს ამსუბუქებს სოციალური წყობა, რაც რეალურად არსებობს ქართულ საზოგადოებაში. იგულისხმება რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრების პრაქტიკა და ის, რომ მოზარდები ხშირად ამ გარემოების გათვალისწინებით ბებია-ბაბუასთან იზრდებიან. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, მშობელთან, განსაკუთრებულად კი დედასთან ბუნებრივი ბმის ჩანაცვლება, ცხადია, ვერ ხდება. გასაგებ მიზეზთა გამო მწირია ასევე ის სახელმწიფო სერვისებიც, რითაც შესაძლოა რომ მოხდეს მსგავსი კატეგორიის მოზარდთა თუნდაც ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

იმის გათვალისწინებით, რომ ემიგრაციული ნაკადები საქართველოდან სტაბილურად მზარდია ბოლო წლებშიც, ხოლო ქალების რაოდენობა ემიგრანტებს შორის არ მცირდება, სავარაუდოა, რომ საქართველოში დატოვებული შვილების რაოდენობაც ასევე, მზარდი იქნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს საქართველოში დატოვებული ემიგრანტების შვილების სიღრმისეული კვლევა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მშობლის ემიგრაციის გავლენა შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე; მშობლის ემიგრაციის გავლენა შვილების ქცევით პატერნებზე (დევიანტური ქცევა); მშობლის ემიგრაციის გავლენა შვილების საგანმანათლებლო მიღწევებზე; მშობლის ემიგრაციის გავლენა შვილების მატერიალურ კეთილდღეობაზე. ასევე მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ იცვლება ოჯახური სტრუქტურა ერთი ან ორივე მშობლის ემიგრაციის შედეგად, როგორც ხდება ოჯახური როლების გადანაწილება. მნიშვნელოვანია, იმის შესწავლა, ხომ არ ხდება

უფროს შვილებზე მშობლების ფუნქციების გადანაწილება, რამაც, შესაძლოა, მათი გარკვეული დისკრიმინაცია გამოიწვიოს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საზოგადოების თუ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღება ზემოხსენებული საკითხისადმი არის სამწუხაროდ მხოლოდ ფრაგმენტული, არ მოიცავს პროფესიონალურ და პასუხისმგებლობით გამსჭვალულ მსჯელობას და ძირითადად ხასიათდება კონკრეტულ, მძიმე ფაქტზე რეაგირების ნიშნებით. მსგავსი მიდგომა კი ცალსახაა, რომ ხელს არ უწყობს საკითხისადმი სისტემური და სტრატეგიული მსჯელობისა და არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური პასუხების მოძიებას.

შეჯამებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოდან გამგზავრებული ემიგრანტები, განსაკუთრებით, დედები ასრულებდნენ და ასრულებენ დღემდე მნიშვნელოვან როლს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნების, შვილებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და განათლების მიცემის საქმეში. თუმცა, დამატებითი კვლევისა და მსჯელობის საგანია ამ პროცესის უარყოფითი ეფექტის სწორად და ადეკვატურად შეფასება და ამ უარყოფითი გავლენის შემცირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. ამის პარალელურად, ცხადია აუცილებელია მუდმივი ზრუნვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, საიმისოდ, რათა რაც შეიძლება ნაკლები მოზარდი ხედავდეს მშობელს დისტანციური კომუნიკაციის საშულებების გამოყენებით და მაინც, თუკი საცხოვრებელი პირობების ან შრომითი გამოცდილების მისაღებად გაემგზავრება ესა თუ ის პირი განვითარებული ეკონომიკის მქონე რომელიმე ქვეყანაში, მან მიმართოს საამისოდ ლეგალურ, დროებით გზებს და არ ხდებოდეს ჩვენი მოქალაქეების, დედების, გადინება მუდმივად ან ხანგრძლივი ვადით.

**REFERENCES:**

1.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

2.https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A33%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

3. https://www.geostat.ge/media/38534/0902_210521_GE.PDF

4.https://migration.commission.ge/files/koncefca.pdf;

5.https://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfo-Georgian/visa-simplified.aspx;

6.https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1250-250?publication=0;

7.https://matsne.gov.ge/ka/document/view/104-9764?publication=0

8. https://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.DT.GD.ZS?locations=GE

9. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0602&qid=1631873659213

## THE IMPACT OF MIGRATION PROCESSES ON THE ADOLESCENTS OF PARENTS EMIGRATING FROM GEORGIA TRANSNATIONAL PARENTHOOD

**Natalia Chubinidze,**
Master of Social Sciences,
nchubinidze2705@gmail.com

### RESUME

Migration, and migration processes have long influenced the socio-political, economic, demographic or social structure of a country. The abovementioned phenomenon has been an integral part of the development of mankind and it still is. In the modern, globalizing world, in an era of scientific technological change and the deepen-

ing of relations between people, the issue of human mobility holds one of the key places in world politics. In scientific or political discussions, the question of how the human mobility can be used for a country's development and not the other way around, gains more and more popularity. That is why migration management issues have been incorporated in the Sustainable Development Goals (SDGs) or in other similar documents, which are made not only for a specific country, but also for the harmonious development of the world, on which world leaders are working. It is also noteworthy that in 2018, the member states of the United Nations adopted a totally independent document, Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration. The document was the first such large scale attempt to develop a comprehensive approach on migration management issues. All in all, it is clear that Georgia cannot be an exception to this global process. The issue examined in the article about the challenges of migrant parents, especially children of emigrant mothers left in the homeland, unfortunately, mostly attracts the attention of the public and the media when dealing with a specific antisocial, tragic or unfortunate fact. Nevertheless, it is already clear at a first glance, that the topic is highly relevant, requiring a professional structural and strategic approach and not only a symptomatic response. Despite numerous important steps taken to improve migration management processes in Georgia in recent years, the issue examined in this article does not lose its urgency.

In general, the cornerstone of Georgia's migration policy should certainly be a balanced migration management policy, which, on the one hand will allow people to gain work experience abroad and improve living conditions. However, all this should happen on a temporary, legal basis and not for a long term or permanently, especially through the means of irregular migration.

**Keywords:** Migration and development; Children of emigrants; Generation grown up through electronic means of communication; Balanced legal migration; Prevention of Irregular migration.

## სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

*ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში:* ***CROSSREF*** *(ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენტიფიკატორი-* ***DOI), https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org ; Zenodo- https://zenodo.org.***

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

**სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს სტატიის ფარულ რეცენზირებას. იბეჭდება დადებითი რეცენზიის მიმღები სტატია.**

## პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭდვა ჟურნალში.

## სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

**რეზიუმე** ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

**საკვანძო სიტყვები** ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

## PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

*The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: **CROSSREF** (assigned an unique International Digital Identifier - **DOI**), **https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org***

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision

of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

**The Editorial Board provides blind review of the articles. The article with positive review is published.**

## PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

## THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

**Resumes** must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

**Key words** in Georgian and English languages;

**Title** of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

ჟურნალი"ეკონომიკა"
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

**სხვა სათაურით**

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

E-ISSN 2733-3361

**UDC: 338(922)(05)**

შპს ჟურნალი ,,ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**
**Тел. 599 56-90-78**
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.02.2022 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.02.2022 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,375

უაკ (UDC): 338(922)(05)

E-ISSN 2733-3361